ISSN—0132—6082

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ფილოსოფიის,
ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

N 4 1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია

# СЕРИЯ ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ, ЭКОНОМИКИ И ПРАВА

თბილისი

ТБИЛИСИ

4. 1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე, (რედაქტორი), ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი, ა. გუნია, ი. დოლიძე, გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, რ. ნათაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი, ო. ჯიოევი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (*редактор*), Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (*зам. редактора*), Гугушвили П. В., Гуния А. Л., Долидзе И. С., Джиоев О. И., Микеладзе И. С., Натадзе Р. Г., Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე
Ответственный секретарь **Ц. А. Шаламберидзе**

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.3.80; შეკვ. № 2794; ანაწყობის ზომა $7 \times 11^1/_2$; ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$; ნაბეჭდი თაბახი 17.2; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.1; უე 07246; ტირაჟი 600;
**ფასი 1 მან.**

❊

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

❊

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## ფილოსოფია

შ. ხიდაშელი, ნეოპლატონიზმი . . . . . . . . . . . 5
ნ. ჭაბუკიანი, ვ. ი. ლენინი ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახების შესახებ ჰეგელის ფილოსოფიაში („ფილოსოფიური რვეულების“ მიხედვით) . . . . . 40
ა. ბერძენიშვილი, ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა დამოკიდებულების პრობლემა გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში . . . . . . . . 52

## ფსიქოლოგია

ზ. ბიგვავა, ფიქსირებული განწყობის ეფექტები განსხვავებული სამოძრაო ამოცანის პირობებში . . . . . . . . . . . . . . . 74
ლ. ჯანჯღავა, განწყობის დადებითი და უარყოფითი გავლენა საინჟინრო-კონსტრუქტორულ სისტემათა ანალიზის დროს . . . . . . . . . . 85

## ეკონომიკა

ა. სილაგაძე, ეკონომიკური ციკლის თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკული ანალიზი . . . . . . . . . . . . . . . 91
მ. მუჩიაშვილი, ე. ჩიქოვანი, ეკონომიკური პროგნოზირების მათემატიზაციის შესახებ 107
ლ. ხურციძე, მეცნიერების საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებაზე გავლენის ზოგიერთი თავისებურება . . . . . . . . . . . . . 121
ა. ბრეგვაძე, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში 127
გ. ხასია, სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ელექტროტექნიკური მრეწველობა . . . . . . . . . . . . . . . . 145
ვ. ნენადიშინი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საზოგადოებრივი წარმოების გადაადგილების ფაქტორები . . . . . . . . . . . . 155
თ. ფხაკაძე, ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოების განვითარება და მისი პერსპექტივები საქართველოში . . . . . . . . . . . . . . 162
რ. აბურჯანიძე, საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდები და მათი გამოყენების გაუმჯობესების გზები . . . . . . . . . 176

## სამართალი

მ. უგრეხელიძე, ე. წიკლაური, ბიორითმების თეორიის გამოყენების შესაძლებლობა სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში . . . . . . . 188

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

## ФИЛОСОФИЯ

Ш. В. ХИДАШЕЛИ. Неоплатонизм . . . . . . . . 5
Н. А. ЧАБУКИАНИ. В. И. Ленин о зачатках исторического материализма в философии Гегеля (по «Философским тетрадям») . . . . . 40
А. С. БЕРДЗЕНИШВИЛИ. Проблема отношения философии и частных наук в немецком классическом идеализме . . . . . . . . 52

## ПСИХОЛОГИЯ

З. И. БИГВАВА. Эффект фиксирования установки при различных двигательных задачах . . . . . . . . . . . 74
Л. Е. ДЖАНДЖГАВА. Положительное и отрицательное влияние установки при анализе инженерно-конструкторских систем . . . . . 85

## ЭКОНОМИКА

А. Н. СИЛАГАДЗЕ. Критический анализ современных буржуазных теорий экономического прогнозирования . . . . . . . . . 91
М. А. МУЧИАШВИЛИ, Е. А. ЧИКОВАНИ. О математизации экономического прогнозирования . . . . . . . . . . . . 107
Л. Н. ХУРЦИДЗЕ. О некоторых особенностях влияния науки на производительность общественного труда . . . . . . . . 121
А. И. БРЕГВАДЗЕ. Производство молока и молочных продуктов в дореволюционной Грузии . . . . . . . . . . . . 127
Г. В. ХАСИЯ. Электрификация народного хозяйства и электротехническая промышленность . . . . . . . . . . 145
В. А. НЕНАДИШИН. Научно-технический прогресс и факторы размещения общественного производства . . . . . . . . . 155
Т. ПХАКАДЗЕ. Развитие и перспективы плодовоягодного виноделия в Грузии 162
Р. И. АБУРДЖАНИДЗЕ. Основные фонды и пути улучшения их использования в мясной промышленности Грузинской ССР . . . . . . 176

## ПРАВО

М. Г. УГРЕХЕЛИДЗЕ, Е. В. ЦИКЛАУРИ. О возможности применения теории биоритмов в уголовном праве и криминологии . . . . . . 188

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფილოსოფია

შალვა ხიდაშელი

## ნეოპლატონიზმი*

1. ნეოპლატონიზმი ანტიკურ სამყაროს ეკუთვნის, წარმოადგენს ბერძნული ფილოსოფიის განვითარების უკანასკნელ მნიშვნელოვან მოძღვრებას, რომელმაც დიდი ხანგრძლივი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების აზროვნებაზე[1]. პირველი მნიშვნელოვანი მოძღვრება, რომელიც ნეოპლატონიზმის გავლენით ჩამოყალიბდა, არეოპაგიტული მოძღვრებაა; ისტორიული ტრადიცია მას დიონისე არეოპაგელს მიაწერდა, ნამდვილად მისი აღმოცენება V ს-ის მეორე ნახევარს განეკუთვნება. სანამ ნეოპლატონიზმი ცნობილი გახდებოდა დასავლეთისათვის, ეს ანტიკური ფილოსოფიური მიმდინარეობა მასზე გავლენას არეოპაგიტული გადამუშავების სახით ახდენდა. თვით არეოპაგიტიკის იდეურ წყაროს ანტიკური ნეოპლატონიზმი წარმოადგენდა, რომელიც იყო ფსევდო-დიონისეს სააზროვნო (ლოგიკური) წანამძღვარიც და ისტორიული წინამორბედიც. არეოპაგიტიკის ავტორის ინტერესი და ყურადღება უშუალოდ ანტიკური ნეოპლატონიზმისადმი იყო მიმართული, მისი ფილოსოფიური შეხედულებანი — ანტიკური ნეოპლატონიზმით განსაზღვრული.

საქართველოში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნეოპლატონიზმის იდეების ადრინდელ ფაქტებს, და ამოვალთ XI—XII სს-ში შექმნილი ვითარებიდან, როდესაც ნეოპლატონიზმი მძლავრი ფილოსოფიური მიმდინარეობის სახით ჩამოყალიბდა, სხვაგვარ თანმიმდევრობასთან გვაქვს საქმე. ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობას ამ დროისათვის ხანგრძლივი და ღრმა ტრადიციები ჰქონდა და არეოპაგიტიკამ, როგორც ნეოპლატონიზმის ქრისტიანულმა გადამუშავებამ, უფრო ადრე მიიპყრო ყურადღება. მისი კვალი უფრო ადრე აისახა.

განვითარებული ფეოდალიზმის საქართველოში ინტერესი უშუალოდ ანტიკური ნეოპლატონიზმისადმი, ფილოსოფიური მიმდინარეობისადმი იმ სახით, რა სახითაც მოძღვრება მისი ფუძემდებლების მიერ შემუშავდა, არეოპაგიტულმა მოძღვრებამ გააღვივა. ქართული ფილოსოფიური აზროვნების შემდგომი გაძლიერება და გაღრმავება იყო მიზეზი, რომ ინტერესი წარიმართა უშუალოდ ანტიკური ნეოპლატონიზმისაკენ. ამის შედეგად ნეოპლატონიზმი, არეოპაგიტული გადამუშავებისა და მისი პირვანდელი, ანტიკური სახით, გადაიქცა იმ მიმდინარეობის ძირითად წყაროდ, რომელიც უკვე აღიარებული „ქართული ნეოპლატონიზმის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

---

* ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ თავს ავტორის გამოუქვეყნებელი გამოკვლევისა „ქართული ფილოსოფიის ისტორია“.

[1] ნეოპლატონიზმის გავლენა შემდგომ ფილოსოფიაზე უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე გავლენა პლატონისა და არისტოტელესი. თუ არ მივიღებთ მხედველობაში უფრო გვიანდელ ფაქტებს, ნეოპლატონიზმის გავლენის ხანგრძლივობა ათას წელს აღწევს (არეოპაგიტიკა აღმოსავლეთში, იოანე სკოტ ერიგენა, მაისტერ ეკჰარტი, ნიკოლოზ კუზანელი, ჯორდანო ბრუნო — დასავლეთში).

ქართული ფილოსოფიური აზროვნების ფაქტობრივი ვითარება გვკარნახებს ქართული ნეოპლატონიზმის განხილვა არეოპაგიტული მოძღვრებიდან დავიწყოთ. მაგრამ, რამდენადაც არეოპაგიტული მოძღვრების გაგება შეუძლებელია მისი იდეური წყაროს, ანტიკური ნეოპლატონიზმის გარეშე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ წინამდებარე თავს ნეოპლატონიზმის ძირითადი იდეების განხილვა წარუმძღვაროთ.

2. ნეოპლატონიზმი, როგორც ითქვა, ანტიკური ფილოსოფიური მოძღვრებაა. მაგრამ პირობები, რომლებშიც ეს მოძღვრება შეიქმნა, არსებითადაა განსხვავებული კლასიკური საბერძნეთის პირობებისაგან. ამ გარემოებამ თავისი გავლენა მოახდინა მოძღვრებაზე და მისი რიგი თავისებურებანი განსაზღვრა. ნეოპლატონიზმი ჩაისახა და განვითარდა ორი სხვადასხვა ეპოქისა და არსებითად განსხვავებულ იდეურ სამყაროთა შეჯვარების პირობებში. ანტიკური კულტურა დაქვეითებისა და ისტორიული წარმავლობის გზაზე იდგა, ახალი საზოგადოება და მისი შესატყვისი კულტურა, მისი იდეური ცხოვრება აღმავლობას განიცდიდა. ნეოპლატონიზმი ანტიკურობის უკანასკნელი გაელვება იყო; ახალ საზოგადოებას, ნეოპლატონიზმის აღმოცენებისა და გავრცელების პირობებში (ჩვ. წ-ის III—VI სს.) უკვე ჰქონდა შემუშავებული ახალი, მონოთეისტური რელიგიის საკუთარი მსოფლმხედველობრივი იდეები და შეხედულებანი[2].

ამ გარემოებამ თავისი კვალი დააჩნია ნეოპლატონიზმის შინაარსს, რომელშიც თავისებურმა, ანტიკურობისაგან განსხვავებულმა იდეებმაც მოიპოვა ასახვა[3].

ნეოპლატონიზმის პირველი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და ფაქტიური ფუძემდებელი პლოტინი (205—270) დაიბადა ეგვიპტეში; ფილოსოფიას სწავლობდა ალექსანდრიაში, მოღვაწეობდა რომში, სადაც მეთაურობდა საკუთარ სკოლას. მისი ფილოსოფიური თხზულება „ენეადები“ შედგება 6 წიგნისაგან; თითოეული წიგნი — 9 ტრაქტატისაგან (სიტყვა „ენეადები“ წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან — ცხრა). თითოეული ტრაქტატი დანაწილებულია პარაგრაფებად. ამ სახით თხზულება პირველად გამოაქვეყნა პლოტინის მოწაფემ პორფირიუსმა (232/3—304). პორფირიუსის მოწაფე იყო იამბლიხოსი (გარდ. დაახლ. 330), ნეოპლატონიზმის სირიული სკოლის დამაარსებელი და მისი გამოჩენილი წარმომადგენელი.

ნეოპლატონიზმის უკანასკნელი მნიშვნელოვანი მოაზროვნეა პროკლე (410—485), ათენის სკოლის მეთაური, ნეოპლატონიზმის დამამთავრებელი და სისტემატიზატორი. დაიბადა კონსტანტინეპოლში, თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა და გარდაიცვალა ათენში. „პლოტინის შემდეგ ის ყველაზე მსხვილი ფიგურაა მთელ ოთხსაუკუნოვან ნეოპლატონიზმში“, რომელსაც პლოტინთან შედარებით, უპირატესობა აქვს გონების უდიდესი ანალიტიკური ძალით, ინტერესთა მრავალფეროვნებით, განყენებული ლოგიკური საგნის სკრუპულოზური განხილვის ოსტატობით და მკაფიო ფილოსოფიური ენით[4].

[2] ამაზე იხ. თავი 1-ლი, ქართული ფილოსოფიის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, § 1.

[3] საყურადღებოა, რომ ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი პლოტინი (205—270) და ორიგენი (185—254), რომელმაც დაასრულა აპოლოგეტური ქრისტიანული თეოლოგია და მისცა მას სისტემის სახე, იგივენ, გადმოცემით, პირველი ნეოპლატონიკოსის, ამონიოს საკასის მოწაფეები.

[4] ა. ფ ლ ო ს ვ ი, Прокл, Первоосновы теологии, Тб., 1972, გვ. 119.

ჩვენ შევაჩერებთ ყურადღებას უმთავრესად პლოტინისა და პროკლეს შეხედულებებზე, რაც გამართლებულია, როგორც მათი ისტორიული როლით საერთოდ, აგრეთვე ქართული ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. პლოტინი — მოძღვრების ფუძემდებელია, მის თხზულებაში მოძღვრების ყველა ძირითადი პრობლემაა დამუშავებული. პროკლე აღიარებულია ანტიკურობისა და შუა საუკუნეების „შემაერთებელ რგოლად"[5]. ძირითადად მისი შეხედულებანი დაედო საფუძვლად არეოპაგიტულ მოძღვრებას. არეოპაგიტიკა დაედო საფუძვლად იოანე სკოტ ერიგენას (IX) მოძღრებას და გადაეცა დასავლეთ ევროპას. პროკლეს ფილოსოფიის საფუძველზე ჩამოყალიბდა იოანე პეტრიწის შეხედულებანი. განსაკუთრებულ ინტერესს პროკლესადმი საქართველოში მოწმობს ის ფაქტიც, რომ მისი მთავარი ფილოსოფიური თხზულების პეტრიწისეული თარგმანი უძველესია ჩვენამდე მოღწეულ თარგმანთა შორის[6].

3. ე რ თ ი. ნეოპლატონიზმის ძირითად ცნებას, სისტემის საფუძველს ერთის (ერთიანის) ცნება შეადგენს. „პირველერთიანი" არის საყოველთაო მიზეზი, საწყისი („პირველსაწყისი") და საფუძველი მთელი არსისა, სამყაროს ჩათვლით. პირველერთიანი, პირველი მიზეზი, პირველსაწყისი — ჩვეულებრივი და ხშირად ხმარებული გამოთქმებია ნეოპლატონიზმში და ყოველთვის ერთი და იმავე საგნის აღმნიშვნელი ცნებებია.

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა პირველერთიანის ცნებასა აქვს, რამდენადაც სწორედ ერთიანობა ანიჭებს არსებობას ყოველივე არსებულს. ყოველი არსება, ისეთიც, რომელიც განეკუთვნება ჭეშმარიტი არსებობის სფეროს, და ისეთიც, რომელიც შედარებით არსებულად უნდა ჩაითვალოს, „არსებობს მხოლოდ იმის გამო, რომ აქვს ერთიანობა" (ენ., VI, 9, 1). წარმოუდგენელია „ერთიანობა ცალკე, არსების არსებობის გარეშე" (ენ., VI, 9, 2); „თუ ნივთი, რომელიც არ უნდა იყოს, კარგავს ერთიანობას, მასთან ერთად კარგავს არსებობასაც" (იქვე). ერთიანობაა მიზეზი არსის მთლიანობისა, კანონზომიერებისა, მოწესრიგებულობისა. ის რომ არსი წარმოგვიდგება, როგორც მოწესრიგებული და არა ქაოსი, ამისი საფუძველია პირველსაწყისი, როგორც ერთიანი. „ერთიანის გარეშე" ნივთები იქნებოდა განცალკევებული (გათიშული), გაფანტული, დაქსაქსული; მიტოვებული შემთხვევითობის ანაბრად, სამყარო იქნებოდა „სრული ქაოსი" (V, 3, 12).

სიახლე, რომელიც შეაქვს ნეოპლატონიზმს ანტიკურ ფილოსოფიაში პირველერთიანის, პირველსაწყისის თავისებურ გაგებაში მდგომარეობს. ანტიკური ფილოსოფიისაგან განსხვავებით, სადაც საწყისი (სამყაროსთან ერთად) გარკვეულობისა და, შესატყვისად, შეცნობადობის ფარგლებშია მოქცეული, ნეოპლატონიზმში საწყისი არსებისა და შეცნობადობის საზღვრის იქითაა გატანილი. როგორც ედ. ცელერი შენიშნავს, „მისწრაფება, მიმართული შეგნებული აზროვნების საზღვრის იქით" გასვლისა, საერთოდ „უცხო იყო ბერძნული ფილოსოფიისათვის"[7]. ეს აზრი პირველად აქ ფილონ ალექსანდრიელმა

---

[5] Ed. Z e l l e r, Die Philosophie der Griechen ..., Th. 3, Abth. 2. 1903, S. 788. ნეოპლატონიზმი შუა საუკუნეებს თავდაპირველად მისი მოძღვრების სახით გადაეცა. ჯორდანო ბრუნო უშუალოდ პლოტინის შეხედულებებს ემყარება.

[6] P r o c l u s, The Elements of Theology, გამოც. E. R. Dodds-ისა, Oxford, 1963, გვ. 41-42.

[7] Э д. Ц е л л е р, Очерк истории греческой философии, 1912, გვ. 229.

(დაახლ. 25 წ. ჩვ. წ-დე — 50 წ. ჩვ. წ-ის) შემოიტანა და საჭირო იყო კიდევ ორი საუკუნე, რომ ბერძნულ ფილოსოფიას მიეღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველსაწყისის ამგვარი გაგება განსაზღვრავს ნეოპლატონიზმის თავისებურებას, სირთულეს, და საწყისის წვდომის ახალი გზების ძიების აუცილებლობას.

პირველერთიანი ნეოპლატონიზმში მოაზრებულია, როგორც აბსოლუტური სისრულე, რომელიც მთელ არსს თავისში მოიცავს. პირველსაწყისი „შეიცავს თავისში დანარჩენ ნივთებს“ და ყოველივე მისგან იმიტომ წარმოიქმნება, რომ „ყოველივე მარად მასში არსებობს“ (V, 5, 9.). მაგრამ შეიცავს ისეთი სიჭარბით, ზე-სიჭარბით, უსასრულო ფორმით, რომელიც მოკლებულია გარკვეულობას და ამის გამო მისი წვდომა რაციონალური ცოდნის შესაძლებლობებს აღემატება.

პირველერთიანის სრულყოფილება ვერ ეტევა ადამიანის ცნობიერებაში და წარმოგვიდგება, როგორც „საკვირველი (საოცარი), მიუწვდომელი, რაზედაც იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ის არის, არსებობს“ (VI, 9, 5). მისი პრედიკაცია საერთოდ შეუძლებელია, რადგან ეს „პირველერთიანის უკიდეგანო არსებობის“ შემოსაზღვრა იქნებოდა. პირველსაწყისი აღემატება თვით სუბსტანციას, არსებას, დგას ყოველივე არსებულზე მაღლა, თვით გონზე მაღლაც კი (V, 3, 13), რომელიც პირველსაწყისის პირველი წარმოების შედეგია და არსის მწვერვალს, უმაღლეს არსს წარმოადგენს.

როგორც აბსოლუტური, საზღვრებში დაუტეველი სავსეობა, პირველერთიანი არა მხოლოდ განსხვავდება სამყაროსაგან, არამედ უპირისპირდება მას. ეს დაპირისპირება ნეოპლატონიზმში ფილოსოფიის ძირითადი კითხვის დაყენებისთანავე იჩენს თავს. საწყისისა და სამყაროს მიმართება აქ დაპირისპირებულთა მიმართებაა. ესაა მიმართება ერთისა სიმრავლესთან, აბსოლუტურად სრულისა ნაკლოვანთან, დაუბოლოებელისა დაბოლოებულთან, ზეარსისა არსთან, გაურკვეველისა გარკვეულთან, შეუცნობადისა შეცნობადთან. ამიტომ პირველსაწყისის სახელდება, პრედიკაცია საერთოდ შეუძლებელია, რამდენადაც პრედიკაცია არსებულს ემყარება, და ყოველი პრედიკატი, როგორც გარკვეული, არსებულიდან არის აღებული. ამიტომ, როდესაც არსებულიდან აღებული, გარკვეული პრედიკატი მიეწერება გაურკვეველს, აბსოლუტურს, „გამოხატავს არა იმას, რაც ის არის, არამედ იმას, რაც ის არ არის“ (V, 3, 13).

4. ამითაა გამოწვეული ნეოპლატონიზმში აპოფატიკური (უარყოფის) მეთოდის საჭიროება, რომელიც გამოიყენება უმაღლესი საწყისის წვდომისათვის. ამ მეთოდის ონტოლოგიური საფუძველია დებულება — „პირველერთიანი არაა არსად და არაფერში“ (V, 5, 8), ლოგიკური საფუძველია განსხვავება, დაპირისპირება საწყისსა და სამყაროს შორის. ამიტომ პირველსაწყისის მოაზრება უნდა წარემართოს არა იმ გზით, რაც ის არის, არამედ იმ გზით, რაც ის არ არის. „ვისაც სურს თავი დააღწიოს ცთომილებას და არ მიაწეროს მას [პირველ საწყისს] რაიმე შეუფერებელი“, უკეთ მოიქცევა, თუ პირველერთიანის მოაზრების მიზნით მიმართავს არა ჰოყოფას, არამედ უარყოფას (V, 5, 12). ამით პირველი საწყისი დარჩება ისე, როგორიც არის, და არაფერი იქნება შეტანილი მის შინაარსში ისეთი, რაც მას არ ეკუთვნის. აპოფატიკა, ამ მოძღვრების მიხედვით, უფრო მეტად აახლოებს ცოდნას მიზანთან და ადასტურებს პირველი საწყისის სრულყოფილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანმიმდევრულად გამოყენებული აპოფატიკური მეთოდი მიდის დასკვნამდე, რომ პირველსაწყისს არავითარი პრედიკატი არ შეიძლება მიეწეროს და, როგორც ვნახეთ, თვით არსებობის პრედიკატიც კი.

პირველერთიანის არსებობისა და შეცნობადობის საზღვრის იქით გატანამ, რაც, როგორც ითქვა, კლასიკური ხანის ბერძნული ფილოსოფიისათვის უცხო შეხედულება იყო, ნეოპლატონიზმი მისი წვდომის ახალი გზების ძიებისაკენ წარმართა, გამოსავალი მისტიკურ ექსტაზში, პირველსაწყისის მისტიკურ წვდომაში დაინახა. მისტიკური ნაკადის შემოტანა ფილოსოფიაში, ერთის მხრივ ეპოქის სულიერი ატმოსფეროთი იყო ნაკარნახევი, მეორეს მხრივ, ახალი პრობლემის სირთულით, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელია რაციონალური შემეცნების ტრადიციული საშუალებით და დიალექტიკურ მიდგომას საჭიროებდა[8].

5. ნეოპლატონიზმის გაგება შეუძლებელია იმ გარემოების გაუთვალისწინებლად, რომ საწყისსა და სამყაროს შორის მიმართება გულისხმობს არა მხოლოდ დაპირისპირებას, არამედ ერთიანობასაც, მათ შორის კავშირს, მსგავსებას. ეს გარემოება განსაკუთრებული გარკვეულობით იჩენს თავს პირველერთიანის, როგორც *პირველმიზეზის* განხილვის დროს. ამ მიმართებას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრებისათვის, რომ იქვე, სადაც პლოტინი პირველერთიანის აპოფატიკურ დახასიათებას იძლევა, წერს: „ამიტომ არც ჩვენ მივაწერთ ღმერთს არაფერს იმ ნივთთა სფეროდან, რომლებიც მის შემდეგ არიან და მასზე დაბლა დგანან, *ვიცით რა მხოლოდ, რომ ის არის მიზეზი ყოველივესი*“ (V, 5, 13).

ეს ნიშნავს, რომ პირველერთიანი მიემართება სამყაროს, როგორც მიზეზი; მათ შორის, მიუხედავად დაპირისპირებისა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს და ეს მიმართება პლოტინისათვის ყოველივე ეჭვს გარეშეა. როგორია ეს კავშირი, ამ კითხვის გარკვევის დროს ნეოპლატონიზმი მყარი ანტიკური ტრადიციის საფუძველზე დგას — არარასაგან არაფერი წარმოიქმნება და წარმოქმნილს თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს. როგორც პროკლეს შეხედულებათა განხილვის დროს დავინახავთ (მას ეს საკითხი უფრო დეტალურად აქვს დამუშავებული), ეს კავშირი განვითარების ტრიადულ ფორმულაზეა დამყარებული: შედეგის არსებობაზე მიზეზში, მის გამომდინარეობაზე (**πρόοδος**) და უკუდაბრუნებაზე.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ასეთი გაგების მიხედვით „ყოველივე მარად მასში [პირველერთიანში] არსებობს“ და მაშასადამე, საწყისსა და სამყაროს შორის მსგავსების მიმართება ონტოლოგიურად დასაბუთებული მიმართებაა. ამიტომაა, რომ ნეოპლატონიზმი განსხვავდება ახალი რელიგიის (მონოთეიზმის) საფუძველზე აღმოცენებული მოძღვრებებისაგან, სადაც დებულებამ საწყისის შეუცნობადობაზე უკიდურესი სახე მიიღო[9]. ნეოპლატონიზ-

[8] ნეოპლატონისტური შეხედულება, რომ საწყისი, როგორც აბსოლუტი, არ ეტევა დისკურსიული აზროვნების ჩარჩოებში და არ შეიძლება ის ამ გზით იქნეს შეცნობილი, სავსებით გაიზიარა ახალი დროის ფილოსოფიამ. ნიკ. კუზანელის ჭვრეტა (Visio. intuitio), ჯორდანო ბრუნოს და სპინოზას ინტელექტუალური ჭვრეტა, როგორც დისკურსიული აზროვნებისაგან განსხვავებული და მასზე ამაღლებული უნარი წვდომისა, ანალოგიურია მისტიკური ექსტაზისა ნეოპლატონიზმში. განსხვავება იმაშია, რომ დასახელებულ მოაზროვნეებთან ეს ცნება თანდათან თავისუფლდება მისტიკური ელფერისაგან.

[9] Вл. Лосский, Отрицательное богословие в учении Дионисия Ареопагита. Сборник статей по археологии и византиноведению..., III, Прага, 1929, გვ. 133.

ში არ იზღუდება მხოლოდ აპოფატიკური მეთოდით და შემოაქვს პირველსაწყისი შეცნობადობის სფეროში. აქ უკვე კატაფატიკური (პოყოფის) მეთოდი მოქმედებს.

ეს ნათელი ხდება იქიდანაც, რაც აქამდე ითქვა პლოტინის შეხედულებებზე პირველსაწყისის შესახებ, კიდევ უფრო ნათელი გახდება ნეოპლატონისტური სისტემის შემდგომი განხილვით.

პირველერთიანის აბსოლუტური სისრულე გარკვეულია პლოტინთან არისტოტელეს კატეგორიების (შესაძლებლობისა და სინამდვილის, პოტენციისა და აქტის) მეშვეობით. პირველსაწყისში „აქტუალობა არაფრით განსხვავდება პოტენციალურისაგან“; „მასში მოქმედება არ განსხვავდება არსებისაგან, რადგან მისთვის არსებობა ნიშნავს იმავე მოქმედებას“; „ღმერთი თავის ენერგიასთან ერთად არის ერთბაშად ის, რაც არის“; „მისი არსებობა იგივეობრივია მისი შემოქმედებითი ენერგიის“ (VI, 8, 20). ციტირებული დებულებების აზრი შემდეგია: პირველი საწყისი არის აბსოლუტურად განხორციელებული შესაძლებობა; ის არის ის, რაც არის და, რაც შეიძლება საერთოდ იყოს[10]. ამაშია მისი სრულყოფილება, დაუბოლოებლობა. ამავე საფუძველზეა გადაჭრილი პლოტინთან ურთულესი საკითხი — პირველსაწყისიდან სამყაროს წარმოქმნისა.

6. პირველი კითხვა პირველსაწყისის დახასიათების შემდეგ, მისი პირველი „დაძვრის“, პირველი გამომდინარეობის, სამყაროს წარმოქმნის დასაწყისის კითხვაა. პირველი გამომდინარეობის გარკვევა პლოტინს იმდენად რთულ პრობლემად ეჩვენება, რომ „ენეადების“ ერთ ადგილას (V, 1, 5) ღმერთსაც კი მიმართავს ვედრებით — დახმარება აღმოუჩინოს მის გადაწყვეტაში. საბოლოოდ კითხვაზე — „მართლაც, როგორ შეიძლება აბსოლუტურად ერთიანისაგან რაიმე სხვა, მისგან განსხვავებული წარმოიქმნას?“ (V, 3, 15), პლოტინს გარკვეული პასუხი აქვს გაცემული. არსის წარმოქმნა ნეოპლატონიზმში გაგებულია, როგორც გამოსვლა, გამომდინარეობა საწყისიდან, როგორც ემანაცია, პროდუცირება.

რამდენადაც „პირველერთიანი არის აბსოლუტურად სრულყოფილი“, აბსოლუტური სავსეობა, რომელსაც არაფერი აკლია, და, პირიქით, „ზე-ჭარბადაა ავსე

---

[10] ნიკოლოზ კუზანელი (1401—1464), რომელიც ნეოპლატონიზმის ძლიერ გავლენას განიცდიდა (არეოპაგიტელი მოძღვრების მეშვეობით), ამ დებულებას ასე აყალიბებს: „თვით აბსოლუტური შესაძლებლობა სხვა არაფერია მაქსიმუმში, თუ არა თვით მაქსიმუმი სინამდვილეში“ (Н и к о л а й К у з а н с к и й, Избран. Филос. сочинения, 1937, გვ. 31); „მხოლოდ ღმერთი არის ის, რადაც ყოვნა მას შეუძლიან“; „ღმერთში პოტენცია და აქტი ერთი და იგივეა“, „ღმერთი არის აბსოლუტური პოტენციაც და აქტიც... ისაა ყოველი შესაძლებელი არსებობა აქტის აზრით“ (იქვე, გვ. 294).

ჯორდანო ბრუნოსთან (1548—1600), რომელიც აგრეთვე განიცდიდა ნეოპლატონიზმის ძლიერ გავლენას (ხოლო არა არეოპაგიტიკის, არამედ უშუალოდ პლოტინისა და „პლატონიკოსების“ გზით) ეს დებულება წარმოდგენილია ამგვარად: პირველ საწყისში „სინამდვილე და შესაძლებლობა ერთი და იგივეა“ (Дж. Б р у н о, Диалоги, 1949, გვ. 242); ის „არის ყოველივე ის, რაც არის და რაც შეიძლება იყოს ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელიც არის და შეძლება იყოს“ (იქვე); ჰეგელი თავის ფილოსოფიის ისტორიაში იძლევა ამგვარივე გაგებას სპინოზას სუბსტანციისა, ხოლო პლოტინზე წერს: აქ „პირველი აბსოლუტური საფუძველი (Grundlage) არის... წმინდა არსი, უცვლელი, საფუძველი (Grund) და მიზეზი, რომლის შესაძლებლობა გამოყოფილი კი არაა მისი სინამდვილისაგან, არამედ არის აბსოლუტური სინამდვილე მასში“ (Vorlesungen über die Geschichte der Philosophie, II, 1971, S. 499).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ყოველივეთი“, ის „თითქოს გადმოდის ნაპირებიდან“; ეს „ზეჭარბი სავსე-ობა წარმოქმნის რაღაც სხვას და განსხვავებულს“. მისგან ზე-ჭარბი სავსეობის გამო წარმოქმნილი სხვა და განსხვავებული არის „ყოველი არსი (ყოველივე არსებული)“ (V, 3, 15). პირველი საწყისის „სრულყოფილების სავსეობისაგან, ენერგიისაგან, რომელიც შეადგენს მის არსებას, წარმოიქმნება ახალი ენერგია“ (V, 4,2) არსის სახით. ჰეგელის სიტყვით, „რადგან ის [პირველი საწყისი] სრულყოფილია თავის თავში, არის ყოველგვარი ნაკლის გარეშე, ის გადმოიღვრება ნაპირებიდან, და ეს გადმოღვრილი (გადმონაღვარი, Überfluss) სიჭარბე არის წარმოქმნილი“[11].

ნეოპლატონიზმი ხშირად მიმართავს საკუთარი შეხედულების ნათელსაყოფად ანალოგიას მზესთან, ნათელთან, გამოსხივებასთან. აქაც პლოტინს ეს სახე აქვს გამოყენებული. აბსოლუტურად ერთიანისაგან შეიძლება წარმოიქმნას არსი იმგვარად, „როგორც სინათლის წყაროსაგან წარმოიქმნება სინათლის მთელი სფერო“ (V, 3, 15).

რამდენადაც არსი და სამყარო პირველი საწყისიდან, საყოველთაო მიზეზიდან გამომდინარეობაა, მისი „გადმონაღვარია“, ამდენად სანამ ის თავის დამოუკიდებელ არსებობას მოიპოვებდა, არსი და სამყარო პირველ მიზეზში არსებობდა: განვითარების ამ (პირველ) სტადიაზე მათ შორის მსგავსების, განუსხვავებლობის მიმართებაა. არსისა და სამყაროს წარმოქმნა, „გამომდინარეობა“ (განვითარების მეორე სტადია) არ ნიშნავს წარმომაარსებელსა და წარმოარსებულს შორის კავშირის, მსგავსების გადაწყვეტას. პირიქით, მთელი ნეოპლატონისტური სისტემა აგებულია მიზეზსა და შედეგს შორის მსგავსება-განსხვავების დიალექტიკურ პრინციპზე; ამდენად დასაბუთებულია და გამართლებული არსის კატეგორიების მიყენება პირველი მიზეზის, პირველი საწყისის მიმართ.

ამ პრინციპულად მნიშვნელოვან შეხედულებას ნეოპლატონიზმში სხვაგვარი დასაბუთებაც მოეპოვება. პირველ საწყისს, როგორც აბსოლუტურ სრულყოფილებას, აბსოლუტურ აქტს, განხორციელებას არაფერი აკლია, არაფერს საჭიროებს. არის ის, როგორც ზევით იყო აღნიშნული, რაც არის და რაც შეიძლება იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი საწყისი მოიცავს ყველა განსაზღვრებას, რომელიც არსის საფეხურზე კატეგორიებით გამოიხატება. მაგრამ მოიცავს მისი სრულყოფილებისათვის შესაფერისი სისრულით, რომელიც პირველსაწყისში თავისი ბუნებით გაურკვეველია, რაციონალური საშუალებებით არ გამოიხატება. მაგრამ როდესაც პირველი საწყისი არსის საფეხურამდე დაეშვება და ბოლოს სამყარომდე ჩამოდის, აქ ეს განსაზღვრებანი არსის შესაფერის გარკვეულობას ღებულობს და მათი პრედიკაცია შესაძლებელი ხდება.

7. ჩვენ შევაჩერებთ ყურადღებას პირველი საწყისის ორ განსაზღვრებაზე. ორ პრედიკატზე, რომლებსაც არსის კატეგორიათა შორის ნეოპლატონისტური მსოფლმხედველობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. ესაა სიკეთისა და მშვენიერების პრედიკატი, ანდა უფრო სწორად, პირველი საწყისი, როგორც სიკეთე და როგორც მშვენიერება.

სიკეთე (ἀγαθόν) პირველი საწყისის უმაღლესი განსაზღვრებაა, მისი პრედიკაცია სიკეთის ცნებით იწყება, რადგან სიკეთე, ნეოპლატონიზმის მიხედვით,

[11] Hegel, Vorlesungen..., იქვე, გვ. 503.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე მაღალი სრულყოფილების სფეროს განეკუთვნება და ყველაზე მეტად უახლოვდება პირველი საწყისის სრულყოფილებას; ყველაზე მეტად შეეფერება მას, მეტად გამოხატავს პირველი საწყისის ბუნებას[12].

მაგრამ სიკეთე პირველ საწყისთან მიმართებაში, პლოტინის სიტყვით, ნიშნავს „წმინდა, აბსოლუტურ და სავსებით თვითკმარს“ (V, 6, 4). ეს არაა პირველი საწყისის რაიმე თვისება, ნიშანი. არ გამოხატავს გარედან მიწერილ ნიშანს. სიკეთე თვით პირველი საწყისია, თვით პირველი მიზეზი (იქვე): უმაღლესი სიკეთე უმაღლესი საწყისის იგივეობრივია.

მისი შემდგომი მნიშვნელოვანი განსაზღვრება მშვენიერებაა (καλός). პირველ საწყისთან მიმართებაში მშვენიერება „უპირველესია“, აბსოლუტურია, „მშვენიერებაა თავისში და თავის მეშვეობით“ (V, 9, 2), რომელიც არსის სფეროში სიკეთის მსგავსად, არსის საფეხურთა შესაფერის ფორმას ღებულობს.

საწყისის მოაზრება ნეოპლატონიზმში, როგორც უმაღლესი არსისა (იხ. ზევით), უმაღლესი სიკეთისა და უმაღლესი მშვენიერებისა მნიშვნელოვნადაა დავალებული პლატონის შეხედულებით, რომელიც იდეათა სისტემის უმაღლეს იდეაში, სიკეთის იდეაში ამ სამივე „ნიშანს“ აერთიანებდა. სიკეთის იდეა პლატონთან არის უმაღლესი არსიც, სიკეთეც და მშვენიერებაც.

ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ ნეოპლატონიზმში საწყისის ცნება სამ ასპექტს აერთიანებს და მისი მიმართება სამყაროსადმი ნიშნავს მიმართებას ონტოლოგიურს, ეთიკურს და ესთეტიკურს. სამყარო სამივე მნიშვნელობით ღებულობს ღირებულებას პირველი საწყისისაგან.

ნეოპლატონიზმის მიხედვით, პირველი საწყისი, თავისთავად აბსოლუტური განხორციელება და აქტი, არსის (სამყაროს ჩათვლით) მიმართ შესაძლებლობაა, „ყველა ნივთების პოტენციაა“ (III, 8, 10). „მკაცრად რომ ვთქვათ“, — წერს პლოტინი, — პირველ საწყისში ყოველივე არსებული „ჯერ არ არის, მხოლოდ იქნება“ (V, 2, 1). ამ მნიშვნელობით არსებობს პირველერთიანში ყოველივე, ამ გაგებითაა ის პირველი საწყისი, პირველი საფუძველი და პირველი მიზეზი. ამავე დროს ნეოპლატონიზმში აღიარებულია მეორე აუცილებელი პირობა სამყაროს წარმოქმნისა მატერიის სახით (ამაზე ქვევით), რომელიც წარმოადგენს აგრეთვე შესაძლებლობას სამყაროს წარმოქმნისათვის (აქაც ჩანს არისტოტელეს გავლენა მოძღვრებაზე). ამდენად პლოტინს საჭიროდ მიაჩნია სპეციალურად შეეხოს განსხვავებას ამ ორ შესაძლებლობათა შორის და გაარკვიოს თითოეული მათგანის შინაარსი. პირველი საწყისი, როგორც „პოტენცია, არ უნდა წარმოვიდგინოთ მატერიის პოტენციალობის ანალოგიურად“. მატერიის პოტენციალობა „პასიურ აღქმადობაში“ მდგომარეობს... შედგება; მატერია მხოლოდ პოტენციაა, წმინდა პოტენცია, ვნებადი, რომელსაც შეუძლია მხოლოდ მიიღოს გარედან მოქმედი ძალა. მიიღოს კერძოდ ფორმა, სახე; მატერიას შესაძლებლობიდან სინამდვილედ, არსებობად გარედან მოქმედი ძალა აქცევს. მხოლოდ გარედან მიღებული ძალის მეშვეობით ღებულობს მატერია არსებობას და გარკვეულობას.

---

[12] პლოტინის მიხედვით, სიკეთე აზროვნებაზე უფრო მაღალი პრედიკატია. სიკეთე როგორც „წმინდა, აბსოლუტური და თვითკმარი“ არაფერს საჭიროებს, თვით აზროვნებასაც კი. პირიქით, სიკეთისაკენ სწრაფვა წარმოქმნის აზროვნებას, „რამდენადაც აზროვნებას სურს სიკეთის იგივეობრივი იყოს“ (V, 6, 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრინციპულად საპირისპიროა პირველერთიანი, როგორც შესაძლებლობა. მისი პოტენცია „შემოქმედებითი პოტენციაა“ (V, 3, 15). პირველი საწყისი შემოქმედების ისეთი ძალითაა დამუხტული, რომ ეს ძალა მთელ არსს გასდევს თავიდან ბოლომდე, არსის უმაღლესი საფეხურიდან (გონიდან) სამყაროს უმდაბლეს მოვლენებამდე. არსებულის წარმოქმნა — პლოტინის მიხედვით — იწყება პირველისაგან (პირველერთიანიდან), მიდის სულ დაბლა და დაბლა“, ყოველი ცალკეული რგოლი, საფეხური ამ პროცესში „იკავებს მისი ბუნების შესაბამის ადგილს“ (V, 2,2). „იმ ნივთებსაც კი, რომლებიც განლაგებულნი არიან არსის უმდაბლეს საფეხურზე, შერჩენილი აქვთ“ პირველი საწყისისაგან მიღებული „მწარმოებელი ძალა“ (V, 3, 16).

ამგვარად, არსი წარმოადგენს, ნეოპლატონიზმის მიხედვით, სხვადასხვა მნიშვნელობისა და ღირებულების საფეხურთა ერთობლიობას, სისტემას, რომლის მწვერვალი პირველი საწყისია, საბოლოო საფეხური — სამყარო. „ყოველივე, რაც მომდინარეობს პირველი საწყისის შემდეგ, წარმოიქმნება მისგან ან უშუალოდ, ან შუალობით [მეშვეობით] და წარმოადგენს არსის სხვადასხვა წყობას ისე, რომ მეორე წყობას თავისი საწყისი აქვს პირველში, მესამეს — მეორეში“ (V, 4, 1). სანამ პირველი საწყისი სამყარომდე „ჩამოიღვრებოდეს“, რამდენიმე საფეხური უნდა გაიაროს. პლოტინთან — გონისა და სულის საფეხურები; პროკლესთან — ღვთაებრივი რიცხვების (ჰენადების), გონის და სულის საფეხურები. ამიტომ, თუმცა სამყარო საბოლოოდ პირველი საწყისის პროდუქტია, მისი უ შ უ ა ლ ო მიზეზი სულია.

არსის ამგვარი მოაზრება ნეოპლატონიზმის თავისებურებაა და მიმართულია პლატონიზმის დუალიზმის დაძლევისაკენ[13]. შუა საუკუნეების პირობებში მოძღვრების ამ მხარეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზეცისა და მიწის დუალიზმის დაძლევის თვალსაზრისით.

8. გ ო ნ ი. როგორც ვნახეთ, პლოტინის მიხედვით, პირველერთიანისაგან განსხვავებულის წარმოქმნა აუცილებელია. ამისი პირობა პირველერთიანის აბსოლუტური სისრულეა, მისი სრულყოფილებაა. რამდენადაც, წერს პლოტინი, პირველი საწყისი არის „ყოვლისშემძლე ძალა, ამოუწურავი ძლევამოსილება“, ამიტომ ცხადია („დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს“), რომ მისგან „სხვა არსი უნდა წარმოიქმნას“ (V, 1, 6). პირველერთიანის პირველი გამომდინარეობა, მისი პირველი შედეგი არის წმინდა აზრის სფერო — გონი (νοῦς).

გონი, როგორც პირველერთიანის პირველი შედეგი, მასთან ყველაზე უფრო ახლო მდგომი, თუმცა პირველი საწყისის შემდეგ „ყველაზე უფრო სრულყოფილია“ (V, 1, 6), მაგრამ რამდენადაც ნეოპლატონიზმის კონცეფციის მიხედვით გამომდინარეობა, არსის წარმოქმნა „მიემართება არა აღმავალი, არამედ დაბლა სვლის გზით“, ამიტომ პირველივე წარმოებული პირველ საწ-

---

[13] ჯერ კიდევ IV ს-ში ჩვ. წ-მდე, ქსენოკრატემ (ხელმძღვანელობდა პლატონის აკადემიას სპევზიპეს გარდაცვალების, 399/8 შემდეგ) შემოიტანა ემანატიზმის პრინციპი და მსოფლიო სულსა და სხეულებრივ ნივთებს შორის მოათავსა თანმიმდევრულად მთელი რიგი კეთილი და ავი სულებისა (В. Виндельбанд, История древней философии, 1908, გვ. 187). მაგრამ ამ იდეას არ მოუპოვებია საკმარისი გამოხმაურება და მნიშვნელობა ნეოპლატონიზმამდე. ემანატიზმის იდეა ცნობილი იყო აგრეთვე გნოსტიკოსებისათვის. აქაც მოძღვრება მიმართულია „ღმერთსა და მატერიას შორის“ არსებული „უფსკრულის დაძლევისაკენ... რიგი შუალედი არსებების დახმარებით“ (Философский словарь, Сокр. перевод с немецкого, под ред. М. М. Розенталя, 1961, გვ. 169).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ყისზე უფრო დაბლა უნდა იდგეს[14]. ამიტომ „ყველაზე სრულყოფილი“ გონი მხოლოდ არსის დანარჩენ საფეხურებთან შედარებითაა, რომლებიც მასზე დაბლა დგანან, და არა პირველერთიან მიმართებაში.

გონი უმაღლესი ერთიანობაა არსის საფეხურებთან შედარებით, მაგრამ არც მისი ერთიანობაა სრული და აბსოლუტური, რამდენადაც, როგორც ვნახავთ, გონი სიმრავლეში გადასული პირველერთიანია, მისი ერთიანობა გულისხმობს ერთიანობას სიმრავლეში.

გონს პლოტინი საწყისს უწოდებს. მაგრამ ის როგორც საწყისიც არაა აბსოლუტური, საწყისია გონი სულისა და სამყაროს მიმართ. მაგრამ თვითაა შედეგი პირველთან შედარებით; ასევე, როგორც მიზეზია არსის შემდგომი საფეხურებისა, მაგრამ შედეგი პირველისა. ამიტომ გონი არაა არც პირველი და არც საყოველთაო მიზეზი.

ანალოგიური ვითარებაა, როდესაც პირველსაწყისსა და გონს არსის კატეგორიის თვალსაზრისით ვადარებთ. თუ პირველი საწყისი არსებობაზედაც აღმატებულია, ის ზე-არსია და ამიტომ გაურკვეველი, გონი არსებობისა და გარკვეულობის სფეროშია შემოტანილი. გონი პირველი არსია და პირველი გარკვეულობა. ამგვარად, პირველი (უზენაესი) ერთი წინ უსწრებს გონს ყველა ჩამოთვლილი თვალსაზრისით: როგორც აბსოლუტური ერთიანი[15] და სრულყოფილი, როგორც არსი, საწყისი და მიზეზი. ყველა ამ თვალსაზრისით გონი მეორადია პირველსაწყისთან შედარებით და პირველადი და, შეიძლება ითქვას, უპირველესი არსის შემდგომი საფეხურების (სულისა და სამყაროს) მიმართ.

რამდენადაც უზენაესი საწყისი, როგორც ვნახეთ, უპირველეს ყოვლისა პირველი *ერთიანობაა*, ამდენად გონის წარმოქმნის საკითხი პირველყოვლისა მისი დანაწევრებისა და სიმრავლედ ქცევის საკითხია. ამ კითხვის გადაწყვეტა იძლევა პასუხს გონის, როგორც არსისა და გარკვეულობის გაგებაზეც.

გონი პირველი საწყისის ნაწარმოებია, მისი შედეგია. მას ენერგია თავისი საწყისისაგან აქვს მიღებული. მისი ენერგია, მიმართული არსის შემდგომი საფეხურების წარმოებისაკენ, ყველაზე ძლიერია და წარმოადგენს შუალედ საფეხურს პირველსაწყისსა და სამყაროს შორის. ამასთან, გონი, როგორც ითქვა, წმინდა აზრის, იდეალური სფეროა; ამიტომ მისი მოქმედება აზროვნებაა, განხორციელებული, აქტუალური აზროვნებაა; „გონი თავისი სუბსტანციით თავისი აქტუალური აზროვნების იგივეობრივია“ (V, 3,6). გონი „მოქმედი პრინციპია“, ხოლო მისი მოქმედება, მისი ენერგია და აქტუალობა „აზროვნე-

---

[14] პირველსაწყისიდან გამომდინარეობა, სხვა სიტყვით, განვითარება პირველსაწყისიდან სამყარომდე, დაბლა სვლაა, კლებაა, დაკნინებაა. ნეოპლატონიზმი, რომელსაც ეს იდეა გასდევს თანმიმდევრულად, მას ასეთი დებულებებით ასაბუთებს: პირველი საწყისი (პირველერთიანი) აბსოლუტური სრულყოფილებაა. მისგან წარმოებული არსი „არ შეიძლება იყოს მისი თანაბარიც კი, არა თუ [მასზე] სრულყოფილი“. ამიტომ „მისგან წარმოქმნილი არსება მასზე ნაკლებ სრულყოფილი უნდა იყოს“ (ენ., V, 3, 15).

[15] პირველმიზეზი წინ უსწრებს სიმრავლეს, რადგან საერთოდ „სიმრავლეზე ადრე უნდა არსებობდეს ერთიანობა, საიდანაც [და მხოლოდ მისგან] შეუძლიან მას [სიმრავლეს] მიიღოს არსებობა“ (V, 3, 12). მსგავსად ერთი რიცხვისა, რომელიც წინ უსწრებს ყოველ სიმრავლის გამომხატველ რიცხვს (იქვე). ამავე დროს, გონი უნდა იყოს პირველერთიანთან შედარებით უფრო დაბლა ერთიანობის და სიმარტივის თვალსაზრისით. სიმრავლე სწორედ „სრულყოფილების შემცირებაა“ (V, 7, 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში მდგომარეობს“ (V, 4,1). აზროვნება, ჭვრეტა გონის აუცილებელი უნარია, რომელიც მას თან ახლავს „ყოველთვის და უწყვეტლივ“ (V, 1, 7).

რამდენადაც გონი აქტუალური, განხორციელებული მოქმედებაა და მისი მოქმედება აზროვნებაა, ამდენად საჭიროა გათვალისწინება იმ პირობებისა, რომლებიც, პლოტინის მიხედვით, აუცილებელია აზროვნების განხორციელებისათვის. პირველი პირობა ისაა, რომ გონი რაიმეზე უნდა იყოს მიმართული (თუ გონის მოქმედება „არ იქნება მიმართული რაიმეზე ის უმოქმედოდ დარჩება, ხოლო აბსოლუტური უძრაობის პირობებში“ (V, 3, 10) აზროვნება შეუძლებელია). მეორე პირობის მიხედვით, აზროვნება უნდა იყოს მიმართული სხვაზე, მისგან განსხვავებულზე (V, 3, 10). მესამე: რამდენადაც გონის აზროვნება საგნის უშუალო მოაზრებაა, ჭვრეტაა, აზროვნება გონის ფარგლებს იქით არაა წარმართული. მოაზრების საგანი მას თანვე უნდა ჰქონდეს მოცემული, თავისშივე შეიცავდეს იმას, რასაც იაზრებს, რასაც ჭვრეტს. პლოტინის მიხედვით, რომელიც აქაც არისტოტელეს შეხედულებას აგრძელებს, გონისათვის, როგორც „გონისათვის აუცილებელია სჭვრეტდეს თავის თავს“ (V, 3, 10).

ამგვარადაა დასაბუთებული ნეოპლატონიზმში გონის გაორება, გაორმაგება და სიმრავლედ ქცევა. ეს გაორმაგება გონის ქცევაა აზროვნებად და მოსააზრებლად, მჭვრეტელად და ჭვრეტის საგნად (V, 3, 15), მოაზროვნედ და სააზროვნო საგნად. ახალი დროის ფილოსოფიის ცნებებით რომ ითქვას — მოაზროვნე სუბიექტად და აზროვნების ობიექტად. გონი, როგორც მოაზროვნე, აზროვნებაა, როგორც აზროვნების საგანი — არსია. გონი „არსებობს, როგორც გონი“ იმდენად, რამდენადაც იაზრებს არსებულს, და „არსებული არსებობს, როგორც არსი“ იმდენად, რამდენადაც მოიაზრება (V, 1, 4).

როგორც მოაზროვნე გონი — ერთია და ერთიანი, როგორც აზროვნების საგანი (მოსააზრებელი) — სიმრავლეა და დანაწევრებული. ჭვრეტის აქტში გონი „ივსება საჭვრეტით“. ე. ი. იმით, რასაც ჭვრეტს, და „ამით ხდება სიმრავლედ“ (V, 3, 11).

როგორც ვხედავთ, გონის აზროვნება თვითაზროვნებაა, თვითჭვრეტაა (თავის თავის ჭვრეტაა). ამავე დროს, განსხვავების მიუხედავად აზროვნებასა და სააზროვნოს, ანუ აზროვნებასა და არსს შორის, აქ აზროვნება და არსი ერთი და იგივეა. „ერთი და იგივეა გონი, მოსააზრებელი და არსებული“ (V 1, 6), რამდენადაც გონი არსებობას „ქმნის და განსაზღვრავს“ თვითონ, თავისაგან და თავისით (V, 1, 7). გონს „თავისში აქვს ჭეშმარიტი არსი“, უფრო მეტიც — „ის თვითონაა მთელი ჭეშმარიტი არსი“ (V, 3, 9)[16].

9. რამდენადაც გონი არსია, ამდენად ის გარკვეულობაცაა. თუ პირველ საწყისს არა აქვს „არავითარი გარკვეულობა“ (V, 8,2) იმის გამო, რომ არსებულს მისთვის შესაფერისი ფორმით შეიცავს, შეიცავს როგორც დაუნაწევრებელ და განუსხვავებელ მთლიანს, გონის სფერო თავის შესაფერის გარ-

---

16 ნეოპლატონიზმი აგრძელებს ანტიკური იდეალიზმის ხაზს. დებულება აზრისა და არსის, მოაზრებისა და მოსააზრებელის, ჭვრეტისა და საჭვრეტის (ჭვრეტის საგნის) იგივეობაზე ამ მოძღვრების ერთი ძირითადი დებულებაა. გონის სფეროში, წერს პლოტინი, „ჭვრეტა და ჭვრეტის საგანი მოცემულია ერთად და განუყოფელად... ჭვრეტის საგანი ისეთივეა, როგორც ჭვრეტა, ხოლო ჭვრეტა იგივეობრივია ჭვრეტის საგნისა (საჭვრეტისა)“ (V, 3, 8). „გონი არის მოაზროვნე და მოსააზრებელი“ (VI, 9, 2). გონისათვის „არსებობა ნიშნავს აზროვნებას“ (იქვე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეულობას იძენს. როგორც არსი და გარკვეული, გონი შეგნებულადაა შემოტანილი, პირველი საწყისისაგან განსხვავებით, შეცნობადობის სფეროში, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეიძლება მიეწეროს კატეგორიები. ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერებაში გავრცელებული აზრის მიხედვით პლოტინი გონის მიმართ ხუთი, პლატონის „სოფისტედან“ ნასესხები კატეგორიით იფარგლება. ესაა — არსი, მოძრაობა, უძრაობა (უმოძრაობა. στάσις), იგივეობა და განსხვავება. ხოლო გვიანდელი ნეოპლატონიკოსები, დაწყებული პორფირიუსისაგან, აფართოებენ ამ კატეგორიათა რიცხვს არისტოტელეს ცნობილ ათ კატეგორიამდე[17]. მაგრამ, როგორც „ენეადების“ შესატყვისი ადგილიდან (V, 1, 4) ჩანს, პლოტინს არსის კატეგორიებად („უმაღლეს გვარებად“) მიაჩნია, გარდა არსისა, აზროვნებაც. ამას გარდა, იგივეობასა და განსხვავებასთან ერთად ის აღნიშნავს რიცხობრიობისა და თვისობრიობის კატეგორიებს, რომლებიც სიმრავლესთან არის დაკავშირებული. სიმრავლე, როგორც ასეთი, „იძლევა რიცხობრიობის კატეგორიას“; სხვადასხვაობა, რაც სიმრავლის აუცილებელი ნიშანია, „თვისობრიობის კატეგორიას“.

ის, რაც გაურკვეველია პირველ საწყისში, გონის სფეროში გარკვეულობას ღებულობს; აქ გაურკვეველი ფორმდება. ფორმის მიღება გარკვეულობის მიღებაა, რის შედეგად წარმოიქმნება პლატონის იდეათა სამყაროს მსგავსი არსებების (οὐσία), იდეების და რიცხვების სამყარო, რომლებიც ნივთიერი ბუნების პირველ სახეებს, პარადიგმებს წარმოადგენენ და რომლებსაც გონი, პლოტინის სიტყვით, მთელი სისრულით შეიცავს თავისში (VI, 9, 2). სრულყოფილება გონითი სამყაროს აუცილებელი თავისებურებაა. გონი შეიცავს „სრულყოფილს და არაფერს არასრულყოფილს“, არაფერს ისეთს, რაც მისი საკუთარი აზრი არ იყოს (V, 1, 4).

გონი არსებითად პირველი არსებების „ერთობლიობაა“. ეს არსებები გონის თანაარსია, ყოველთვის მასთან არსებობს. არსებების ანუ იდეების სამყარო ზე-დროული, მარადიული სამყაროა; არ ემორჩილება წარმავლობას, ქცევადობას, აღმოცენებასა და მოსპობას. მათ გონი მთლიანად, მყისეულად მოიცავს და მოიცავს აქტუალურად (V, 9, 7).

ამგვარად, გონი სიმრავლედ ქცეული, დანაწევრებული პირველი საწყისია. ამავე დროს, არსია და გარკვეულობა. გონი ერთიანობაა სიმრავლეში, მთლიანი სიმრავლეა. ეს რომ მხოლოდ ერთიანობა ყოფილიყო, არ იქნებოდა განსხვავებული უზენაესი საწყისისაგან. მხოლოდ სიმრავლე რომ ყოფილიყო, არსი და მთელი სინამდვილე, სამყაროს ჩათვლით, დაკარგავდა მთლიანობას, კანონზომიერებას. ხოლო ნეოპლატონიზმი, როგორც მოძღვრება არსზე, დაკარგავდა სისტემატურობას.

თუ გონის, რაც იგივეა, არსის, სფეროში არ იკარგება ერთიანობა, იმის გამო, რომ გონს არა აქვს დაკარგული კავშირი პირველ საწყისთან, არაა მისგან სავსებით გათიშული, მისგან სავსებით მოწყვეტილი. გონი მარად მონაწილეობს პირველ საწყისში, როგორც პირველერთიანში, რჩება მისი მსგავსი.

[17] პლოტინი ლაპარაკობს სამ საწყისზე: პირველ საწყისზე, გონზე, როგორც მეორე საწყისზე და სულზე, როგორც მესამე საწყისზე. ეს შეხედულება გასდევს მთელ ნეოპლატონიზმს. მოკლედ დაშეჯამებულად იხ. ენ., V, 1, 10. ეს ფაქტი ყურადღებას იმ მხრივ იმსახურებს, რომ ნეოპლატონიზმისათვის (შეიძლება ითქვას, ყოველი ფილოსოფიური მოძღვრებისათვის, განსაკუთრებით ანტიკურ პირობებში) ძირითადი ამოცანა — სამყაროს ახსნაა, მისი საწყისების ძიებაა. სამი დასახელებული საწყისი სწორედ სამყაროს მიმართაა საწყისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობისა და მსგავსების საფუძველი ისაა, რაც გონს პირველი საწყისიდან აქვს მიღებული. მისგან მიღებული თავისებურება, პირველ ყოვლისა, ერთიანობაა. ამიტომ გონი ერთიანობაა სიმრავლეში და რამდენადაც გონი პირველერთიანის პირველი ნაწარმოებია, მისი პირველი გადმოდინებაა, ამიტომ გონი ყველაზე უფრო მაღალი ერთიანობაა არსის დანარჩენ, მომდევნო საფეხურთა შორის. ერთიანობაა მთლიანად გონის სფერო, ერთიანობაა გონიერი, სააზროვნო სამყაროს ყოველი ცალკეული შემადგენელი ნაწილი, ყოველი იდეა, რომელიც სამყაროს მოვლენებს აერთიანებს, რომლებსაც ეს ერთიანობა, სულის მეშვეობით, სამყაროსეულ მოვლენებში შეაქვთ.

10. გონისა და არსის მიმართების გარკვევის შემდეგ ნათელი ხდება როგორაა წარმოდგენილი ნეოპლატონიზმში გონისეული აზროვნების თავისებურებანი. გონის აზროვნება და მისი შინაარსი, წმინდა ცნებები ყოველთვის იგივეობრივნი „იმისა, რაც მათში მოიაზრება“ — „შეადგენენ ერთ შინაგან ერთიანობას“ (V, 9, 7). გონს აზროვნების საგანი თან ახლავს და ამიტომ გონის აზროვნება, არსებითად, თავისაკენ არის მიმართული. გონი „არ ფანტავს თავის მზერას თავის გარეთ და ირგვლივ“, რადგან ყოველივეს თავისში მოიცავს. მისი აზროვნება ინტუიციურია და ყოველთვის განხორციელებული. გონის შემეცნება არაა ლოგიკური, დისკურსიული (ამგვარი შემეცნება, როგორც ქვევით დავინახავთ, სულის ფუნქციაა), შედეგი ცოდნის მიღებისა მსჯელობისა და კვლევა-ძიების გზით; ცოდნა ნივთებისა, რომლებიც გონის გარეთაა და გონისთვის უცხო.

16367

გონის აზროვნება ზე-დროულია, მყისიერია, დასრულებულია დროის ყოველ ცალკეულ წამიერ მონაკვეთში. პეტრიწის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთბამად [არს] გონებაჲ [აზროვნება] და გასაგონოჲ [აზროვნების საგანი, შესამეცნებელი] მისი“[18]. როგორც მზის ამოსვლის შემთხვევაში მისი შარავანდედნი „უჟამოდ და მიუდრეკელად“ (დროისა და მოძრაობის გარეშე), „მყის თანავე აღმოჩენასა მზის დისკოჲსასა“ [მზის დისკოს გამოჩენისთანავე] ფარავს ყოველივეს, ასევე გონისეული აზროვნება, შემეცნება, მასთანვე არის მოცემული: „აჰა გონებაჲ და აჰა გაგონებაჲ!“[19].

11. სული. არსის საფეხური, რომელიც წარმოიქმნება პირველი საწყისის შემდგომი დაბლა სვლის გამო, არის სული. სული, როგორც ყოველი არსი, საბოლოოდ პირველი, საყოველთაო საწყისის შედეგია, მაგრამ მის უშუალო მიზეზს გონი წარმოადგენს. წარმოქმნის პრინციპი აქ იგივეა. „პირველერთიანის მსგავსად“, წერს პლოტინი, გონიც ძალთა ჭარბად შემცველი ენერგიაა. ამის გამო გონი „თითქოს გადმოღვრის“ თავისი შემოქმედებითი უნარის ნაწილს და იქმნება „ახალი არსება“, გონისაგან „წარმოქმნილი ახალი ენერგია“ — მსოფლიო სული. მსოფლიო სული არის გონის სახე (ხატი), ისევე როგორც გონი „არის სახე (ხატი) პირველერთიანისა“ (V, 2,1).

სულის წარმოქმნა გონისაგან ისეთივე მკაცრ კანონზომიერებას ემყარება, როგორც გონის წარმოქმნა პირველერთიანისაგან. არსის განვითარების ამ (სულის) საფეხურზეც მოქმედებს მსგავსება-განსხვავების პრინციპი, ქვედა საფეხურის (სულის) ზედა საფეხურში (გონში) მონაწილეობის პრინციპი.

---

[18] იოანე პეტრიწი, შრომები, II, 1937, გვ. 9.

[19] იქვე, გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც პირველსაწყისისაგან კიდევ უფრო განსხვავებული, არსის უფრო დადაბლებული საფეხური, სული დაკლებულია, უფრო მეტად ნაკლოვანია; პეტრიწის ტერმინით რომ ვთქვათ, უფრო „უდარესია“ (ნაკლებ ღირებულია). ამიტომ ნაკლებია მასში ერთიანობა, არსი, ნაკლებია შემოქმედებითი ენერგია. ნაკლებია სიკეთე და მშვენიერება. სულის თავისებურებათა გარკვევისათვის იმ გარემოებასაც აქვს მნიშვნელობა, რომ მსოფლიო სული, როგორც არსის ერთ-ერთი საფეხური, გონსა და სამყაროს შორისაა. ის, ერთის მხრივ, გონს „ეკვრის“ უშუალოდ, მეორეს მხრივ, სამყაროს; ერთის მხრივ, არის შედეგი გონისა, მეორეს მხრივ — მიზეზი სამყაროსი. როგორც სამყაროს მიზეზს, სულს პლოტინი საწყისს უწოდებს, მესამე საწყისს პირველერთიანთან და გონთან ერთად. მაგრამ სული როგორც საწყისიც დაკლებულია, ის საწყისი მხოლოდ სამყაროსთან მიმართებაშია. სული ერთი მიმართებით, როგორც გონისაგან წარმოქმნილი, გონთან კავშირშია, ერთიანობაშია და მისი მსგავსია; როგორც წარმოქმნილი, ახალი არსი, გონისაგან განსხვავებულია; კიდევ უფრო განსხვავებულია პირველი საწყისისაგან . განსხვავება კიდევ უფრო აცილებს მას პირველი საწყისისაგან და აახლოებს სამყაროსთან, პირველი საწყისისაგან უფრო მეტად დაცილებულ და არსის ყველაზე დაბალ საფეხურთან.

სული გონისაგან „წარმოიქმნა და მიიღო არსის მთელი სისრულე“ (V, 2, 1). გონის სფერო ზე-დროულია, მარადიულია, არ ემორჩილება ცვალებადობასა და მოძრაობას. ამიტომ გონი „ჭეშმარიტი მარადიულობა“ (V, 1, 4), ჭეშმარიტი, ნამდვილი არსია. მარადიულია და ზე-დრული გონის მოქმედებაც. სული თუმცა გონისაგან, მარადიული არსისაგან მომდინარეობს და მარადიული არსის „გადმონალვარს“ წარმოადგენს, მისი მოქმედება, მისი სამყაროსთან უშუალო კავშირის გამო, ექვემდებარება დროულ მიმდინარეობას, პლოტინის სიტყვით — „რა თქმა უნდა, ექვემდებარება დროულ თანმიმდევრობას“ (V, 1, 4).

დრო, ამგვარად, ჩნდება, როგორც „მარადიულობის მოძრავი სახე (ხატი)“ (V, 1, 4) და გასდევს შემდეგ სამყაროს და მის მოვლენებს. ეს გასაგებია. პლოტინის სიტყვით, დრო სწორედ იმიტომ „იწყება გონის ფარგლებს იქით“ და სახელდობრ სულის სფეროში (V, 1,4), რომ მასზე გავლენას გარეგანი, სამყაროსეული ნივთები ახდენენ.

განსხვავებულია ამ მხრივ გონის მიმართება სულთან, და სულის მიმართება სამყაროსთან. გონი იმყოფება სულის სფეროში („მსგავსად იმისა, როგორც პირველერთიანი“ გონის სფეროში) „თავისთავად, უმოძრაოდ და უცვლელად“ (V, 2, 1). სული კი მოქმედებს ცვალებად და მოძრავ სამყაროში და თვით ეძლევა მოძრაობას. ამიტომ თუმცა სული „შეუდარებლად მაღალი ბუნებისაა“ სამყაროსთან შედარებით, ანდა შედარებით „ყოველივე იმასთან, რასაც ის ქმნის“ (V, 1, 2), მის მსგავსებას და კავშირს გონთან მხოლოდ გარკვეული „ზომით“ (V, 2, 2) აქვს ადგილი. სული განსხვავდება გონისაგან როგორც იმის გამო, რომ თავისთავად „ნაკლებ სრულყოფილი არსია“, აგრეთვე იმით, რომ სული მიმართულია გონის „საპირისპიროსაკენ“, კიდევ უფრო დაკლებულ არსისაკენ, და დაკავშირებულია სამყაროსთან.

12. მსოფლიო სული სამყაროსთან მიმართებაში საწყისია და როგორც ასეთი უნივერსალურია მსოფლიო სული წარმოქმნის სამყაროს, მის ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებას, „უკიდეგანო ზეცის ფორმათა მთელ მშვენიერებას“ (V, 1, 2), ცას, ვარსკვლავებს, მზეს, რომლებიც, როგორც ქვევით ვნახავთ, ნეოპლატონიზმის მიხედვით, ღვთაებრივი ბუნებისანი არიან. მსოფლიო სული აძლევს ყოველივე არსებულს არსებობას, აცოცხლებს სამყაროს მთლიანად, ასულდგმულებს და ასულიერებს მას. წარმოქმნის ცოცხალ არსებებს, რომლებსაც მსოფლიო სული არსებობასაც ანიჭებს და სიცოცხლესაც. სულმა „შთაბერა მათ სიცოცხლე“ (V, 1, 2), ცოცხალ არსებებს, რომლებიც მიწით იკვებებიან, ანდა „ზღვაში, თუ ჰაერში ცხოვრობენ“ (V, 1, 2).

სული ამყარებს სამყაროსეულ მოვლენებში, ყოველივე არსებულში „კანონზომიერ წესრიგს“ (V, 1, 2) და მარად იცავს ამ წესრიგს. არსებითად სული ქმნის სამყაროს, როგორც კოსმოსს (κόσμος) ამ სიტყვის ანტიკური მნიშვნელობით; სამყაროს, როგორც წყობას, როგორც მოწესრიგებულს. სულის გარეშე სამყარო არ იქნებოდა კოსმოსი, იქნებოდა „უსიცოცხლო მასა“ (V, 1 2), რაღაც არ არსი (μή ὄν).

ნეოპლატონიზმი მრავალი მკვლევარისა და ფილოსოფოსის მიერ აღიარებულია პანთეისტურ მიმდინარეობად. რენესანსის ეპოქის პანთეისტების ნიკოლოზ კუზანელის და ჯორდანო ბრუნოს ძირითადი, პრინციპული შეხედულებანი განსაზღვრულია ნეოპლატონიზმით. ჩვენის აზრით, ქართულ ნეოპლატონიზმს იმდენად შეეძლო XI—XII სს-ის ქართულ იდეურ ცხოვრებაში თავისი როლი შეესრულებინა, სახელდობრ, მთელ კულტურულ ცხოვრებაში გამოხატული ამქვეყნიურის ღირებულების შეხედულება დაესაბუთებინა, რამდენადაც ეს მიმდინარეობა პანთეისტურ იდეებს შეიცავდა.

ეს იდეები ყველაზე უკეთ სულის სამყაროსადმი მიმართების საკითხის ნეოპლატონისტურ გადაწყვეტაში ვლინდება.

პლოტინის სიტყვით, როგორც ვნახეთ, მსოფლიო სული აცოცხლებს და ასულდგმულებს სამყაროს; აქცევს სამყაროს „ცოცხალ თვითკმარ არსებად“, აძლევს მას „საზრისს, ღირებულებას და მშვენიერებას“ (V, 1, 2). სული, როგორც გონიერი, უშუალოდ გონისაგან, ხოლო საბოლოოდ პირველი საწყისისაგან გამომდინარე ენერგია, ჩამოიღვრება, მსგავსად მზის სხივისა, ინერტულ, უსიცოცხლო მასაზე, „თითქოს ჩასახლდება მასში“ (V, 1, 2) და ამის შედეგია, რომ სამყარო იღებს კოსმოსის სახეს, იძენს არსებობას, სიკეთეს და მშვენიერებას, ხდება ღირებული ონტოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით.

სულის „ჩასახლება“ სამყაროში ღვთაების ჩასახლებაა მასში, რადგან სული თვითაა ღვთაება, „უძველესი ღვთაება ღვთაებათა შორის“ (V, 1, 2). სამყაროს გასულიერება — მისი გაღვთაებრიობაა, — „მთელი ეს სამყარო სულის მეშვეობით თვითონაა ღვთაებრივი“ (V, 1, 2). ღვთაებრივია არა მხოლოდ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ციური მოვლენები, ღვთაებრივნი ვართ „ჩვენ ადამიანები“ (V, 1, 2), ღვთაებრივია ყოველი სამყაროსეული მოვლენა, რამდენადაც ის არის სულის მოქმედების შედეგი, რამდენადაც არსებულია, გაფორმებულია, ცოცხალია და გასულიერებული.

13. სულის ადგილი არსის წყობაში, მისი შუალედი მდგომარეობა გონსა და სამყაროს შორის განსაზღვრავს სულის არა მხოლოდ ონტოლოგიურ მნიშვნელობას, მის გნოსეოლოგიურ თავისებურებასაც, მის შემეცნებით მოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებასაც. გონისაგან განსხვავებით სულის აზროვნება, პლოტინის სიტყვით, დისკურსიული აზროვნებაა.

სული მიმართულია სამყაროსადმი არა მხოლოდ ონტოლოგიურად, არამედ გნოსეოლოგიურადაც. შემეცნება აქ ეხება გარე სამყაროს, გრძნობად ნივთებს. გარე სამყაროს მოვლენები წარმოადგენენ დროში არსებულ, ცვალებად მოვლენებს, რომლებიც გარეთ მიპყრობილი სულიერი მზერის შედეგად ხდება ცნობილი და ამიტომ სულის მიერ მიღწეული შემეცნება მნიშვნელოვნად განსხვავდება გონისაგან. აქ ცოდნა მუშავდება, იქმნება სულის განსჯითი, დისკურსიული მოღვაწეობით; მსჯელობის, დასკვნების მეშვეობით. სულის შემეცნება, პეტრიწის სიტყვით, „არა არს მარტივი და შეუდგმელი" აზროვნება[20]. ეს შემეცნება რთული, შედგენილი პროცესია, რომელიც, პეტრიწის მიერ დამოწმებული პორფირიუსის მიხედვით, ხორციელდება ადამიანის ნაბიჯ-ნაბიჯ, „მცირედ-მცირედ" სვლის მსგავსად[21], საგანთან თანდათანი მიახლოების გზით.

ცოდნა, რომელიც ეხება გრძნობად ნივთებს, პლოტინის მიხედვით, უნდა ჩაითვალოს არა ცოდნად, ნამდვილ ცოდნად, არამედ შეხედულებად, დოქსად (δόξα). ამგვარი ცოდნა წარმოადგენს თავისთავად რაღაც ისეთს, რაც უფრო გვიანდელია, მერმინდელია ვიდრე თვით ნივთები (ὕστεραι τῶν πραγμάτον) და არის სხვა არარა, თუ არ ამ ნივთების სახე, ასახვა.

მაგრამ სულს აქვს სხვა მიმართებაც, რომელიც სულის ცოდნას მეტ ღირებულებას სძენს და ანიჭებს მნიშვნელობას ნამდვილი ცოდნის აგების თვალსაზრისით.

სული „გონისაგან გამომდინარე" (V, 1, 3) სუბსტანციაა და ნეოპლატონისტური კონცეფციის მიხედვით, შეუძლებელია, რომ „გონისაგან გამომდინარე სული" მთლიანად მოსწყდეს, სავსებით „განეჭრას" (პეტრიწი) თავის წარმომქმნელ მიზეზს. გონი „ყოველთვის მასთანაა" (სულთან), არასოდეს ტოვებს მას (V, 1, 3). შეუძლებელია მოისპოს მათ შორის კავშირი, მოსწყდეს თავის წარმომქმნელ მიზეზს და დადგეს გონის გარეშე. რამდენადაც სული გონისაგან წარმოიქმნა ის გონის მონაწილეა და განაგრძობს არსებობას გონის სფეროში. მათ შორის არ არსებობს არავითარი გაყოფა, დანაწევრება; „არსებობს მხოლოდ განსხვავება", როგორც ერთი მთლიანი არსის სხვადასხვა არსებებს (οὐσία) შორის (V, 1, 3). ამ აზრის ნათელსაყოფად პლოტინი არისტოტელეს ცნებებს იყენებს. განსხვავება გონსა და სულს შორის და ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის „თითქოს ისეთივეა", როგორიც ფორმასა და მატერიას შორის, სადაც ფორმის როლს გონი ასრულებს, ხოლო მატერიისას—სული. მაგრამ განსხვავებით მატერიისაგან, როგორც პასიურობისა და წმინდა შესაძლებლობისაგან, სული, როგორც მატერია გონთან მიმართებაში, მშვენიერია, რამდენადაც არსის ამაღლებულ რანგს ეკუთვნის და არსებითად ისიც გონისეულია (νοοειδής).

ამდენად, სულისათვის დამახასიათებელი აზროვნება მისი გონიერების გამოვლენაა და მიმართულია არა მხოლოდ გარესამყაროსადმი, მიმართულია აგრეთვე გონისაკენ, „ეძლევა მის [გონის] ჭვრეტას" (V, 1, 3) და აქვს „გონება აქტუალურად". ამ შემთხვევაში სული მიმართულია თავისი საწყისისაკენ და რასაც ის ამ შემთხვევაში იაზრებს, გონის სფეროს განეკუთვნება.

[20] იქვე, გვ. 6.

[21] იქვე, გვ. 7.

„ზუსტად რომ ვთქვათ, წერს პლოტინი, მხოლოდ ეს წმინდა შინაგანი გონიერი მოვლენებია დამახასიათებელი გონიერი სულისათვის“, მაშინ როდესაც სულის დაბალი რანგის მოვლენებს, როგორცაა მაგ., აღქმები, ვნებები და სხვ., „სხვა წყარო და სხვა საწყისი“ (იქვე) აქვთ.

გონიერი სულის ეს უნარი უმაღლესისაკენ მიმართვისა იმდენად ძლიერია, რომ სულის მეშვეობით „შეიძლება მივწვდეთ და შევიცნოთ ღმერთი“ (V, 1, 3).

მაგრამ თუ გონის წვდომის პირობას და ონტოლოგიურ საფუძველს სულისათვის მისი გონიერი წარმომავლობა შეადგენს, ღმერთის წვდომის პირობას მისი „ღვთაებრივი ბუნება“ უნდა შეადგენდეს. ეს, როგორც ვნახეთ, ასეცაა. სული „უძველესი ღვთაებაა ღვთაებათა შორის“, მას ღვთაებრიობა თავისი საწყისისაგან, გონისაგან აქვს მიღებული და თავის მხრივ სამყაროს გაღვთაებრიობის უშუალო მიზეზს წარმოადგენს. ყოველი ამაღლება შემეცნების პროცესში ღვთაებასთან და ბოლოს პირველერთიანთან მიახლოებას ნიშნავს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ვიხელმძღვანელოთ „სულის უმაღლესი, ყველაზე უფრო ამაღლებული ნაწილით“, მისი გონიერებით, ე. ი. ძალით, „რომლისაგანაც თვით სული წარმოიქმნა“ და რომლის მეშვეობითაც სული „ზეგრძნობიერ, აზრისეულ სამყაროსთან მოდის შეხებაში“ (V, 1,3).

14. ს ა მ ყ ა რ ო არსის უკანასკნელი, ბოლო საფეხურია, პირველერთიანის ძალის უკანასკნელი გამომდინარეობაა და ამითაა განსაზღვრული მისი მნიშვნელობა და ღირებულება. როგორია ნეოპლატონიზმის მოძღვრება სამყაროზე, კოსმოსზე, ამაზე უკვე ბევრი რამ ითქვა სულზე მსჯელობის დროს. მას პლოტინი საწყისს არ უწოდებს. სამყაროს საფეხურზე ემანაცია მთავრდება და როგორც ქვევით დავინახავთ, ემანაციის საპირისპირო მოძრაობა, უკუდაბრუნება, პეტრიწის სიტყვით „უკუნსვლა“ (ἐπιστροφή) იწყება.

როგორც თავის საწყისებთან შედარებით დაკლებული, პეტრიწის სიტყვით რომ ვთქვათ, „უდარესი“ სამყარო დანაწევრებული, ცვალებადი, დროსა და სივრცეში გაშლილი არსია, რომელიც თავისი საწყისებისაგან განსხვავებით ბუნებრივ აუცილებლობას ემორჩილება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სამყაროს წარმოქმნას, სულის გარდა, მეორე პირობაც აქვს. ესაა მატერია. სამყარო არსებითად გასულიერებული, გაფორმებული მატერიაა. რამდენადაც მატერია როგორღაც მონაწილეობს სამყაროში, და მისი ერთ-ერთი აუცილებელი მიზეზია, ამითაა გამოწვეული სამყაროში მოვლენათა დანაწევრება, ცვალებადობა და წარმავლობა.

მატერია ნეოპლატონიზმს არისტოტელეს მსგავსად აქვს წარმოდგენილი. მატერია მოკლებულია არსებობას, ფორმას, ყოველგვარ გარკვეულობას. ის სუფთა შესაძლებლობაა და ერთადერთი „თვისება“, რომელიც მატერიას გააჩნია, ისაა, რომ იგი სულისაკენ, ფორმისაკენ მიისწრაფვის.

ნეოპლატონიზმის კონცეფციის ძირითადი პრინციპი — არსის რანგობრივი წყობის შესახებ, მოქმედებს მოძღვრებაშიც სამყაროზე. სამყაროს მოვლენები ისევე რანგობრივად არიან განლაგებულნი, როგორც არსის საფეხურები პირველერთიანიდან სამყარომდე. ეს მოვლენები სხვადასხვა რანგს განეკუთვნებიან და თავისი „უმჯობეს“ — „უდარესობის“ მიხედვით სხვადასხვა ღირებულების მოვლენებს წარმოადგენენ. ამ მოვლენათა შორის რანგობრივი განსხვავება დამოკიდებულია მათი მეტ-ნაკლები დაცილებით საწყისისაგან

ეროვნული

და ამის შესაბამისად მათი მეტ-ნაკლები უნარით სულში მონაწილეობისა (სულის მოზიარეობისა). რაც უფრო მეტია მონაწილეობა, მით უფრო მეტია მათი გასულიერების „ხარისხი", მეტია სულის გამფორმებელი ძალა, მეტია მოვლენის ღირებულება.

ხილული სამყარო ამ თვალსაზრისით ორ ძირითად სფეროდ იყოფა: ზეციურ და მიწიერ სფეროდ, მთვარის ზედა და მთვარის ქვედა სფეროდ (ეს შეხედულება ადრინდელი ანტიკური ფილოსოფიიდან მომდინარეობს).

15. ყველაზე მაღალი მნიშვნელობისა და ღირებულების მოვლენები ციური მოვლენებია. ამიტომ მსოფლიო სული და სწორედ მისი უმაღლესი ნაწილი პირველ ყოვლისა ცაში ჩაიღვრება და ციურ სხეულს უერთდება. ცას და ციურ მოვლენებს, ვარსკვლავებს ახასიათებთ ყველაზე წმინდა და კეთილშობილი სული.

მნათობები სამყაროს მოვლენათა შორის უმაღლესი რანგის მოვლენებს წარმოადგენენ. ამიტომ თვისებები, რომლებსაც მოვლენები მსოფლიო სულისაგან იძენენ, მათში უფრო მეტი ინტენსივობით არის მოცემული. სული „ჩაღვრილი" მნათობებში იმდენად წმინდაა და ამაღლებული, რომ პლოტინს და ნეოპლატონიკებს მნათობები, როგორც ვნახეთ, ხილულ ღმერთებად მიაჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ მნათობთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ნეოპლატონიკოსების მიხედვით, მზეს აქვს. ანალოგია პირველერთიანსა და მზეს, როგორც სინათლის წყაროს შორის, როგორც ვნახეთ, აქ ჩვეულებრივია. მზე ხშირად პირველერთიანის, პირველი საწყისის სახედ (ხატად) იწოდება. ნეოპლატონიკოსები მზისადმი არაჩვეულებრივ მოკრძალებას იჩენენ. ამგვარი დამოკიდებულება მზისადმი დამახასიათებელია პლოტინისა და პროკლესათვის, არეოპაგიტული მოძღვრებისათვის, ნიშანდებლივია ქართული ნეოპლატონიზმისათვის, კერძოდ, პეტრიწისა და რუსთაველისათვის.

მნათობები განაგებენ უშუალოდ სამყაროსეულ, უფრო სწორად, მიწიერ მოვლენებს; მათი მოძრაობა ციურ მოვლენებს ემორჩილება. ამიტომ, ნეოპლატონიზმის მიხედვით, გარკვეული დასაბუთება და გამართლება აქვს ადამიანთა ლოცვას, ლოცვას, მიმართულს მნათობებისადმი.

მნათობები ცნობიერების უმაღლესი ფორმით არიან დაჯილდოებულნი და ამიტომ აქვთ უნარი შეისმინონ მიწიდან მათკენ მიმართული ლოცვისი, ხოლო საყოველთაო სიმპათია მოვლენათა შორის, რომელიც მსოფლიო სულის მეშვეობითაა აქ დამყარებული, აერთიანებს ადამიანებს მნათობებთან და იძლევა რწმენას ლოცვისისა და ლოცვის შეწყნარებისა (IV, 4,30). რამდენადაც მნათობები ცნობიერების უმაღლესი ფორმებით არიან დაჯილდოებულნი და არ გააჩნიათ ცნობიერების ისეთი, პლოტინის მიხედვით, დაბალი უნარები, როგორიც მეხსიერება და გახსენებაა, მათი კავშირი ადამიანებთან უშუალო ჭვრეტით ხორციელდება. ამითაა გამოწვეული ლოცვისა და ლოცვისის მრავალჯერი გამეორების საჭიროება, რათა ის უშუალოდ გახდეს მისაწვდომი მნათობებისათვის და შესრულდეს.

სამყაროს მეორე, უფრო დაბალი სფერო მთვარის ქვეშეთი, საკუთრივ მიწიერი მოვლენებია. ამ სფეროში მსოფლიო სულის მეორე, შესაბამისად უფრო დაბალი ნაწილია ჩაღვრილი. ნეოპლატონიკოსები სულის ამ ნაწილს ბუნებას (φύσις) უწოდებენ. ბუნება სულის სწორედ ეს ნაწილია, რამდენადაც ბუნება, როგორც მოწესრიგებული და კანონზომიერი მთლიანობა სულის ამ ნაწილის უშუალო მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედების შედეგია. რაც სულის ამ ნაწილის (ბუნების) იქით რჩება — მატერიაა, რასაც ბუნება არ შეიძლება ეწოდოს.

16. თუმცა სამყარო არსის უკანასკნელი საფეხურია და პირველერთიანიდან მომდინარე ძალა აქ დაკლებულია; დაკლებულია, ნეოპლატონიზმისათვის დამახასიათებელი მეტაფორული გამოთქმით, ზევიდან წამოსული სხივი, მაგრამ ნეოპლატონიზმის სწორი გაგების თვალსაზრისით იმ გარემოებას აქვს მნიშვნელობა, რომ პირველერთიანისაგან მომდინარე ენერგია, სხივი არსად არ ქრება სამყაროში. სამყარო მთლიანად და მისი ყოველი მოვლენა ინარჩუნებს არსებობას, სიკეთეს და მშვენიერებას, ე. ი. არ კარგავს ონტოლოგიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ ღირებულებას[22].

განსაკუთრებული სიმკვეთრით ეს შეხედულება გამოთქმულია მოძღვრების იმ ნაწილში, რომელიც სამყაროს მშვენიერებას ეხება. პლოტინი, წერს ვ. ვინდელბანდი, „მთელი ენერგიით უჭერს მხარს გრძნობადი სამყაროს მშვენიერების ჭეშმარიტად ბერძნულ აღიარებას“ და „ძალიან მარჯვედ აკავშირებს“ მოძღვრების ამ ნაწილს მის მიერ წარმოდგენილი „მსოფლიოს სურათის ძირითად თავისებურებებთან“[23]. პლოტინი აღფრთოვანებული აქებ-ადიდებს „სამყაროს ჰარმონიას, გასულიერებას და სრულყოფილებას“; „სამყარო მშვენიერია, იმიტომ რომ ის უკანასკნელ სიღრმეებამდეა გამსჭვალული და ნათელით შემოსილი ღვთაებრივი არსებით“[24].

სამყარო თვითონაც ხიბლავს, პლოტინის სიტყვით, და ატკბობს ადამიანს თავისი „გრანდიოზულობით და მშვენიერებით“ (V, 1, 4). აქ სამყაროში „ყოველი ნივთი არსებობს კიდეც“ და რაკი არსებობს, „მშვენიერიცაა ყოველთვის“, რადგან ის „მონაწილეობს ჭეშმარიტი არსების მშვენიერებაში“, და „რაც უფრო მეტად აქვს მას მონაწილეობა, მით უფრო მეტადაა სრულყო-

---

[22] რუსთველოლოგიაში არსებული ნეოპლატონიზმისა და პანთეისტური თეორიის ერთ-ერთი ენერგიული კრიტიკოსი წერდა: „ამქვეყნიური რუსთაველისათვის არც აჩრდილების სამკვიდროა (პლატონიზმი), არც ისეთი სფერო, სადაც ჩამქრალია უზენაესი „ერთიდან“ გამოსხივებული მშვენიერება (ნეოპლატონიზმი) “ (გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, 1958, გვ. 94; ხაზგასმა ჩემია — შ. ხ.). პლოტინის მიხედვით, „გრძნობადი ქვეყანა... მოკლებულია შემოქმედებით პრინციპს (აქ ხომ ჩამქრალია ემანაციის სხივი!)“ (გვ. 65). პირველი საწყისიდან წამოსული სხივი „ჰქრება გრძნობად სინამდვილეში“ (გვ. 59).

პლოტინისა და ნეოპლატონიზმის ამგვარი გაგება არსებითად სრული გაუგებრობაა, ხოლო ავტორის პოზიცია ამ მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, პრინციპულ საკითხში მერყევი და წინააღმდეგობრივი. ეს კატეგორიული დებულებანი დავიწყებას ეძლევა წიგნის მომდევნო გვერდზევე, სადაც იმავე პლოტინის შეხედულება ასეა გადმოცემული: „მშვენიერება მსჭვალავს მთელ კოსმოსს, მშვენიერება ყველგანაა: „ერთშიც“, მსოფლიო გონებაშიც, სულშიც, მატერიაშიც“ (?! შ. ხ.) (გვ. 60). ეს უკანასკნელი დებულება თუმცა კატეგორიულად ეწინააღმდეგება და უარყოფს წინა დებულებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ესეც გაუგებრობაა! მშვენიერება არც მსჭვალავს და არც შეიძლება მსჭვალავდეს მატერიას, თუმცა „მსჭვალავს“ კოსმოსს, სამყაროს. „ერთიდან“ წამოსული სხივის ჩაქრობაზე თუ შეიძლება ლაპარაკი, ისიც პირობითად; ის სწორედ მატერიაშია ჩამქრალი. მაგრამ კოსმოსი და მატერია იდენტური ცნებები არაა. მეტიც, პლოტინის მიხედვით მატერია და სხეულიც სხვადასხვაა. სხეული უკვე გაფორმებულია და მაშასადამე, არსებობის სფეროს ეკუთვნის. მატერია არაა არც არსებობა, ის მხოლოდ შესაძლებლობაა, რომელიც იქცევა არსებობად (მასთან ერთად შეიძენს სიკეთეს და მშვენიერებას) სულის მეშვეობით.

[23] В. Виндельбанд, История древней философии, 1908, გვ. 306. ხაზგასმა ჩემია, შ. ხ.

[24] იქვე, გვ. 307.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილი“ (V, 8, 9) და შესაბამისად მშვენიერიც. „ყოველი არსება ამ ხილულ სამყაროში ინახავს თავისი ინდივიდუალური არსების თავისებურებას“, მაგრამ, ამავე დროს „ერწყმის ყველა სხვას და ერთიანდება მასთან“. ყოველი მათგანი ეხილვება, „როგორც მთლიანი და ერთიანი“ (I, 8, 9). პლოტინი კატეგორიულად და თავის მოძღვრების მსოფლმხედველობრივ პრინციპებთან თანხმობით გმობს იმათ, ვინც „კიცხავს და გმობს ამ სამყაროს“ (V, 8, 8)[25].

17. ა დ ა მ ი ა ნ ი. მსოფლიო სული მთელ სამყაროს ასულიერებს. გასულიერება, ამ სიტყვის უზოგადესი მნიშვნელობით, სამყაროს ყოველ მოვლენაზე ვრცელდება. მაგრამ გასულიერება თუ დაბალი რანგის მოვლენათა შორის არსებობის მინიჭებაში ვლინდება, მაღალი რანგის მოვლენებში არსებობასთან ერთად ახალი, ამაღლებული უნარები ჩნდება, თანმიმდევრულად — ჯერ სიცოცხლე, შემდეგ მცენარეული, ცხოველური და ბოლოს ადამიანური, გონიერი სული. ამიტომ ადამიანი, ნეოპლატონიზმის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს.

ადამიანის შესახებ მოძღვრების გასაგებად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნეოპლატონისტური მოძღვრება არ მთავრდება მხოლოდ სამყაროს წარმოქმნის გარკვევით. ყოველივე, რაც აქამდე ითქვა, ეხებოდა ნეოპლატონისტურ მოძღვრებას წარმოქმნაზე, ემანაციაზე, პირველი საწყისიდან სამყაროს გამომდინარეობაზე. ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი თავისებურება, რომლითაც ის სხვა ანტიკური, ძველბერძნული მოძღვრებებისაგან განსხვავდება, ისაა, რომ ნეოპლატონიზმი დასრულებულ, შეკრულ, შეიძლება ითქვას, ჩაკეტილ სისტემას წარმოადგენს. ადგილი აქვს არა მხოლოდ არსის გამომდინარეობას პირველ საწყისიდან. მთელი არსი გამომდინარეობს პირველი საწყისისაგან და ამავე დროს უკუ უბრუნდება თავის საწყისს.

უკუდაბრუნების ონტოლოგიურ საფუძველს მიზეზისა და შედეგის იგივეობა, მსგავსება შეადგენს, იგივეობა, რომელიც განსხვავებასთან ერთად, მათი დიალექტიკური მიმართების გამო, არსებობს მიზეზსა და შედეგს შორის. მთელი სინამდვილე პირველერთიანიდან სამყარომდე გამომდინარეობისა და უკუდაბრუნების „პროცესია“, რომელსაც პროცესი მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ნამდვილად ესაა გამომდინარეობა-უკუდაბრუნების მარადიული წრიული ბრუნვის ზე-დროული, მყისიერი აქტი. შევნიშნავთ აქვე, რომ ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს ნეოპლატონიზმის ერთი მნიშვნელოვანი იდეა, იდეა სამყაროს მარადიულობისა, რომელმაც შემდეგში პროგრესული როლი შეასრულა[26].

---

[25] ფილოსოფიის მკვლევართა შორის გავრცელებული შეხედულების მიხედვით, პლოტინის კრიტიკა მიმართულია ამ შემთხვევაში გნოსტიკოსების წინააღმდეგ. „პლოტინი სავსებით იცავს ბერძნულ გრძნობას ბუნებისადმი და უარყოფს ქრისტიან გნოსტიკოსთა შორის გავრცელებულ მოძულებას ბუნებისა“ (Эд. Целлер, Очерк истории греческой философии, 1912, გვ. 235); ამავე შეხედულებისაა ვ. ვინდელბანდი (ციტ. თხზ., გვ. 306) და მრავალი სხვა. ჩვენთვის ამ ნეოპლატონისტურ შეხედულებას მნიშვნელობა აქვს მისი შუა საუკუნეების პირობებში გაბატონებულ იდეებთან მიმართების თვალსაზრისით.

[26] ფ. ენგელსი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ფორმის შესახებ შუა საუკუნეების პირობებში წერდა: „აზროვნებისა და ყოფიერების დამოკიდებულების საკითხმა, რამაც შუა საუკუნეების სქოლასტიკაშიც უკვე დიდი როლი შეასრულა,... (აქ) შემდეგი სახე მიიღო: ქვეყანა ღმერთის მიერაა შექმნილი თუ იგი დასაბამიდან არსებობს?“ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, II, 1950, გვ. 444—445. იხ. ჩვენი К характеристике основного вопроса средневековой философии, Философские науки, № 2, 1961, გვ. 83—89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების ტრიადული ფორმაა: პირველი საწყისი→სამყარო→უკუდაბრუნება — პირველად ნეოპლატონიზმში იყო შემუშავებული (განსაკუთრებით პროკლესთან) და ჰეგელის შეხედულებანი ყველაზე მეტად ამ მხრივ ნეოპლატონიზმით არის დავალებული. შემთხვევითი არაა, რომ ჰეგელი ფილოსოფიის ისტორიაში ნეოპლატონიზმის განხილვას დიდ ყურადღებას უთმობს, კერძოდ, პროკლე, რომლის ტრიადული განვითარების სქემა ჰეგელმა მიიღო მის ზოგად ხაზებში, მიაჩნია მას „ღრმა სპეკულაციურ“ მოაზროვნედ, რომელიც ფლობდა „ძალიან დიდი მოცულობის ცოდნას“[27].

18. უკუდაბრუნების მეორე პირობა სწრაფვა, უკუსწრაფვაა. სწრაფვა სულის უნარია, ამიტომ უკუდაბრუნების უნარი, ნეოპლატონიზმის მიხედვით, მხოლოდ სულსა აქვს. ამით განსხვავდება სული სხეულისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ უკუდაბრუნების დროს პირველსაწყისს არსებითად ის უბრუნდება, რაც მისგან გამომდინარეობს. მატერია არაა პირველი საწყისიდან გამომდინარეობის შედეგი და, შესაბამისად, ის, არც უკუდაბრუნების უნარით არის აღჭურვილი. უკუდაბრუნების ამგვარი გაგება განსაზღვრავს იმ შეხედულებასაც, რომ ყოველმა ცალკეულმა არსმა უკუდაბრუნების დროს ყველა ის საფეხური უნდა გაიაროს თანმიმდევრულად, რომლებიც წარმოქმნის, ემანაციის დროს გაიარა. სხვაგვარად ეს შეხედულება გამოიხატება დებულებით, რომ ყოველი ცალკეული არსი მხოლოდ თავის უშუალო მიზეზს უბრუნდება და თანდათან უშუალო მიზეზისაგან შემდგომი უფრო მაღალი მიზეზების მეშვეობით პირველმიზეზამდე უნდა ამაღლდეს.

ამგვარად, თუ ემანაცია დაბლა სვლაა, დაკნინებაა, „უდარესად“ ქცევაა, ღირებულების კლებაა, უკუდაბრუნება, პირიქით, ამაღლებაა, გაუმჯობესებაა, ღირებულების მატებაა. ღირებულების მატებაა ონტოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით. მაგრამ რადგანაც, როგორც ზევით იყო აღნიშნული, პირველი საწყისის უმაღლესი განსაზღვრება სიკეთეა და ის პირველ ყოვლისა სიკეთეს წარმოადგენს, პირველი საწყისი იქცევა უკუდაბრუნების მიზეზად, როგორც სიკეთე. ამდენად უკუდაბრუნებას ონტოლოგიური და ეთიკური საფუძველი აქვს. ონტოლოგიური პირველსაწყისსა და სამყაროს შორის ერთიანობა, ეთიკურად — სიყვარული, ლტოლვა პირველი საწყისისადმი. მთელი არსია გამსჭვალული მისადმი სწრაფვით. უკუდაბრუნება — სიკეთესთან დაახლოება და ბოროტებისაგან დაცილებაა.

არსის უკუსწრაფვა იმითაცაა დასაბუთებული, რომ პირველი საწყისი უმაღლესი მშვენიერებაცაა. სწრაფვა სიკეთისადმი არის სწრაფვა მშვენიერებისადმიც. უკუდაბრუნება, ამგვარად, ამაღლებაა ონტოლოგიურადაც, ეთიკურადაც და ესთეტიკურადაც. ამგვარი შეხედულებანი განსაზღვრავენ ადამიანის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არსსა და სამყაროში და ადგილს, რომელიც ადამიანს უჭირავს ნეოპლატონისტურ მოძღვრებაში.

პლოტინის შეხედულებით, გრძნობადი, ამქვეყნიურ სინამდვილეში მოქმედი ადამიანი არ არის „მთლად იგივეობრივი ზეგრძნობიერი“ ადამიანისა (VI, 7, 4), იგივეობრივი თავისი იდეისა, პარადიგმისა გონის სამყაროში. ადამიანი გონების სამყაროში „არის ყველაზე პირველი და ყველაზე სრულყოფილი“ (VI, 7, 5), მაგრამ თავისი არსით და არსებით, ის „გადმოღვრის ნათელს“ სხვა ადამიანებზე, რომლებიც ამ ნათელის მიღების მიხედვით ნაწილდებიან,

[27] H e g e l, Vorlesungen..., II, 1971, S. 524.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან უკეთ ლაგდებიან რანგობრივად იმისდა მიხედვით, როგორი მოქმედება ჭარბობს მათში, გონიერი, განსჯითი თუ გრძნობითი. ეს იმის გამო ხდება, რომ სამყაროში მოქმედი ადამიანი არის „გონიერი სულისა და სხეულის სინთეზი“ (VI, 7, 4) და ცხადია, რომ ადამიანის განსაზღვრისა და მისი ბუნების გარკვევის დროს უნდა გათვალისწინებულ იქნეს ეს „რაღაც სხვა“, ე. ი. სხეული.

19. პოტენციალურად ყოველი ადამიანი ფლობს გონიერ, განსჯით და მგრძნობელ სულს, რადგანაც სამივე სახის სული უნივერსალური სულის თვით ბუნებით არის წარმოქმნილი, მაგრამ რომელი სახის სული ამოქმედდება ცალკეულ ადამიანში, რომელი სახის სულს დაეუფლება ის „აქტუალურად“ (VI, 7, 6), ეს თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული. პლოტინი ნების თავისუფლების თვალსაზრისზე დგას, წინააღმდეგ იმ დროს საკმაოდ გავრცელებული სტოიკური ფატალიზმისა.

სული, რომელიც ადამიანის სხეულთან შეერთებამდე „პირველდაწყებითი სიწმინდისა და უბიწოების მდგომარეობაში“ იმყოფება (VI, 7, 6), სხეულთან შეერთების შემდეგ დაბლა ეშვება; უკუდაბრუნება ადამიანისა არის შემეცნების გზით მაღლა სვლა გნოსეოლოგიური და, ამავე დროს, ზნეობრივი თვალსაზრისით. ის თანდათან მაღლდება არსის უმაღლესი საფეხურების წვდომის გზაზე და თანდათან აღწევს ზნეობრივ სრულყოფილებას.

ნეტარება, პლოტინის მიხედვით, სრულყოფილ ცხოვრებაში მდგომარეობს, ხოლო სრულყოფილი ცხოვრება — აზროვნებაში, წმინდა აზროვნებაში, რომელიც განწმენდილია ყოველგვარი გრძნობადობისა და ვნებებისაგან. განწმენდა (**κάθαρσις**) მდგომარეობს განდგომაში სხეულისაგან და ყოველივე იმისაგან, რაც სხეულთანაა დაკავშირებული. პრაქტიკული ეთიკა პლოტინისა წარმოადგენს მოძღვრებას ცალკეულ სათნოებათა (კეთილმოქმედებათა) შესახებ, რომელთა სათავეს კათარსისი წარმოადგენს და რომლებსაც (ყველას) კათარსისი შეიცავს.

20. პ რ ო კ ლ ე. ნეოპლატონიზმის გადმოცემის შემდეგ საკმარისი იქნება პროკლეს შეხედულებათა შედარებით მოკლედ განხილვა. როგორც იყო აღნიშნული, ნეოპლატონიზმის გავლენა შუა საუკუნეების პირობებში ძირითადად პროკლეს მოძღვრებით იყო განსაზღვრული. პროკლეს გავლენა ვრცელდებოდა როგორც თვით პროკლეს თხზულებით, აგრეთვე არეოპაგიტული კორპუსის მეშვეობით, რომელიც ძირითადად პროკლეს მოძღვრების საფუძველზე ჩამოყალიბდა. საქართველოში XI—XII საუკუნეებში კარგად იყო ცნობილი როგორც არეოპაგიტული კორპუსი, აგრეთვე პროკლეს ფილოსოფიური მოძღვრება.

როგორც „თეოლოგიის პირველსაფუძვლების“ შესაბამისი ადგილიდან ჩანს, პროკლეს ამოსავალი — სისტემის აგების დროს — ხილული სინამდვილეა, კოსმოსია. კერძოდ, ამ სინამდვილის ისეთი ნიშანდობლივი მოვლენა, როგორიცაა მოძრაობა. კოსმოსი არსის მოძრაობაში მყოფი საფეხურია. ამავე დროს ის სხეულთა სამყაროა, თავისთავად ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენს. სხეულს, თანახმად ანტიკური ფილოსოფიის ტრადიციისა, არ შეუძლია „თვით თავისი ბუნებით“, თავისთავად მოძრაობდეს[28]. მას მოძრაობა

[28] П р о к л, Первоосновы теологии, Тбилиси, 1972, § 20, გვ. 37. შემდეგში ყველგან ეს გამოცემაა მითითებული, შესატყვისი თავების (პარაგრაფების) აღნიშვნით. ალ. ლოსევი ამ პარაგრაფის შესახებ წერს: ეს პარაგრაფი „შეიცავს მთელი პროკლეს ფილოსოფიისათვის ყველაზე ძირითადს და ფუნდამენტურ მოძღვრებას ოთხი იპოსტასის შესახებ“ (იქვე, გვ. 147). პროკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ გარედან მიღებული ძალის მეშვეობით შეუძლია. ეს გარედან მიღებული ძალა სულია, რომელიც სხეულს აძლევს მოძრაობასაც და სიცოცხლესაც. სხეული სულის მეშვეობით „ცოცხლობს“ (თ. 20) და მოძრაობს[29].

თუ შეიძლება სხეულის თვითმოძრაობაზე რაიმენაირად ლაპარაკი, მხოლოდ იმ მნიშვნელობით, წერს პროკლე, რომ სხეულში სული არსებობს. როგორც ზევით პლოტინის შეხედულებათა განხილვის დროს იყო ნათქვამი, სხეულში სულია ჩაღვრილი, ჩასახლებული. იმას, რასაც სული ამოძრავებს, სული წინ უსწრებს, სული მასზე მაღალი რანგის არსია; სხეულის მოძრაობის წყაროს სული წარმოადგენს.

მაგრამ სული არ შეიძლება მოძრაობის საბოლოო წყარო იყოს. სული სხეულისაგან იმით განსხვავდება, რომ თვითმოძრავია, მაგრამ პროკლეს მიხედვით, რომელიც ამ შეთხვევაში არისტოტელეს შეხედულებით არის დავალებული, მოძრაობის საბოლოო წყაროს მხოლოდ თავისთავად უძრავი შეიძლება წარმოადგენდეს. „ყოველ მოძრავს წინ თვითმოძრავი უსწრებს, ხოლო თვითმოძრავს — უძრავი“ (20). „ამიტომ, თუ სული, რომელიც თავისთავად მოძრაობს, ამოძრავებს სხვას, აუცილებელია, რომ მანამდე [სულამდე] არსებობდეს უძრავი მამოძრავებელი“. მოძრაობის უძრავ საწყისთან მიმართებაში სულს, პროკლეს სიტყვით, მხოლოდ „მეორადი თანრიგი უჭირავს“, ხოლო სულზე მაღლა მდგომი და ამავე დროს სამყაროში არსებულ მოძრაობათა უძრავი მიზეზი გონია. გონი, რომელიც „ამოძრავებს კიდეც და უძრავიცაა“ (20).

პროკლე არ ჩერდება გონის საფეხურზე არც მოძრაობის წარმომავლობის საკითხის გარკვევის დროს. პროკლეს სიტყვით, გონს, როგორც მოძრაობის მიზეზს, „ჭეშმარიტად წინ უსწრებს ერთიანი, რამდენადაც გონი უძრავია, მაგრამ ერთიანი არ არის“ (20). ეს ზოგადი მოსაზრება გასაგებია. ნეოპლატონიზმის თვალსაზრისით სისტემის საწყისს, უზენაეს მიზეზს პირველი ერთიანი წარმოადგენს და მოძრაობის წარმომავლობის საკითხის გადაჭრის დროსაც მას უპირველესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. „ერთიანი გონზე უმაღლესია; და ალარაფერია უკვე ერთიანზე უმაღლესი, რადგან ერთიანი და სიკეთე ერთი და იგივეა, ხოლო სიკეთე, როგორც ეს დამტკიცებულია, არის საწყისი ყოველივესი“ (20).

გონი არ გამოდგება მოძრაობის საყოველთაო საწყისად იმის გამო, რომ გონის მოქმედების არეს მხოლოდ აზროვნება შეადგენს, ის „თავის თავს იაზრებს და არის საგანი საკუთარი მოქმედებისა, ხოლო ერთიანში მონაწილეობს მთელი არსი, გონში კი არა“ (20).

---

ლეს ფილოსოფიური მემკვიდრეობა ძალიან დიდია, სპეციალისტების სიტყვით, არისტოტელეს მემკვიდრეობას აღემატება. მაგრამ უდიდესი ნაწილი ამ მემკვიდრეობისა გამოუქვეყნებელია. მის თხზულებათა შორის შეიძლება დავასახელოთ „პლატონის თეოლოგიის შესახებ“, „ფიზიკის პირველსაფუძვლები“, „ბოროტების იპოსტატთა შესახებ“, კომენტარები (ცალ-ცალკე თხზულებათა სახით) პლატონის დიალოგებისა „ტიმაიოსი“, „პარმენიდე“, „სახელმწიფო“, „ალკიბიადე 1-ლი“, „კრატილი“, რომლებსაც მხოლოდ ფორმალურად შეიძლება ეწოდოს კომენტარები. ნამდვილად წარმოადგენენ დამოუკიდებელ ფილოსოფიურ თხზულებებს; და სხვ. მრავალი ნაშრომი სცილდება ფილოსოფიის ფარგლებს (მაგ., კომენტარები „ევკლიდეს ელემენტების“ 1-ლი წიგნისა, სქოლიოები ჰესიოდეს „შრომა და დღეები“-სა, ჰიმნები ღმერთებს).

[29] პროკლეს შეხედულებანი რომ ამით დამთავრებულიყო, ეს მოაზროვნე ჰილოძოისტად წარმოგვიდგებოდა. მაგრამ მთელი მისი სისტემის გათვალისწინება ცხადყოფს, რამდენად შორსაა ის ჰილოძოიზმისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, მხოლოდ პირველსაწყისში მონაწილეობს მ თ ე ლ ი არსი და, ცხადია, მთელი არსის მიზეზი მხოლოდ ერთიანი შეიძლება იყოს. დანარჩენი საწყისები (ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ ნეოპლატონიზმის მიხედვით კოსმოსს სამი საწყისი აქვს) — გონი და სული მოძრაობის საწყისად არ გამოდგება.

პროკლეს ეს მოსაზრება განმარტებას საჭიროებს, არსის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სულიერი (ცოცხალი) არსის და გონიერი არსის ცნებები. არსის ცნება მოიცავს იმაზე მეტს, ვიდრე ცოცხალი და მით უმეტეს, გონიერი არსის ცნებები. ცხადია, არსის მიზეზის ცნებაც უფრო ფართო მოცულობის უნდა იყოს. რის მიზეზიც არის გონი, მისი მიზეზი არის აგრეთვე პირველი საწყისი. მაგრამ რის მიზეზიც არის პირველი საწყისი, მისი მიზეზი ყოველთვის არაა გონი (57). აგრეთვე „არსი უფრო მეტის მომცველია, ვიდრე სიცოცხლე“ (105). ე. ი. რის მიზეზიც სულია (როგორც სიცოცხლის მიმცემი), მისი მიზეზი პირველი საწყისიცაა. მაგრამ რის მიზეზიც არის პირველი საწყისი, მისი მიზეზი ყოველთვის არაა სული.

ამგვარად, პირველ საწყისში მთელი არსი მონაწილეობს, სულში, როგორც საწყისში — მხოლოდ სულიერი (ცოცხალი) არსი მონაწილეობს, გონში (როგორც საწყისში) — მხოლოდ გონიერი არსი: „ყოველივე იმას, რაც მონაწილეობს გონში — წინ უსწრებს გონი, იმას, რაც სიცოცხლეში მონაწილეობს, [წინ უსწრებს] სული; ხოლო იმას, რაც მონაწილეობს არსში — არსი“ (101). „რადგან უმრავლესთა მიზეზი წინ უსწრებს უმცირესთა მიზეზს, ამიტომ მათ [არსსა, სულსა და გონს] შორის უპირველესი იქნება არსი“ (101). ხოლო აბსოლუტურად პირველი — ის, რაც არის მთელი არსის საწყისი, როგორც პირველერთიანი, პირველი საწყისი და პირველი მიზეზი.

ამგვარად, ქვედა საფეხურებიდან ზეაღმავალი თვალსაზრისით განხილული არსი წარმოგვიდგება შემდეგი მოკლედ ჩამოყალიბებული დებულებით, რომელიც ნეოპლატონიზმის ძირითად შეხედულებას გამოხატავს: „ყოველ სხეულზე მაღლაა სულის არსება, ყოველ სულზე მაღლა — მოაზროვნე ბუნება [გონის სფერო], ყოველ მოაზროვნე სუბსტანციაზე მაღლა — ერთიანი“. პეტრიწის თარგმანით: „ყოველთა სხეულთა — დაუზესთავდების სულიერი არსებაჲ, და ყოველთა სულთა უზესთაეს გონებაჲ [არს] გონიერი, და ყოველთა გუამოვნებათა [იპოსტასთა] ზესთ [არს] ერთი“ (20).

21. პირველი საწყისი, საყოველთაო მიზეზი პროკლეს მოძღვრებაში, როგორც ნეოპლატონიზმში საერთოდ, ერთია, ერთიანი. თუმცა ერთი „შეუცნობადია და გამოუთქმელი“, პროკლეს, მსგავსად პლოტინისა და იმავე მოსაზრებათა გამო, შემოაქვს ის შეცნობადობის არეში. „თავისთავად ერთიანი, პირველი გამოუთქმელია და შეუცნობადი, მაგრამ მისაწვდომი ხდება წარმოქმნილისა და მასში უკუდაბრუნებულის მეშვეობით“.[30] ჰეგელი, პროკლეს ციტირების შემდეგ, განაგრძობს: პროკლე პირველი საწყისის თვითგაორებას, ერთიანობის ამ უახლოეს განსაზღვრებას არკვევს როგორც წარმოქმნას, გამომდინარეობას, როგორც მოქმედებას (Thätigkeit), გამოსახვას, ჩვენებას (Zeigen)[31].

საწყისის უმაღლესი განსაზღვრება სიკეთეა, უფრო სწორად, პირველი საწყისი სიკეთის იგივეობრივია და საწყისი იმიტომაა, რომ სიკეთეა. „სიკე-

[30] P r o c l u s, Theol. Plat., II, p. 95. ციტირებულია ჰეგელის მიხედვით, Vorlesungen..., II, 1971, გვ. 527.

[31] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თე საერთოდ და ერთიანი საერთოდ იგივეობრივია“ (13). „ერთიანი და სიკეთე იგივეობრივია და სიკეთე... არის საწყისი ყოველივესი“ (20); „სიკეთე არის საწყისი და უპირველესი მიზეზი ყოველივესი“ (12).

უზოგადესი მიმართება ერთსა და სამყაროს შორის ემანაციაა, გამომდინარეობა. „ყოველი არსი გამომდინარეობს ერთი, პირველი მიზეზისაგან“ (11). მაგრამ ამ მიმართებას რამდენიმე ასპექტი აქვს. ერთი მიემართება სამყაროს როგორც სრულყოფილი და დაუბოლოებელი ნაკლოვანსა და ბოლოვადს, როგორც ერთი—სიმრავლეს, როგორც მიზეზი—შედეგს, როგორც სიკეთე—ბოროტებას და სხვ. ამ მიმართებათა განხილვა გაარკვევს პროკლეს მოძღვრების თავისებურებას პლოტინთან შედარებით და იმ პრობლემათა წრეს, რომლებიც მასთან მეტი სიღრმითა და თანმიმდევრობით არის განხილული.

პროკლესთან შემდგომ დასაბუთებას პოულობს საწყისიდან გამომდინარეობის საკითხი. კერძოდ, საკითხი საწყისის „ზეჭარბი სავსეობისა“ (131). პეტრიწის სიტყვით „ზესთ სრულებისა“ (132). შეუძლებელია, წერს პროკლე, არასრული სრულჰყოფდეს რაიმე სხვას; ასევე შეუძლებელია „ზესთ სრული“ თავის თავში ეტეოდეს და, პეტრიწის თარგმანით, არ „თან მისცემდეს“ არსს სიკეთეს. ის, რაც „ავსებს სხვას“, თვითონ უნდა იყოს „ზეჭარბად სავსე“, რომ სხვა აავსოს და სიკეთე მოაფინოს (131). ამ სიტყვებს იქით ღრმა აზრი იფარება. ერთიანი „წარმოადგენს რაღაც დატენილობას, ...რომელშიც კონდენსირებულია ყოველი შესაძლებელი სინამდვილე, დატენილობას ყოველთვის დინამიკურს, ყოველთვის ქმნადობაში მყოფს, რომელიც ყოველთვის მზადაა გადმოიღვაროს სხვადმყოფში და გაფორმდეს; არსის მარად აღმოცენების მდგომარეობაში მყოფ შთანასახს“. ესაა ჩაუქრობლად მოძრაობაში მყოფი „სიღრმისეული პრინციპი მთელი არსისა, რომელსაც არა აქვს არავითარი დასაწყისი და არავითარი დასასრული“[32].

22. ერთიანის, როგორც ერთის მიმართებას სიმრავლესთან პროკლეს მოძღვრებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მისი მთავარი თხზულება „თეოლოგიის პირველსაფუძვლები“ ამ კითხვის გარკვევით იწყება, პირველივე დებულება ასაბუთებს, რომ „ყოველი სიმრავლე ასე თუ ისე [რაიმენაირად] მონაწილეობს ერთიანში“ (1). პეტრიწის თარგმანით — „ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა“.

მონაწილეობის (ზიარება, μέθεξις)[33] ცნება ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა ნეოპლატონიზმისა და, კერძოდ, პროკლეს მოძღვრებაში. მისი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ არსის ყოველი საფეხური დაკავშირებულია ზედა საფეხურთან და ამ კავშირის ერთ-ერთი სახე ქვედა საფეხურის ზედა საფეხურში, ნაკლებ სრულყოფილი ნივთის სრულყოფილში მონაწილეობაა. მონაწილეობის ონტოლოგიური საფუძველი ის საერთოა, რომელიც არსებობს წარმომქმნელსა (უფრო სრულყოფილსა) და წარმოქმნილს (ნაკლებ სრულყოფილს) შორის. მონაწილეობა ქვევიდან ზევით მიმართული მიმართებაა, მას საყოველთაო ხასიათი აქვს და საბოლოოდ მოვლენათა პირველსაწყისში მონაწილეობის იდეას გამოხატავს.

მონაწილეობა შეადგენს საფუძველს იმისა, რომ მონაწილე მოვლენას აზრს ის აძლევს, რაშიც მოვლენა მონაწილეობს. ამავე დროს, მონაწილეობა

[32] ა. ლოსევი, იხ. Прокл, Первоосновы теологии, Тбилиси, 1972, გვ. 157—158.

[33] სიტყვა წარმოებულია ზმნისაგან μετέχω, წილის ქონება, მონაწილეობა, მონაწილეობის მიღება, ზიარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევს მოვლენას მნიშვნელობას და ღირებულებას. მოვლენა ღირებულია იმდენად, რამდენადაც ის მონაწილეობს ამაღლებულში, ეზიარება მას.

საბოლოოდ, არსი პირველ საწყისში მონაწილეობს, როგორც ერთში, როგორც არსში, როგორც სიკეთეში, მშვენიერებაში და სხვ. ამით ღებულობს არსი ერთიანობას, არსებობას, სიკეთეს და მშვენიერებას.

მაგრამ იმ დიალექტიკური კავშირის გამო, რომელიც ნეოპლატონიზმის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს, და რომლის გათვალისწინების გარეშე ფილოსოფიის ძირითადი საკითხი ვერ გადაწყდება, ერთიანში მონაწილე ყოველივე „ერთიანიცაა და არა ერთიანიც" (2). არაერთიანია (არაა ერთი) იმიტომ, რომ სიმრავლეა, ერთიანია იმიტომ, რომ ერთიანის, ერთის მონაწილეა, ერთში მონაწილეობით არის გაერთიანებული. ყოველი არსებული „ხდება ერთიანი ერთში მონაწილეობის ძალით" (3).

ამავე დროს „ყოველგვარი სიმრავლე მეორადია ერთთან (ერთიანთან) შედარებით" (5), რამდენადაც სწორედ სიმრავლე მონაწილეობს ერთიანში და არა ერთიანი სიმრავლეში. რამდენადაც ერთია პირველი, ისაა წარმომქმნელი სიმრავლისა და არსისა; ამდენად ცხადია ისიც, რომ ერთის ბუნება აღემატება წარმოებულის ბუნებას („ყოველი, რასაც აქვს უნარი წარმოებისა, აღემატება წარმოებულის ბუნებას", 7).

23. პლოტინისაგან განსხვავებით, პროკლე საწყისი ერთიანის პირველ გამომდინარეობად რიცხვთა სფეროს (თანრიგს) მიიჩნევს და პირველ ერთიანსა და გონს შორის ათავსებს[34]. რიცხვთა ჰიპოსტაზირება და გონზე მაღალ რანგში აყვანა გასაგები ხდება ანტიკური ფილოსოფიისა და იმ მემკვიდრეობის ფონზე, რომელზეც ნეოპლატონიზმი აღმოცენდა. რიცხვი იდეაზე უფრო აბსტრაქტულია, მეტადაა მოკლებული თვისობრიობას (გარკვეულობას). უფრო მეტად ზოგადი მიმართების და მეტი მოცულობის (ტევადობის) ცნებაა. ამავე დროს, რიცხვთა სფეროს შემოტანას და მოთავსებას პირველ ერთსა და არსს შორის მეტი სიცხადე შეაქვს მათი მიმართების საკითხის გარკვევაში. რიცხვის აბსტრაქტულობა იმ ზომადაა გაგებული პროკლესთან, რომ რიცხვთა სფერო, მსგავსად პირველი საწყისისა და განსხვავებით გონისაგან, გატანილია არსებობისა და შეცნობადობის საზღვრებს იქით. ამ მხრივ რიცხვთა სფერო უფრო მეტად ემსგავსება პირველ საწყისს, ვიდრე გონი.

მაგრამ არსებობს განსხვავება ერთს, როგორც პირველერთიანს, პირველ საწყისს, და ერთს, როგორც ღვთაებრივ რიცხვთა გამომხატველ ერთს შორის. პირველი ერთი „უპირველესი" უზენაესი ღმერთია; ღვთაებრივი რიცხვები, „ერთები" — მეორე რანგის ღმერთები არიან. პირველი ერთი — აბსოლუტური, ერთადერთი ერთია, ხოლო „ყოველი ღვთაებრივი რიცხვი ერთებრივია" (113) პეტრიწის თარგმანით — „ყოველი ღმრთებრივი რიცხჳ ერთებრივი არს". „უპირველესი ღმერთი — წერს პროკლე — არის მარტივად სიკეთე და მარტივად ერთიანი, ხოლო ყოველი პირველს შემდეგ მომდევნო ღმერთთაგანი არის რაღაც კეთილობა

---

[34] ეს თავისებურება მოძღვრებაში პროკლეზე ადრე იამბლიხოსმა შეიტანა. Целлер, Очерк истории греческой философии, 1912, გვ. 241. მაგრამ, როგორც ცელერი იქვე შენიშნავს, იამბლიხოსი უფრო მეტად თეოლოგი იყო, ვიდრე ფილოსოფოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაღაც ერთებრივი“ (113). სწორედ „ერთებრივი“, რომლისთვისაც პროკლეს განსხვავებული ტერმინი შემოაქვს (ἑνάς) და რომლის ქართულ შესატყვისად პეტრიწისეული „ერთებრივი“ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

„ერთებრივის“ (ჰენადას) შინაარსი პირველი ერთისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველი ერთი ერთია თავისთავად, ყოველგვარი სიმრავლის გარეშე; ის არ საჭიროებს არავითარ სიმრავლეს, არსებობს სიმრავლეზე ადრე და არის αὐτοέν (პეტრიწის ტერმინით „თჳთერთი“). ერთებრივი ისეთი ერთია, რომლის შინაარსი სიმრავლესთან მიმართებაში ირკვევა. ესაა ერთიანობა, მთლიანობა სიმრავლისა, რომელსაც სიმრავლე ეზიარება (რომელშიც სიმრავლე მონაწილეობს) და რომელიც სიმრავლეს ერთიანობას, მთლიანობას აძლევს[35].

პროკლეს მოძღვრების ის ნაწილი, რომელიც რიცხვებს ეხება, ყველაზე მეტადაა დატვირთული მითოლოგიური წარმოდგენებით და ძველი ბერძნული პოლითეიზმის თავისებურ დასაბუთებას წარმოადგენს. ყოველი რიცხვი, პროკლეს მიხედვით, ღვთაებრივია; მეტიც, ყოველი ჰიპოსტაზირებული და პროკლეს მიერ პირველერთიანსა და გონს შორის მოთავსებული რიცხვი იგივე ღმერთია. ამგვარად, არსის უშუალო საწყისი (თუ გავითვალისწინებთ, რომ არსი გონიდან იწყება) რიცხვები, ანუ ღმერთები არიან.

24. საკითხი პირველსაწყისსა და სამყაროს შორის მიზეზ-შედეგობრივი მიმართებისა პროკლეს, შედარებით სხვა ნეოპლატონიკოსებთან, უფრო დეტალურად და სისტემატურად აქვს დამუშავებული. როგორც ზევით იყო აღნიშნული, ნეოპლატონიზმი ჩაკეტილი სისტემაა. პროკლეს სიტყვით, „ყოველივე ემანირებულს რაიმესაგან და უკუ დაბრუნებულს ციკლური ენერგია აქვს“ (33). პეტრიწის თარგმანით — „ყოველსა მეწარმოესა [წარმოებულს] ვისგანვე და უკუნმქცევსა მრგულივი მოქმედებაჲ აქუს“. ამავე დროს განვითარება მყისიერია, მარადიული, ზედროული პროცესია, სადაც პირველი საწყისი მიზეზიცაა და მიზანიც. არსი პირველი მიზეზიდან გამომდინარეობს და საბოლოოდ მასვე უბრუნდება. პროკლესთან ამ იდეამ ცნობილი ტრიადის სახე მიიღო, რომლითაც ჰეგელი მნიშვნელოვნად არის დავალებული. უნდა აღინიშნოს, რომ ტრიადა განვითარების საყოველთაო კანონზომიერებას გამოხატავს და პირველი საწყისისა და სამყაროს მიმართებაზეც ვრცელდება.

განვითარება პროკლეს მიხედვით ასეთი ფორმულით გამოხატული კანონზომიერებით ხდება: პირველი საფეხური — შედეგის არსებობა მიზეზში; პროკლეს ტერმინით μονή, არსებობა, ყოფნა ადგილზე, ანუ ὕπαρξις, არსებობა, არსი; პეტრიწის ტერმინით „მყოფობაჲ“ (ჰეგელის სისტემაში—თეზისი). მეორე საფეხური — შედეგის გამოსვლა მიზეზისაგან, πρόοδος; პეტრიწის ტერმინით „გზავნაჲ“, „წარმოობაჲ“, „წარმოქმნაჲ“, „წარმოარსებაჲ“ (ჰეგელთან — ანტითეზისი). მესამე საფეხური — გამოსული არსის, როგორც შედეგის, უკუდაბრუნება საწყისში, ἐπιστροφή; პეტრიწის ტერმინით — „უკუნქცევაჲ“ (ჰეგელთან—სინთეზი)[36].

---

[35] პეტრიწის „თვითერთი“ შეესატყვისება ბერძნ. αὐτοέν-ს; ესაა ერთი თავისთავად, როგორც პირველი ერთი და პირველი საწყისი; „ერთებრივი“ — შეესატყვისება ἑνάς-ს, ჰენადას, როგორც სიმრავლის ერთიანობას (მაგ., ხუთეული, ათეული და ა. შ.). პროკლესთან გვხვდება კიდევ ἡνωμένος რაც ნიშნავს რიცხვთა, ერთეულთა გაერთიანებას, ისეთ სიმრავლეს, რომელიც გაერთიანებულია რაღაც პრინციპის მიხედვით, მაგრამ თითოეული მისი შემადგენელი ნაწილი ინარჩუნებს თავის გარკვეულობას (შდრ. ა. ლოსევი, Прокл, Пер. теол., გვ. 145). პეტრიწი თარგმნის: „შეერთებული“, „შეერთებით“ (თ. 197, თ. 116).

[36] Ed. Zeller, Die Philosophie der Griechen..., Th. 3. Abth. 2 Lpz, 1881, გვ. 788.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარება დიალექტიკური პროცესია და მისი დასაბუთება ლოგიკური მიდგომის საფუძველზე შეიძლება. ნეოპლატონიზმისა და კერძოდ პროკლეს დიდი დამსახურება პრობლემის ღრმა გაგებასა და მისი გადაწყვეტის ახალი გზების ძიებაშია. თავისებურია პროკლესთან განვითარების მომენტების ერთობლიობისა და მათი ურთიერთმიმართების გაგება. ეს ნათელი ხდება პროკლეს პირველივე, ძირითადი შეხედულებიდან მიზეზისა და შედეგის მიმართებაზე, რომელიც სამი დებულებით არის გამოთქმული. „ყოველი შედეგი — წერს პროკლე — კიდეც რჩება თავის მიზეზში, კიდეც გამომდინარეობს მისგან და კიდეც უბრუნდება მას“ (35); პეტრიწის თარგმანით: „ყოველი მიზეზოანი [ის, რაც გამოწვეულია მიზეზით] ჰგიეს [არსებობს, იმყოფება] შორის მიზეზსა თჳსსა, და იწარმოების მისგან და უკან იქცევის მისდადვე“. ამ სამი დებულებით გამოთქმული აზრი ეწინააღმდეგება ტრადიციული ლოგიკის წესებს, მაგრამ მისი სიღრმე და მნიშვნელობა იმაშია, რომ მხოლოდ ერთად აღებული სამივე დებულება იძლევა საფუძველს განვითარების რთული ბუნების გარკვევისათვის.

მიზეზსა და შედეგს შორის მიმართება მათ შორის ერთდროულად არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას ემყარება. მსგავსი მსგავსს წარმოქმნის, მაგრამ წარმოქმნილი უკვე განსხვავებულია მიზეზისაგან, სხვად ქცეულია. მათ შორის მსგავსების ონტოლოგიურ საფუძველს ის ნიშნები წარმოადგენს, რომლებსაც შედეგი თავისი წარმოქმნის დროს, მიზეზისაგან ღებულობს, რასაც მიზეზი, პეტრიწის სიტყვით, „თან მისცემს“ თავის შედეგს. „აუცილებელია, რომ შედეგს ყოვლითურთ ჰქონდეს რაიმე მიზეზისაგან. განსაკუთრებით უპირველესისაგან [უპირველესი მიზეზისაგან], რომლისაგანაცაა ყოველივე დამოკიდებული და რომლის გამოც არსებობს ყოველივე არსებული“ (12). მსგავსება უპირველესი და უძირითადესი პირობაა არსის ნეოპლატონისტური გაგებისა. მაგრამ არა საკმარისი პირობა.

განსხვავება მიზეზსა და შედეგს შორის განვითარების ნეოპლატონისტური გაგებით არის განსაზღვრული. განვითარება ამ გაგების მიხედვით, როგორც ვნახეთ, კლებაა, მიზეზი შედეგზე სრულყოფილია და ყოველი ახალი, წარმოქმნილი არსი „უდარესია“ წარმომქმნელთან (მიზეზთან) შედარებით.

მსგავსების საფუძველზე შედეგი დაკავშირებულია მიზეზთან, მისი მონაწილეა (მოზიარეა), მასში მყოფია; პეტრიწის სიტყვით „მსგავსებაჲ იპყრობს მიზეზოანსა [შედეგს]მიზეზსა შორის“. განსხვავების (პეტრიწის ტერმინით „უმსგავსოებაჲ“-ს) საფუძველზე შედეგი განსხვავდება, სხვად იქცევა, „თჳთებას“, თავისთავად არსებობას მოიპოვებს.

მაგრამ განვითარება, როგორც ვნახეთ, შედეგის წარმოარსებით არ მთავრდება: წარმოარსება მისი მხოლოდ მეორე საფეხურია. შედეგი ისევ მიზეზს უნდა დაუბრუნდეს და ამისი საფუძველიც მიზეზსა და შედეგს შორის თავიდანვე არსებული მსგავსებაა: „ყოველგვარი დაბრუნება ხდება დაბრუნებულის მსგავსების მეშვეობით იმის მიმართ, რასაც ის უბრუნდება“ (32). პეტრიწის თარგმანით — „ყოველი უკუნქცევაჲ მსგავსებისა მიერ აღესრულების უკუნქცეულთაჲ მისდა მიმართ, რომლისა მიმართაც უკუნქცეულ იყვნენ“. მსგავსებაა მიზეზი უკუსწრაფვისა თავის საწყისებისაკენ, რომლითაც მთელი არსი არის გამსჭვალული. ყოველივე, რაც უკუბრუნდება „მიისწრაფვის ერთობისა და კავშირისაკენ“ მასთან, რისაგანაც წარმოიქმნა; ყოველივე წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნილი „ისწრაფვის შეერთებად“ იმასთან, რისგანაც წარმოიქმნა; „წადნობა [არის მსურველი] მის მიმართ ზიარებასა და თანშეკვრასა“ (პეტრიწი).

25. პროკლეს წარმოდგენილ სამ დებულებას, რომელიც განვითარების ბუნებას ეხება, ექვსი ალტერნატივა აქვს, რომელთაგან ვერც ერთი ვერ იძლევა პასუხს დასმულ კითხვაზე. პროკლე მოკლედ იხილავს თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე და ასაბუთებს მათ უკმარისობას განვითარების ახსნისათვის. პეტრიწი შემდეგში უფრო დეტალურად შეეხება ამ ალტერნატივებს, ავრცელებს და აღრმავებს არგუმენტაციას, „ვაცხადებს“ პროკლეს შეხედულებას.

პირველი ალტერნატივა იფარგლება პროკლეს პირველი დებულებით: შედეგი არსებობს მხოლოდ მიზეზში და რჩება მასშივე; არსებობა არის მხოლოდ მიზეზში არსებობა. ასე რომ იყვეს, წერს პროკლე, შედეგი მიზეზისაგან განუსხვავებელი იქნებოდა, ის არ იქნებოდა მიზეზისაგან განსხვავებული, სხვადქცეული; არ ექნებოდა ადგილი ემანაციას (გამომდინარეობას), რადგან ახალი არსის წარმოქმნა ხდება „ემანაციასთან ერთად“ (35). თუ რომელიმე არსი, როგორც შედეგი „მხოლოდ რჩება (მიზეზში) და არ გამომდინარეობს მისგან, მაშინ არ იქნებოდა განსხვავებული, წარმოქმნილი“ (30). შეიძლებოდა დაგვემატებინა, რომ ამ დებულების მიღება ეწინააღმდეგება განვითარების ანტიკურ გაგებას. არსი „იყინება“, იხსნება საკითხი საწყისის „დაძვრისა“.

მეორე ალტერნატივა იფარგლება პროკლეს მეორე დებულებით: არსებობს მხოლოდ ემანაცია, გამომდინარეობა. ასეთი პირობის ქვეშ იძულებული ვიქნებით იმ შეუსაბამო აღიარებამდე მივიდეთ, რომ შედეგი არ იმყოფებოდა კავშირში მიზეზთან, და საერთოდ გაუგებარი ხდება — საიდან და როგორ წარმოიქმნება შედეგი. პროკლესათვის, როგორც ნეოპლატონიკოსისათვის, მსგავსება მიზეზსა და შედეგს შორის უპირველესი პირობაა, დაშვება მხოლოდ გამომდინარეობისა მიგვიყვანდა დებულებამდე, რომ შედეგი არაა მსგავსი მიზეზისა, მას არა აქვს „არაფერი საერთო მიზეზთან“. აქაც შეიძლებოდა დაგვემატებინა, რომ ეს ეწინააღმდეგება ანტიკური ფილოსოფიის პრინციპს, რომლის მიხედვითაც არარასაგან არაფერი არ შეიძლება წარმოიქმნას, და რომ ყოველ მოვლენას აუცილებლად თავისი წარმომქმნელი მიზეზი უნდა ჰქონდეს.

მესამე ალტერნატივა პროკლეს მესამე, ცალკე აღებული დებულებაა. შეხედულება, რომ არსებობს მხოლოდ დაბრუნება, კიდევ უფრო გაუგებარია. ის ეწინააღმდეგება, წერს პროკლე, ადრე დამტკიცებულ მოსაზრებებს, რომ ყოველივე ემანირებული რაიმესაგან შეიძლება დაუბრუნდეს „თავისი ბუნებით“ მხოლოდ იმას, რისაგანაც გამომდინარეობს (31), და რომ ყოველი უკუდაბრუნება ხდება „მსგავსების მეშვეობით იმასთან, რის მიმართაც დაბრუნება ხდება“ (32).

ამგვარად უარყოფს პროკლე მოკლედ და თანმიმდევრულად შემდეგ სამ ალტერნატივასაც: შედეგი იმყოფება მიზეზში, გამომდინარეობს მისგან, მაგრამ არ უბრუნდება მას; შედეგი გამომდინარეობს მიზეზისაგან, უბრუნდება მას, მაგრამ არ იმყოფება მასში; შედეგი იმყოფება მიზეზში, უბრუნდება მას, მაგრამ არ გამომდინარეობს მისგან.

ალტერნატივის უარყოფა წამოყენებული დებულების დასაბუთების არაპირდაპირი ხერხია. დებულების პირდაპირ არგუმენტაციას ერთი მნიშვნელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანი ცნება აკლია, რომელსაც, როგორც ვნახავთ, პეტრიწი შეიტანს მოძღვრებაში. ეს ცნება მიზეზისა და შედეგის მიმართებას ეხება, მეტი გარკვეულობა შეაქვს მათ დიალექტიკურ მიმართებაში და ანალოგიას ჰეგელთან პოულობს. შედეგი, პეტრიწის შეხედულებით, მიზეზთან მიმართებაში — „იგივე სხვაა“[37].

26. ზევით აღვნიშნეთ, რომ ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი ძირითადი იდეა პირველი საწყისისა და სამყაროს ერთიანობის, მთლიანობის იდეაა, რომელიც მიწისა და ზეცის დუალიზმის დაძლევისაკენ არის მიმართულ. ამ იდეამ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა რენესანსის ეპოქის იდეურ ცხოვრებაში და აისახა ნიკოლოზ კუზანელის და ჯორდანო ბრუნოს ფილოსოფიაში. ეს ორივე ფილოსოფოსი დიდადაა დავალებული ნეოპლატონიზმისაგან, შეუდარებლად უფრო მეტად, ვიდრე ეს წარმოდგენილია საბჭოთა მეცნიერებაში.

ნიკოლოზ კუზანელთან მიწისა და ზეცის დუალიზმის დაძლევის ცდა მაქსიმუმისა და მინიმუმის ერთიანობის იდეით არის გამოხატული. „მაქსიმუმი იმყოფება ყოველივეში“[38] „ღმერთი არის ყოველივე ერთად აღებული ყოველივე, ყველა ნივთები“[39]; „ღმერთი ყველა ნივთებშია, ისევე როგორც ყველა ისინი მასში“[40]. ღმერთი თავისთავად არის Deus implicitus, სამყარო — „გაშლილი“ ღმერთი (Deus explicitus).

ჯორდანო ბრუნოსთან იგივე ამოცანა უნივერსუმისა და ინდივიდუუმის მორიგებით გადაწყდა. უნივერსუმი „მოიცავს ყოველივეს, ის არის ყოველივე“;[41] უნივერსუმი — იმყოფება ყოველ ნივთში, და ყოველი ნივთი — უნივერსუმში[42]. ამ დებულებათა იდეური წყარო ნეოპლატონიზმია, კუზანელთან — ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, ბრუნოსთან — პლოტინი.

იდეამ საყოველთაო, უნივერსალური კავშირისა პროკლეს მოძღვრებაში მიიღო დასრულებული გამოხატულება — „ყოველივე ყოველივეშია“ (103); პეტრიწის თარგმანით: „ყოველი ყოველთა შორის [არს]“. ამ დებულების ზუსტი აზრობრივი გამეორება გვხვდება როგორც კუზანელთან, აგრეთვე ბრუნოსთან[43].

ეს შეხედულება მთელი ნეოპლატონისტური მოძღვრებიდან, მისი ძირითადი პრინციპებისაგან გამომდინარეობს. განსაკუთრებით ცხადია ამ შეხე-

---

[37] პ ე ტ რ ი წ ი, შრომები, II, 1937, გვ. 87.

[38] Docta ignorantia, I, 2. Николай Кузанский, Избранные соч., М., 1937, გვ. 8.

[39] იქვე, II, 2, გვ. 64.

[40] იქვე, II, 5, გვ. 73.

[41] მიზეზის, საწყისისა და ერთიანის შესახებ, Дж. Бруно, Диалоги, М., 1949, გვ. 275.

[42] იქვე, გვ. 278.

[43] „ყოველი ნივთი არსებობს ყოველ ნივთში“. იქვე, გვ. 276. შდრ. ნიკ. კუზანელი, რომელსაც — „ყოველივე არის ყოველივეში“, „ღმერთი ყოველივეს მეშვეობით არის ყოველივეში“ და „ყოველივე ყოველივეს მეშვეობით — ღმერთშია“ — სამივე ეს დებულება მიაჩნია ერთი აზრის გამოხატულებად. Docta ign., II, 4, გვ. 74. ამ დებულებასთან ანალოგიას პოულობს ლაიბნიცის შეხედულება იმის თაობაზე, რომ მონადაში მთელი სამყარო აისახება, რომ მონადა არის სამყაროს სარკე (მონადალოგია, § 56). ეს ანალოგია კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გვესახება, როცა ვითვალისწინებთ, ერთის მხრივ, ბრუნოს მეცნიერებაში ცნობილ გავლენას ლაიბნიცზე და მეორეს მხრივ, იმ გარემოებას, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ლაიბნიცის ამ შეხედულებას უნივერსუმისა და ინდივიდუუმის გაერთიანების თვალსაზრისით: „სამყაროს და ინდივიდუუმის გაერთიანება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ინდივიდუუმი, ყოველი თავისებურად, თავისში ატარებს სამყაროს. ამ აზრით ლაპარაკობს სწორედ ლაიბნიცი, რომ ყოველი მონადა ს ა მ ყ ა რ ო ს ს ა რ კ ე ა“ (В. В и н д е л ь б а н д, История новой философии, 1913, გვ. 382).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულების აზრობრივი კავშირი მოძღვრებასთან მიზეზობრიობის შესახებ და გასაგები ხდება იმის შემდეგ, რაც ზევით მიზეზობრიობაზე პროკლესთან დაკავშირებით ითქვა.

არსი წარმოადგენს სხვადასხვა საფეხურთა ერთობლიობას, გაერთიანებულს მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. ამიტომ პროკლე დებულებას „ყოველივე ყოველივეშია“ ასაბუთებს მიზეზობრიობის ზევით განხილული ცნებებით და დებულების კონკრეტიზაციის მიზნით კმაყოფილდება არსის ფორმების — არსის (ზოგადად), ცოცხალი არსის და გონიერი არსის — მიმართების გარკვევით; გარკვევით იმისა, როგორ მოქმედებს დებულება „ყოველვე ყოველივეშია“ — არსის ამ ფორმებში.

არსებობას, მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, სამი მდგომარეობა აქვს. არსებული არსებობს, ან „მიზეზის შესაბამისად“ (პეტრიწი: „მებრ მიზეზებით“), რაც ტრიადული განვითარების პირველ წევრს ემთხვევა; ან „სახეზე არსებულის შესაბამისად“ (პეტრიწით: „მებრ მყოფობით“) — ტრიადის მეორე წევრი; ან „მონაწილეობის [ზიარების] შესაბამისად“ (პეტრიწით: „მებრ თანმექონეობით“) — ტრიადის მესამე წევრი.

თუ ამ ცნებების მიხედვით არსის ცალკეულ ფორმებს განვიხილავთ, არსი წარმოგვიდგება, როგორც მიზეზი სიცოცხლესა და გონთან მიმართებაში, სიცოცხლე — როგორც მონაწილე არსისა და მიზეზი გონისა, ხოლო გონი—როგორც მონაწილე სიცოცხლისა და არსისა. ამის შემდეგ გასაგები ხდება რომ არსი ზოგადად, — პეტრიწის კომენტარის მიხედვით, „მყოფი პირველი“— შეიცავს თავისში „ყოველ შემდგომს“ (პეტრიწით: „რამეთუ მყოფსა პირველსა ვითარ ზესთ თესლნი მოჰქონან თჳს შორის ყოველნი შემდგომნი თჳსთა“), სახელდობრ, სიცოცხლეს (ცოცხალ არსს) და გონს (გონიერ, აზრისეულ არსს); ცოცხალ არსში მოცემულია, გარდა სიცოცხლისა, არსებობაც (არსიც) და გონიც; ხოლო გონიერ არსში, გარდა გონიერებისა (აზროვნებისა), მოცემულია არსებობაც და სიცოცხლეც. მაგრამ „პირველში“, ე. ი. არსში სიცოცხლე და გონი არსებობს „მიზეზის შესაბამისად“; სიცოცხლეში არსი არსებობს „მონაწილეობის შესაბამისად“, ხოლო გონი — „მიზეზის შესაბამისად“. გონში არსიც და სიცოცხლეც არსებობს (რამდენადაც ორივე წინ უსწრებს გონს) — „მონაწილეობის შესაბამისად“.

ამიტომ დებულება „ყოველივე ყოველივეშია“ პროკლესთან ამგვარ კონკრეტულ სახეს ღებულობს: ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და არსის განხილულ ფორმებში ყოველივე არსებობს ამ ფორმების შესაბამისად. გონის სფეროში — ყოველივე არსებობს გონიერად (აზრობრივად), ცოცხალ სფეროში — როგორც სიცოცხლე; არსის სფეროში — როგორც არსი. მოვიტანთ პროკლეს სიტყვებს პეტრიწის თარგმანით: „ყოველი ყოველსა შორის [არს], ხოლო საკუთრებით [განსაკუთრებული ფორმით] თითოეულსა შორის. რამეთუ და მყოფსაც შორის [არს] ცხოვლობაჲცა [სიცოცხლეც] და გონებაჲცა. და გონებასაცა შორის — მყოფობაჲცა და ცხოველობაჲცა. და ცხოველობასაცა შორის — მყოფობაჲცა და გონებაჲცა. არამედ რომელსამე შორის — გონიერად, ხოლო რომელსამე შორის ცხოვლობით, ხოლო რომელსამე შორის მყოფელობით არიან ყოველნი“ (103).

27. პროკლეს მოძღვრებიდან მიზეზობრიობის შესახებ გამომდინარეობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედულება სამყაროს მარადიულობაზე. ეს ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი ძირითადი იდეაა, რომელმაც, როგორც ითქვა (იხ. შენ. 26) დიდი როლი შეასრულა შუა საუკუნეების აზროვნებაში ახალი დროის მიმართულებათა ჩამოყალიბების თვალსაზრისით. პროკლესთან ეს იდეა სრული გარკვეულობითაა გამოთქმული და დასაბუთებული.

რამდენადაც გამომდინარეობა, როგორც ითქვა, წყისიერი, ზედროული პროცესია, ამდენად სამყარო, როგორც შედეგი, პირველი საწყისის, როგორც მიზეზის, მარად თანმხლებია. პრველი საწყისი მარადიულია, მარადიულია გამომდინარეობაც და გამომდინარეობის შედეგიც. სამყარო „მარად გამომდინარეობს, მარადიულია [ის] არსების მიხედვითაც და მარადიულია [მისი] უკუდაბრუნებაც“ (34)[44].

28. როგორც ვნახეთ, ნეოპლატონიზმში სიკეთე არაა მხოლოდ ეთიკური ცნება. სიკეთე აქ, ანტიკური იდეალიზმის ტრადიციის შესაბამისად და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც, პირველ ყოვლისა ონტოლოგიური კატეგორიაა, პირველი „ერთიანი და სიკეთე იგივეობრივია [ერთი და იგივეა], ხოლო სიკეთე... არის საწყისი ყოველივესი“ (20). არსის უკუდაბრუნების (იხ. ზევით) საფუძველი პირველი საწყისია, ხოლო მისადმი საყოველთაო სწრაფვის საგანი პირველი საწყისი, როგორც სიკეთეა.

ნეოპლატონიზმში თავიდანვე იდგა ბოროტების, როგორც სიკეთის ანტიპოდის, საწყისის, მისი ონტოლოგიური საფუძვლის საკითხი. პლოტინთან ბოროტება ხშირად გაიგივებულია მატერიასთან. ბოროტება არსში არ არსებობს, არსებობს მხოლოდ მატერიის სახით. პროკლეს შეხედულება ამ საკითხში უფრო თანმიმდევრულია. რამდენადაც მატერია მხოლოდ შესაძლებლობაა, არ შეიძლება მას ნამდვილი არსებობა ჰქონდეს, არ შეიძლება იყოს საწყისი, ჰქონდეს ონტოლოგიური მნიშვნელობა.

ამგვარად ჩამოყალიბდა და საბოლოო სახე მიიღო პროკლეს მოძღვრებაში შეხედულებამ, რომელიც სიკეთის სუბსტანციალობის, უფრო შესაფერისი ტერმინით — სიკეთის მონიზმის სახელწოდებით არის ცნობილი[45]. ეს იდეა გასდევს ქართულ ნეოპლატონიზმს და ბრწყინვალე განსახიერებას პოულობს „ვეფხისტყაოსანში“.

ზოგიერთი გაუგებრობის გამო, რომელსაც ადგილი აქვს მეცნიერებაში უნდა აღინიშნოს, რომ არსებობას (სიკეთისა) და არარსებობას (პეტრიწის ტერმინით — „უარსობას“ ბოროტებისა) ამ თეორიაში მხოლოდ ნამდვილი, ონტოლოგიური არსებობის და არ-არსებობის მნიშვნელობა აქვს და არ გამორიცხავს კერძოდ ბოროტების ემპირიულ, დოქსალურ არსებობას. ბოროტება არსებობს ფაქტობრივად, არსებობს ემპირიულ სინამდვილეში და ასე რომ არ იყვეს, თვით პრობლემაც არ დადგებოდა ბოროტებისა. მაგრამ ის,

---

[44] პროკლეს, გასაგები მოსაზრებების გამო, საჭიროდ მიაჩნია ეს შეხედულება დააკონკრეტოს გამომდინარეობის ცნებასთან მიმართებაში: ის, რომ „სამყარო მარადიულია, არ ნიშნავს, რომ ის არ გამომდინარეობს გონისაგან“ (34).

[45] რამდენად მნიშვნელოვანია და სპეციფიკური პროკლეს შეხედულებანი სიკეთის სუბსტანციალობაზე, ჩანს იქიდანაც, რომ არეოპაგიტული მოძღვრების მსგავსება ამ საკითხში პროკლეს შეხედულებებთან ითვლება ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად არეოპაგიტული მოძღვრების დამოკიდებულებისა პროკლეს მოძღვრებისაგან და I ს-ის მოღვაწის დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმურობისა. იხ. J. Stiglmeyr, Der neuplatoniker Proclus, als Vorlage des sogen. Dionysius Areopagita in der Lehre von Uebels, Hist. Jahrbuch d. Görresges, XVI, 1895.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ადამიანები ბოროტებას უწოდებენ, ის ბოროტება კი არაა, არამედ მხოლოდ არსის დაბლა სვლით, დაქვეითებით გამოწვეული სიკეთის კლება.

სიკეთის მონიზმი პრინციპულად უპირისპირდება სიკეთისა და ბოროტების მანიქეველურ დუალიზმს და როგორც მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებიდან არის ცნობილი, ამ თეორიამ ქრისტიანული გადამუშავების შემდეგ, კერძოდ, არეოპაგიტიკის სახით, დიდი სამსახური გაუწია ეკლესიას მისი მძლავრი მოწინააღმდეგის მანიქეველობასთან იდეურ ბრძოლაში[46].

---

[46] ნეოპლატონიზმს უკვე ჰეგელი აშუქებდა როგორც პანთეისტურ მოძღვრებას ფილოსოფიის ისტორიაში. პანთეიზმში, წერდა ჰეგელი ნეოპლატონიზმთან დაკავშირებით და სხვა ფილოსოფიურ მიმართულებებთან დაპირისპირებით, „საყოველთაო საფუძველი, საყოველთაო სუბსტანცია,... ხდება დაბოლოებული და ამით ეშვება დაბლა“. ასეთია, მისი აზრით, ემანაციური (ნეოპლატონისტური) მოძღვრება, „ემანაციური წესი“, სადაც საყოველთაო ანუ ღმერთი „უდებს თავის თავს საზღვარს“, ხდება დაბოლოებული, განსხვავებული და უარესი (Vorlesungen..., II, 1971, გვ. 463).

შემდეგ, ბერძნული ფილოსოფიის უდიდესმა მკვლევარმა ედ. ცელერმა განსაზღვრა ნეოპლატონიზმი, როგორც „დინამიკური პანთეიზმი“. ეს დებულება მრავალმა მკვლევარმა გაიზიარა. აღსანიშნავია ვლ. ლოსკის პოზიცია, რომელიც უარყოფს პანთეიზმს არეოპაგიტულ მოძღვრებაში, მაგრამ სამართლიანად თვლის ცელერის დებულებას პლოტინის მიმართ (Отрицательное богословие в учении Дионисия Ареопагита; Сборник статьей по археологии и византиноведению, издаваемый семинарием им. Н. Л. Кондакова, III, Прага, 1929, с. 137).

რამდენადაც ნეოპლატონიზმი ჩვენ გვაინტერესებს, როგორც ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულების დამსაბუთებელი ფილოსოფიური თეორია, იმდენად — მის პანთეისტურ იდეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ შევეხეთ ნეოპლატონისტურ იდეებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს შუა საუკუნეების პირობებში, კერძოდ მონოთეისტური კრეაციონიზმის ბატონობის პირობებში. მოვიტანთ „ენეადებიდან“ ერთ ადგილს, პირდაპირ მიმართულს კრეაციონიზმის წინააღმდეგ; ეს შეხედულება თავისი პირვანდელი სახით შევიდა, კერძოდ, არეოპაგიტულ მოძღვრებაში. „სცდებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ და ასწავლიან, რომ თუმცა იდეალური სამყარო მარად და უცვლელად არსებობს, გრძნობად სამყაროს დანგრევა მოელის; რომ ის [გრძნობადი სამყარო] აღმოცენდა დროში. [სცდებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ და ასწავლიან], თითქოს მას, ვინც ის [სამყარო] შექმნა, წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული შექმნის გეგმა“ (V, 8, 12).

საბჭოთა მეცნიერებაში ნეოპლატონიზმი თავიდანვე არ იყო, ჩვენის აზრით, სწორად შეფასებული. რიგმა ნაშრომებმა, რომლებიც ავტორიტეტულად ითვლება, შექმნა ატმოსფერო, რომელიც არ უწყობდა ხელს როგორც ამ საინტერესო მოძღვრების სწორ შეფასებას, აგრეთვე მისი მნიშვნელობის მართებულ გარკვევას, ფილოსოფიის შემდგომ განვითარებასა და, კერძოდ, შუა საუკუნეების აზროვნებაში.

ავტორთა კოლექტივის მრავალტომიან ფილოსოფიის ისტორიებში ვკითხულობთ: «Все характерные особенности упадочной философии конца рабовладельческого общества нашли наиболее выпуклое выражение в неоплатонизме. Неоплатонизм — это конечный продукт разложения и вульгаризации античной философии, а вместе с тем один из важнейших источников теологии средних веков. Эклектика, мистика, софистика наиболее сконцентрированно представлены именно неоплатонизмом» (История философии, под ред. Г. Ф. Александрова и др., 1, 1940, с. 371), «Неоплатонизм — одна из реакционнейших разновидностей мировоззрения рабовладельческой знати, порожденных упадком и разложением античного рабовладельческого строя, когда свет разума и науки гаснет, а идеалистическая философия погружается во мрак мистицизма и полностью сливается с религией. Глубокий пессимизм и разочарование в земной жизни, учение об испорченности, греховности и слабости человеческой природы, неверие в свободную, самостоятельную мысль человека и преклонение перед откровением— таковы основные черты неоплатонической философии» (История философии, 1, под ред. М. А. Динника и др., 1957, с. 158).

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

ნეოპლატონიზმის ასეთმა შეფასებამ უარყოფითი კვალი დააჩნია ფილოსოფიის შემდგომი განვითარების წყაროების სწორ გარკვევას, შემოვიფარგლები რამდენიმე მაგალითით.

პლოტინის უდიდესი, დომინანტური გავლენა ჯორდანო ბრუნოზე იმდენად ნათელია, რომ ამ ფაქტის იგნორირება მხოლოდ გაოცებას შეიძლება იწვევდეს და ამის მიუხედავად, „ფილოსოფიის ისტორიის" პირველ მრავალტომეულში თუ ხაზგასმულია — „ბრუნო მაღალ შეფასებას აძლევდა დემოკრიტეს, ეპიკურეს და ლუკრეციუსის ატომისტურ მოძღვრებას"-ო (Ист. философии, 11, 1941, გვ. 55), სრულიად არაა ნახსენები პლოტინი (და ნეოპლატონიზმი). მიუხედავად იმისა, რომ ბრუნოს თხზულებებიდან მოტანილ ციტატებს პირდაპირი ანალოგიები მოეპოვება პლოტინის „ენეადებში". ასეთივე ვითარებაა შემდეგდროინდელ მრავალტომეულში. ბრუნო „მისდევდა ანტიკური მატერიალისტების მატერიალისტურ და ათეისტურ ტრადიციებს". (Ист. философии, 1, 1957, გვ. 331), „მაღალ შეფასებას აძლევდა ძველბერძნულ დიალექტიკოსს ჰერაკლიტეს" (იქვე, გვ. 334). მაგრამ აქაც არც ერთი სიტყვა პლოტინზე. ამგვარივე სურათს ვხედავთ ბრუნოს დიალოგების (Диалоги, 1949) რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში (გვ. 5-41). იმ სწორ დებულებასთან ერთად, რომ „ჯორდანო ბრუნოს წინამორბედი ფილოსოფიაში, რომელმაც პირდაპირი გავლენა მოახდინა მის მოძღვრებაზე „დაპირისპირებულთა დამთხვევის" შესახებ, იყო ნიკოლოზ კუზანელი" (გვ. 14), იგივე ავტორი, როდესაც საკითხი ეხება ბრუნოს დიალექტიკურ შეხედულებებს, წერს: „ბრუნოს მოძღვრებამ კოსმოსზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიალექტიკის განვითარებაში. ბრუნო მაღალ შეფასებას აძლევდა ანტიკურ დიალექტიკოსს ჰერაკლიტეს. მან აღორძინა და გადაამუშავა ძველი ბერძნების დიალექტიკა (М. А. Дынник, Человек, солнце и космос в философии Дж. Бруно, «Вопросы философии», 9, 1966, გვ. 84. ეს სტატია მოხსენების სახით წაკითხული იყო საერთაშორისო სიმპოზიუმზე „აღორძინების ხანის მზე", ბრიუსელში, 1963 წ. აპრილში). არაფერია ნათქვამი არც ნიკ. კუზანელის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) და არც ჯორდანო ბრუნოს პირდაპირ წყაროზე (პლოტინი) „დაპირისპირებულთა დამთხვევის" შემთხვევაში. ნეოპლატონიზმის ასეთმა შეფასებამ თავისი კვალი დააჩნია ქართულ მეცნიერებასაც, როგორც თვით ამ მოძღვრების შინაარსის გაგების, აგრეთვე მისი გავლენის საკითხში, კერძოდ, არეოპაგიტულ მოძღვრებაზე, პეტრიწის ფილოსოფიაზე და რუსთაველის შეხედულებებზე.

ცნობილ საბჭოთა მეცნიერებს შორის, რუსეთში — ალ. ლოსევს და ჩვენში შ. ნუცუბიძეს დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულება აქვთ ნეოპლატონიზმზე, რომელსაც ეს ორი მეცნიერი ათეული წლების, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იცავენ.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე გამოქვეყნდა ნაშრომები, რომლებშიც მნიშვნელოვნად განსხვავებული შეხედულებანია გამოთქმული. ამ ნაშრომთა შორის საყურადღებოა В. В. Соколов, К исторической характеристике пантеизма в западноевропейской философии (журн. «Философские накуи», 1960, № 4, გვ. 77-87), რომელშიც გამოთქმულია დებულება, რომ მონოთეისტური მოძღვრების ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ გამოდიოდნენ „პანთეისტური კონცეფციები", რომლებიც «в своем большинстве... восходили к философскому учению неоплатонизма, оказавшему громадное влияние не только на средневековую философию, но и на средневековую теологию» (გვ. 79-80); იხ. მისივე, «Очерки философии эпохи Возрождения», М., 1962; А. Гулыга, У истоков материализма и атеизма нового времени (წინასიტყვაობა ჰ. ლეის გამოკვლევის —Очерк истории средневекового материализма, რუსული თარგმანისა, მოსკოვი, 1962), სადაც კრიტიკულად არის შეფასებული ავტორის (ჰ. ლეის) ნიჰილიზმი პლოტინის მიმართ.

ვ. სოკოლოვის მოტანილ შეხედულებებს იზიარებს ზ. ტაჟურიზინა, რომელსაც თავის გამოკვლევაში «Философия Николая Кузанского», 1972, შევნიშნავთ, სხვათა შორის, სავსებით დასაბუთებულად მიაჩნია პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისეს იდენტიფიკაციის ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია (გვ. 31).

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია დავასახელოთ ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში (ФЭ, 4, 1967, გვ. 45-48) გამოქვეყნებული სტატია ნეოპლატონიზმზე (ავტ. ალ. ლოსევი).

ნეოპლატონიზმის იდეები არ დაღუპულა — ვკითხულობთ აქ — ანტიკური საზოგადოების დაშლა-ხვრევასთან ერთად. უკვე ანტიკური ეპოქის ბოლოს მყარდება ნეოპლატონიზმის „რთული ურთიერთმოქმედება" ჯერ ქრისტიანულ და შემდეგ მუსლიმანურ და იუდეურ მონოთეიზმთან. მაგრამ მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონოთეიზმი განსხვავდება ნეოპლატონიზმისაგან. განსაკუთრებით მკვეთრ ხასიათს ღებულობს ეს განსხვავება შემდეგი კითხვების გადაწყვეტის დროს.

1. მონოთეიზმი მოითხოვდა პიროვნული აბსოლუტის დასაბუთებას. ნეოპლატონიზმს — პირიქით, აბსოლუტი ესმოდა, როგორც სავსებით უპიროვნო „ერთიანი" („ერთი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მონოთეიზმი ცდილობდა დაესაბუთებინა „წინააღმდეგობა ღმერთსა და სამყაროს შორის“. ნეოპლატონიზმი ავითარებდა მოძღვრებას „ღვთაების ემანაციაზე, ე. ი. გამომდინარეობაზე სამყაროში (истечение в мир)“, რის გამოც სამყარო წარმოდგა როგორც „იგივე ღმერთი, ოღონდ მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე“ (ხაზი ჩვენია, შ. ხ.).

3. „მონოთეიზმის ძირითად დოგმას“ შეადგენდა სამყაროს არარასაგან შექმნის დებულება. ნეოპლატონიზმს, პირიქით, ყოველთვის ჰქონდა „მიდრეკილება (тяготел) თეორიისაკენ მისი (მატერიის, შ. ხ.) მარადიულობასა და, მაშასადამე, სამყაროს მარადიულობაზე“, ჰქონდა მიდრეკილება „პანთეიზმისაკენ, ე. ი. ღმერთსა და სამყაროს შორის სუბსტანციური განსხვავების აცილებისაკენ (к устраению)“ (გვ. 46). სტატიაში საუბარია ფართო და ხანგრძლივ გავლენაზე, რომელიც ნეოპლატონიზმმა მოახდინა შემდგომი დროის აღმოსავლურ და დასავლურ ფილოსოფიაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრად უფრო ადრე ეს გავლენები და ნეოპლატონიზმის დიდი მნიშვნელობა რენესანსის ეპოქაში (კერძოდ, ნიკ. კუზანელთან, პლეთონთან, ფიჩინოსთან) ხაზგასმით იყო აღნიშნული შ. ნუცუბიძის ნაშრომში „Руставели и Восточный ренесанс», 1947. იმ განსხვავებით, რომ აღორძინების ხანის ამ მოაზროვნეებთან დაკავშირებით „ფილოს. ენციკლოპედიის“ სტატიაში ყურადღება ნეოპლატონიზმის „პანთეისტურ შესაძლებლობაზეა“ ყურადღება გამახვილებული. ჩვენთვის ქართული ნეოპლატონიზმის მნიშვნელობა რუსთაველის ჰუმანიზმთან მიმართებაში გაირკვა მისი პანთეისტური იდეების თვალსაზრისით, როდესაც ნათელი გახდა, რომ პანთეისტური იდეები XI-XII სს-ის ქართულ აზროვნებაში „ნეოპლატონისტური წარმომავლობისაა“ (Ш. В. Хидашели, Основные мировоззренические направления в феодальной грузии, 1962, с. 371).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

---

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1979, № 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანული ჭაბუკიანი

# ვ. ი. ლენინი ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახების შესახებ ჰეგელის ფილოსოფიაში („ფილოსოფიური რვეულების“ მიხედვით)

ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ჰეგელის ფილოსოფიის, როგორც მარქსიზმის თეორიული წყაროს, კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჰეგელის დიალექტიკას. ჰეგელისადმი მარქსიზმის დამოკიდებულებას წარმოგვიდგენენ შემდეგნაირად: მარქსიზმისათვის ჰეგელის ფილოსოფიაში რაციონალურ მარცვალს წარმოადგენს განვითარების იდეა და განვითარების ძირითადი კანონების აღმოჩენა. ეს დებულება სწორია რადგანაც აქ მითითებულია არსებითზე, მაგრამ იგი არ არის ჰეგელისადმი მარქსიზმის დამოკიდებულების ყველა ასპექტის მომცველი. ჰეგელისადმი მარქსიზმის მიმართებას სხვა მხარეც აქვს. ჰეგელის ფილოსოფია შეიცავს რაციონალურ მარცვლებს არა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციიდან, *არამედ ისტორიის მატერიალისტური გაგების პოზიციიდანაც*. ის აზრი, რომ ჰეგელის ფილოსოფია ისტორიული მატერიალიზმის უშუალო თეორიული წყაროა, მარქსისტულ ლიტერატურაში დასაბუთებული სახით პირველად სწორედ ვ. ი. ლენინის „ფილოსოფიურ რვეულებშია“ მოცემული. აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: ფ. ენგელსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის, როგორც ახალი მატერიალისტური მსოფლმხედველობის უშუალო თეორიულ წანამძღვარს. „ჰეგელი პირველი შეეცადა დაემტკიცებინა განვითარება და შინაგანი კავშირი პროცესისა, და რაგინდ უცნაურად არ უნდა გვეჩვენებოდეს ჩვენ ახლა მისი ისტორიის ზოგიერთი აზრი ამ ნაწარმოების ძირითადი კონცეფცია თავისი სიდიადით დღესაც გაკვირვების ღირსია, განსაკუთრებით, თუ ჰეგელს შევადარებთ მის წინამორბედებს, ან იმათ, ვინც მის შემდეგ ნებას აძლევდა თავის თავს ზოგადი მსჯელობა გაემართა ისტორიის შესახებ. მის „ფენომენოლოგიაში“, „ესთეტიკაში“, „ფილოსოფიის ისტორიაში“ — ყველგან წითელ ზოლად გავლებულია ისტორიის ეს გრანდიოზული გაგება, ყველგან საკითხები განხილულია ისტორიულად, განსაზღვრულ, თუმცა აბსტრაქტულად გადაყირავებულ კავშირში ისტორიულ სინამდვილესთან. ეს ეპოქის შემქმნელი გაგება ისტორიისა გახდა ახალი მატერიალისტური მსოფლმხედველობის უშუალო თეორიული წანამძღვარი“[1].

ფ. ენგელსს აქ არსებითად მხედველობაში აქვს ისტორიის დიალექტიკური გაგება. ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში“ მარქსიზმის დამოკიდებულებას ჰეგელისადმი, როგორც მარქსიზმის თეორიული წყაროსადმი, იხილავს უფრო ფართო პლანში. ვ. ი. ლენინი ცხადია, არსებით ყურადღებას

---

[1] ფ. ენგელსი, „კარლ მარქსი“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“; კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1963, გვ. 419-420.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქცევს ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდს, მაგრამ ამასთანავე ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის ანალიზისას ადგენს სხვა მომენტებსაც, რომელთა შედეგად მიიღება დასკვნა, რომ ჰეგელის ფილოსოფია, გარკვეული აზრით, წარმოადგენს ისტორიის მატერიალისტური გაგების თეორიულ წანამძღვარს. ამ საკითხის დასაბუთება ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. ჰეგელის, როგორც ისტორიის მატერიალისტური გაგების თეორიული წყაროს დასახასიათებლად ვ. ი. ლენინი აყალიბებს შემდეგ დებულებებს: „ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახები ჰეგელთან"[2], „ჰეგელი და ისტორიული მატერიალიზმი"[3], „ისტორიული მატერიალიზმი, როგორც ერთ-ერთი გამოყენება და განვითარება გენიალურ იდეათა—მარცვალთა, რომლებიც ჩანასახის სახით ჰეგელს მოეპოვება"[4], ჰეგელის „მისვლა ისტორიულ მატერიალიზმთან"[5] და სხვა. ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი დამსახურება მარქსისტული ფილოსოფიის წინაშე ისაა, რომ მან სრულიად გარკვეულად დასვა და განიხილა საკითხი ჰეგელის ფილოსოფიის, როგორც სწორედ ისტორიის მატერიალისტური გაგების თეორიული წანამძღვრის შესახებ. უდავოა „ფილოსოფიურ რვეულებში" წამოყენებული ამ დებულების მნიშვნელობა მარქსიზმის ფორმირებისა და თვით ჰეგელის ფილოსოფიის მეცნიერული ღირებულების გარკვევისათვის.

რა კონკრეტული შინაარსი აქვს ვ. ი. ლენინის დებულებას იმის შესახებ, რომ ჰეგელის ფილოსოფია ისტორიის მატერიალისტური გაგების თეორიული წანამძღვარია? ამის გასაგებად საჭიროა ყურადღება მიექცეს ერთ გარემოებას:

საყოველთაოდ მიღებულია, რომ ისტორიული მატერიალიზმის არსს გამოხატავს კ. მარქსის შემდეგი დებულება: „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ საზოგადოებრივ ცნობიერებას"[6]. ესაა სოციოლოგიის ძირითადი საკითხის მატერიალისტური გადაწყვეტა. ე. ი. ადამიანთა საზოგადოებასა და მის ისტორიაზე გავრცელებული მატერიალიზმი. ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა ჰეგელის ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნააზრევის რომელიმე მომენტი უშუალო თეორიულ წანამძღვრად გამოდგეს იმ მატერიალისტური კონცეფციისათვის, რომლის თანახმად საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას? ცხადია, არა. ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმი ამ კონცეფციის პრინციპულად საწინააღმდეგოა. „ჰეგელმა მეტაფიზიკისაგან გაათავისუფლა ისტორიის გაგება, მან იგი დიალექტიკური გახადა. მაგრამ მისი გაგება ისტორიისა არსებითად იდეალისტური იყო"[7]. მაშინ რა აზრითაა შესაძლებელი ვილაპარაკოთ ჰეგელის ფილოსოფიაზე, როგორც ისტორიის მატერიალისტური გაგების გარკვეულ თეორიულ წყაროზე? რა აზრითაა შესაძლებელი ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჰეგელთან მოცემულია „ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახები?" როგორაა შესაძლებელი ვამტკიცოთ, რომ როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებ-

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ., 38. გვ. 187.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 314.

[6] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 10.

[7] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ისტორიული მატერიალიზმი არის „ერთ-ერთი გამოყენება და განვითარება გენიალურ იდეათა—მარცვალთა, რომლებიც ჩანასახის სახით ჰეგელს მოეპოვება?“ როგორაა შესაძლებელი საკითხის ამგვარი დაყენება? უნდა ითქვას შემდეგი: ზემოთ მოყვანილი დებულება საზოგადოებრივი ცნობიერების საზოგადოებრივი ყოფიერებით განსაზღვრულობის შესახებ, გამოთქვამს ისტორიული მატერიალიზმის არსს, მაგრამ ცხადია, რომ ისტორიის მატერიალისტური გაგების მთელი კონკრეტული შინაარსი სცილდება ამ დებულების ფარგლებს. ისტორიის მატერიალისტური გაგების კონკრეტული შინაარსი გამოთქმულია კ. მარქსის შემდეგ დებულებაში წინასიტყვაობიდან „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, საიდანაც აღებული იყო ზემოთ მოყვანილი პირველი დებულება ისტორიული მატერიალიზმის არსის შესახებ. ეს მეორე დებულება შემდეგია: „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს“[8]. რა განსხვავებაა პირველ და მეორე დებულებას შორის? კ. მარქსის ამ უკანასკნელ დებულებაში ნათქვამია არა მხოლოდ ის, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას, არამედ ნათქვამია უფრო მეტი: საზოგადოებრივი ყოფიერების ელემენტებიდან მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს, ჯერ ერთი, საზოგადოებრივი ყოფიერების სხვა ელემენტებს და, მეორე, საზოგადოებრივ ცნობიერებას, ანუ გონებრივი ცხოვრების პროცესს. ამდენად, ამ დებულებაში მარტო ის კი არაა ნათქვამი, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება განმსაზღვრელია საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართ, არამედ აქ მოძებნილია საზოგადოებრივი ყოფიერების ის მთავარი ელემენტი (წარმოება), რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი ყოფიერების დანარჩენ ელემენტებსაც და საზოგადოებრივ ცნობიერებასაც. ვ. ი. ლენინის მიხედვით, სწორედ ესაა „იდეა მატერიალიზმისა სოციოლოგიაში“. კ. მარქსმა „საზოგადოებრივი ყოფიერების სხვადასხვა დარგიდან გამოჰყო ეკონომიური დარგი, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან გამოჰყო წარმოებითი ურთიერთობანი, როგორც ძირითადი, პირვანდელი; ყველა დანარჩენი ურთიერთობის განმსაზღვრელი“[9]. ზუსტად რომ ვთქვათ, ისტორიული მატერიალიზმი გულისხმობს არა მხოლოდ საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელ როლს ცნობიერების მიმართ, არამედ საზოგადოებრივი ყოფიერების ძირითადი ელემენტის—წარმოების განმსაზღვრელ როლს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ, ე. ი. არა მხოლოდ საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართ, არამედ საზოგადოებრივი ყოფიერების სხვა მხარეების მიმართაც. სწორედ ეს აზრი უნდა გვქონდეს მხედველობაში, როცა ვლაპარაკობთ „ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახების“ შესახებ ჰეგელის ფილოსოფიაში.

ჰეგელის სოციოლოგიური კონცეფცია, რომელიც გადმოცემულია არა მხოლოდ „ისტორიის ფილოსოფიაში“, არამედ, გარკვეული ასპექტით, დახასიათებულია მის ყველა ძირითად ნაშრომში, აშენებულია ობიექტური, აბსოლუტური იდეალიზმის საფუძველზე. ამ კონცეფციისათვის ამოსავალია შემდეგი დებულება: „გონება ბატონობს სამყაროში და ამდენად, შესაბამისად

---

[8] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 10.

[9] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 1, გვ. 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ისტორიული პროცესიც გონივრად ხორციელდება“[10]. ეს არის ისტორიის წანამძღვარი, ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში“ ყურადღებას მიაპყრობს ჰეგელის მიერ ამ დებულების გაშლას „ისტორიის ფილოსოფიის“ შ ე ს ა ვ ა ლ შ ი. რომელიც ვ. ი. ლენინის აზრით, „ყველაზე მნიშვნელოვანია“ „ისტორიის ფილოსოფიაში“, „სადაც ბევრი რამ საუცხოოა საკითხის დაყენებაში“[11]. სწორედ აქ, შესავლის ამ ნაწილში იძლევა ჰეგელი გონების, როგორც ისტორიის სუბსტანციის დახასიათებას. გონება არის სუბსტანცია — ეს ნიშნავს იმას, რომ სინამდვილეს ყოფიერება (არსი) აქვს მხოლოდ გონებით. ყოფიერება სინამდვილეს მხოლოდ გონების შემწეობით შეიძლება ჰქონდეს. გონება არის უსასრულო ძალა — ეს ნიშნავს იმას, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანის თავში არანამდვილი, იდეალური, ჯერარარსებული, უმოქმედო არსებობით. გონება არის უსასრულო შინაარსი—ეს ნიშნავს, რომ იგი მთელი სინამდვილის არსება და ჭეშმარიტებაა, იგი წარმოადგენს თავისთვის იმ საგანს, რომლის დადგენისაკენაა მიმართული მთელი მისი მოქმედება. გონება მოქმედების შინაარსსა და ობიექტებს არ იღებს გარეგანისაგან. იგი წარმოადგენს უსასრულო ფორმას, როგორც მისი საკუთარი შინაარსის გამოვლინებას. გონება წარმოადგენს თავის თავის წანამძღვარს და აბსოლუტურ მიზანს, თვითონ ახორციელებს თავის საბოლოო მიზანს და ამ განხორციელების მიზნით ხდება გადასვლა არა მხოლოდ ბუნებაში, არამედ მსოფლიო ისტორიაში. სამყაროში არაფერი არ ვლინდება ამ ჭეშმარიტი იდეის გარდა[12]. ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიის“ შესავლის ეს ნაწილი კვინტესენცირებული სახით გადმოგვცემს ჰეგელის მთელ ფილოსოფიურ სისტემას. რას ნიშნავს ჰეგელის ფილოსოფიის მიხედვით, დებულება „გონება მართავს სამყაროს“, როცა ამ დებულებას ვიაზრებთ სოციალური ფენომენის მიმართ?

სულის არსებას თავისუფლება წარმოადგენს. თავისუფლება არის ჭეშმარიტი სული. მაგრამ სული მეტია, ვიდრე თვითცნობიერება, იგი მოქმედებაცაა. იგი თავის თავს ქმნის იმად, რასაც თვითონ წარმოადგენს. ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიაში“ სწორედ ამ კონტექსტშია გამოთქმული მსოფლიო ისტორიის, როგორც პროცესის, ცნობილი ჰეგელისეული გაგება, რომელსაც ვ. ი. ლენინი ყურადღებას აპყრობს „ფილოსოფიურ რვეულებში“. „მსოფლიო ისტორია არის პროგრესი თავისუფლების შეგნებაში, რომელიც ჩვენ უნდა შევიცნოთ მის აუცილებლობაში“[13]. საზოგადოების ისტორია არის არა მხოლოდ ქმნადობა, არამედ ისეთი ქმნადობა, რომელიც განვითარება და პროგრესია. სოციალური პროგრესი წარმოადგენს პროგრესს თავისუფლების შეგნებაში. ესაა ისტორიის როგორც დიალექტიკური პროცესის გაგების ამოსავალი. მსოფლიო ისტორია ვითარდება საფეხურებრივად[14]. ეს საფეხურები თავისუფლების შეგნების (შემეცნების) საფეხურებს და, ამდენად, თავისუფლების ცნების დადგენის საფეხურებს წარმოადგენენ. სულის არსება თავისუფლებაში და რადგანაც მსოფლიო ისტორია არის პროგრესი თავისუფლების შეგნებაში, ამდენად, იგივე წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის საფეხურებად

---

[10] Г е г е л ь, Соч., т. VIII, с. 10.

[11] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 321.

[12] Г е г е л ь, Соч., т. VIII, с. 10—11.

[13] იქვე.

[14] Г е г е л ь, Соч., т. VIII, с. 67.

ეროვნული

დაყოფის კრიტერიუმს. ისტორიის მიზანი თავისუფლების განხორციელებაში მდგომარეობს. ამდენად, სულის არსება და ისტორიის მიზანი ერთმანეთს ემთხვევა. ჰეგელის მიხედვით, სული თავის თავს, როგორც თავისუფლებას საბოლოოდ იმეცნებს და, ამდენად, მიზანს აღწევს გერმანულ სამყაროში. ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის ამ უაღრესად მოკლე დახასიათებიდანაც ნათლად ჩანს, რომ როგორც ფ. ენგელსი ამბობს, ჰეგელი ამაღლდა წინანდელ სოციოლოგიაზე „ვეება ისტორიული ალღოთი“. მაგრამ ჰეგელისავე აბსოლუტური იდეალიზმის ნამდვილი ბუნება სწორედ მის ისტორიის ფილოსოფიაში ჩანს. ისტორიის დიალექტიკური პროცესი სულის მოძრაობა, გაშალა და განვითარება, უფრო ზუსტად, სულის თვითდადგენაა. ისტორია, თუ შეიძლება ასე ითქვას ამ თვითდადგენას ემსახურება. სწორედ ამიტომ აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში“, რომ ჰეგელის მთელი ნააზრევიდან ყველაზე უფრო მოძველებული და ანტიკვირებული ისტორიის ფილოსოფიაა[15]. მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ჰეგელის სოციოლოგიურ ნააზრევში კაცობრიობის ისტორია იქცევა კაცობრიობის აბსტრაქტული და ამიტომ ნამდვილი ადამიანისათვის მიღმური სულის ისტორიად. ასეთია ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის არსებითი მომენტებისა და მათი მარქსისტული შეფასების მოკლე დახასიათება.

ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული დებულება, რომ „ჰეგელს აქვს ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახები „ფილოსოფიურ რვეულებში“ გაშლილი და ნაჩვენებია ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“, „ისტორიის ფილოსოფიისა“ და „ფილოსოფიის ისტორიის“ განხილვის ფონზე. ვ. ი. ლენინის „ფილოსოფიური რვეულების“ ანალიზით შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე მომენტი, რომლებიც გვიჩვენებენ, ისტორიულ მატერიალიზმს, როგორც „ერთ-ერთ გამოყენებასა და განვითარებას გენიალურ იდეათა — მარცვალთა, რომლებიც ჩანასახის სახით ჰეგელს მოეპოვება“ და გვიხასიათებენ ჰეგელის ფილოსოფიას, როგორც ისტორიული მატერიალიზმის თეორიულ წყაროს:

1. ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჰეგელმა ისტორია გაიგო როგორც *დიალექტიკური პროცესი*. დაპირისპირება ჰეგელის ფილოსოფიის სისტემასა და მეთოდს შორის ყველაზე არსებითად სწორედ ისტორიის ფილოსოფიაში იჩენს თავს. მაგრამ აბსოლუტური იდეალიზმის შიგნით ჰეგელმა გვიჩვენა საზოგადოების განვითარება, როგორც დიალექტიკური პროცესი. ჰეგელის თქმით, ისტორიის დიალექტიკურ გაგებამდე არ შეიძლება ამაღლებულიყო არც პირველდაწყებითი და არც რეფლექსური ისტორია. აქამდე შეიძლება ამაღლდეს მხოლოდ ფილოსოფიური ისტორია, რომლის მიხედვითაც გონება ბატონობს სამყაროში და, შესაბამისად, მსოფლიო ისტორიული პროცესიც გონებრივად ხორციელდება. საზოგადოების ისტორია ემორჩილება სინამდვილის დიალექტიკურ ბუნებას, ჰეგელის მიხედვით, გონის დიალექტიკას. ისტორიის დიალექტიკური განვითარების სპეციფიკურობის ჩვენებისათვის, ჰეგელის ნააზრევში, მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ სამ მომენტს: პირველი მომენტი ისაა, რომ ისტორია არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც *წრებრუნვა*. ამით ჰეგელმა, ერთი მხრივ, ანგარიში გაუსწორა წინამორბედ სოციალურ თეორიებს. ხოლო, მეორე მხრივ, აჩვენა, რომ ბუნებისაგან განსხვავებით ისტორია

---

[15] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 321.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრესული განვითარებით ხასიათდება. სწორედ ესაა მეორე მომენტი. ისტორია განიცდის დიალექტიკურ განვითარებას პროგრესული გზით. ისტორიის ყოველი ახალი საფეხური — აღმოსავლეთის სამყარო, ბერძნულ-რომაული სამყარო და გერმანული სამყარო, ჰეგელის მიხედვით, ამ პროგრესის საფეხურებს წარმოადგენენ. ცხადია, ეს განვითარება ნიშნავს სულის გადასვლას მისი თვითშემეცნების ახალ საფეხურზე, მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში" აღნიშნავდა, ჰეგელთან ცნებათა დიალექტიკაში თავს იჩენს საგანთა დიალექტიკა. მესამე მომენტი ისაა, რომ ჰეგელმა ნათელყო ისტორიული პროგრესის შემეცნებისათვის პროგრესის კრიტერიუმის დადგენის მნიშვნელობა. ჰეგელისათვის ისტორიული პროგრესის კრიტერიუმი თავისუფლების გაცნობიერების დონეში მდგომარეობს. ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია არა საკითხის გადაწყვეტა, არამედ დაყენება. ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში" მიუთითებდა, რომ ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაში, ისტორიული მატერიალიზმის პოზიციიდან, ბევრი რამ არის მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით „საკითხის დაყენებაში"[16]. ჰეგელმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ისტორიის პროგრესის კრიტერიუმი ობიექტური გარკვეულობის უნდა იყოს. ისტორია იქმნება ობიექტური და სუბიექტური მომენტების ერთიანობით (ამის შესახებ ქვემოთ). მაგრამ პროგრესის კრიტერიუმი დამოუკიდებელი უნდა იყოს სუბიექტისაგან. ერთი სიტყვით, ისტორიული მატერიალიზმის პოზიციიდან ჰეგელის დამსახურება სოციოლოგიის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან ისტორია გაიაზრა, როგორც დიალექტიკური პროცესი, სადაც განვითარება მიმდინარეობს პროგრესის გზით, რომლის დადგენაც შესაძლებელია ობიექტური კრიტერიუმის მოშველიებით.

2. ისტორიული მატერიალიზმის პოზიციიდან მეტად მნიშვნელოვანია ჰეგელის თვალსაზრისი ისტორიის, როგორც პროცესის ობიექტური და სუბიექტური მომენტებისა და მათი კავშირის შესახებ. ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაში განვითარებული ეს მოსაზრება საყურადღებო წანამძღვარია ისტორიის მარქსისტული გაგებისათვის. სული ახორციელებს ისტორიაში თავის თავს, როგორც თავისუფლება. სული, როგორც ისტორიული პროცესის არსება თავისთავად არსებობიდან „მაღლდება" თავისთვის არსებობამდე. ეს „ამაღლება" გარკვეული საშუალებით ხორციელდება. ისტორია არის ობიექტური და სუბიექტური მომენტების ერთიანობა. ადამიანთა მოღვაწეობა, მოქმედება ისტორიის „კეთების" საშუალებაა. სული, როგორც ისტორიული პროცესის შინაარსი არსებობს ობიექტურად[17], მაგრამ ასეთი არსებობისას იგი მხოლოდ ისტორიის შესაძლებლობაა. ამ შესაძლებლობის გადაქცევა სინამდვილედ შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის მოქმედების გზით[18]: ისტორიას ვერც მხოლოდ ობიექტური მომენტი ქმნის, ვერც მხოლოდ სუბიექტური მომენტი. იგი მათი ერთიანობით იქმნება. რა წარმოადგენს ადამიანთა მოღვაწეობის უშუალო მამოძრავებელს, მოტივს, წყაროს? ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში" შენიშნავდა, რომ ჰეგელთან ამ კითხვის გადაწყვეტისას გვაქვს „მისვლა ისტორიულ მატერიალიზმ-

[16] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 321.
[17] Г е г е л ь, Соч., т. VIII, с. 21.
[18] იქვე, გვ. 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან“[19]. ადამიანთა მოქმედებას წარმართავენ მათი სუბიექტური მიზნები, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის უშუალო მამოძრავებელნი[20]. ამდენად, ისტორია არის ინდივიდების ვნებათა, ინტერესთა და მოქმედებათა შეჯახების ასპარეზი. „ფილოსოფიურ რვეულებში“ ვ. ი. ლენინი ჰეგელის ამ აზრს ასეთ კომენტარს უკეთებს: ეს არის „ისტორიის შესანიშნავი სურათი“, რომ ეს „ძალიან კარგია“[21]. ისტორიაში, როგორც ვნებათა, ინტერესთა და მოქმედებათა შეჯახებაში, გზას იკაფავს ისტორიული პროცესის სუბსტანცია, სული[22]. იგი მოქმედებს, თავისთავად არსებობიდან ქმნის თავისთვის არსებობას და ქმნის სწორედ ისტორიის სუბიექტურ მომენტთან კავშირში. ისტორია არის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა.

ჰეგელს მოძღვრებაში ისტორიული პროცესის ობიექტური და სუბიექტური მომენტების ერთიანობის შესახებ, ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით, ორი მომენტია საინტერესო. ჯერ ერთი, აქ მოხსნილია ვოლუნტარიზმის და ფატალიზმის ცალმხრიობანი. მეორეც, ჰეგელის თვალსაზრისში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიაში სუბიექტური მხარის, ადამიანის მოქმედების სტიმულების განსაზღვრულობას ობიექტური მხარით (ჰეგელის მატერიალისტური წაკითხვისას). ფ. ენგელსი ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიას მაღლა აყენებდა მარქსამდელ მატერიალიზმთან შედარებით, რადგანაც ჰეგელი აღიარებს, რომ ისტორიული მოღვაწეობის როგორც აშკარად შესამჩნევი, ისე ნამდვილად მოქმედი მოტივები სრულიად არ წარმოადგენენ ისტორიული მოღვაწეობის უკანასკნელ მიზეზებს, ამ მოტივების უკან სხვა მამოძრავებელი ძალები დგას და საჭიროა მათი გამოკვლევა. ჰეგელის ნააზრევში არის რაციონალური მარცვლები ისტორიაში ობიექტური და სუბიექტური მომენტების მიმართების სწორი გაგებისათვის.

3. ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ჰეგელის აზრი *ისტორიაში მოქმედ ადამიანთა მიზნებისა და მათ მიერ მოპოვებული შედეგების არა იგივეობის შესახებ*. ეს საკითხი ზემოთ გარჩეული საკითხის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ჰეგელი შენიშნავს, რომ თავიანთი მოღვაწეობით ისტორიაში ადამიანები ახორციელებენ თავიანთ ინტერესებს, მაგრამ ამავე მოღვაწეობითვე მიიღება რაღაც სხვა შედეგები, რომელიც მოქმედებით არ იყო გათვალისწინებული. ადამიანები ისტორიაში ახორციელებენ „თავიანთ ინტერესს, მაგრამ ამით ხორციელდება კიდევ რაღაც უფრო შორეული, რასაც ეს ინტერესი თუმცაღა შეიცავდა კიდევ შინაგანად, მაგრამ რასაც არ შეიცავდა მათი ცნობიერება და მათი განზრახვა“[24]. ამდენად, ისტორიის ობიექტური და სუბიექტური მომენტები ყოველთვის არ მიიმართებიან იმგვარად, რომ მათ შორის დაპირისპირებას არ ჰქონდეს ადგილი. ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით, ადამიანის მოღვაწეობა ყოველთვის გაცნობიერებულია. ე. ი. ადამიანი აცნობიერებს ობიექტურ ვითარებას და შესაბამისად ისახავს მიზანს.

---

[19] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38., გვ. 314.
[20] Г е г е л ь, Соч., т. VIII, с. 69.
[21] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38., გვ. 116.
[22] Г е г е л ь, Соч., т. VIII, с. 69.
[23] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 471.
[24] Г е г е л ь, Соч., т. VIII, с. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს გაცნობიერება არაა ამომწურავი, ისტორიული პროცესი კიდევ რაღაცას შეიცავს შინაგანად, ამიტომ პროცესის შედეგად მიღებული შედეგი სუბიექტის განზრახვისაგან დაშორებულია. ისტორიის ობიექტური მხარე შეიცავს „რაღაც უფრო მეტს“, ვიდრე სუბიექტურმა მხარემ „უშუალოდ იცის და სურს“, შედეგები მოსალოდნელს დაცილებული და შორეული გამოდის. ამ პუნქტში ღრმავდება ჰეგელის ის თეზისი, რომ ისტორიულ პროცესში სუბსტანციად ამ პროცესის ობიექტური მხარე გამოდის. ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის ამ ადგილის გარჩევისას ვ. ი. ლენინი პარალელს ავლებს მარქსიზმთან და აშიაზე მიაწერს „შეადარეთ ენგელსს“.

ვ. ი. ლენინს აქ მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის შრომის „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“-ს ის ადგილები, სადაც ფ. ენგელსი არჩევს ისტორიაში ობიექტური და სუბიექტური მხარეების მიმართებას. ფ. ენგელსი შენიშნავს, რომ ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, ამ პროცესში ისინი მისდევენ შეგნებულად დასახულ მიზანს, მისწრაფებებს, მაგრამ „ისტორიაში მოქმედი მრავალი ცალკე მისწრაფება, უმეტეს ხაწილად, წინასწარ დასახულს კი არა, პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგს იწვევს, ამიტომ მოტივებს საერთო შედეგისათვის, მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვთ“[25]. ფ. ენგელსი გაცილებით შორს მიდის ჰეგელთან შედარებით, მაგრამ აქ, ისტორიული მატერიალიზმის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას, ჰეგელის კვალი აშკარაა. ადამიანების მიზნებს საბოლოოდ თავისებურ კალაპოტში აქცევს ისტორიის ობიექტური ვითარება, მაგრამ მიზნის დასახვისას „მუშაობენ“ სუბიექტური, „იდეალური მოტივები“: პატივმოყვარეობა, სარგებლობა და ა. შ. ისტორიის კეთებისას სუბიექტური მხარე ამის გამოც (გარდა იმისა, რომ ბოლომდე აქვს ობიექტური ვითარება შემეცნებული), ყოველთვის არ მოქმედებს ისტორიის ობიექტური მხარის შესატყვისად, ცხადია, რომ ჰეგელის ეპოქაში „ისტორიის მამოძრავებელი მიზეზების გამოკვლევა თითქმის შეუძლებელი იყო“[26], მაგრამ ჰეგელს აქვს გენიალური მიხვედრები იმ ასპექტითაც, რომ ისტორიაში სუბიექტური მიზნების ფორმირებაში გარკვეულად მონაწილეობენ ადამიანთა ეკონომიური და სოციალური მდგომარეობანი. ამაზე გარკვეულად მიუთითებს მონისა და ბატონის ცნობიერების დახასიათება „სულის ფენომენოლოგიაში“ და „ისტორიის ფილოსოფიის“ ის ადგილი, სადაც ჰეგელი აღნიშნავს, რომ ისტორია არაა ბედნიერების სარბიელი. ვ. ი. ლენინის „ფილოსოფიურ რვეულებში“ ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის ზემოთ დასახელებული ადგილის ანალიზი შემოიფარგლება მინაწერით „შეადარეთ ენგელსს“, მაგრამ ამ მინაწერს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. იგი ზუსტად ახასიათებს ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის ამ მომენტს როგორც ისტორიული მატერიალიზმისათვის გარკვეულ წანამძღვარს. თავის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში, კერძოდ, შრომებში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ და „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, ვ. ი. ლენინი ვრცლად განიხილავს პრობლემას ისტორიაში მოქმედების მიზნისა და შედეგის დაპირისპირების შესახებ.

---

25 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. 11, გვ. 470.

26 იქვე, გვ. 473.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ჰეგელის ზემოთ გარჩეული თვალსაზრისია მატერიალისტურად განვითარებული.

4. ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით, შეიძლება ჰეგელის ფილოსოფიის რაციონალურ მარცვლად მივიჩნიოთ გერმანელი იდეალისტის მოსაზრება ისტორიაში დიდი ადამიანების როლის შესახებ. ეს საკითხი ზემოთ გარჩეული საკითხის გაგრძელებას წარმოადგენს. მარქსიზმის მიერ აღნიშნული ძველი სოციოლოგიის ნაკლი, რომ მას არ ესმოდა ისტორიაში პიროვნებისა და მასების როლის თანაფარდობა, ჰეგელზეც ვრცელდება. მაგრამ ჰეგელის ფილოსოფიაში არის ერთი მომენტი, რომელიც ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ მის კონცეფციას გარკვეულ ღირებულებას ანიჭებს. ჰეგელისათვის ისტორიული პროცესის სუბსტანციას სული წარმოადგენს. ამ პროცესის სუბიექტური მხარე ადამიანის მოქმედებაა. ზემოთ აღნიშნული დაპირისპირება მიზნებსა და შედეგებს შორის გამოწვეულია იმით, რომ მსოფლიო სულის მოთხოვნები ადამიანურ მოქმედებაში ბოლომდე არაა დაჭერილი. ასეთ სიტუაციაში გამოთქვამს თავის აზრს ჰეგელი დიდი ისტორიული პიროვნებების შესახებ: „დიდი ადამიანები ისტორიაში ეს ისინი არიან, რომელთა პირადი, კერძო მიზნები შეიცავენ სუბსტანციურს, რომელიც მსოფლიო სულის ნებას წარმოადგენს“[27]. ვ. ი. ლენინი ამ ადგილს „ფილოსოფიურ რვეულებში“ უკეთებს შენიშვნას „დიდი ადამიანები“. ჰეგელის მიხედვით, ასეთი ადამიანები ისტორიის გმირებს წარმოადგენენ. მათი მოქმედება ისტორიული პროცესის შესაბამისია. დიდი ადამიანების ინტერესები წარმოადგენენ მსოფლიო სულის (მატერიალისტურად—ისტორიული კანონზომიერების) მოთხოვნათა გაცნობიერებას. შეუძლებელია აქ არ დავინახოთ რაციონალური მარცვალი ისტორიული მატერიალიზმის პოზიციიდან. ისტორიაში დიდი ადამიანების როლის შესახებ ჰეგელისა და მარქსიზმის მოძღვრება აგებულია ძირეულად განსხვავებულ გამოსავალ პრინციპებზე, მაგრამ მათ უსათუოდ აქვთ შეხების წერტილები.

5. მეტად მნიშვნელოვანია ჰეგელის მოსაზრებანი პრაქტიკის, კერძოდ, შრომის, წარმოების სოციალური ფუნქციის შესახებ. ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში“ სწორედ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ჰეგელს აქვს „ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახები“. ვ. ი. ლენინი ყურადღებას აპყრობს შემდეგ ადგილს „ისტორიის ფილოსოფიიდან“: „ადამიანი თავისი მოთხოვნილებებით გარეშე ბუნებას პრაქტიკულად ეპყრობა. იკმაყოფილებს რა თავის მოთხოვნილებებს ბუნების შემწეობით იგი სძლევს ბუნებას, მოქმედებს რა მასთან შუამავლის სახით. საქმე ისაა, რომ ბუნების საგნები მძლავრნი არიან და ყოველგვარ წინააღმდეგობას გვიწევენ. რათა ისინი დაიმორჩილოს, ადამიანი მათ შორის ჩაურთავს ბუნების სხვა საგნებს, წარმართავს, ამრიგად, ბუნებას თვით ბუნების წინააღმდეგ და გამოიგონებს ამ მიზნისათვის იარაღებს. ადამიანის ეს გამოგონებანი ეკუთვნის სულს, და ასეთი იარაღი უფრო მაღლა უნდა იყოს დაყენებული, ვიდრე ბუნების საგანი“[28]. ვ. ი. ლენინი ამ ამონაწერის გასწვრივ მიაწერს შემდეგს: „ჰეგელს აქვს ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახები“, და „ჰეგელი

---

[27] Гегель, Соч., т. VIII, с. 29.

[28] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მარქსი“[29]. რა ანალოგიაა აქ ვ. ი. ლენინის მიერ დანახული? ჰეგელის მატერიალისტურად წაკითხვისას მის შრომებში მჟღავნდება ის აზრი, რომ პრაქტიკული, შრომითი მოღვაწეობა, ადამიანის საგნობრივი, გარდამქმნელი მოქმედება წარმოადგენს გადამწყვეტ მომენტს საზოგადოების არსებობისათვის. „ესთეტიკაში“ და „სულის ფენომენოლოგიაში“, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში, ჰეგელი მიმოიხილავს პრაქტიკის მრავალ ელემენტს და ადამიანის არსებად გაიგებს შრომას. „ჰეგელი ადამიანის თვითჩამოყალიბებას განიხილავს როგორც პროცესს, განიხილავს როგორც გასაგნებას, როგორც თვითგანსხვისებას და ამ თვითგანსხვისების მოხსნას; ეს იმაში მდგომარეობს რომ იგი თითქოს იჭერს შრომის არსებას და საგნობრივი ადამიანი, ჭეშმარიტი და ამიტომ ნამდვილი ადამიანი მას ესმის როგორც მისი საკუთარი შრომის შედეგი“[30]. ცხადია, ჰეგელის ობიექტურ იდეალიზმში შრომა აბსტრაქტულადაა გაგებული, ეს პროცესი არ არის ნამდვილი მატერიალური მოღვაწეობა, ამასთანავე არ უკავშირდება კონკრეტულ სოციალ-ეკონომიურ პირობებს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ჰეგელის ნააზრევში შრომა დანახულია როგორც ადამიანის არსების ყველაზე სიღრმისეული ფენომენი.

ჰეგელმა შესანიშნავად დაინახა პრაქტიკის პროცესის შინაგანი დიალექტიკა. „ლოგიკის მეცნიერებაში“ ჰეგელმა გაარჩია მიზნისა და საშუალების დიალექტიკური კავშირი და წამოაყენა დებულება ბუნებისადმი ადამიანის პრაქტიკული მიმართების შინაგანი დიალექტიკის შესახებ „თავისი იარაღების შემწეობით ადამიანს გააჩნია ძალა გარეშე ბუნებაზე, მაშინ როდესაც თავის მიზნებში იგი უფრო ემორჩილება მას“[31]. აქ გარკვეულია ადამიანისა და გარეგანი სინამდვილის მიმართების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მხარე, ამ მიმართების დიალექტიკა. ადამიანები მიზნობრივად მოქმედებენ. მიზანი პირობადებულია ცოდნით და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს ადამიანი წარმატებას, როცა მიზანი ემორჩილება ბუნებას. მაგრამ განხორციელებული მიზანი უკვე ბუნების დამორჩილებას ნიშნავს, რაც იარაღების მეშვეობით ხორციელდება. აქ ჰეგელის ნააზრევში „დაჭერილია“ წარმოების იარაღების როლი. ამ ადგილის კომენტირებისას ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში“ მიუთითებს, რომ აქ გვაქვს „ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახები ჰეგელთან“, „ჰეგელი და ისტორიული მატერიალიზმი“, რომ აქ აშკარად ჩანს „ისტორიული მატერიალიზმი, როგორც ერთ-ერთი გამოყენება და განვითარება გენიალურ იდეათა — მარცვალთა, რომლებიც ჰეგელს მოეპოვება“[32]. ყოველივე ეს ნათელყოფს, თუ რატომ მიაწერა ვ. ი. ლენინმა ამ ადგილას სიტყვები „ჰეგელი და მარქსი“.

ჰეგელის ფილოსოფიაში მოცემულია რაციონალური მარცვლები პრაქტიკის, შრომის გარდამქმნელი ბუნების, პრაქტიკის სტრუქტურის, შრომის სოციალური როლის დახასიათებისათვის. ჰეგელი „ცნებათა დიალექტიკაში“ აქაც ხვდება საგანთა ნამდვილ დიალექტიკას. მართალია, ობიექტურ-იდეალისტურ ნიადაგზე, მაგრამ პრაქტიკა მაინც იმდენად ღრმადაა დამუშავებული ჰე-

---

[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 318.

[30] К. М а р к с и Ф. Э н г е л ь с, Из ранних произведении, с. 336.

[31] Г е г е л ь, Соч., т. 1, с. 200.

[32] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 187.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელთან, რომ ვ. ი. ლენინმა „ფილოსოფიურ რვეულებში“ შენიშნა: „მარქსი უშუალოდ უახლოვდება ჰეგელს, როცა მას შემეცნების თეორიაში პრაქტიკის კრიტერიუმი შემოაქვს“[33].

6. ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია *თავისუფლებისა და აუცილებლობის* საკითხის დამუშავება ჰეგელთან. „ჰეგელი პირველი იყო ვინც სწორად გადმოსცა თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობა“[34]. თავისი ნამდვილი სახით თავისუფლებისა და აუცილებლობის მიმართება თავს იჩენს ისტორიული პროცესის ობიექტური და სუბიექტური მხარეების მიმართებაში. თავისუფლება როგორც შეგნებული აუცილებლობა, ჰეგელის მიხედვით, სულის პრაქტიკული მოღვაწეობის მომენტია. ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში“ ყურადღებას აპყრობს „ლოგიკის მეცნიერების“ შემდეგ ადგილს: აუცილებლობა იქცევა თავისუფლებად არა იმის გამო, რომ იგი ქრება, არამედ იმის გამო, რომ აქ მჟღავნდება მათი გარკვეული შინაგანი იგივეობა[35], და მას ასე კითხულობს: „აუცილებლობა არ ჰქრება, როცა თავისუფლებად იქცევა“[36]. მცირე მონაკვეთის შემდეგ ვ. ი. ლენინი შენიშნავს, რომ „თავისუფლება უდრის სუბიექტურობას“, რადგანაც იგი გულისხმობს „მიზანს, ცნობიერებას, მისწრაფებას“[37]. მაგრამ თავისუფლება არაა წმინდა სუბიექტურობა, რადგანაც მიზანში და მისწრაფებაში შემოჭრილია „შემეცნებული აუცილებლობა“. ჰეგელის მიხედვით, თავისუფლება „შეიცავს თავის თავში აუცილებლობას, როგორც მოხსნილს“[38]. ვ. ი. ლენინის შენიშვნით, თავისუფლებისა და აუცილებლობის საკითხში ჰეგელი არსებითად მართალია კანტთან შედარებით. ჰეგელი ამ საკითხის გარჩევისას ცდილობს აჩვენოს, თუ რას ნიშნავს აუცილებლობის გადაქცევა თავისუფლებად. ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში“ ერთმანეთს ადარებს აღნიშნულ საკითხზე ჰეგელისა და მარქსიზმის პოზიციებს. ვ. ი. ლენინი არკვევს თავისუფალი, მიზნობრივი მოქმედების, ადამიანის პრაქტიკული მოქმედების მექანიზმს. აქ ჰეგელი დაძლეულია, მაგრამ ისე, რომ წინა პლანზე წამოწეულია სწორედ მისი რაციონალური მარცვალი. პრაქტიკული, თავისუფალი მოქმედების მექანიზმი ვ. ი. ლენინის მიერ „დაჭერილია“ შემდეგ დებულებებში, რომლებიც ჰეგელის მატერიალისტური წაკითხვის ბაზაზე ყალიბდება:

1) „გარესამყაროს, ბუნების კანონები... ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედების საფუძველია“. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ „ადამიანს თავის პრაქტიკულ მოქმედებაში წინა აქვს ობიექტური სამყარო, იგი დამოკიდებულია მასზე, იმით განსაზღვრავს თავის მოქმედებას“. თუ ეს ასეა 2) ადამიანის მიზნობრივი მოქმედება, რომელიც თავდაპირველად გვევლინება როგორც *სუბიექტური*, თავისი ნამდვილი არსით *ობიექტური პროცესის გარკვეული ფორმაა*. ობიექტურ პროცესს ორი ფორმა აქვს: ბუნება და ადამიანის მიზანდამსახველი მოქმედება[39]. ადამიანის მიზნობ-

---

[33] იქვე, გვ. 210.

[34] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 136.

[35] Гегель. Наука логики, т. 2, 1971, с. 224.

[36] ვ. ი. ლენინი, თხზ., 38, გვ. 157.

[37] იქვე, გვ. 159.

[38] Гегель, Соч., т. 1, с. 290.

[39] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 185.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი მოქმედების გასაღები ამ ფორმების თანამიმართების გარკვევაშია. პრობლემის გაანალიზება გვიჩვენებს, რომ ა) ადამიანის მიზნები დამოუკიდებელი კი არაა გარეგანი ობიექტურობისაგან, არამედ მისგანაა „აღებული" და ეს ქმნის ადამიანის მოქმედების თავისუფლებას; ბ) „ტექნიკა... სწორედ იმიტომ ემსახურება ადამიანის მიზნებს, რომ მისი ხასიათი (დედაარსი) მდგომარეობს გარეგანი პირობებით (ბუნების კანონებით) მის განსაზღვრაში"[40]; ვ) ობიექტურობის მეორე ფორმა—ადამიანის მიზანდასახული მოქმედება, გარკვეული ტექნიკური საშუალებებით უერთდება ობიექტურობას, როგორც მისგან დამოუკიდებელ სინამდვილეს. გარეგანი სამყარო ობიექტური ფენომენია, მოქმედების მიზანი — სუბიექტური ფენომენია, რომელსაც ობიექტურობას აძლევს ის, რომ იგი რეალობის ასახვაა და მისითაა განპირობებული. ობიექტურობის მეორე ფორმა, ადამიანის მიზნობრივი მოქმედება, წარმოადგენს თავისუფლების ფორმაში გამოვლენილ აუცილებლობას. აქ თავისუფლებაა, მაგრამ არის აუცილებლობაც. სწორედ ამით არის ადამიანის მიზნობრივი მოქმედება ობიექტურობის ფორმა.

ცხადია, ყოველივე ეს ჰეგელთან მისტიცირებულ ფორმაშია წარმოდგენილი. მისთვის თავისუფლების იდეა არის აბსოლუტური საბოლოო მიზანი. ცოდნა და ნებელობა, როგორც სულის მოქმედების ორი განსხვავებული მხარე, საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად. თავისუფლება მათი მთლიანობაა. ამ მთლიანობის რეალურ სახეს წარმოადგენს სახელმწიფო.

ყოველივე ეს აჩვენებს, რომ ვ. ი. ლენინის „ფილოსოფიურ რვეულებში" ნათელყოფილია: ჰეგელის ფილოსოფია წარმოადგენს თეორიულ წყაროს არა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკისათვის, არამედ ისტორიული მატერიალიზმისათვისაც. ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომში ნათლად აჩვენა, რომ ჰეგელს აქვს ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახები. ამასთანავე „ფილოსოფიურ რვეულებში" ამგვარ ჩანასახთა ანალიზის ფონზე მოცემულია ისტორიის მატერიალისტური გაგების ზოგიერთი ასპექტის შემდგომი დაზუსტება და დაკონკრეტება.

---

[40] იქვე, გვ. 186.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ამირან ბერძენიშვილი

# ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა დამოკიდებულების პრობლემა გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში

ფილოსოფიისა და კერძო-მეცნიერული ცოდნის დამოკიდებულების პრობლემა სპეციალური ბჭობის საგანი გახდა მას შემდეგ, რაც კერძო-მეცნიერულმა ცოდნამ მოიპოვა დამოუკიდებელი არსებობის უფლება. კერძო მეცნიერებანი განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება XV-XVIII საუკუნეებში, როდესაც დაგროვდა აუარებელი მეცნიერული მასალა, ხოლო შემდეგ განზოგადებულ და სისტემატურ კავშირში იქნა მოყვანილი. ამის შემდეგ, თანდათანობით გამოიკვეთა თვისებრივი განსხვავება ფილოსოფიურ და კერძო-მეცნიერულ ცოდნას შორის. ფილოსოფიას ოპოზიციაში უდგება ცოდნის სრულებით ახალი ტიპი — ექსპერიმენტული მეცნიერება — თავისი ზუსტი მეთოდებითა და მკაცრი ერთმნიშვნელოვანი დებულებებით, რომელიც ძირითადად უცნობი იყო ანტიკური და შუასაუკუნეთა სამყაროსათვის.

ამიტომ, კერძო-მეცნიერული ცოდნის განვითარება და მისი მეცნიერებად ქცევა, არსებითად, პირველად აყენებს ფილოსოფიური და კერძო-მეცნიერული ცოდნის დამოკიდებულების საკითხს. იცვლება თვით ტერმინ „მეცნიერების“ შინაარსი: მეცნიერული ცოდნის ეტალონად ითვლება კერძო-მეცნიერული ტიპის ცოდნა; თუ აქამდე ფილოსოფია უკამათოდ ითვლებოდა მეცნიერებად, ახლა მას უხდება მოძებნოს ისეთი მეთოდები, რომლებიც გაამართლებდნენ მის პრეტენზიებს მეცნიერულობაზე და მოუპოვებდნენ მას არსებობის უფლებას კერძო-მეცნიერული ცოდნის გვერდით. ჩვენი აზრით, ამ ვითარების ნათელი დადასტურებაა ი. კანტის მიერ „წმინდა გონების კრიტიკაში“ დასმული პრობლემა: „როგორაა შესაძლებელი მეტაფიზიკა (ფილოსოფია) როგორც მეცნიერება?“

## I. თეორიული ფილოსოფიისა და კერძო-მეცნიერული ცოდნის დამოკიდებულების პრობლემა კანტის ფილოსოფიაში

ფილოსოფიის რაობის პრობლემა. ფილოსოფიისა და კერძო-მეცნიერებათა დამოკიდებულების პრობლემის გადაჭრა ყველა ფილოსოფოსთან წანამძღვრად გულისხმობს ფილოსოფიის რაობის გარკვეულ გაგებას; თუ როგორ იქნება ფილოსოფიის არსი გაგებული, ამის შესატყვისად გადაიჭრება ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა დამოკიდებულების პრობლემაც. ამიტომ, ჩვენ შევეცდებით ჯერ გადმოვცეთ ამ მოაზროვნეთა შეხედულებები ფილოსოფიის რაობაზე და შემდეგ კერძო-მეცნიერებებთან მის დამოკიდებულებაზე.

როდესაც კანტი ბჭობს ტრადიციულ მეტაფიზიკაზე (ფილოსოფიაზე) მას „უსასრულო კამათისა და ბრძოლების არენად“[1] მიიჩნევს, ვინაიდან ერთი რო-

[1] И. Кант, Сочинения в шести томах, т. 3, М., 1964, с. 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიმე ფილოსოფიური საკითხის დამუშავებისას წარმოიშობა უამრავი ურთიერთგამომრიცხველი დებულებები; შეუძლებელი ხდება პრობლემათა მკაცრი და ერთმნიშვნელოვანი ე. ი. მეცნიერული გადაწყვეტა. მართალია, იყო დრო, როდესაც მეტაფიზიკას „მეცნიერებათა დედოფალს“ უწოდებდნენ, მაგრამ კერძო მეცნიერებების (მათემატიკა, ფიზიკა) განვითარების კვალობაზე მისი პრივილეგიები დაეცა, რის გამოც იგი აითვალწუნეს. მიუხედავად იმისა, ფიქრობს კანტი, რომ ფილოსოფია უძველესია ყველა არსებულ მეცნიერებასთან შედარებით, იგი დღემდე არ ყოფილა ნამდვილად მეცნიერული და მოქმედებს ბრმად. განსხვავებით მათემატიკოსებისა და ფიზიკოსებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან თანხმობაში და ერთიანობაში იმყოფებიან, ფილოსოფოსები ისე შორს არიან ასეთი ერთსულოვნებისაგან, რომ ფილოსოფია „უფრო გვაგონებს არენას..., რომელზედაც ვერც ერთმა მებრძოლმა ვერასოდეს ვერ მოიპოვა საკუთარი ადგილი და ვერ შეძლო უზრუნველეყო თავისი გამარჯვებით მყარი თავშესაფარი“[2]. მაშასადამე, დაასკვნის კანტი, ტრადიციული ფილოსოფია ესაა ერთი და იმავე მიზნის მიღწევის მხოლოდ სხვადასხვა საშუალებათა სიმრავლე, რომლებმაც განიცადეს სრული ფიასკო; ყოველივე ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ფილოსოფია დღემდე არ ყოფილა მეცნიერება.

ფილოსოფია რომ მეცნიერებად იქცეს, კანტის აზრით, მან უნდა მიბაძოს მათემატიკასა და ფიზიკას. ისინი მას შემდეგ იქცნენ მეცნიერებად, რაც გააცნობიერეს, რომ საგნებში შესაძლებელია შევიმეცნოთ მხოლოდ ის, რასაც თვით ჩვენ შევიტანთ მასში. ეს მეცნიერებანი გონების საშუალებით თვით ქმნიან თავიანთი შემეცნების საგანს, როგორც აუცილებელს; ამიტომ, კანტის თანახმად, ამ მეცნიერებებს გონების მოქმედების ექსპერიმენტით შემოწმების საშუალება აქვთ. მეტაფიზიკას (ფილოსოფიას) კი, რომელიც გადის ყოველგვარი ცდის საზღვრებს გარეთ და მოქმედებს მხოლოდ ცნებებით, ასეთი საზომი არ გააჩნია, იგი თავის მცდარობას მხოლოდ პარალოგიზმებსა და ანტინომიებში ხედავს. ამგვარად, თუ გვინდა, რომ ფილოსოფია მეცნიერებად იქცეს, აუცილებლია მოვახდინოთ ფილოსოფიური შემეცნების წესში რევოლუციური გადატრიალება, როგორც ეს მოხდა მათემატიკასა და ფიზიკაში და დავუკავშიროთ ფილოსოფია ცდას.

ამ დებულების ნათელსაყოფად აუცილებელია გავაანალიზოთ აზროვნების და შემეცნების კანტისეული განსხვავება. კანტის თქმით „მოაზრება მე შემიძლია რისიც გნებავთ, თუ კი მე არ ვეწინააღმდეგები ჩემს თავს ე. ი. თუ ჩემი ცნება არის შესაძლებელი, თუმცა მე არ შემიძლია გადავწყვიტო შეესაბამება თუ არა მას *ობიექტი ყველა შესაძლებლობათა ერთობლიობაში*“[3]. ეს რაც შეეხება საგნის მოაზრებას, *იქნება იგი ცდა, ქიმერა თუ ღმერთი*; ხოლო რაც შეეხება მოაზრებული საგნის შემეცნებას, „ჩვენ არ შეგვიძლია შევიმეცნოთ რაც ერთი მოაზრებული საგანი სხვაგვარად, თუ არა კატეგორიების შესატყვის ჭვრეტათა დახმარებით“[4]. მაგრამ კანტის აზრით, ჩვენი ყველა ჭვრეტა გრძნობადია და არა ინტელექტუალური; ამიტომ ადამიანური შემეცნება, ცოდნა, რამდენადაც მისი საგანი გრძნობადი ჭვრეტის საშუალებით არის მოცემული, ემპირიული ხასიათისაა, ხოლო ემპირიული ცოდნა კი არის ცდა; მართალია ასეთი შემეცნება შემოსაზღვრუ-

---

[2] ი. კანტი, დასახ. შრომა, გვ. 86.

[3] იქვეე, გვ. 93.

[4] იქვე, გვ. 214.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია მხოლოდ ცდის საგნებით. მაგრამ მთლიანად ცდისაგან არ არის ვინაიდან წმინდა ჭვრეტა და წმინდა განსჯითი ცნებები (კატეგორიები), რომლებიც შეადგენენ, კანტის თქმით, მეცნიერული ცოდნის არსებით ელემენტებს, შემმეცნებელში apriori იმყოფებიან და აძლევენ შემეცნებას საყოველთაობასა და აუცილებლობას, ანუ აქცევენ მას მეცნიერებად. მაშასადამე, „ჩვენთვის დასაშვებია მხოლოდ შესაძლებელი ცდის საგნების აპრიორული შემეცნება“[5].

ამგვარად, აპრიორული შემეცნებით ადამიანს არ შეუძლია ცდის მიღმა არსებული სფეროს მეცნიერული წვდომა, როგორც ეს ტრადიციულ ფილოსოფიას ეგონა. თეორიულად ადამიანებს შეუძლიათ შეიმეცნონ არა ონტოლოგიური, თავისთავადი ნივთების სფერო, არამედ მოვლენები, ე. ი. გრძნობადი ჭვრეტის ობიექტები: ამიტომ, კანტის აზრით, „ონტოლოგიის ამაყი სახელი, რომელსაც ჰქონდა პრეტენზია მოეცა საზოგადოდ ნივთებზე სინთეზურ-აპრიორული ცოდნა სისტემატური მოძღვრების სახით (მაგ. მიზეზობრიობის პრინციპი), უნდა შეიცვალოს წმინდა განსჯის უბრალო ანალიტიკის მოკრძალებული სახელით“[6]. მაშასადამე, კანტის ის აზრი, რომ ფილოსოფიას მხოლოდ მაშინ შეუძლია იქცეს მეცნიერებად, როცა იგი დაუკავშირდება ცდას, ნიშნავს შემდეგს: ფილოსოფიის როგორც მეცნიერების შესწავლის საგნად უნდა იქცეს არა ცდის მიღმა არსებული სფერო, არამედ თვით ცდა, შემეცნება როგორც ასეთი. რამდენადაც მხოლოდ ცდაში შეიძლება ჰქონდეს ჭეშმარიტებას ადგილი, ხოლო ცდას კი ამოწურავენ კერძო მეცნიერებანი (მათემატიკა, ფიზიკა), ამდენად, ფილოსოფია როგორც მეცნიერება, შეიძლება იყოს მხოლოდ ცდის ანუ ადამიანური შემეცნების თეორია.

ამგვარად, ფილოსოფია მეცნიერებაა, მაგრამ რა ტიპის მეცნიერებაა იგი, როგორ უნდა ვიაზროთ ფილოსოფიის მეცნიერულობა, განსხვავდება თუ არა იგი თვისებრივად კერძო მეცნიერებისაგან? ი. კანტს არ მოსწონს ფილოსოფიის (მეტაფიზიკის), როგორც ადამიანური ცოდნის პირველი პრინციპების შესახებ მეცნიერების, ტრადიციული გაგება, ვინაიდან მასში იგულისხმებოდა ცოდნის არა განსაკუთრებული სახე, არამედ მხოლოდ მისი ზოგადობის ხარისხი. ასეთი გაგება კი არ გვაძლევს საშუალებას ნათლად განვასხვაოთ ფილოსოფია კერძო მეცნიერებებისაგან, ვინაიდან მათშიც არსებობს ისეთი უზოგადესი პრინციპები, რომლებიც ამის გამო დანარჩენებზე მაღლა დგანან. ასეთი სუბორდინაციის დროს, როცა მხედველობაში მიღებული არა გვაქვს თვისებრივი განსხვავება, ჩვენ ვერასდროს ვერ აღმოვაჩენდით წყალგამყოფს ამ პრინციპების პირველ, უმაღლეს წევრებსა და მეორე, დაქვემდებარებულ წევრებს შორის. რას ვიტყოდით ჩვენ, აღნიშნავს კანტი, ჟამთა აღრიცხვაში სამყაროს არსებობის ეპოქები რომ დაეყოთ პირველ და მომდევნო საუკუნეებად? ამ შემთხვევაში დაისმებოდა კითხვა: მიეკუთვნება თუ არა მეხუთე, მეექვსე და ა. შ. საუკუნეები პირველ საუკუნეთა რიცხვს? მაშასადამე, დაასკვნის კანტი, ტრადიციულ მეტაფიზიკაში (ფილოსოფიაში) გამოყენებულ „სუბორდინაციის ხარისხს (კერძოსი ზოგადისადმი) არ შეუძლია განსაზღვროს მეცნიერების საზღვრები, ხოლო ჩვენს შემთხვევაში — (ცოდნის) წარმოშობის სრული სხვადასხვაგვარობა და განსხვავება“[7]. კანტის აზრით, წმინდა ფილოსოფია ანუ

[5] ი. კანტი, დასახ. შრომა, გვ. 214.
[6] იქვე, გვ. 305.
[7] იქვე, გვ. 687.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტაფიზიკა ემპირიული მეცნიერებებისაგან ზოგადობით კი არ განსხვავდება, არამედ თავისი აპრიორულობით; მაგრამ მათემატიკაც ხომ აპრიორული ხასიათისაა, კანტის მიხედვით, ამიტომ აუცილებელია ვაჩვენოთ ის წყალგამყოფი, რომელიც მათ შორის არსებობს.

ფილოსოფია და მათემატიკა ახლოს დგანან ერთმანეთთან თავიანთი აპრიორული ხასიათის გამო, რაც წარმოადგენდა კიდეც ტრადიციულ ფილოსოფიაში (დეკარტი, სპინოზა, ჰობსი) მათი მეთოდების აღრევის მიზეზს; კანტი კი აცნობიერებს ფილოსოფიისა და მათემატიკის მეთოდთა შორის პრინციპულ, თვისებრივ სხვაობას, როცა წერს — მათემატიკოსს „თავისი მეთოდით სარგებლობისას ფილოსოფიაში შეუძლიაააგოს მხოლოდ ხუხულა, ხოლო ფილოსოფოსს კი მათემატიკაში თავისი მეთოდით შეუძლია მხოლოდ ილაყბოს“[8]. ამის გამო კანტს ფილოსოფიის უპირველს მიზნად და ამოცანად მიაჩნია: გაარკვიოს თავისი, როგორც მეცნიერების საზღვრები, დაადგინოს თვისებრივი სხვაობა ფილოსოფიურ და კერძო-მეცნიერულ ცოდნას შორის, აჩვენოს ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების რაობა და თავისებურება.

ძირითადი სხვაობა ფილოსოფიასა და მათემატიკას შორის ისაა, რომ „ფილოსოფიური შემეცნება არის გონების მიერ შემეცნება ცნებების საშუალებით, ხოლო მათემატიკური ცოდნა კი არის შემეცნება ცნებათა კონსტრუირების საშუალებით“.[9] ცნების კონსტრუირება ნიშნავს იმას, რომ apriori ვაჩვენოთ ამ ცნების შესატყვისი ჭვრეტა; ჭვრეტისა და ცნების აპრიორული კავშირი კი განაპირობებს ცნების საყოველთაობასა და აუცილებლობას ე.ი. მეცნიერულობას, მაშინ როდესაც ფილოსოფიური შემეცნება მოკლებულია ასეთ საშუალებებს. ფილოსოფია იმეცნებს მხოლოდ ზოგადი ცნებებით in abstracto, მაშინ როდესაც მათემატიკას მხოლოდ ცნებების საშუალებით არაფრის გაკეთება არ შეუძლია და ცდილობს გადავიდეს ცნების შესაბამის ჭვრეტაზე, რომელშიც იგი მას განიხილავს in concreto მაგრამ არა ემპირიულად, არამედ სავსებით apriori.

მიეცით ფილოსოფოსს სამკუთხედის ცნება, აღნიშნავს კანტი, იგი შესძლებს მის ნათელყოფას, მოახდენს მის დეფინიციას, მაგრამ რაიმე ახალ თვისებას მასში ვერ აღმოაჩენს; მათემატიკოსი კი ჭვრეტის დახმარებით მოქმედებს სინთეზურად და ამავე დროს სავსებით აპრიორულად, უერთებს რა ამ ცნებას ისეთ რაიმეს, რაც მასში წინასწარ არ იგულისხმებოდა, მაგრამ მასთან აუცილებლობითაა დაკავშირებული. ამგვარად, ფილოსოფოსი თავისი დისკურსიული აზროვნებით ვერ შეძლებს მოგვცეს სინთეზურ-აპრიორული ცოდნა განსაზღვრული საგნებისა და ნივთების შესახებ; ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ფილოსოფიას უარი ვუთხრათ სინთეზურ-აპრიორულ ცოდნაზე ან სინთეზზე საზოგადოდ? არა, კანტის აზრით, საქმე ისაა, რომ ფილოსოფიაში სინთეზიც, სინთეზურ-აპრიორული ცოდნაც განსაკუთრებულია — ტრანსცენდენტალურია, ვინაიდან იგი ეხება არა რომელიმე განსაზღვრულ საგანს, ნივთს, არამედ, ნივთებსა და საგნებს საზოგადოდ. „სინთეზური დებულებები ნივთების შესახებ საზოგადოდ, რომელთა ჭვრეტა შეუძლებელია მოცემულ იქნეს apriori ტრანსცენდენტალურია“[10].

ტრანსცენდენტალური კი, კანტის მიხედვით, იმას ნიშნავს რომ ფილოსოფიურ-სინთეზურ დებულებებს შესაძლებელი ცდის გარეშე არავითარი მეცნიერული

[8] ი. კ ა ნ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 609.
[9] იქვე, გვ. 600.
[10] იქვე, გვ. 605.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირებულება არ გააჩნიათ, ისინი ობიექტურ ანუ მეცნიერულ მნიშვნელობას
მხოლოდ შესაძლებელ ცდასთან მიმართებაში იძენენ; რამდენადაც ფილოსოფიურ
სინთეზს ცნებების საშუალებით არ შეუძლია apriori წაიწიოს მისი შესატყვისი
ჭვრეტისაკენ, ამდენად მისგან შესაძლებელია წარმოიშვას არა რომელიმე განსაზღ-
ვრული სინთეზური დებულება, არამედ „შესაძლებელ ემპირიულ ჭვრეტათა სინ-
თეზის შესახებ ძირითადი დებულება“[11].

მაშასადამე, ფილოსოფია ცნებების საშუალებით იმეცნებს არა რომელიმე გან-
საზღვრულ საგანს, არამედ მხოლოდ წესს, რომლის მიხედვითაც ცდაში უნდა ვე-
ძებოთ იმის სინთეზური ერთიანობა, რაც შეუძლებელია თვალსაჩინოდ ე. ი. ინ-
ტუიციურად იქნეს მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიურ დებულე-
ბებს ცდა ესაჭიროებათ იმისათვის, რომ აპოდიქტური უეჭველობით იქნენ დასა-
ბუთებული, კანტი მათ ძირითად დებულებებს (Grundsatzt) უწოდებს და არა თეო-
რემებს (Lehrsatz), ვინაიდან ფილოსოფიურ ძირითად დებულებებს განსხვავებით
ყველა სხვა ძირითადი დებულებებისაგან (იგულისხმება კერძო მეცნიერებათა
ძირითადი დებულებები), აქვთ ის განსაკუთრებული თვისება, რომ ისინი თვით
ქმნიან თავიანთი დასაბუთების საფუძველს, სახელდობრ ცდას; ფილოსოფიური ძი-
რითადი დებულებები ქმნიან ცდის ანუ მეცნიერების მეცნიერულობის გარანტიას
და ამიტომ მუდამ უნდა იგულისხმებოდნენ მეცნიერებაში. ამგვარად, ფილოსოფი-
ას, როგორც მეცნიერებას შეუძლია მოგვცეს ცდის, მეცნიერების ლოგიკური შე-
საძლებლობის ძირითადი დებულებები, დაადგინოს კერძო მეცნიერებებში არ-
სებული სინთეზური კავშირების წესები და აჩვენოს მათი განხორციელების ლოგი-
კური პირობები. ფილოსოფიის რაობის ასეთი გაგების საფუძველზე უკვე შესაძ-
ლებელია ნათლად დავინახოთ თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს, ერთი
მხრივ ფილოსოფიასა და მათემატიკას, ხოლო, მეორე მხრივ, ფილოსოფიასა და
ბუნებისმეცნიერებებს შორის.

2. ფილოსოფია და კერძო მეცნიერებები (მათემატი-
კა, ბუნებისმეცნიერება). ფილოსოფიისაგან განსხვავებით ყოველი
მეცნიერება, მათ შორის მათემატიკაც, კანტის აზრით, დოგმატურია, არ იკვ-
ლევს რა მასში გამოყენებულ ძირითად ცნებებსა და დებულებებს. მათემატი-
კოსები არც კი ფიქრობენ იმ სპეციფიკური განსხვავების შესახებ, რომელიც
არსებობს ფილოსოფიურ და მათემატიკურ შემეცნებას შორის; მოარულ, ემ-
პირიაში გამოყენებად წესებს, რომლებსაც ჩვეულებრივი ჯანსაღი გონებისა-
გან სესხულობენ, ისინი აქსიომებად თვლიან; მათ არ აინტერესებთ ის, თუ საი-
დან მიიღებიან სივრცისა და დროის ცნებები, რომლებსაც ისინი იკვლევენ
როგორც ერთადერთ პირველსაწყის სიდიდეებს; განსჯის წმინდა ცნებების წარ-
მოშობისა და გამოყენების კვლევას კი უსარგებლო საქმედ თვლიან; ისინი ამ
ცნებების მხოლოდ გამოყენებით კმაყოფილდებიან, მაშინ როდესაც ფილო-
სოფიას სწორედ ეს ცნებები და ძირითადი დებულებები აინტერესებს და მა-
თი მეცნიერული კვლევა შეადგენს კიდეც ფილოსოფიის უმთავრეს ამოცანას.

ფილოსოფია იკვლევს და ადგენს, განსხვავებით სხვა მეცნიერებებისაგან,
თუ რა არის არსებული, დრო და სივრცე, რას წარმოადგენს მიზე-
ზისა და შედეგის, სუბსტანციისა და აქციდენციის, აუ-
ცილებლობისა და შემთხვევითობის, შესაძლებლობა-

[11] იქვე, გვ. 606.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებლობის და ა. შ. კატეგორიები, აანალიზებს ამ კატეგორიებში მოცემულ საზრისს. ამგვარად, ფილოსოფია იკვლევს მეცნიერული შემეცნების ანუ ცდის შესაძლებლობის ლოგიკურ საფუძვლებს და ადგენს ძირითად დებულებებს; ამ ძირითად დებულებათა სისტემა კი, როგორც ვიცით, არის თვით ცდა, ისინი ადგენენ იმას, რაც შემეცნებას შეუძლია აპრიორულად საზოგადოდ იცოდეს ცდის საგნების შესახებ, ხოლო ცდის კონკრეტული საგნების აგება და შემეცნება კი კერძო მეცნიერებათა საქმეა.

მართალია ფილოსოფია აფუძნებს ცდას და ცდის საგნების შესაძლებლობის ლოგიკურ პირობებს, მაგრამ იგი მათ სფეროში ვერ შეიჭრება. ფილოსოფიის მიერ მოცემული ძირითადი დებულებების საფუძველზე კერძო მეცნიერებები აპრიორულად აგებენ თავიანთ საგნებს, მათემატიკა ახდენს სივრცეში ჭვრეტის აპრიორულ განსაზღვრებას და ღებულობს ფიგურას (სამკუთხედი, კვადრატი და ა. შ). სანამ ვიკვლევთ დროს და სივრცეს, როგორც ასეთს, ფილოსოფიური მეცნიერების ფარგლებში ვიმყოფებით, ხოლო როცა კონსტრუირების საშუალებით ვახდენთ დროს დაყოფას და სივრცის შემოსაზღვრას, ამ შემთხვევაში უკვე ვიმყოფებით კერძო მეცნიერების, სახელდობრ, მათემატიკის სფეროში. ფილოსოფიისა და მათემატიკის ასეთი ურთიერთდამოკიდებულების გამო, კანტი დაასკვნის, რომ ფილოსოფიაში იმ პრინციპებისა და აქსიომების გამოყენება, რომლებითაც მოქმედებს მათემატიკა, შეუძლებელია, ვინაიდან „ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიაში მათემატიკის თვით შესაძლებლობაც კი უნდა იქნეს ახსნილი"[12]. ე. ი. ფილოსოფიამ თვით უნდა აჩვენოს მათემატიკური აქსიომებისა და ძირითადი დებულებების ლოგიკური შესაძლებლობის პრინციპები საზოგადოდ; ეს კი ნათელს ხდის იმ აზრს, თუ რატომ არის შეუძლებელი მეთემატიკური მეთოდის გამოყენება ფილოსოფიური საკითხების გამოსაკვლევად.

ვიდრე გავარკვევდეთ ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერებების ურთიერთდამოკიდებულებას კანტის მოძღვრებაში, შევეცადოთ გავაანალიზოთ კანტის მიერ მოცემული მეცნიერების ცნება, ამ ცნების ანალიზის შუქზე უფრო ნათლად გამოჩნდება ჩვენი საკვლევი პრობლემა. როგორ უნდა ვიაზროთ მეცნიერება საკუთრივი აზრით? ყოველი მოძღვრების მეცნიერულობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი, კანტის მიხედვით, მისი სისტემატურობაა. ამიტომ, „ყოველი მოძღვრება, თუ ის სისტემაა ე. ი. არის შემეცნების რომელიღაც ერთობლიობა, რომელიც მოწესრიგებულია პრინციპების შესაბამისად, იწოდება მეცნიერებად"[13]. მაგრამ რამდენადაც ეს პრინციპები შეიძლება იყოს ემპირიული ან რაციონალური, ამდენად მეცნიერებანიც ემპირიული და რაციონალური ტიპისაა.

ემპირიული მეცნიერებანი მოიცავენ მხოლოდ სისტემატურად მოწესრიგებულ ფაქტებს, რომელთა კვლევის მეთოდს აღწერა წარმოადგენს, აღწერილი ფაქტების კლასიფიკაციის საფუძველი კი ფაქტთა შორის არსებულ მსგავსებას ემყარება. თუკი სისტემა ემყარება საფუძვლისა და შედეგის კავშირს, მაშინ იგი რაციონალური იქნება; მაგრამ თუ ამ სისტემის საფუძველი საბოლოო ანგარიშით ემპირიული პრინციპია, ხოლო კანონები, რომელთა საშუალებითაც ხდება ფაქტების ახსნა, მხოლოდ ემპირიულია, მაშინ ასეთი ტიპის სისტემა

---

[12] ი. კ ა ნ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 614.

[13] И. К а н т, Сочинения в шести томах, т. 6., М., 1966, с. 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის მეცნიერება არასაკუთრივი აზრით. საკუთრივ მეცნიერებასთან კი გვექნება საქმე, როდესაც რაციონალური სისტემა თავის საგანს იკვლევს აპრიორული პრინციპების საფუძველზე. ამგვარად, „მეცნიერება საკუთრივი აზრით შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმას, რომლის უეჭველობაც აპოდიქტურია“[14]. ემპირიული პრინციპებით და კანონებით მოცემული შემეცნება კი მოკლებულია აუცილებლობას ე. ი. აპოდიქტურობას, ამიტომ, კანტის აზრით, ამგვარი შემეცნება არც კი იმსახურებს მეცნიერების სახელს.

მაშასადამე, მეცნიერება საკუთრივი აზრით გვაქვს მაშინ, როცა პ ი რ ვ ე ლ ი, ცოდნა გაერთიანებულია გარკვეული პრინციპების საფუძველზე ე. ი. არის სისტემა; მ ე ო რ ე, სისტემაში მოცემული გაერთიანება რაციონალურია, ე. ი. წარმოადგენს საფუძვლისა და შედეგის კავშირს, და მ ე ს ა მ ე, საფუძველი არის აპრიორული პრინციპი. ამგვარად, მეცნიერების მოცემულ განსაზღვრებაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნის სისტემაში გამაერთიანებელ აპრიორულ პრინციპებს.

მოცემული განსაზღვრებიდან გამომდინარე, ბუნების შესახებ ყოველი მოძღვრება მეცნიერებად გადაიქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავისი შესასწავლი საგნის საფუძველში მდებარე კანონების apriori შემეცნებას შესძლებს; ხოლო სანამ ეს არ მომხდარა, მანამ შეიძლება მას ვუწოდოთ უფრო „სისტემური ხელოვნება, ვიდრე მეცნიერება“[15]. რამდენადაც, კანტის მიხედვით ბუნების ცნება გულისხმობს კანონებს, ხოლო კანონები—საგნების ყველა განსაზღვრულობის აუცილებლობას, ამდენად ეს ცნება შესაძლებელია დაფუძნებულ იქნეს ბუნების შემეცნების მხოლოდ წმინდა ნაწილზე ანუ იმ ნაწილზე, რომელიც შეიცავს ბუნების ყველა მყარი განსაზღვრულობის აპრიორულ პრინციპებს. „ბუნების შესახებ ყოველი მეცნიერება, საკუთრივი აზრით, საჭიროებს წმინდა ნაწილს, რათა მასზე დაფუძნებულ იქნეს აპოდიქტური უეჭველობა, რომელსაც გონება ეძებს მეცნიერებაში“[16]. წმინდა შემეცნება ანუ შემეცნება მხოლოდ ცნებების საშუალებით კი წმინდა ფილოსოფია ანუ იგივე მეტაფიზიკაა, ამდენად, ბუნების შესახებ მეცნიერება, საკუთრივი აზრით, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს წმინდა ფილოსოფიას ანუ მეტაფიზიკას, სახელდობრ: ბუნების მეტაფიზიკას.

ბუნების შესახებ ყოველ კერძო მეცნიერებას, გარდა წმინდა ფილოსოფიისა, სჭირდება მათემატიკა, ვინაიდან ფილოსოფია ცნებების საშუალებით იმეცნებს მხოლოდ ობიექტის ანუ საგნის შესაძლებლობას საზოგადოდ და არა ბუნების რომელიმე განსაზღვრულ საგანს. განსაზღვრული საგნის შესამეცნებლად კი როგორც ცნობილია, აუცილებელია ჭვრეტა, რათა ეს ცნება კონსტრუირებულ იქნეს; რამდენადაც ამგვარი შემეცნება მათემატიკურია, ამდენად ბუნების შესახებ ყოველ კერძო მეცნიერებაში „შეიძლება ვიპოვოთ მეცნიერება საკუთრივი აზრით, მხოლოდ იმდენი, რამდენიც მასში არის მათემატიკა“[17]. მართალია ბუნების წმინდა ფილოსოფია შესაძლებელია მათემატიკის გარეშე, ვინაიდან იგი იკვლევს ბუნებას საზოგადოდ და არა განსაზღვრულ საგნებს, მაგრამ თეორიული ბუნებისმეცნიერება, რომელიც ეხება განსაზღვრულ საგნებს, უკვე შეუძლებელია მის გარეშე. ამიტომ, კანტის აზრით, ის მეცნიერებანი, რომლებიც ვერ მოიპოვებენ თავიანთი საგნების

---

[14] ი. კ ა ნ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 56.
[15] იქვე,
[16] იქვე, გვ. 57.
[17] იქვე, გვ. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესამეცნებლად კონსტრუირებად ცნებებს, ვერ შესძლებენ თავიანთი პრინციპების apriori გამოსახვას ჭვრეტაში (კანტი გულისხმობს ქიმიას და ემპირიულ ფსიქოლოგიას) შეიძლება წარმოადგენდნენ მხოლოდ სისტემატურ ხელოვნებას და ექსპერიმენტალურ ანუ აღწერით მოძღვრებას. ამგვარად, ყოველი კერძო მეცნიერებისათვის აუცილებელია როგორც ფილოსოფია, ისე მათემატიკა; მაგრამ, მათემატიკისაგან განსხვავებით, ფილოსოფია ადგენს არა მხოლოდ კერძო მეცნიერებათა აპრიორულ საფუძვლებს, არამედ იკვლევს ცნებათა მათემატიკური კონსტრუირების პრინციპებსაც.

ეხება რა ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერებების ურთიერთკავშირის აუცილებლობას, კანტი წერს, ბუნების ყველა მკვლევარი თავიანთი მეცნიერებების მეტაფიზიკისაგან (ფილოსოფიისაგან) არიდების მიუხედავად, „ფიზიკავ, ერიდე მეტაფიზიკას“ (ნიუტონი), ყოველთვის სარგებლობდნენ (მართალია არაცნობიერად) და მუდამ უნდა ისარგებლონ ფილოსოფიური პრინციპებითა და კატეგორიებით. იმ მეცნიერთ, რომლებიც თავს იცავდნენ ფილოსოფიისაგან, კანტის აზრით, იგი ესმოდათ, როგორც ილუზია, თითქოს შეიძლებოდეს ისეთი ცნებებით თამაში, რომლებიც ჭვრეტაში არ გამოისახებიან; ნამდვილად კი ყოველი ჭეშმარიტი ფილოსოფია ამოდის თვით აზროვნების არსებიდან და ის გარემოება, რომ იგი ნასესხები არ არის ცდიდან, არ ნიშნავს, რომ ის ფიქციაა; პირიქით, ჭეშმარიტი ფილოსოფია ანუ წმინდა მეტაფიზიკა „მოიცავს აზროვნების წმინდა აქტებს, მაშასადამე, აპრიორულ ცნებებსა და ძირითად დებულებებს, რომლებსაც კანონზომიერ კავშირებში მოყავთ ემპირიული წარმოდგენების მრავალსახეობრივი (შინაარსი), და რომლებიც საშუალებას აძლევს ამ მრავალსახეობრივ შინაარსს გახდეს ემპირიულ შემეცნებად ე. ი. ცდად“[18]. რამდენადაც ეს ძირითადი დებულებები აუცილებელია ყოველი კერძო მეცნიერებისათვის, იმდენად ფილოსოფიაც აუცილებელია, რათა კერძო მეცნიერება მეცნიერებად იქცეს საკუთრივი აზრით. მაშასადამე, როგორც მათემატიკა, ისე ფილოსოფია ყოველი კერძო მეცნიერების აუცილებელი კომპონენტებია; მიუხედავად ამისა, ფილოსოფია ყველა ამ მეცნიერებებზე მაღლა დგას იმით, რომ მასში ბჭობის საგნად იქცევა თვით ამ მეცნიერებათა აპრიორული ძირითადი დებულებები, რომლებიც აქცევენ მათ მეცნიერებად საკუთრივი აზრით.

სანამ შევაფასებდეთ კანტის კონცეფციას მაქსიმალური პოზიციებიდან, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ მისგან გამომდინარე ზოგიერთი დასკვნა: კანტის მიერ აზროვნებისა და შემეცნების განსხვავებამ, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ბჭობა, გვიჩვენა, რომ შემეცნებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შემმეცნებელი სუბიექტი თვით აგებს თავისი თავიდან შემეცნების საგანს; საგნის შემეცნება საგნის აგებაა, მაგრამ საკითხავია თუ რა საგანს წარმოადგენს შემეცნების პროცესში აგებული საგანი; თუ მივიღებთ იმას, რომ ფილოსოფიური შემეცნების საგანს, განსხვავებით კერძო-მეცნიერული შემეცნებისაგან, უნდა წარმოადგენდეს სამყარო როგორც მთელი (ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დავაღწევთ სკეპტიციზმსა და აგნოსტიციზმს), მაშინ შემმეცნებელმა სუბიექტმა თვით უნდა ააგოს შემეცნების პროცესში თავისი თავიდან მთელი სამყარო თავისი თავის ჩათვლით; მაგრამ ადამიანურ შემეცნებას არ შეუძლია მეცნიერულად შეიმეცნოს სამყარო, როგორც მთელი; სამყაროს, როგორც მთელის შემეცნებისათვის შემმეცნებელ

[18] ი. კ ა ნ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუბიექტს, კანტის აზრით, უნდა გააჩნდეს ინტელექტუალური ინტუიცია, რომელიც შეიძლება გააჩნდეს ღმერთს და არა ადამიანს, როგორც შემმეცნებელს. ამგვარად, შემეცნების საგნის აგება შესაძლებელია მხოლოდ ცდაში, ცდისეულ შემეცნებაში; ფილოსოფია კი, რამდენადაც იგი მეცნიერებაა, იკვლევს არა სამყაროს როგორც მთელს, არამედ თვით შემეცნებას (თეორიული, პრაქტიკული, ესთეტიკური).

რაც შეეხება სამყაროს, როგორც მთელს, თავისუფლებას, სიკეთეს, მშვენიერებას, ღმერთის არსებობის, სულის უკვდავების და ა. შ. საკითხებს, შეუძლებელია მათ შესახებ რაიმეს დადგენა მეცნიერულად; მაგრამ, კანტის აზრით, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს საკითხები უმნიშვნელოა და მის კვლევას თავი უნდა დავანებოთ, არამედ პირიქით, ადამიანისათვის, როგორც ადამიანისათვის ეს ვითარებანი უფრო არსებითია, ვიდრე მეცნიერული შემეცნება. ვინაიდან „ადამიანმა მათზე უარი რომ თქვას იმ საბაბით, რომ მათემატიკური და ფიზიკური მეთოდებით მათ ვერ დაადგენს, ვერ შეიმეცნებს, ე. ი. ფორმულირებაში ვერ მოაქცევს, მაშინ ის ადამიანიც აღარ იქნება“[19]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანი მოკლებული იქნებოდა მსოფლმხედველობას; ჭეშმარიტი ადამიანური არსებობისათვის, მართალია, იგი აუცილებელია, მაგრამ კანტის მიხედვით, ადამიანმა საბოლოოდ უარი უნდა თქვას მეცნიერული მსოფლმხედველობის შესაძლებლობაზე, ვინაიდან მეცნიერულობა და მსოფლმხედველობრიობა ერთმანეთთან შეუთავსებადია. ამგვარად, ფილოსოფია გაითიშა, ერთის მხრივ ფილოსოფიად, როგორც მეცნიერებად და მეორის მხრივ, ფილოსოფიად, როგორც მსოფლმხედველობად. ფიხტე, შელინგი, ჰეგელი შეეცდებიან აზროვნებისა და შემეცნების კანტისეული დუალიზმის დაძლევას და მოპოვებულ საფუძველზე ფილოსოფიის, როგორც მეცნიერული მსოფლმხედველობის დასაბუთებას. შემმეცნებელი ადამიანის აზროვნება აბსოლუტურ აზროვნებად იქცევა, ეს კი არსებითად სხვა ასპექტით აყენებს ჩვენს საკვლევ პრობლემასაც.

## II. ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა დამოკიდებულების პრობლემა ი. გ. ფიხტეს ფილოსოფიაში

1. მეცნიერების ცნება. ფილოსოფიის რაობა და ამოცანა. კანტისაგან განსხვავებით, ფიხტე ცდილობს გამოიყვანოს მთელი ადამიანური ცოდნა ერთი საწყისი პრინციპიდან და დასძლიოს აზროვნებისა და შემეცნების დუალიზმი. თეორიულმა ფილოსოფიამ თვით უნდა აწარმოოს არა მხოლოდ შემეცნების ფორმა, არამედ შინაარსიც. ამ არსებითი განსხვავების ფონზე ფილოსოფიის რაობის, კერძო მეცნიერებებთან მისი დამოკიდებულების პრობლემები არსებითად სხვაგვარ საზრისს იძენს ფიხტეს ფილოსოფიურ სისტემაში. მართალია, ისიც შემეცნების, მეცნიერების შესაძლებლობის ლოგიკურ პირობებს იკვლევს, მაგრამ გამოკვლევის ძირითადი საგანია ის, თუ როგორ არის შესაძლებელი სისტემატური სახით დედუცირებულ იქნეს ერთი საყოველთაო ძირითადი დებულებიდან მთელი ადამიანური ცოდნა.

ფიხტესათვის უეჭველია, რომ „ფილოსოფია არის მეცნიერება“, მაგრამ როგორ უნდა ვიაზროთ მეცნიერების ცნება? რა განსხვავება შეიძლება არსებობ-

[19] გ. თევზაძე, იმანუელ კანტი, თბ., 1974, გვ. 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებებს შორის მეცნიერულობის თვალსაზრისით? მისი აზრით, აუცილებელია მეცნიერებას ჰქონდეს სისტემური ფორმა, იგი უნდა წარმოადგენდეს ერთმანეთთან დაკავშირებულ და ერთმანეთიდან გამომდინარე დებულებათა მთლიანობას, ე. ი. უნდა იყოს მთელი ანუ სისტემა. თუ მთელში მოცემულ ცალკეულ დებულებებს არ გააჩნიათ უეჭველი ხასიათი, მაშინ, რასაკვირველია, მათგან შედგენილ მთელსაც არ ექნება უეჭველობა. ამიტომ, დასკვნის კიხტე, უნდა არსებობდეს ერთი უეჭველი დებულება, რომელიც გადასცემდა სხვა დანარჩენ დებულებებს თავის უეჭველობას; ის ერთი დებულება, რომელიც აძლევს უეჭველობას სხვა დებულებებს, მათთან მთელად გაერთიანებისას კი „უნდა იყოს უეჭველი და დადგენილი ყოველგვარ დაკავშირებამდე"[20]. ყველა დანარჩენმა დებულებამ ამ დებულებიდან უნდა მიიღოს თავიანთი უეჭველობა: ეს დებულება მაშინაც კი არის უეჭველი, როცა დანარჩენი დებულებები მოკლებულია ამას, ამიტომ „ასეთ დაკავშირებამდე და მისგან დამოუკიდებელ უეჭველ დებულებას ეწოდება ძირითადი დებულება"[21]. როგორც შენობას სჭირდება მყარი ფუნდამენტი იმისათვის, რათა მასზე დაშენებული კედლები მტკიცე და გამძლე იყოს, ასევე ყოველი მეცნიერებისათვის აუცილებელია ერთი ძირითადი დებულება, რომელიც უეჭველი იქნება ყოველგვარ მეცნიერებამდე. ამ ძირითადი დებულების უეჭველობის დასაბუთება, ფიხტეს აზრით, შეუძლებელია მის საზღვრებში; სხვა დანარჩენი დებულების დასაბუთება კი გულისხმობს ამ უეჭველობას; თუ იგი უეჭველია, მაშინ ყველა დანარჩენი მისგან გამომდინარე დებულებებიც ასევე უეჭველი იქნება. მაგრამ საკითხავია, თუ საიდან გამომდინარეობს ამ ძირითადი დებულების უეჭველობა ანუ როგორ არის შესაძლებელი საზოგადოდ მეცნიერების ფორმა და შინაარსი? ფიხტეს მიხედვით, „ის რაც გასცემს ამ კითხვებზე პასუხს, თვით იქნება მეცნიერება საზოგადოდ მეცნიერების შესახებ"[22], ანუ ფილოსოფია. ფიხტესათვის იმდენად ძლიერია ფილოსოფიის მეცნიერებად ქცევის იდეა, რომ იგი მას ძველ სახელსაც კი არ უტოვებს და უწოდებს მეცნიერებათმოძღვრებას (Wissenschaftslehre).

ამგვარად, ფილოსოფია უწინარეს ყოვლისა მეცნიერებათმოძღვრებაა; ყველა მეცნიერებას უნდა გააჩნდეს ერთი ძირითადი დებულება, რომელიც თავიდანვე უნდა იყოს უეჭველი; რაც შეეხება მის უეჭველობას, იგი უნდა დაასაბუთოს ფილოსოფიამ, როგორც მეცნიერებათმოძღვრებამ. რამდენადაც ფილოსოფია თვით არის მეცნიერება, ამდენად მასაც უნდა გააჩნდეს ძირითადი დებულება, მაგრამ განსხვავებით კერძო მეცნიერებებისაგან მეცნიერებათმოძღვრების ზევით არ არსებობს რაიმე ინსტანცია, რომელიც დაასაბუთებდა მისი ძირითადი დებულების უეჭველობას. ამიტომ ფილოსოფიის ძირითადი დებულება უნდა იყოს თავისთავად უეჭველი, თავისი თავისთვის და თავისი თავის მეშვეობით: მეცნიერებათმოძღვრების ძირითადი დებულება, ფიხტეს აზრით, უშუალოდ, უპირობოდ უეჭველია, „იგი უეჭველია იმიტომ, რომ იგი უეჭველია"[23]. ფიხტე მიუთითებს, რომ შეუძლებელია წინააღმდეგობის გარეშე დავსვათ კითხვა ამ ძირითადი დებულების უეჭველობის მიზეზზე; ვინაიდან თუ მთელი ადამიანური ცოდნის უეჭველობა და უტყუარობა რაღაც ერთი ძი-

[20] И. Г. Ф и х т е, Избранныя сочинения, т., 1, М., 1916, с. 14.
[21] ი. ფ ი ხ ტ ე, დასახ. შრომა, გვ. 14.
[22] იქვე, გვ. 16.
[23] ი. ფ ი ხ ტ ე, დასახ. შრომა, გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითადი დებულებიდან უნდა მომდინარეობდეს, მაშინ შეუძლებელია თვით ეს ძირითადი დებულება არ იყოს უშუალოდ უეჭველი და ჭეშმარიტი. რამდენადაც იგი უპირობოა, ამდენად თვით უნდა განსაზღვრავდეს თავისთავს ყოველმხრივ, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივაც. მისი უეჭველობა კი იმას ნიშნავს, რომ ამ ძირითადი დებულების შინაარსი უნდა განსაზღვრავდეს სრულად მის ფორმას და მისი ფორმა კი მის შინაარსს. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა თვით ეს ძირითადი დებულება და მასთან ერთად მთელი ადამიანური ცოდნის სისტემა. რაც შეეხება ფილოსოფიის დანარჩენ დებულებებს, ფიხტეს აზრით, ისინი განსაზღვრული უნდა იქნენ მხოლოდ პირველი აბსოლუტურად უპირობო ძირითადი დებულებით, რათა ადამიანური ცოდნის მეცნიერული სისტემა შესაძლებელი იყოს. ამგვარად ფიხტეს მიხედვით, რამდენადაც არსებობს ადამიანური ცოდნის მეცნიერული სისტემა, იგი უნდა იყოს ერთ ძირითად დებულებას დაქვემდებარებული, რომელიც ფორმისა და შინაარსის მხრივ განსაზღვრავს დანარჩენ დებულებებს.

მართალია, მეცნიერებათმოძღვრების ყოველ დებულებას გააჩნია თავისი ფორმა და შინაარსი, მაგრამ რამდენადაც ფილოსოფია არის მეცნიერება რაღაც საგანზე და არა თვით ეს საგანი, ამდენად იგი არის მანამდე არსებული შინაარსის ფორმა: ვინაიდან ფილოსოფიის საგანია: „ადამიანური ცოდნის სისტემა, რომელიც წარმოადგენს ადამიანური გონის აუცილებელ და კანონზომიერ მოქმედებებს და რომელიც არსებობს ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლად“[24], ამიტომ ფილოსოფიის რაობის ნათელყოფისათვის აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს ფილოსოფიის მიმართება მის საგანთან. ადამიანის გონის აუცილებელი მოქმედება ხორციელდება გარკვეული კანონის, განსაზღვრული წესის მიხედვით. ფილოსოფია კი არ ქმნის ამ პირველად კანონებს, რომლებითაც მოქმედებს ადამიანური გონი, არამედ იგი მხოლოდ განიხილავს, აანალიზებს აუცილებელ მოქმედებებს და ცდილობს გადმოსცეს ისინი თავიანთ აუცილებელ თანმიმდევრობაში. ადამიანურ გონში ერთმანეთში აღრეულია აუცილებელი და შემთხვევითი მოქმედებები; ფილოსოფიის უპირველესი ამოცანაა გამოჰყოს აუცილებელი მოქმედებები შემთხვევითისაგან და აიყვანოს ისინი ცნობიერების დონემდე. ამიტომ, ფიხტეს აზრით „ფილოსოფოსი არის არა ადამიანური გონის კანონმდებელი არამედ მისი ისტორიოგრაფი“[25]. მაშასადამე, ფილოსოფია ამაღლებს რა აუცილებელ მოქმედებებს ცნობიერების დონემდე, ასრულებს გარკვეულ მოქმედებას, რომელიც თავისუფალი მოქმედებაა და არა აუცილებელი. „ფილოსოფია, როგორც მეცნიერება არ არსებობს თავისუფალი მოქმედების გარეშე, იგი წარმოიქმნება ზუსტად ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენი შესაძლებელი მეცნიერებანი ე. ი. თავისუფლების რაღაც წესების განსაზღვრის საშუალებით, მაგრამ ამ მეცნიერებათაგან განსხვავდება იმით, რომ მათი საგანია თავისუფალი მოქმედებები, მაშინ როდესაც ფილოსოფიის საგანი აუცილებელი მოქმედებებია“[26].

ბუნებრივად ისმება კითხვა: რა კანონებით უნდა ისარგებლოს ფილოსოფოსმა თავისუფალი მოქმედებისას, როგორ შეიძლება იგი სწვდეს ადამიანური გონის აუცილებელი მოქმედების წესს და უკუაგდოს შემთხვევითი? ფიხტეს

---

[24] იქვე, გვ. 45.

[25] ი. ფ ი ხ ტ ე, დასახ. შრომა, გვ. 50.

[26] იქვე, გვ. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრით, ფილოსოფიაში კერძო მეცნიერებებისაგან განსხვავებით, თავისუფალი მოქმედებისათვის არ არსებობს არავითარი წესები და კანონები და არც შეიძლება არსებობდეს. ამიტომ ამ ამოცანის გადასაჭრელად ფილოსოფოსს ესაჭიროება, არანაკლებ, ვიდრე პოეტს ან მხატვარს, გენიის ანუ სისწორის დაფარული გრძნობა, ჭეშმარიტების ალღო. „ვინაიდან, თუ ფილოსოფიაში ჩვენ დაფარულად არ ვიგრძნობდით იმას, რასაც გამოკვლევის ბოლოს ნათლად გავიგებდით, მაშინ დღემდე არავის არ ექნებოდა რაიმე ნათელი ცნება და მოწყვეტილი ვიქნებოდით ყოველგვარ მყარ საფუძველს“[27]. ჭეშმარიტების ალღოს გარდა ფილოსოფოსს, რათა მიაღწიოს აუცილებელი მოქმედებების ადექვატურ გაცნობიერებას, სჭირდება ჭეშმარიტების სიყვარული. იგი მხოლოდ ალღოთი კი არ უნდა გრძნობდეს, არამედ მან თავისი თეორიული მოღვაწეობის უმაღლეს და უცხადეს პრინციპად უნდა აქციოს მხოლოდ ჭეშმარიტების ძიება. ფიხტეს აზრით, „ფილოსოფოსი უნდა მიესალმოს თვით იმ ჭეშმარიტებას, რომ საერთოდ არ არსებობს ჭეშმარიტება, თუკი ეს აღმოჩნდება ჭეშმარიტი, მისთვის ერთნაირად წმინდა უნდა იყოს ყველა დებულება, რამდენადაც ისინი მიეკუთვნებიან ჭეშმარიტების სისტემას“[28]. საკმარისია თუ არა ეს პირობები იმისათვის, რომ მეცნიერებათმოძღვრება უშეცდომო და უეჭველი იყოს? ფიხტეს მიხედვით — არა, ვინაიდან ფილოსოფია იმეცნებს გონის აუცილებელ მოქმედებებს რეფლექსიისა და განყენების მეშვეობით. ეს კი თავისუფალი საქმეა და არა აუცილებელი, ამიტომ იგი ვერაფერს ვერ გვეტყვის მათი ჭეშმარიტების შესახებ.

რამდენადაც ფილოსოფიური შემეცნებისას რეფლექსია და განყენება განისაზღვრება წინასწარ დაშვებული კანონების მიერ, რომლებიც გონის აუცილებელი მოქმედებებია, ამდენად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადამიანური გონის მეცნიერული სისტემის დასრულებისას მივიღებთ მისი ჭეშმარიტების ცხად დასაბუთებას. ფიხტეს მიხედვით, ასეთ დაშვებას ყოველივე სიკეთესთან ერთად შეუძლია მიგვიყვანოს ლოგიკურ წრემდე: წინასწარდაშვებიდან მიღებული შედეგებით ვამტკიცოთ თვით ამ წინასწარ დაშვებულის ჭეშმარიტება. სხვა კანონები რომ დაგვეშვა, მაშინ მეცნიერული სისტემის გამოკვლევის პროცესში სხვა კანონებს მივიღებდით, როგორც ერთადერთსა და სწორს. ე. ი. ადგილი ექნებოდა წინასწარ დაშვებულისა და მიღებული შედეგის თანხმობას. ეს კი ყოველგვარი სისტემის ჭეშმარიტების მხოლოდ ნეგატიური პირობაა. შესაძლებელია წანამღვრებიდან სწორი დასკვნა იქნეს გაკეთებული, მაგრამ თვით წანამძღვრები იყოს მცდარი და ა. შ. ამ შემთხვევაში ფილოსოფოსი სწორ გზაზე გრძნობამ უნდა დააყენოს. ფიხტეს აზრით, „ადამიანი ვერასოდეს ვერ დასვამდა საკითხს ამ წანამძღვართა ჭეშამრიტების შესახებ, ვერ აღმოაჩენდა შეცდომას დაშვებულ წანამძღვრებში, რომ იგი მხოლოდ მოაზროვნე არსება ყოფილიყო და არა გრძნობადიც. ადამიანური ცნობიერება ვერასდროს ვერ მიაღწევდა თეორიული აზროვნების საშუალებით ჭეშმარიტებას, გრძნობა რომ არ ასწორებდეს ჭეშმარიტების გენერალური ხაზიდან ჩამოცილებული თეორიული ბჭობის მიერ დაშვებულ შეცდომებს და არ მიყავდეს თეორიული აზროვნება კვლავ იქ, სადაც ის არასდროს არ დაბრუნდებოდა სწორი დასკვნის მეოხებით“[29]. ამგვარად, ადამიანი უპირველს ყოვლისა ზნეობრივ-პრაქტიკუ-

---

27 ი. ფ ი ხ ტ ე, დასახ. შრომა, გვ. 45-46.
28 იქვე, გვ. 48.
29 ი. ფ ი ხ ტ ე, დასახ. შრომა, გვ. 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არსებაა, შემდეგ კი თეორიული; თეორიული აზროვნება ანუ მეცნიერება მხოლოდ საშუალებაა ადამიანური ზნეობის სრულყოფის გზაზე და არა მიზანი.

ფილოსოფია, როგორც მეცნიერება წანამძღვრებად უშვებს რეფლექსიისა და გამოყენების წესებს და ეს მას არ უნდა რცხვენოდეს, „ვინაიდან მას შეუძლია გამოთქვას და გააკეთოს დასკვნები სავსებით ისე, როგორც ამას აკეთებს ყველა სხვა მეცნიერება“[30]. ასევე ფილოსოფიამ უნდა გამოიყენოს ლოგიკის ყველა წესი, რათა თავისი თავი ევიდენტური და გასაგები გახადოს. მეცნიერებათმოძღვრებაში ყველა დებულება, გარდა აბსოლუტურად პირველისა და იმისა, რასაც იგი წანამძღვრებად უშვებს, უნდა დასაბუთდეს. ამიტომ თუ გვინდა, რომ გონის აუცილებელი მოქმედებები წარმოვადგინოთ წმინდა, მეცნიერული სისტემის სახით, აუცილებელია მეცნიერებათმოძღვრების პირველი, აბსოლუტურად უპირობო ძირითადდებულებიდან სისტემატური ფორმით გამოყვანილ იქნეს მთელი ადამიანური ცოდნა. ამგვარად, რამდენადაც არსებობს ცოდნის მეცნიერული სისტემა, იმდენად იგი უნდა იყოს ერთ ძირითად დებულებას დაქვემდებარებული, რომელიც ფორმისა და შინაარსის მხრივ განსაზღვრავს დანარჩენ დებულებებს.

2. ფილოსოფია და ბუნებისმეცნიერებანი. ვინაიდან არსებობს მეცნიერებათმოძღვრება, როგორც მეცნიერებათა მეცნიერება, ამდენად მან უნდა დაუდგინოს ყველა კერძო მეცნიერებას ძირითადი დებულებანი; ამის შესატყვისად კერძო მეცნიერების ძირითადი დებულება ამასთანავე მეცნიერებათმოძღვრების დებულებაცაა. ამგვარად, იგი „უნდა განვიხილოთ ორი თვალსაზრისით: როგორც დებულება, რომელიც შედის მეცნიერებათმოძღვრებაში და როგორც ძირითადდებულება, რომელიც დგას კერძო მეცნიერების სათავეში“[31]. ასეთ შემთხვევაში როგორი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებებს შორის? ხომ არ არის ერთი და იგივე მეცნიერებათმოძღვრებაში განხილული დებულება და კერძო მეცნიერების ძირითადდებულება?

თუკი მეცნიერებათმოძღვრების დებულება და კერძო მეცნიერების ძირითადდებულება ერთი და იგივეა, მაშინ ყველა კერძო მეცნიერება შევიდოდა მასში არა მხოლოდ თავიანთი ძირითადდებულების მიხედვით, არამედ ამ ძირითადდებულებიდან გამოყვანილი დებულებების მიხედვითაც. თუ ეს ასეა, მაშინ იქნება მხოლოდ ერთი მეცნიერებათმოძღვრება და ყველა კერძო მეცნიერება გაუქმდება. მაშასადამე, შეუძლებელია ერთი და იგივე დებულება იყოს როგორც ფილოსოფიის, ისე კერძო მეცნიერების ძირთადდებულება. იმისათვის, რათა ფილოსოფიის დებულება კერძო მეცნიერების ძირითადდებულებად იქცეს, აუცილებელია მას რაღაც დაემატოს; მაგრამ საკითხავია, საიდან მიიღება ეს რაღაც და სახელდობრ რას წარმოადგენს იგი? ფიხტეს აზრით, ამ რაღაცის მიღება მხოლოდ ფილოსოფიიდან შეიძლება, ვინაიდან მხოლოდ მასში შედის მთელი ადამიანური ცოდნის შესაძლებლობა, მიუხედავად ამისა, სანამ ეს დებულება ფილოსოფიაშია ეს რაღაც არ არის მასში, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დებულება თვით ფილოსოფიაში იქცეოდა ძირითადდებულებად.

როგორც ცნობილია, მეცნიერებათმოძღვრება შეიცავს ადამიანური გო-

[30] იქვე, გვ. 51.

[31] ი. ფ ი ხ ტ ე, დასახ. შრომა, გვ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის აუცილებელ მოქმედებებს, რომლებსაც ის აუცილებლობით აწარმოებს; ამავე დროს იგი სულის უნარს უტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველგვარი იძულების გარეშე განსაზღვროს თავისი თავი გონის აუცილებელი მოქმედების მიმართ. ამდენად იგი იძლევა აუცილებელ და არააუცილებელ ე. ი. თავისუფალ მოქმედებებს; ამგვარად, რამდენადაც ადამიანური გონი მოქმედებს აუცილებლობით, ამდენად იგი მეცნიერებათმოძღვრების მიერაა განსაზღვრული, გონის თავისუფალი მოქმედებები კი უკვე მას აღარ ექვემდებარება. თუ თავისუფალი მოქმედება აუცილებელია განისაზღვროს, მაშინ მისი განსაზღვრება მოხდება არა მეცნიერებათმოძღვრებაში, ვინაიდან იგი თავისუფალი მოქმედების საგანს — აუცილებელ მოქმედებებს — იძლევა, არამედ კერძო მეცნიერებაში. „ამიტომ კერძო მეცნიერების ძირითადდებულებაში განსაზღვრული უნდა იქნეს ის მოქმედება, რომელიც თავისუფლად არის დატოვებული მეცნიერებათმოძღვრების მიერ. მან მისცა ძირითადდებულებას ის, რაც არის აუცილებელი და თავისუფლება, კერძო მეცნიერებამ კი ამ თავისუფლებას უნდა მისცეს განსაზღვრება“[32].

მაშასადამე, მეცნიერებათმოძღვრება იძლევა როგორც აუცილებელს სივრცესა და წერტილს, მაგრამ იგი წარმოსახვას აძლევს იმის სრულ თავისუფლებას, რომ მან იგულისხმოს ეს წერტილი სადაც მას სურს. როგორც კი ეს თავისუფლება განისაზღვრება ე. ი. როგორც კი ავამოძრავებთ წერტილს შემოუსაზღვრელი სივრცის შემოსაზღვრისათვის და ვავავლებთ ხაზს, ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე გადავდივართ კერძო მეცნიერების, სახელდობრ გეომეტრიის სფეროში.

ანალოგიურად მსჯელობს ფიხტე ბუნებისმეცნიერების შესახებაც. მეცნიერებათმოძღვრების მიერ გვეძლევა რაღაც ბუნება, როგორც აუცილებელი, რომელიც განხილულ უნდა იქნეს როგორც თავისი ყოფიერებით ჩვენგან დამოუკიდებელი: გარდა ამისა იგი იძლევა იმ კანონებსაც, რომელთა საშუალებით უნდა მოხდეს ბუნებაზე დაკვირვება; მაგრამ მსჯელობის უნარი ამავე დროს ინარჩუნებს თავისუფლებას, მიუყენოს ბუნების ნებისმიერ საგანს ნებისმიერი კანონი. მაგალითად, მას თავისუფლად შეუძლია განიხილოს ადამიანის სხეული, როგორც უბრალო ნივთიერება, ანდა როგორც ორგანიზებული, ცხოველური სიცოცხლით განსულიერებული მატერია; მაგრამ როგორც კი მსჯელობის უნარი გადაწყვეტს განიხილოს განსაზღვრული საგანი განსაზღვრული კანონის მიხედვით, რათა დაინახოს რა ზომით შეესატყვისება იგი მას, ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე ვართ არა მეცნიერებათმოძღვრებაში, არამედ ბუნებისმეცნიერებაში. ამგვარად, „საერთოდ, ყოველი ცდაში მოცემული საგნის ჩვენს გონში ყოველ მოცემულ ბუნების კანონთან დაკავშირების ამოცანა წარმოადგენს ბუნებისმეცნიერების ძირითად დებულებას“[33].

ფიხტეს აზრით, ფორმალური ლოგიკაც კერძო მეცნიერებაა, ვინაიდან, ყოველი ლოგიკური დებულება და მთელი ლოგიკაც დასაბუთებულ უნდა იქნეს მეცნიერებათმოძღვრების მიერ; იგი განაპირობებს ლოგიკური დებულებების მნიშვნელობასა და გამოყენებას; ლოგიკის მიერ დადგენილი ფორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შინაარსის მიმართ, რომელსაც მეცნიერებათმოძღვრე-

[32] ი. ფ ი ხ ტ ე, დასახ. შრომა, გვ. 36.

[33] იქვე, გვ. 38.

ბა ადგენს. ამიტომ, ფიხტეს მიხედვით, ყოველი კერძო მეცნიერება თუ ის არ ეყრდნობა მეცნიერებათმოძღვრებას, ლოგიკურად რაც არ უნდა სწორი იყოს, იქნებოდა მხოლოდ უსიცოცხლო საჰაერო ფრანი. განსხვავებით ლოგიკისა და კერძო მეცნიერებათაგან ფილოსოფია აუცილებელია არა როგორც ნათლად მოფიქრებული და სისტემურად დადგენილი მეცნიერება, არამედ როგორც „ბუნებრივი მიდრეკილება“ — ლოგიკა კი ეს არის ადამიანური გონის ხელოვნური პროდუქტი. ფილოსოფიის გარეშე შეუძლებელია ყოველგვარი ცოდნა და მეცნიერება; ლოგიკის გარეშე კი ისინი მხოლოდ დაგვიანებით მიაღწევენ თავიანთ სრულ ფორმას. ფილოსოფია ყოველი მეცნიერების განსაკუთრებული პირობაა, ლოგიკა კი მხოლოდ სასარგებლო გამოგონებაა, რათა უზრუნველვყოთ და შევამსუბუქოთ მეცნიერული პროგრესი.

ფილოსოფია კერძო მეცნიერებებიდან, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, განსხვავდება კიდევ იმით, რომ მას გააჩნია აბსოლუტური მთლიანობა, მასში მოცემულ ერთ დებულებას მივყავართ ყველა დანარჩენთან, ხოლო, ყველა დანარჩენს ამ ერთთან. ფილოსოფია არის ერთადერთი მეცნიერება, რომელიც შეიძლება დასრულდეს. იგი ამომწურავია, გვაძლევს რა ცოდნის დასრულებულ სისტემას; კერძო მეცნიერებანი კი უსასრულოდ ვითარდებიან, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ დაუბრუნდნენ თავიანთ ძირითადდებულებას და შეკრან აუცილებელი წრე; მეცნიერებათმოძღვრებას კი შეუძლია ამის დასაბუთება და დასაბუთების საფუძვლის მოცემაც. ხომ არ ზღუდავს ფილოსოფიის ასეთი ამომწურაობა კერძო მეცნიერებათა განვითარებას? ფიხტეს აზრით, „მეცნიერებათმოძღვრების ამომწურაობა არ ზღუდავს კერძო მეცნიერებათა განუწყვეტელ შემეცნებით პროგრესს, ვინაიდან მათ აძლევს ისეთ ამოცანას, რომლის ამოწურვაც მათ არ შეუძლიათ საზოგადოდ; პირიქით, ეს პროგრესი სწორედ მეცნიერებათმოძღვრებით მოწმდება და უეჭველი ხდება“[34]. ამგვარად, ფილოსოფია იკვლევს რა ადამიანური გონის აუცილებელ მოქმედებებს, ადგენს არა მხოლოდ ყველა კერძო მეცნიერებათა ძირითადდებულებებს, არამედ თვით ყოველგვარი მეცნიერების მეცნიერულობის ფორმასაც. ამიტომ არის იგი, ფიხტეს აზრით, არა უბრალო მეცნიერება, არამედ მეცნიერებათა მეცნიერება ანუ მეცნიერებათმოძღვრება (Wissenschaftslehre).

### III. ფილოსოფიის რაობის პრობლემა შელინგის ფილოსოფიაში

მოკლედ შევეხოთ ამ პრობლემის შელინგისეულ გადაწყვეტას, რამდენადაც იგი ამზადებს ნიადაგს ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის წარმოქმნისათვის, გაჰყავს რა ფილოსოფია აბსოლუტის შემეცნების გზაზე; ვინაიდან ფილოსოფია მასთან უკვე აღარ არის ფიხტეანური სუბიექტური იდეალიზმი, რომლის ამოსავალი წერტილი და საგანი ადამიანური გონის აუცილებელი მოქმედებებია. შელინგის აზრით, ფილოსოფიამ უნდა შეიმეცნოს პრინციპი, საიდანაც აუცილებლობით გამოიყვანება მთელი სამყარო: ადამიანური გონი და ბუნება; ბუნება არ არის არარა, ადამიანი ბუნებას გარედან კი არ უკავშირდება, არამედ მისი ღვიძლი შვილია და მისი განვითარების უმაღლეს, გონის მქონე პროდუქტს წარმოადგენს. ის ერთი პრინციპი კი, რომლიდანაც აუცილებლობით გამომდინარეობს სული და ბუნება, არის აბსოლუტი. ამიტომ შელინგის აზრით, „ფილოსოფია არის მეცნიერება აბსოლუტის შესახებ“. ეს აბსოლუტი არ არის ბრმა, ცოდნას მოკლებული რამ, იგი არ არის

[34] ი. ფ ი ხ ტ ე, დასახ. შრომა, გვ. 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნება ჩვეულებრივი აზრით, არამედ იგი არის თვით შემეცნება: წინააღმდეგ შემთხვევაში აბსოლუტის შესახებ ყოველგვარი ცოდნა და მეცნიერება ზედმეტი გახდებოდა, ამიტომ შელინგის აზრით, თუ გვინდა ფილოსოფია მეცნიერებად ვაქციოთ, მაშინ აბსოლუტი იდეალისტურად უნდა გავიგოთ; ამგვარად, ფილოსოფია, როგორც მეცნიერება არის აბსოლუტური იდეალიზმი, რომელიც თავისთავში შეიცავს სულისა და ბუნების მთელ სისტემას.

აბსოლუტი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აგრეთვე სუბიექტ-ობიექტის, რეალურისა და იდეალურის იგივეობაა. მისი ჭეშმარიტი შემეცნებისათვის აუცილებელია ამ ორივე შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინება, წინააღმდეგ შემთხვევაში აბსოლუტზე არ გვექნება ნამდვილი ანუ აბსოლუტური ცოდნა. მაშასადამე, შელინგის აზრით, ფილოსოფიას ჭეშმარიტებასთან მაშინ აქვს საქმე, როცა აღიარებულია, რომ აბსოლუტურად იდეალური ამავე დროს აბსოლუტურად რეალურია. აბსოლუტურის ასეთი გაგებიდან გამომდინარეობს ის, რომ იგი არ შეიძლება შემეცნებულ იქნეს გარედან ე. ი. არ შეიძლება წარმოადგენდეს სხვა ცოდნის საგანს, მისი შემეცნება მხოლოდ მასში არსებობს; ამდენად, აბსოლუტის შესახებ ცოდნა მისი თვითშემეცნებით მიიღწევა. შელინგის აზრით, თვით აბსოლუტი გონების ცოდნის აქტია, ფილოსოფიას თუ სურს სწვდეს აბსოლუტს, მაშინ იგი უნდა დაემთხვეს ამ აქტს: უნდა ჩაიძიროს მის სფეროში და მხოლოდ მაშინ განჭვრეტს უცხადესად მთელ სამყაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დარჩება სუბიექტური ცნობიერების ფარგლებში და განიხილავს არა ნამდვილ ნივთთა არსებას, არამედ მხოლოდ მათ სახეებს, როგორც ეს პლატონის გამოქვაბულის მცხოვრებთ წარმოუდგენიათ.

ამგვარად, ფილოსოფიის საგანი აბსოლუტია, მაგრამ როგორ შეუძლია ადამიანურ გონებას შეიმეცნოს იგი? განსჯას თავისი ფორმალურ-ლოგიკური აზროვნებით არ შეუძლია სწვდეს აბსოლუტს, უსასრულოს, იგი მხოლოდ სასრულის შემეცნებას გვაძლევს. მხოლოდ გონებას, რომელიც შელინგის მიხედვით განსჯისა და ინტუიციის მთლიანობაა, შეუძლია აბსოლუტის შემეცნება; ამგვარი შემეცნება კი აბსოლუტური შემეცნებაა, რომელიც ქმნის საგანთა არა მხოლოდ ფორმას, არამედ შინაარსსაც. ამდენად, მხოლოდ ინტელექტუალური ინტუიციის საშუალებით შეუძლია ადამიანში არსებულ ღვთაებრივ გონს სწვდეს აბსოლუტს. ინტელექტუალური ინტუიცია, შელინგის მიხედვით, არის შინაგანი განცდა. იგი არის ტრანსცენდენტალური აზროვნების ნამდვილი და ჭეშმარიტი ორგანო ანუ უშუალო შემეცნების ორგანო; მისი საშუალებით გონება უშუალოდ იმეცნებს აბსოლუტს; ამდენად, ინტელექტუალური ინტუიცია მაგიურია, რომლის მეშვეობით ადამიანურ გონს შეუძლია უშუალოდ შეიმეცნოს აბსოლუტი და მთელი სინამდვილე. არც კერძო მეცნიერებებს, არც რელიგიას და ხელოვნებას არ შეუძლიათ აბსოლუტის შემეცნება, პირიქით, მათ მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ ენიჭებათ, როდესაც ფილოსოფია ინტელექტუალური ინტუიციის საშუალებით მისწვდება აბსოლუტს და გააცხადებს მას.

ინტელექტუალური ინტუიციისა და ფილოსოფიის რაობის ასეთი გაგება ფაქტიურად ზედმეტს ხდის აბსოლუტის შესახებ ყოველგვარი მეცნიერების არსებობას. ამას შელინგი ასე გამოთქვამს: „ბუნება იმეცნებს არა მეცნიერების საშუალებით, არამედ თავისი არსების ანუ მაგიური წესის საშუალებით; მოვა დრო, როდესაც მეცნიერებანი თანდათანობით გაქრებიან და მათ ადგილს დაიჭერს უშუალო ცოდნა. ყველა ეს მეცნიერება, როგორც ასეთი, გამოგონე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულია მხოლოდ ამ ცოდნის უქონლობის გამო“[35]. მეცნიერება სჭირდება კაცობრიობას, რადგან უშუალო შემეცნება ანუ ინტელექტუალური ინტუიცია ყველას არ გააჩნია. მისი აზრით, „არსებობდნენ და იარსებებენ ადამიანები, რომლებსაც არ სჭირდებათ მეცნიერება, ადამიანები, რომლებშიც იყურება თვით ბუნება და რომლებიც ამ თავის ხედვაში თვით ხდებიან ბუნებად“[36]. ე. ი. ამ ინტუიციის მქონე ადამიანი გენიოსია, რომელიც განიცდის მთელ სინამდვილეს და თვით ხდება მთელი ბუნება. ასეთ გენიოსებს შელინგი ჭეშმარიტ ემპირიკოსებს ანუ მაგიურ ემპირიკოსებს უწოდებს და ფილოსოფიას ანუ ტრანსცენდენტალურ იდეალიზმს მაგიური ემპირიზმით ნათლავს. ამგვარად, ფილოსოფიის რაობის ასეთი გაგება უარყოფს არა მხოლოდ კერძო მეცნიერებებს, არამედ აუქმებს თვით ფილოსოფიას, როგორც მეცნიერებას და მეცნიერული შემეცნების მეთოდის ადგილზე გენიალურ განჭვრეტას ამკვიდრებს.

## IV. ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა დამოკიდებულების პრობლემა გ. ჰეგელის ფილოსოფიაში

1. ფილოსოფიის რაობის პრობლემა. ჰეგელთან აზროვნება (გონება) უკვე დასრულებული აბსოლუტია, ის არის სამყაროს საწყისი, სუბსტანცია და თვით ეს სამყარო. იგი არა მარტო აუცილებელი, არამედ თავისუფალიცაა, სინამდვილის დემიურგია, ამდენად აბსოლუტური სუბიექტია. აბსოლუტური გონება მოქმედია და ამ მოქმედების მიზანსაც გულისხმობს: ეს მიზანი კი იგივე გონება შეიძლება იყოს. გონება როგორც მიზანი, ჰეგელის მიხედვით, იდეაა, რომელიც ვითარდება „თავისთავადი“ მდგომარეობიდან, „თავისთვის“ მდგომარეობისაკენ. სწორედ ამ იდეასთან აქვს საქმე ფილოსოფიას, მისი ამოცანაა მეცნიერული ფორმით აჩვენოს აბსოლუტური გონის განვითარება-შემეცნების პროცესი, რადგან გონება აბსოლუტია, ამდენად იგი იგივე სინამდვილე, ჭეშმარიტება და აბსოლუტური ძლიერება ანუ ღმერთია.

აბსოლუტის ჭეშმარიტი, მეცნიერული წვდომა, ჰეგელის აზრით, არ შეუძლიათ არც რელიგიას და არც კერძო მეცნიერებებს; ვინაიდან, „ჭეშმარიტი ფორმა, რომელშიც არსებობს ჭეშმარიტება, შეიძლება იყოს მხოლოდ მისი მეცნიერული სისტემა. ჩემი განზრახვა იყო ხელი შემეწყო ფილოსოფიის მეცნიერების ფორმასთან დაახლოებისათვის—იმ მიზანთან დაახლოებისათვის, რომლის მიღწევისას მას შეეძლო უარი ეთქვა იმაზე, რომ ეტარებინა სახელი ცოდნის სიყვარულისა და ყოფილიყო ნამდვილი ცოდნა“[37]. აბსოლუტი მხოლოდ ფილოსოფიაში გვევლინება მეცნიერული ფორმით, ვინაიდან გონება აქ თავის სტიქიაში: ცნებით ანუ წმინდა აზროვნებაში მაღლდება. მეცნიერულობა კი ცნებათა სისტემურ კავშირში მდგომარეობს. აბსოლუტური გონება გარკვეული გონიერი კავშირების სისტემური ერთობლიობაა და არა ქაოსი. ფილოსოფია გამოთქვამს რა ამ კავშირებს ცნებებში, იგი წარმოგვიდგება, როგორც ცნებათა აუცილებელი კავშირები, ერთი მთლიანი, დასრულებული სისტემა ანუ მეცნიერება.

ჰეგელის აზრით, კანტის მოსაზრება ფილოსოფიის, როგორც მეცნიერუ-

---

[35] ციტ.: К. Ф и ш е р, История новой философии, т. 7, С-П., 1905, с. 510-511.

[36] იქვე.

[37] Г. Г е г е л ь, Соч., т. 4, М., 1959, с. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მსოფლმხედველობის შეუძლებლობის შესახებ და ფილოსოფიის დაყვანა უშუალო ცოდნაზე ინტელექტუალური ინტუიციის საშუალებით (შელინგი), გონების უძლურებისა და ფილოსოფიის არამეცნიერულობის გამომხატველია. თუ აბსოლუტის გადმოსაცემად დავეყრდნობით ინტელექტუალურ ინტუიციას, მაშინ მისი შემეცნებებისათვის აუცილებელია „არა ცნება, არამედ ექსტაზი, არა საქმის ცივად გაშლილი აუცილებლობა, არამედ მგზნებარე შთაგონება"[38]. ამ თეორიის მომხრენი განყენებას ახდენენ მეცნიერებებისაგან, ვინაიდან თვლიან, რომ შთაგონება უფრო მეტია, ვიდრე მეცნიერება; მათ ჰგონიათ იმყოფებიან ჭეშმარიტების სიღრმესა და გულში, ამიტომ ზიზღით უყურებენ განსაზღვრულობას და განზრახ თავს არიდებენ ცნებასა და აუცილებლობას. „მაგრამ როგორც არსებობს ცარიელი სიფართოვე, ასევე არსებობს ცარიელი სიღრმეც"[39]. ამგვარად, აქ მეცნიერულ ცოდნასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ შეხედულებასთან; ფილოსოფია ერთეული პიროვნებების საკუთრებად ცხადდება და ფილოსოფოსები ემსგავსებიან იმ წმინდანებს, „რომლებსაც ღმერთი სიბრძნეს ძილში უგზავნის, ამგვარად ის, რასაც ისინი ძილში ღებულობენ და ქმნიან, აგრეთვე სიზმარია"[40] და არა მეცნიერება.

ფილოსოფია, როგორც მეცნიერება თავიდან (საწყისი), ბოლომდე (რეზულტატი) უნდა იყოს მკაცრად დასაბუთებული და ნათელყოფილი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოკლებული იქნებოდა საყოველთაო გასაგებობას. ფილოსოფია უნდა იყოს ეკზოთერული და არა ეზოთერული, მისთვის, როგორც მეცნიერებისათვის აუცილებელია განსჯითი ანუ ცნებითი ფორმა, რომელიც ყველა მოაზროვნეს ერთნაირი სიძლიერით გასავლელ გზაზე აყენებს. ამიტომ, „ჭეშმარიტი აზრები და მეცნიერული წვდომა შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს მხოლოდ ცნების მუშაობაში, მხოლოდ მას შეუძლია შექმნას ცოდნის ის უზოგადესობა, რომელიც არის არა ჩვეულებრივი განსაზღვრულობა და ჯანსაღი ადამიანური აზრის სიღარიბე, არამედ განვითარებული და დასრულებული შემეცნება, და არა გონების ნიჭის არაჩვეულებრივი უზოგადესობა, რომელიც გახრწნილია გენიის თავისთავზე დიდი წარმოდგენითა და ჩამორჩენილობით, არამედ ჭეშმარიტება, რომელმაც მიაღწია თავის დამახასიათებელ ფორმას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უზოგადესობა, რომელსაც უნარი შესწევს იყოს თვითცნობიერების მფლობელი ყოველი გონის მონაპოვარიც"[41]. ამგვარად, ფილოსოფია, როგორც მეცნიერება შესაძლებელია ცნებითი აზროვნების საშუალებით, როცა გონება თავის სტიქიაში ანუ წმინდა აზროვნებაში ამაღლდება.

ყოველი მეცნიერება, ჰეგელის აზრით, ფილოსოფიისა, დოგმატურია, არაკრიტიკულია; ფილოსოფია კი შეუძლებელია ასეთი იყოს; იგი ვერ აიგება შეუმოწმებელ და დაუსაბუთებელ დებულებებზე, მასში ყველაფერი უნდა დასაბუთდეს. ამიტომ, სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, აქ თავისებურად დგება საწყისის პრობლემა; მართალია, ფილოსოფია კონკრეტული მთლიანობის გამომხატველი მეცნიერებაა, მაგრამ იგი მთელით ვერ დაიწყებს. ვინაიდან დასაწყისში მოცემული მთელი, როგორიცაა „ღვთაებრივი", „აბსო-

---

[38] გ. ჰ ე გ ე ლ ი, დასახ. შრომა. გვ. 4.
[39] იქვე, გვ. 5.
[40] იქვე.
[41] იქვე, გვ. 38.

ეროვნული

ლუტი“ და სხვა, არავითარი შინაარსის გამომხატველნი არ არიან. აბსოლუტი, როგორც იგი პირველად და უშუალოდ წარმოიდგინება — მხოლოდ უზოგადესია, რომელიც მოკლებულია რაიმე კონკრეტულ შინაარსს. აბსოლუტი არსებითად რეზულტატია, იგი მხოლოდ თავისი განვითარების დასასრულს არის ის, რასაც იგი ჭეშმარიტად წარმოადგენს. ამიტომ ფილოსოფია, როგორც მეცნიერება აბსოლუტზე, ვერ დაიწყებს მთელით; მან უნდა დაიწყოს ამ მთელის მომენტით, რომელიც ცალკე აღებული ჭეშმარიტიცაა და მცდარიც. მისი ჭეშმარიტება მაშინ დასაბუთდება, როცა ეს აბსოლუტი, მთელ თავის კონკრეტულობაში ანუ ტოტალობაში იქნება მოაზრებული და მასში განსაზღვრული იქნება ამ მომენტის აუცილებელი ადგილი. „ჭეშმარიტება არის მთელი“ ამიტომ ფილოსოფიის ყოველი ნაწილისა თუ საწყისის ჭეშმარიტება გამოვლინდება მაშინ, როდესაც სახეზეა აზრის მოძრაობის რეზულტატი; როდესაც საქმე გვაქვს დასრულებულ მთელთან. მთელი მონაწილეობს ფილოსოფიური სისტემის ყველა წევრში და მათ ორგანულად ამთლიანებს. ფილოსოფია, როგორც მეცნიერება შეუძლებელია ასეთი მთელის, სისტემურობის გარეშე; ვინაიდან „ყოველგვარ შინაარსს თავისი გამართლება აქვს როგორც მხოლოდ მთელის მომენტს, ამ მთლიანის გარეშე კი იგი დაუსაბუთებელი ვარაუდი ან სუბიექტური რწმენაა“[42].

ფილოსოფია, როგორც მეცნიერება, მოძრაობს აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ ანუ საფუძვლისაკენ; ის რაც ამ მოძაობის შედეგად მიიღება — მთელი — არის ყოველი ფილოსოფიური კატეგორიის და საწყისის საფუძველთა საფუძველი. უშუალო საწყისი და მთელი გზა მაშინ გახდება ნათელი, როდესაც მივალთ მათ საფუძვლებამდე. აქ კი აღმოჩნდება, რომ საწყისი უშუალო კი არა გაშუალებული ყოფილა ამ საფუძველით. ამიტომ ჰეგელის აზრით, მთელი ფილოსოფია უშუალო საწყისის უკანასკნელ შედეგად ქცევაში მდგომარეობს. ესაა ის შედეგი, რომელშიც „ფილოსოფია თავის დასაწყისს კვლავ მიაღწევს, კვლავ თავის თავს უბრუნდება“[43]. ამგვარად, ფილოსოფია ეს არის „თავისთავში უკუდაბრუნებული წრე“, როდესაც იგი შეიკვრება, ფილოსოფიაში არ დარჩება არც ერთი კატეგორია, თუნდაც საწყისი, რომელიც დასაბუთებული არ იქნება საფუძველ ცნებით. ის, რაც დასაწყისი იყო, გადაიქცევა შედეგად და შეიკვრება წრე. ჰეგელის მიხედვით, ფილოსოფიას მხოლოდ ამ გზით შეუძლია იქცეს ჭეშმარიტ, აბსოლუტურ ცოდნად ე. ი. მეცნიერებად; ამგვარად, მხოლოდ ფილოსოფია შეიძლება იყოს მეცნიერება, ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით.

2. ფილოსოფია და ემპირიული მეცნიერებანი. ფილოსოფია ემპირიული მეცნიერებებისაგან, უწინარეს ყოვლისა, განსხვავდება თავისი საგნით: გონი, თავისუფლება, ღმერთი. ვინაიდან „ამ საგნებს ცდისეული შემეცნების ნიადაგზე ვერ ვპოვებთ, იმიტომ რომ ეს საგნები თავიანთი შინაარსით მაშინვე უსასრულო სახით წარმოგვიდგებიან“[44]. მიუხედავად ამისა, მათ მაინც გააჩნიათ საერთო საგანი: ბუნება; ამიტომ საკვლევია თუ რა განსხვავება არსებობს ბუნების ფილოსოფიასა და ემპირიულ მეცნიერებებს შორის. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათ შორის არსებით განსხვავებას ქმნის ის, რომ ერთი

---

[42] გ. ჰ ე გ ე ლ ი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 61.

[43] იქვე, გვ. 64.

[44] იქვე, გვ. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფუძნებულია ცდასა და დაკვირვებაზე, ხოლო მეორე — აზროვნებაზე; მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი, „ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აზროვნების მხოლოდ ფორმებითა და ხერხებით; ვინაიდან ორივე ბუნების აზროვნებითი შემეცნებაა“[45]. ამგვარად, გასარკვევია, თუ რა სახისაა აზროვნება ემპირიულ მეცნიერებებში.

ემპირიული მეცნიერებანი გამოხატავენ მეცნიერული ცოდნის პირველ საფეხურს, რომელიც აბსტრაქტულ-განსჯითი ცოდნაა. აზროვნებას ამ საფეხურზე გააჩნია არა მხოლოდ საკუთარი საგნები, არამედ შემეცნების სპეციფიკური მეთოდები და კატეგორიები; მაგრამ მათ მიერ მოცემული განსაზღვრულობანი ნაკლოვანია: აბსტრაქტული და ფორმალური ხასიათის მქონეა. მათში მოცემულ „უზოგადესს არ აქვს თავისი განსაზღვრება თავისთავში და არ გადადის განსაკუთრებულში“[46]. ამიტომ მათში მოცემული განსაკუთრებული შინაარსი იმყოფება უზოგადესის გარეშე და მოკლებულია აუცილებლობის ფორმას. გარდა ამისა, ამ მეცნიერებათა წანამძღვრები, უშუალობანი დაუსაბუთებელი წანამძღვრებია, ამიტომ მათგან ამოსვლით შეუძლებელია მათში მოცემულ ზოგადობათა აუცილებლობის ფორმის დაკმაყოფილება. განსხვავებით ემპირიული მეცნიერებებისაგან, რომლებიც ცდიდან ამოდიან და იძლევიან აუცილებლობას მოკლებულ ზოგადობებს, ფილოსოფია ამოდის ცნებიდან და გვაძლევს აუცილებელი ფორმის მქონე ცოდნას. ფილოსოფიურ დებულებებს ემპირიული კრიტერიუმები არ სჭირდებათ თავიანთი ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, ვინაიდან, „ის, რაც შეიმეცნება ცნებით, თავისთავად ცხადი და უეჭველია“[47]. ემპირიულ მეცნიერებებს კი კრიტერიუმად ცდა ესაჭიროებათ, რამდენადაც მათში ყოველი მოვლენის შემეცნება დაიყვანება ზოგად აზრებზე (ჰიპოთეზებზე), რომელთა ერთადერთი დამადასტურებელი მხოლოდ ცდა შეიძლება იყოს.

ამგვარი განსხვავების მიუხედავად ფილოსოფია და ემპირიული მეცნიერებები მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებიან; ვინაიდან ფილოსოფია „სხვა მეცნიერებათა ემპირიულ შინაარსს განზე კი არ გადააგდებს, არამედ მიიღებს და გამოიყენებს, ასევე ამ მეცნიერებათა ზოგადს, კანონებს, გვარეობებს და ა. შ. აღიარებს და თავის საკუთარ შინაარსად აქცევს, მაგრამ ამ კატეგორიებში სხვა კატეგორიები შეაქვს და ძალასა და მნიშვნელობას ანიჭებს. ამდენად, განსხვავება ეხება მხოლოდ კატეგორიების შეცვლას“[48]. მათი კავშირი მარტო ამით არ ამოიწურება, ვინაიდან ფილოსოფია არა მხოლოდ უთანხმდება ბუნების ცდისეულ შემეცნებას, არამედ „ფილოსოფიის თვით წარმოშობასა და განვითარებას თავის წანამძღვრად და პირობად აქვს ემპირიული ფიზიკა“[49]. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ფილოსოფიაში საფუძველი ცდა იყოს. ჰეგელი მკაცრად ანსხვავებს ერთმანეთისაგან ფილოსოფიის წარმოშობისა და ფილოსოფიური შინაარსის დასაბუთების საკითხებს, რადგან, მისი აზრით, ...„ერთია რომელიმე მოცემული მეცნიერების წარმოშობის პროცესი და მოსამზადებელი სამუშაოები, და მეორეა თვით ეს მეცნიერება“[50]. ცდა აღძრავს აზ-

---

[45] Г. Г е г е л ь, Энциклопедия философских наук, т. 2, М., 1975, с. 10.

[46] იქვე, გვ. 21.

[47] იქვე, გვ. 115.

[48] იქვე, გვ. 54.

[49] იქვე, გვ. 14.

[50] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნებას, აქედან იწყება კიდეც ფილოსოფია, მაგრამ ცდით აღძრული აზროვნება ამაღლდება უშუალო, განსჯითი ცნობიერებისაგან, თავის „წმინდა და აუმღვრეველ სტიქიაში“. წმინდა აზრის სფეროში შეჭრილი ფილოსოფია კი თავის გამართლებას ცდაში ვერ პოვებს, აქ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ცნების აუცილებლობა.

ცდით გაღიზიანებული აზროვნება ამაღლდა რა თავის სტიქიაში, აბსტრაქტულში იძირება და სავსებით ივიწყებს იმ გრძნობად სამყაროს, რომლისგანაც გამოვიდა. ნაცვლად იმისა, რომ განვითარდეს ე. ი. გამოვიდეს აბსტრაქტულიდან და წავიდეს კონკრეტულისაკენ, ეძლევა თვითკმაყოფილებას და აბსტრაქციებით კმაყოფილდება; აი, აქ იჩენს თავს, ჰეგელის აზრით, ცდისეული მეცნიერების დადებითი როლი. რამდენადაც, „...ცდისეულ მეცნიერებებს თან ახლავთ სტიმული დაძლიონ ის ფორმა, რომელშიც მათი შინაარსის სიმდიდრე წარმოდგება, როგორც მხოლოდ უშუალო და წინასწარ ნახული, როგორც ერთმანეთის გვერდით მდებარე მრავალფეროვნება, ამიტომ და საერთოდ, როგორც შემთხვევითი, და ეს შინაარსი აამაღლონ აუცილებლობამდე“[51]. ამდენად, სწორედ ეს სტიმული გამოგლეჯს აზროვნებას მხოლოდ თავისთავში განცდილ კმაყოფილებას და აიძულებს მას დაუბრუნდეს თავის გამოსავალს, ემპირიულ მასალას. ამგვარად, ეს განვითარება, ერთის მხრით, იქნება იმ შინაარსის და განსაზღვრებების მიღება, რომელიც მოიპოვეს ემპირიულმა მეცნიერებებმა, ხოლო მეორეს მხრივ, არის ამ შინაარსისათვის აუცილებლობის ფორმის მინიჭება, თვით საგანთა შინაგანი აუცილებლობის თანახმად. მაშასადამე, ჰეგელის აზრით, ფილოსოფიისა და ემპირიული მეცნიერებების დამოკიდებულება შემდეგი ხასიათისაა: „ფილოსოფია იღებს ფიზიკის მიერ ცდის საფუძველზე გაკეთებულ მასალას იმ წერტილში, სანამდეც მიიყვანა იგი ფიზიკამ და თავის მხრივ შემდგომ გარდაქმნის მას, მაგრამ ახლა უკვე იმის გარეშე, რომ ცდა აღარ წარმოადგენს უკანასკნელ დასაბუთებას“[52]. ამგვარად, ემპირიული მეცნიერებანი ფილოსოფიას ამარაგებენ მასალით, ხოლო ფილოსოფია იჭრება რა ამ მასალაში აძლევს მას აუცილებლობის ფორმას, რომელიც მეცნიერულ დაკმაყოფილებას ვერ პოულობდა ემპირიულ მეცნიერებებში.

მოკლედ შევაფასოთ ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტა გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში. გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა ვერ შესძლო ეჩვენებინა ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებების დამოკიდებულების, ფილოსოფიის რაობის ყველა თავისებურება; ხშირ შემთხვევაში ამ პრობლემების ვერც მეცნიერული ანალიზი და გადმოცემა ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა მან ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ფილოსოფიისაგან ეს-ეს იყო იწყებოდა კერძო მეცნიერებების გამოყოფის ფაქტის გაცნობიერება, ხოლო მთელი კულტურის ეპიცენტრად კი მეცნიერება ხდებოდა, აღნიშნა არა მხოლოდ სინამდვილის შემეცნების ორი სახის დიფერენციაცია, არამედ ძირითად ხაზებში გაარკვია ის არსებითი სხვაობა, რომელიც მათი შემეცნების საგნებსა და მეთოდებს შორის არსებობს. საგანგებოდ აღნიშნა ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებების ურთიერთკავშირის აუცილებლობა. გამოიკვლია ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებების დამოკიდებულების პრობლემის არა მხოლოდ გნოსეოლოგიურ-მეთოდოლოგიური, არა-

---

[51] გ. ჰ ე გ ე ლ ი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 57.

[52] Г. Г е г е л ь, Энциклопедия философских наук, т. 2., М., 1975, с. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ ზნეობრივ-ჰუმანისტური ასპექტებიც. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ი. კანტისა და ი. ფიხტეს ფილოსოფიური მოძღვრებების ანალიზისას.

იმის გამო, რომ მეცნიერება კულტურის ეპიცენტრი და ორიენტაციის ობიექტი გახდა, გერმანული კლასიკური იდეალიზმის წარმომადგენლებს ფილოსოფია არ გაჰყავთ მეცნიერულობის საზღვრებიდან, მაგრამ არც კერძო მეცნიერებებზე დაჰყავთ. ამიტომ მათ ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების სპეციფიკა გამოხატეს მეცნიერებათა მეცნიერების თეზისით. ფილოსოფია მეცნიერებაა, მაგრამ განსხვავებით კერძო მეცნიერებებისაგან იგი მათი მეცნიერულობის საფუძველი ანუ მეცნიერებათა მეცნიერებაა. ფილოსოფია უნივერსალური მეცნიერებაა, იგი კერძო მეცნიერებებს განსაზღვრავს როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივაც; ეს კი ეჭვის ქვეშ აყენებს კერძო მეცნიერებების არსებობის უფლებას, ვინაიდან წარმოიქმნება იმის საფრთხე, რომ მთელი მეცნიერული ცოდნა ფილოსოფიაზე იქნეს დაყვანილი; ამიტომ ფილოსოფიის რაობას თუ გავიგებთ როგორც მეცნიერებათა მეცნიერებას, მაშინ იგი ვერ მოგვცემს ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა ურთიერთდამოკიდებულების არსების ჭეშმარიტ გაგებას; ეს ურთიერთდამოკიდებულება უფრო რთულია, ვიდრე ამას ფილოსოფის რაობის ასეთი გაგება გვაძლევს. ამ პრობლემის ჭეშმარიტი გადაწყვეტა შესაძლებელია მაშინ, თუ ფილოსოფიას გავიგებთ, როგორც მეცნიერულ მსოფლმხედველობას. მართალია, ჰეგელთან უარყოფილია კანტის მიერ ფილოსოფიის, როგორც მეცნიერული მსოფლმხედველობის შეუძლებლობის თეზისი, რამდენადაც ფილოსოფია გაგებულია როგორც მეცნიერულობისა და მსოფლმხედველობრიობის დიალექტიკური ერთიანობა; მიუხედავად ამისა, ეს არსებითად სწორი დებულება გაყალბებულია იდეალიზმისა და მისტიციზმის გამო. ფილოსოფიის, როგორც მეცნიერული მსოფლმხედველობის დასაბუთება შესაძლებელი გახდა მარქსისტური ფილოსოფიის მეშვეობით, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია და ამიტომ მას აქ არ შევეხებით.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

---

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1979, № 4

# ფსიქოლოგია

ზურაბ ბიგვავა

## ფიქსირებული განწყობის ეფექტები განსხვავებული სამოძრაო ამოცანის პირობებში

მიზანმიმართულობას, როგორც ცოცხალი არსების განმასხვავებელ ნიშანს, ხოლო მიზანდასახულ ქცევას, როგორც ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ კატეგორიას, დიდი ხნის წინათ გამოყოფდნენ[1].

პერცეპტულ-მოტორული აქტივობა ყველა მიზანდასახული ქცევის ექვივალენტი თუ არა, შემადგენელი ნაწილია.

ადამიანის აქტივობის მართვის ერთ-ერთ მთავარ დეტერმინანტს განწყობა (დ. უზნაძე) წარმოადგენს. იგი არის მექანიზმი ადაპტაციის და კორექციის, ლაბილურობისა და სტაბილურობის. დიდძალი ექსპერიმენტული მასალა, რომელიც ფიქსირებული განწყობის შესწავლის დროს წარმოჩნდა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის გამოკვლევებში, ადასტურებს ამ დებულებას. სენსომოტორულ აქტივობაში განწყობის შესწავლა კიდევ უფრო ნათლად ავლენს განწყობისეული მექანიზმის მნიშვნელობას.

ყოველგვარ ქცევას, როგორც ცნობილია, თავისი მიზანი გააჩნია. მიზანი, გარკვეულ პირობებში მოცემული, შეიძლება ამოცანასაც წარმოადგენდეს[2].

ამოცანა, თავის მხრივ, სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს, გარეგანად სრულიად იდენტური მოტორული აქტების შემთხვევაში. განსხვავებულია აგრეთვე ქცევებიც, რომლებსაც შეესაბამებიან ასეთი მრავალფეროვანი ამოცანები (მიზნები).

სავარაუდოა, განსხვავებული პერცეპტულ-მოტორული ამოცანები გარკვეულ გავლენას უნდა ახდენდნენ ქცევის სუბიექტის განწყობაზე, ვინაიდან განწყობა ის მთლიანობითი მოდიფიკაციაა, რომელიც მიზანდასახული შემგუებლური ქცევის ფაქტორს წარმოადგენს და რომელშიც აისახება რეალური სიტუაცია, აქტუალური მოთხოვნილება (საგნის მიზნის) და მისი დაკმაყოფილების პირობები. აქედან, განსხვავებულ ამოცანას თავისი სპეციფიკა უნდა შეჰქონდეს აღნიშნულ წარმონაქმნში.

მოცემული გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს სწორედ ამ სპეციფიკის გარკვევა, რომელიც განსხვავებული სახის ამოცანებს შეაქვთ პერცეპტულ-მოტორული ქცევის განწყობაში.

როგორც ცნობილია, ადამიანს ფსიქიკური ცხოვრების ორი პლანი გააჩნია: იმპულსური ქცევის და ობიექტივაციის. ადამიანისათვის სპეციფიკურს სწორედ მეორე, ობიექტივაციის პლანში მიმდინარე ქცევები წარმოადგენენ,

---

[1] We Dougall — Purposiveness a Characteristic of Living Things — წიგნში «Motivation: Selected Readings Penguin Modern Psychology», 1968, გვ. 163-165.

[2] В. П. Зинченко, В. М. Гордон, Методологические проблемы психологического анализа деятельности, с. 82. Системные исследования. Ежегодник 1975, № 1, 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ამოცანა, მიზანი ცნობიერად არის მოცემული. ამ დროს წარმოიშობა თეორიული ქცევის პროცესი, რაც „... სპეციფიკურ ადამიანურ აქტთა დონეს აღწევს, რომელიც თვისობრივად განსხვავდება ყველაფრისაგან, რისი მოცემაც შეუძლია ამა თუ იმ ცხოველს თავისი არსებობის ჩვეულებრივ პირობებში"[3], ქცევის ამოცანა გაუცნობიერებლადაც შეიძლება იყოს მოცემული იმპულსური ქცევის პლანში. ამ შემთხვევაში ამოცანა განწყობაშივე არის წარმოდგენილი, მასთან ერთად მოიცემა. თეორიული ქცევის კონტექსტში, ობიექტივაცის პლანში, განწყობის წარმოშობას წინ უსწრებს ამოცანის გაცნობიერება, ამოცანის გაცნობიერების შედეგად წამოიშობა განწყობა, რომელიც შემდეგ პრაქტიკული ქცევის განხორციელებას ედება საფუძვლად.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანს, გარემოსთან შეგუების პროცესში, განსხვავებული სახის ქცევების მეშვეობით, უამრავი პერცეპტულ-მოტორული ამოცანის გადაწყვეტა უხდება. ამოცანების მთელი სიმრავლე კოორდინაციის თეორიის მიხედვით, რამდენიმე კლასში შეიძლება გავაერთიანოთ. ასეთ კლასებს ბერნშტეინი მოძრაობის აგების დონეებს უწოდებს. დონეები განსხვავდებიან ურთიერთისაგან მოძრაობის განხორციელების აზრის, აფერენტაციების, ე. ი. უკუკავშირების სახეების, სენსორული სინთეზების მიხედვით. ყოველ დონეს შეესაბამება ანატომიური სუბსტრატი, ც. ნ. ს. — ორგანოების ერთობლიობა, რომელიც იერარქიული სტრუქტურის საფეხურის სიმაღლის მიხედვით, ფილოგენეტური განვითარების ახალი წარმონაქმნია[4].

ბერნშტეინი გამოყოფს სამოძრაო ქცევების აგების 5 დონეს, რომელიც მრავალრიცხოვანი სამოძრაო ამოცანების დიდ უმრავლესობას მოიცავს. სამოძრაო ქცევის მიზნისა და შინაარსის შესაბამისად ყოველი მოძრაობა იმართება ერთი წარმმართველი დონით. პერიფერიული მომენტებისა და პარამეტრების მართვა კი ფონური დონეების მეშვეობით წარმოებს. ცენტრალური ადგილი მოძრაობის მართვის ზოგად სქემაში, ბერნშტეინის მიხედვით, პროგრამას უკავია. პროგრამაშია მოცემული ინფორმაცია განსახორციელებელი მოძრაობის მიმართულების და პარამეტრების შესახებ. აქ მოდის ინფორმაცია ქცევის მიმდინარეობის შესახებ და უდარდება ინფორმაციას, როგორც უნდა ყოფილიყო. პროგრამის შესაბამისად, მოძრაობის მართვას მოძრაობის აგების დონეები აწარმოებენ, რომლებიც, თავის მხრივ, პროგრამის შინაარსს, დასაყრდენს მოიცავენ. კოორდინაციის, გადაშიფრვის, იმპულსაციის შემსრულებელ ორგანოში გაგზავნის და აფერენტული იმპულსაციის მიღების ოპერაციების განხორციელებას ცენტრალური ნერვიული სისტემა, პროგრამის მიხედვით, წამმართველი დონის მეშვეობით ახერხებს.

ასეთი განხილვიდან ნათლად ჩანს ფუნქციონალური ადექვატურობა განწყობის (დ. უზნაძე) და პროგრამის (გ. ბერნშტეინი) ცნებებისა. როგორც აღმოჩნდა, პროგრამის ფუნქციობას მოძრაობის აგების დონეთა თავისებურებები განსაზღვრავენ. დონეთა ფსიქოლოგიურ მახასიათებელ მომენტებს წარმოადგენს სამოძრაო ამოცანა, სენსომოტორული ქცევის აზრი, აფერენტაციები, სენსომოტორული უკუკავშირები.

მსჯელობის ასეთი განვითარება ბუნებრივს ხდის საკითხის დასმას: რა გავლენას ახდენს ფსიქოლოგიური მახასიათებლები (სამოძრაო ამოცანები,

[3] დ. უ ზ ნ ა ძ ე, შრომები, ტ. 4, 1977, გვ. 134.
[4] Н. А. Б е р н ш т е й н, О построении движений, М., 1974.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფერენტაციები), ცოცხალი არსების ფსიქიკური აქტივობის ისეთს მთლიანობით მოდიფიკაციაზე, როგორადაც განწყობა გვევლინება.

აღნიშნული საკითხის ექსპერიმენტულ გადაწყვეტას ისახავს მიზნად აღნიშნული გამოკვლევა.

## მეთოდი და ცვლადები

განსახილველად აღებულ იქნა 4 სახის სამოძრაო ამოცანა, რომელთაგანაც 3 შეესაბამებოდა ბერნშტეინისეული კლასიფიკაციით შემოტანილ B,C,D დონეებს და $B_1$ ექსპერიმენტული მოდიფიკაცია სამოძრაო ამოცანისა, რომელიც თავისი შინაარსით ორი D და $B^1$ დონის აფერენტაციებს მოიცავდა.

B — დონე სინერგიებისა და შტამპების დონეა. იგი სენსორულ კორექციებს პროპრიოცეპტორიკის (მყესურ — სივრცით) მონაცემებს ეყრდნობა. მოძრაობა მიმდინარეობს უსაგნოდ, მხედველობითი კონტროლის გარეშე.

C — დონე წარმოადგენს სივრცობრივი ველის დონეს, სადაც აფერენტაციების ძირითადი მასა მხედველობიდან მოდის. აქ მთავარია მოძრაობა გარკვეულ ველში, გარკვეულ ზღვარამდე.

D — მოქმედების დონეა — ამ დონეზე საგანთაგან აზრიანი ურთიერთობაა. სამოძრაო ამოცანები, რომლებიც ინსტრუქციებში იყო ჩამოყალიბებული, იცვლებოდნენ აღწერილ დონეთა თავისებურებების მიხედვით. ექსპერიმენტულად E და A დონის განხილვისაგან არსებული მეთოდიკური სიძნელეებისა და აღნიშნულ დონეებზე მართულ მოძრაობათა სიღარიბის გამო (A) თავი შევიკავეთ. ნაცადი იყო ოთხივე ამოცანის ურთიერთზეგავლენის 16-ივე ვარიანტის დადგენა.

მეთოდად გამოყენებულ იქნა ფიქსირებული განწყობის საკვლევი ე. წ. „მთელი — ნახევრის“ მეთოდი[5,6].

ც. პ. ყველა შემთხვევაში წინადადება ეძლეოდა შეესრულებინა სწორხაზოვანი მოძრაობა ქვემოდან ზემოთ 80-სმ, რომელსაც ჩვენ შემდგომში x-ით აღვნიშნავთ (საფიქსაციო ცდა), ხოლო ამის შემდეგ ამისი ნახევრის ტოლი მოძრაობა — 40 სმ — x/2 (კრიტიკული ცდა), იცვლებოდა სამოძრაო ამოცანა (მოძრაობის განხორციელების აზრი, აფერენტაციები).

ცდები ტარდებოდა დამჯდარ ცდის პირებზე, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ მოთხოვნილი მოძრაობების განხორციელება.

## ხელსაწყო

ც. პ.-ის წინ მოთავსებული იყო ილუზომეტრი, რომელიც წარმოადგენს ვერტიკალურად მყარად მდგარ დაფას 197×30 სმ-ზე. დაფის ზედაპირზე შესაძლებელია მიმაგრდეს ასანთის ყუთები, დაფა შეიძლება აგრეთვე დაიშტრიხოს. დაფას გააჩნია ვერტიკალური ჭრილი, სადაც თავისუფლად მოძრაობს სრიალაზე მიმაგრებული სახელური. იატაკიდან ათ სანტიმეტრზე დაფაზე

---

[5] ვ. მ. მ ე რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, მოტორული მოქმედება და განწყობა, თბილისი, 1970, ხელნაწერი, დისერტაცია.

[6] Ш. А. Н а д и р а ш в и л и, Т. А. Н о н и а ш в и л и, Н. В. Т о м е и ш в и л и, Осуществление и оценка двигательной активности в сенсомоторном поле, в сб. «Вопросы инженерной и социальной психологии», Тб., 1974, с. 12-68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰორიზონტალურადაა მიმაგრებული თარო 20×10 სმ-ზე, რომელიც ემთხვევა სახელურის საწყის მდგომარეობას და ათვლის 0-ოვან წერტილს ილუზიომეტრის უკანა პანელზე. უკანა პანელი შესრულებული მოძრაობის გასაზომად გამოიყენება. მასზე მიმაგრებულია 176 სმ-იანი სახაზავი, რომლის პარალელურად მოძრაობს მაჩვენებელი ისარი. ისარი მყარად არის დაკავშირებული სრიალა სახელურთან. ექსპერიმენტატორი იჯდა ილუზიომეტრის სახაზავიან მხარეს, საიდანაც შეეძლო მოძრაობათა ობიექტური სიდიდის გაზომვა და აგრეთვე ც. პ.-ზე დაკვირვება. ყველა მონაცემი შეიტანებოდა ოქმების სპეციალურ ჟურნალში.

## ც დ ი ს პ ი რ ე ბ ი

ცდები ჩატარებულ იქნა: ზრდადმთავრებულ ნორმალურ ცდისპირებზე, ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის სტუდენტებზე, პროფტექსისტემის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მსმენელებზე და სპორტული ტექნიკუმის სტუდენტებზე. სულ 803 ც. პ.-ზე.

## დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა

მიღებული შედეგები დამუშავებულ იქნა ვარიაციულ-სტატისტიკური მეთოდით. გამოთვლილი იყო სტუდენტის (t) კრიტერიუმი, კორელაციები. მთელი მონაცემები დამუშავდა ელექტრო გამომთვლელ მანქანაზე.

### I სერია

როგორც აღვნიშნეთ, გამოყოფილი იყო 4 სამოძრაო ამოცანა, რომელიც ჩამოყალიბდა ინსტრუქციებში.

1. — B — „დადე ხელი თაროზე, დახუჭე თვალები, აწიე ხელი მაღლა, სანამ არ გაგაჩერებენ“ — საკმარისია“.

2. — C — „დადე ხელი თაროზე, აწიე ხელი მუქად გახაზულ ხაზამდე“. (დაფა დაშტრიხულია ჰორიზონტალური შტრიხებით, მათ შორის მანძილი 1 სმ-ის ტოლია).

3. — D — „აიღე თაროდან ასანთის ღეროები (ერთი ან თითო-თითოდ) და ჩააწყე დანიშნულ ყუთში“ (დაფაზე მიმაგრებულია 50-მდე ყუთი სწორხაზოვნად, ვერტიკალურ ხაზზე).

4. — $B^1$ — „მოკიდე ხელი სახელურს (სრიალას), დახუჭე თვალები, აწიე სახელური წინააღმდეგობამდე“.

ასეთი იყო ინსტრუქციები საფიქსაციო ცდაში (X). კრიტიკულ ცდაში ყოველივე მეორდებოდა იმ სხვაობით, რომ ც. პ.-ებს მოეთხოვებოდათ წინა მოძრაობის ნახევრის ტოლად შეესრულებინათ (X/2) მოცემული ამოცანები: აეწიათ მხედველობითი კონტროლის გარეშე ხელი წინას ნახევარ სიმაღლეზე (B), აეწიათ მხედველობითი კონტროლით ხელი ნახევარ სიმაღლეზე დაშტრიხულ დაფაზე (C), ჩაედოთ ასანთის ღერო ნახევარ სიმაღლეზე მოთავსებულ ყუთში (D) და აეწიათ სახელური მხედველობითი კონტროლის გარეშე წინას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარ სიმაღლეზე. საორიენტაციო ნიშნები (მუქი შტრიხი, დანიშნული ყუთი) იხსნებოდა. მოძრაობის ტემპი კონტროლდებოდა. ისე, რომ ყველა მოძრაობა ერთი ტემპით წარმართულიყო.

აღნიშნულ სერიაში ჩატარდა ყველა ვარიანტი ამოცანების ურთიერთზე ზეგავლენის დასადგენად 4×4, სულ 16 ვარიანტი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. $B-B^1$ | 2. $B-B^1$ | 3. $B-C$ | 4. B—Д |
| 5. $B^1-B$ | 6. $B^1-B^1$ | 7. $B^1-C$ | 8. $B^1$—Д |
| 9. $C-B$ | 10. $C-B^1$ | 11. $C-C$ | 12. C—Д |
| 13. Д—B | 14. Д—$B^1$ | 15. Д—C | 16. Д—Д |

ყველა ვარიანტში საფიქსაციო ცდა სრულდებოდა ერთხელ.

ყოველ ცდაში ობიექტური ნახევრის (40 სმ) გადამეტება ან დაკლება განიხილებოდა როგორც განწყობისეული მოქმედების გამოვლენა. როდესაც ცდის პირი აკეთებს ნახევარ ობიექტებზე უფრო დიდს, შეფასება ატარებს კონტრასტულ, ხოლო მოტორული აქტიობა ასიმილაციურ ხასიათს, და პირიქით, — როდესაც კრიტიკულ ცდაში მოძრაობა რეალურ ნახევარზე ნაკლები კეთდებოდა [7].

მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილებში № 1 და № 2.

№ 1 ვერტიკალურ გრაფაში აღნიშნულია ვარიანტების ნომრები, გრაფაში „ვარიანტი" ცდის შინაარსებია. X ც. პ.-თა ჯგუფების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი, X სტანდარტული გადახრა ჯგუფური საშუალოსაგან, n ცდისპირთა რაოდენობა. ცხრილის ზემოთა მარჯვენა მხარეს მოცემულია t — მნიშვნელობები ყოველი ორი შესადარებელი ვარიანტისათვის. 1,66-ზე მეტი t-ს მნიშვნელობა სტატისტიკურად სანდო განსხვავების მაჩვენებელია. ქვემო მარცხენა ნახევარში მოცემულია ილუზიის სიდიდეებს შორის სხვაობა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მონაცემთა დიდი უმრავლესობა —120-დან 102— ურთიერთისაგან საკმაო სანდოობით განსხვავდება. ამავე დროს, ყველა შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს კონტრასტულ შეფასებასა და ასიმილაციურ მოქმედებასთან. ყველა მონაცემი მეტია მოთხოვნილზე.

(ჯგუფური საშუალოების მონაცემთა 100 %).

ნაცადი იყო მიღებული შედეგების დალაგება ილუზიის სიდიდის მიხედვით, ვინაიდან მოცემული „მთელი-ნახევრის" მეთოდი საშუალებას იძლევა ინტერვალების სკალაზე ობიექტურად იქნეს გაზომილი აღნიშნული მონაცემი (იხ. ცხრილი № 2).

ცხრილში ნათლად გამოიკვეთა ჯგუფები, ილუზიის სიდიდის მიხედვით, რომლის გამაერთიანებელს კრიტიკული ცდის შინაარსი წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, კრიტიკულ ცდაში, მოცემული ამოცანის შინაარსის მიხედვით, ილუზიის სიდიდეები კლასების თვალსაზრისით საკმაოდ კომპაქტურად განლაგდა (თუ გამოვრიცხავთ $B^1B$ და $CB^1$ ვარიანტებს), მივიღებთ ასეთ გამოსახულებას: $C>B>B^1>D$.

---

[7] ასეთი განხილვის დასაბუთება იხილეთ: Ш. А. Надирашвили. Фиксированная установка и перцептиво-моторная активность. Сб. «Экспериментальные исследования по психологии установки». т. V. Изд-во «Мецниереба», 1971, с. 90-98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I სერია

ცხრილი № 1

| | ვარიანტი | | X | X | N | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | B¹ | B¹ | 48,7 | 1,8 | 50 | | 7,42 | 5,63 | 2,1 | 1,5 | 1 | 5,5 | 5,6 | 6,1 | 2,1 | 3,4 | 5,7 | 0,4 | 2,2 | 4,4 | 6,5 |
| 2 | B¹ | B | 59,4 | 2,2 | 50 | 10,7 | | 1,5 | 8,6 | 8,4 | 6,4 | 1,7 | 11,6 | 12,7 | 5,5 | 5,2 | 11,2 | 6,2 | 5 | 3,3 | 14,1 |
| 3 | B¹ | C | 56,9 | 2,3 | 40 | 8,2 | 2,5 | | 7 | 6,6 | 4,6 | 0,2 | 9,7 | 10,9 | 3,8 | 3,5 | 9,9 | 4,6 | 3,5 | 1,7 | 12,5 |
| 4 | B¹ | Д | 45,9 | 2,1 | 40 | 2,8 | 13,5 | 11 | | 0,5 | 3 | 6,8 | 3,3 | 3,6 | 4 | 5,7 | 3,4 | 1,2 | 4,2 | 6,1 | 3,4 |
| 5 | B | B¹ | 46,6 | 1,9 | 50 | 2,1 | 12,8 | 10,3 | 0,8 | | 2,5 | 6,4 | 4 | 4,1 | 3,5 | 4,7 | 3,8 | 0,8 | 3,4 | 5,5 | 3,9 |
| 6 | B | B | 50 | 2,3 | 50 | 1,3 | 9,4 | 6,9 | 4,2 | 3,4 | | 4,4 | 6,4 | 7 | 1 | 2,1 | 6,4 | 1,1 | 1,2 | 3,3 | 7,5 |
| 7 | B | C | 56,6 | 2,3 | 40 | 7,9 | 28 | 0,3 | 10,8 | 10 | 6,6 | | 9,6 | 10,7 | 3,6 | 3,3 | 9,8 | 4,5 | 3,3 | 1,5 | 12,4 |
| 8 | B | Д | 40,5 | 1,8 | 52 | 8,2 | 18,9 | 16,5 | 5,4 | 6,2 | 9,6 | 12,2 | | 0,3 | 7,3 | 8,5 | 0,2 | 4,1 | 6,8 | 8,9 | 1,4 |
| 9 | C | B¹ | 41 | 1,8 | 50 | 7,8 | 18,4 | 16 | 4,9 | 5,7 | 9,1 | 15,7 | 0,5 | | 8,2 | 10,3 | 0,1 | 4,3 | 8,1 | 10,2 | 1,3 |
| 10 | C | B | 51,4 | 1,8 | 45 | 2,7 | 8 | 5,6 | 5,5 | 4,7 | 1,3 | 5,3 | 10,9 | 10,4 | | 1 | 7,7 | 1,9 | 0,9 | 2,4 | 2,5 |
| 11 | C | C | 52,5 | 1 | 40 | 3,7 | 7 | 4,5 | 6,6 | 5,8 | 2,4 | 4,2 | 12 | 11,5 | 1,1 | | 11,1 | 2,8 | 1 | 1,9 | 15,5 |
| 12 | C | Д | 40,8 | 1 | 30 | 7,4 | 18,6 | 16,1 | 5,1 | 5,8 | 9,2 | 15,8 | 0,4 | 0,1 | 10,6 | 11,6 | | 8,8 | 8,4 | 9,8 | 1,5 |
| 13 | Д | B¹ | 48,1 | 3 | 40 | 0,6 | 11,8 | 8,8 | 2,2 | 1,5 | 1,9 | 8,5 | 7,6 | 7,1 | 3,3 | 4,4 | 7,3 | | 1,9 | 3,6 | 4,1 |
| 14 | Д | B | 51.6 | 1,5 | 31 | 2,9 | 7,8 | 5,3 | 5,7 | 1,6 | 5 | 11,1 | 10,7 | 0,2 | 0,8 | 10,8 | 10,8 | 3,5 | | 2,2 | 11,3 |
| 15 | Д | C | 54,4 | 1,8 | 40 | 5,7 | 5 | 25 | 8,6 | 7,8 | 4,1 | 2,2 | 14 | 13,5 | 3,5 | 2 | 13,6 | 6,3 | 2,8 | | 12,6 |
| 16 | Д | Д | 42,3 | 1 | 50 | 6,4 | 17,1 | 14,6 | 3,6 | 4,3 | 7,7 | 14,3 | 1,8 | 1,3 | 9,1 | 10,2 | 1,5 | 4,2 | 9,3 | 12,2 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I სერიის შედეგების ანალიზი

გამოკვლევის მიზანი იყო დაგვედგინა: ახდენს თუ არა გავლენას განწყობის ფორმირებასა და გამოვლენის თავისებურებაზე განსხვავებული სამოძრაო ამოცანები (დონეები, ნ. ა. ბერნშტეინი). სამოძრაო აქტივობაში განწყობის ფიქსირების მეთოდი გვაძლევს საშუალებას აქტუალურად არსებული ან თეორიული ქცევის კონტექსტში შექმნილი განწყობის წარმოსაჩენად. ამ ტიპის ცდების შემთხვევაში ილუზიის სიდიდე იზომება ინტერვალების სკალაზე და ამავე სკალაზე მისი მანიპულაციის საშუალებას იძლევა. აქედან, ჩვენს ძირითად გამოსავალს სწორედ ილუზიის სიდიდე, მისი რაგვარობა წარმოადგენს. როგორც ცდის შედეგებმა გვაჩვენეს (ცხრილი № 1 და № 2) განწყობისეული აქტივობა ყველგან ემორჩილება „კონტრასტული შეფასებისა და ასიმილაციური მოქმედების კანონს“. მოძრაობის განხორციელების დროს შემდგომი მოძრაობა სრულდება იმ განწყობის გავლენით, რომელიც ჩამოყალიბდა წინამსწრები მოძრაობის შესრულებისას[8,9].

ცხრილი № 2

| ვარიანტი | $\overset{-+}{N}$ | $\bar{X} - X$ |
|---|---|---|
| B¹ B | 50 | 19,4 |
| B¹ C | 40 | 16,9 |
| B C | 40 | 16,6 |
| Д C | 40 | 14,4 |
| C C | 40 | 12,4 |
| Д B | 31 | 11,6 |
| C B | 45 | 11,4 |
| B B | 50 | 10,0 |
| B¹ B¹ | 50 | 8,7 |
| Д B¹ | 40 | 8,1 |
| B B¹ | 50 | 6,6 |
| B¹ Д | 40 | 5,9 |
| Д Д | 50 | 2,3 |
| C B¹ | 50 | 1 |
| C Д | 30 | 0,8 |
| B Д | 52 | 0,5 |

გრაფაში „ვარიანტი“—ცდის შინაარსია მოცემული; N გრაფაში ცდისპირთა რაოდენობა მოცემული ვარიანტისათვის; X-X გრაფაში აღნიშნული ჯგუფის ილუზიის სიდიდეები

განწყობის ეფექტზე გავლენას ახდენს სამოძრაო ამოცანის რაგვარობა. განწყობაში, როგორც ცოცხალი არსების მთლიანობით მოდიფიკაციაში, აისახება ის თავისებურებები, რომლის მატარებელს სამოძრაო ამოცანა წარმოადგენს. აღნიშნული ცდების ვითარებაში, სადაც ხდება განწყობის სუსტი ფიქსაცია, მიღებულია განსხვავებული ეფექტები ილუზიის სიდიდის მიხედ-

[8] Ш. А. Надирашвили, Фиксированная установка и перцептивно-моторная активность, в сб. «Экспериментальные исследования по психологии установки», т. V, с. 90-98;
[9] М. А. Надирашвили, Т. А. Нониашвили, Н. В. Томеишвили, Осуществление и оценка двигательной активности в сенсомоторном поле, в сб. «Вопросы инженерной и социальной психологии», Тбилиси, 1974, с. 12-68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით, როდესაც კრიტიკული ცდები იდენტური ამოცანით სრულდებოდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ განსხვავებული ამოცანები სპეციფიურ გავლენას ახდენენ განწყობის ფორმირებაზე. აღნიშნულ პირობებში აფერენტული მონაცემები, როგორც ჩანს, სხვადასხვა „წონისანი" არიან მოძრაობის პროგრამისათვის, განწყობის შინაარსისათვის.

საინტერესოა ცხრილ № 2-ში ასახული შედეგი. აქედან ჩანს, რაოდენ ნათლად გამოიკვეთნენ ჯგუფები განწყობის ეფექტის მიხედვით. ერთი კლასის ამოცანები, როდესაც ისინი კრიტიკული ცდის შინაარსად გვევლინებიან, გამოყოფენ ჯგუფებს განწყობისეული ეფექტების რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, მიუხედავად იმისა, თუ რა გავლენას ახდენენ საფიქსაციო ამოცანები. თუ აღნიშნულ ჯგუფებს ილუზიის კლების მიხედვით დავალაგებთ, კრიტიკული ამოცანების მიმართება ასეთ სახეს მიიღებს: $C>B>B^{1}>D$

შევეცადოთ ამ შედეგის გაანალიზებას:

როგორც ვიცით, წინა მოძრაობა გავლენას ახდენს მის შემდგომზე და ეს გავლენა ჩვენს ცდებში დასტურდება. მაგრამ, როგორც ჩანს, ილუზიის სიდიდის ბედი კიდევ სხვა გავლენასაც ემორჩილება. არსებობს ექსპერიმენტულად დადგენილი მოსაზრება, რომლის მიხედვით მოძრაობაზე გავლენას ახდენს არა მარტო წინმსწრები, არამედ „ჩვეული" ბაზის-ეტალონური წარმონაქმნიც. ბაზის-ეტალონი, აღნიშნული გამოკვლევების თანახმად, ფიქსირებული განწყობის ბუნებისაა. იგი წარმოადგენს არსებით კომპონენტს სენსომოტორულ ველში ინდივიდის აქტობისას.

ბაზის-ეტალონმა, აღნიშნული გამოკვლევის ავტორების აზრით, შეიძლება თვითონვე განიცადოს ცვლილება განხორციელებული მოტორული აქტივობის შედეგად, თუკი აქტივობის და ბაზის-ეტალონის სიდიდეს შორის არსებობს განსვლა. ბაზის-ეტალონის სიდიდე განსხვავებული სიდიდის სენსომოტორულ ველში არაერთგვაროვანია, — სავარაუდოა, რომ ბაზის-ეტალონური წარმონაქმნები თავიანთი სიდიდით ასევე უნდა განსხვავებული იყოს სამოძრაო ამოცანების სხვადასხვა კლასებისათვის.

ჩვენს წინაშე დადგა საკითხი, გაგვერკვია, რა მიმართებაშია ბაზის-ეტალონის სიდიდეები განსხვავებულ სამოძრაო ამოცანებთან; განსხვავდებიან თუ არა სიდიდის მიხედვით ბაზის-ეტალონური წარმონაქმნები მოძრაობის აგების განსხვავებულ დონეებზე.

## II სერია

### მ ე თ ო დ ი. ც ვ ლ ა დ ე ბ ი. ც დ ი ს პ ი რ ე ბ ი

ექსპერიმენტები ტარდებოდა I სერიაში აღებულ ილუზიომეტრზე. ხელსაწყოს წინ მჯდომ ცდისპირს ვთხოვდით შეესრულებინა ნებისმიერი სიდიდის (ჩვეული) მოძრაობები განსხვავებული სამოძრაო ამოცანებით $B, B^{1}, C, D$. 1. აეწიათ ხელი ნებისმიერ სიმაღლეზე (მხედველობითი კონტროლის გარეშე, უსაგნოდ). 2. აეწიათ სრიალა ნებისმიერ სიმაღლეზე (მხედ. კონტროლის გარეშე). 3. აეწიათ ხელი დაფის ნებისმიერ შტრიხამდე. 4. ჩაედოთ ასანთის ღერო ნებისმიერ სიმაღლეზე მოთავსებულ ყუთში.

ცდები ჩატარებულ იქნა 55 ც. პ.-ზე, ოთხივე ამოცანით. ყოველი შემდგომი ამოცანა სრულდებოდა 10-15 წუთის ინტერვალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიღებული შედეგები

ცხრილ № 3-ში მოცემულია მიღებული შედეგები.

ცხრილი 3

| რანგები | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ამოცანები | C | B | $B^1$ | Д |
| X | 89,2 | 80 | 73,4 | 66,4 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, საერთო მაჩვენებლები (55 ც. პირი) ნებისმიერი სიდიდის მიხედვით განლაგდა შემდეგნაირი მიმართებით $C > B > B^1 > D$.

## II სერიის შედეგების ანალიზი:

როგორც ცხრილიდან ჩანს სანდო განსხვავებები ყველა შემთხვევაში მიღება. ტენდენცია კარგად არის გამოხატული.

აღნიშნული შედეგი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ: ბაზის-ეტალონური მოძრაობები ამოცანათა განსხვავებული კლასისათვის განსხვავებული სიდიდისაა და მისი გავლენა საკმაოდ ძლიერია. ეს გავლენა კარგად ჩანს ერთხელობრივი ფიქსაციის ცდებში (იხ. ცხრილი № 2) როგორც ჩანს ერთი სტიმული, მოძრაობა, რომელ დონეზეც არ უნდა განხორციელდეს იგი, ვერ სძლევს ბაზის-ეტალონის გავლენას.

## ზოგადი დასკვნები და ანალიზი

ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევა გვიჩვენებს რომ:

1. განსხვავებული სამოძრაო ამოცანები (დონეები, ნ. ა. ბერნშტეინი) განსხვავებულ გავლენას ახდენენ სენსომოტორულ აქტივობაში განწყობის ფორმირებაზე.

2. სენსომოტორულ აქტივობაში მოძრაობის განხორციელებაზე გავლენას ახდენს არა მარტო წინმსწრები მოძრაობა, არამედ ბაზის-ეტალონური წარმონაქმნიც, რომელიც ასევე განწყობისეული ბუნებისაა.

3. ბაზის ეტალონი განსხვავებული სიდიდისაა განსხვავებული სამოძრაო ამოცანათა კლასებისათვის.

4. განსხვავებული გავლენები, რომლებიც ერთხელობრივი ფიქსაციის ცდების შედეგად გამოვლინდა, განსხვავებული ბაზის-ეტალონის ზემოქმედების შედეგადაა მიღებული.

როგორც ჩანს, ბაზის-ეტალონი მტკიცე წარმონაქმნს წარმოადგენს. მის მკვლევართა აზრით[10], ის უამრავი პრაქტიკული ქცევის საფუძველზე ჩამოყა-

---

[10] Ш. А. Надирашвили, Т. А. Нониашвили, Н. В. Томеишвили, Осуществление и оценка двигательной активности в сенсомоторном поле человека, в сб. «Вопросы инженерной и социальной психологии», Тбилиси, 1974, с. 12-68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბებულ და ბუნებრივად ფიქსირებულ განწყობას წარმოადგენს, მას საკმაოდ ვარიაბილური სხვაობის ზღურბლი უნდა გააჩნდეს.

ერთხელობრივი ზემოქმედების შედეგად ბაზის-ეტალონის გავლენა არ აღიკვეთება. ამიტომ იგი წინასწარმსწრებ მოძრაობასთან ერთად გავლენას ახდენს საკონტროლო ამოცანის განხორციელებაზე. როგორც ჩანს, აღწერილი ქცევის პროცესში მონაწილეობას უნდა იღებდეს განწყობის რამდენიმე განსხვავებული ფორმა. აქტუალური — პირველადი განწყობა, რომელიც ქცევის დაწყების მომენტშია მოცემული; თეორიული ქცევის განწყობა, რომელიც ამოცანის დასმის, მისი გაცნობიერების შემდეგ ჩამოყალიბდება; ფიქსირებული განწყობა, რომელიც პირველი მოძრაობის შედეგადაა მიღებული და ბაზის-ეტალონი, ასევე ფიქსირებული განწყობა, რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგადაა ჩამოყალიბებული. როგორც გამოკვლევის შედეგებიდან ჩანს, კრიტიკული ამოცანის განხორციელებაზე გავლენას ახდენს თეორიული ქცევის განწყობა, რომელიც ამოცანის გაცნობიერების შედეგად წარმოიშობა, მოცემულ სიტუაციაში ფიქსირებული განწყობა და ბაზის-ეტალონი შესაბამისად და სპეციფიური ამოცანათა იმ კლასის დონისათვის, რომელზეც მიმდინარეობს ქცევის განხორციელება.

თეორიული ქცევის განწყობა, რომელიც ამოცანის გაცნობიერების შედეგადაა წარმოშობილი, პირველადი განწყობის ფუნქციას ასრულებს და საფუძვლად ედება პრაქტიკული ქცევის განხორციელებას. პირველად განწყობაში აისახება მოთხოვნილებისა და სიტუაციის მონაცემები, რომლებიც საჭიროა ამოცანის გადასაწყვეტად, — ამოცანა მოცემულია პირველად განწყობაში, განწყობა მიმართულია ამოცანის გადასაჭრელად. ფიქსირებულ განწყობაში გაცილებით უფრო დიფერენცირებულად არის წარმოჩენილი ამოცანის გადაწყვეტის ინფორმაცია. შეიძლება ითქვას, რომ აქტუალური (პრაქტიკული) ქცევის და ფიქსირებული განწყობები ურთიერთისაგან ინფორმირებულობის ხარისხითაც განსხვავდებიან.

ბაზის-ეტალონური წარმონაქმნი, როგორც აღმოჩნდა, დიდ გავლენას ახდენს სენსომოტორული ქცევის პარამეტრებზე და, მის მკვლევართა აზრით, ფიქსირებული განწყობის ბუნებისაა. როგორც ჩანს, ის უნდა წარმოადგენდეს ფსიქოფიზიოლოგიურ სიტემაში მოცემულ, ინერტულ მდგომარეობაში მყოფ ინფორმაციას, ალბათურ პროგნოზს[11], რომელსაც საკმაოდ ცვალებადი და ამავე დროს განსხვავებულ სამოძრაო ამოცანათა კლასისათვის დიფერენცირებული მიმღებლობის დიაპაზონი გააჩნია. ქცევის განხორციელების პროცესში ბაზის-ეტალონის მონაცემები აქტუალიზირდებიან და ერთვებიან მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრაში. ბაზის-ეტალონი, მისი მკვლევრების მიხედვით, ინერტულ მდგომარეობაში რჩება, ვიდრე არ წარმოიშვება მისი აქტუალიზაციის პირობები, ფიქსირებული განწყობისაგან ბაზის-ეტალონი, ჩვენის აზრით, სამი თვალსაზრისით შეიძლება განსხვავდეს. ონტოგენეტურად ის უფრო „ხნიერი“ განწყობისეული წარმონაქმნია. იგი ინდივიდის მთელი გამოცდილების ფოკუსირებას უნდა ახდენდეს. ფუნქციონალური თვალსაზრისით, ის უნდა ასრულებდეს „ამორტიზატორის“ როლს მოცემული სახის ან ტიპის სენსომოტორულ ველში. კონკრეტულ სიტუაციაში წარმოშობილი განწყობა და მისი

[11] Вероятностная прогнозирования в деятельности человека, под ред. И. М. Фейгенберга и Г. Е. Журавлева, М., 1977.

ფიქსაცია მასთან ათანხმებენ თავიანთ ინფორმაციას და მხოლოდ ამ შეფასებე-ბის საფუძველზე მართავენ ქცევას.

შინაარსის მიხედვით ბაზის-ეტალონი ყველაზე ახლო კავშირშია მნესტიკურ წარმონაქმნებთან, თუმცა იგი არ წარმოადგენს მეხსიერების ამ ცნებას ვიწრო გაგებით. თუკი აქტუალურ განწყობაში მნესტიკურ ელემენტებზე მხოლოდ ძალზე განყენებულად შეიძლება ვიმსჯელოთ, ფიქსირებული განწყობა საკმაოდ მდიდარია ასეთი ელემენტებით. იგი უკუკავშირების და არსებული ინფორმაციის შეფასების შედეგად იქმნება. ბაზის-ეტალონი, როგორც ვთქვით, ყველაზე ახლო კავშირშია „შტატიანი" მეხსიერების ბლოკებთან. მისი არსებობის ფორმა არაცნობიერია.

როგორც ჩანს, განწყობის ფიქსირების ხარისხი „ხნიერება" პირდაპირპროპორციული უნდა იყოს მნესტიკური ელემენტების შემცველობის რაოდენობასთან.

მეხსიერებისაგან განსხვავებით, რომელიც მაინც წარმოდგენის ცნებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, განწყობათა ჩამოთვლილ ფორმებს ახასიათებს განწყობის ფუნდამენტური ნიშნები. არაცნობიერად მოცემულობა, აქტუალიზაციის ტენდენცია (განსხვავებული ხარისხით) და რეგულირების ფუნქცია (განსხვავებული ინფორმირებულობის დონით).

სწორედ ამ უკანასკნელი ფუნქციის, რეგულაციის ფუნქციის განხორციელების პროცესში განწყობა, ყველა თავისი ფორმის ერთიანი მოქმედებით, გვევლინება როგორც პროგრამა, რომელიც ყველა მიზანდასახული ქცევის განხორციელების მართვის რგოლს წარმოადგენს.

ქცევის მიზანი, ამოცანის მიღწევა, განწყობის მარეგულირებელი ფუნქციის შედეგია. დ. უზნაძე წერდა: „პიროვნების აქტივობა, მისი მოქმედება მოცემული ამოცანის გადაჭრისათვის, არსებითად მხოლოდ და მხოლოდ განწყობის რეალიზაციის პროცესს წარმოადგენს". რეალიზაციის პროცესი სენსორული უკუკავშირებისა და ამოცანის თავისებურების გათვალისწინებას გულისხმობს. გავლენები, რომელსაც ამოცანის მიზნის თავისებურება ახდენს განწყობის გამოვლენაზე, მიუთითებენ პროგრამისა და განწყობის ცნებების ფუნქციონალურ ადექვატურობაზე, მათი მაკორეგირებელი და მაადაპტირებელი როლის იდენტობაზე.

იგივე აზრს იზიარებენ თანამედროვე თეორიები[12],[13],[14], რომლებიც დისკრეტული მოძრაობის და სამოძრაო ჩვევების ასახსნელად არიან მოწოდებულნი. მათი აზრით, ცენტრალური ადგილი სენსომოტორული ქცევების განხორციელების პროცესში უკავია წარმონაქმნს, რომელიც აწესრიგებს გარემოდან მოსული და არსებული ინფორმაციის შეპირისპირებას, პროგრესული სქემის შედგენასა და მისი ფუნქციების რეგულირებას.

[12] В. П. Зинченко. Функциональная структура исполнительных (перцептивно-моторных) действий. Труды ВНИИТЭ, Эргономика (16), М., 1978.

[13] Д. Миллер, Н. Галантар, К. Прибрам. Планы и структура поведения, М., 1965;

[14] Adams S. A. Issues for dosed-loop theory of motor learning In: Momop Control Issues and Treds W. — R. Academuc Press, 1976.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

„მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1979, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

Л. Е. ДЖАНДЖГАВА

# ПОЛОЖИТЕЛЬНОЕ И ОТРИЦАТЕЛЬНОЕ ВЛИЯНИЕ УСТАНОВКИ ПРИ АНАЛИЗЕ ИНЖЕНЕРНО-КОНСТРУКТОРСКИХ СИСТЕМ

Решение любой мыслительной задачи в качестве необходимого компонента предполагает реализацию прошлого опыта субъекта. Влияние прошлого опыта на процесс решения задачи может быть двояким: оно может как способствовать ходу решения, так и тормозить его, последнее делает мышление ригидным, и больше всех известно в технике и психологии под названием «психологической инерции».

Явление «психологической инерции» наблюдается и в конструировании, и причисляется к конструкторским ошибкам психологического порядка в отличие от ошибок, вызванных техническими просчетами.

Проблема отрицательного влияния прошлого опыта на процесс мышления не раз служила психологам объектом для изучения.

Широко известны понятия «функциональной фиксированности» Дункера, «направленности» Майера, ригидности Лачинса и другие, касающиеся изучения негативных последствий прошлого опыта на процесс решения [1. 2.]. Но, подтверждая факт и блестяще демонстрируя препятствия, лежащие на пути к решению, ни один из этих авторов не дает объяснения психологической сущности явления.

Поэтому, интересуясь особенностями влияния прошлого опыта на образ мышления конструктора, мы не руководствовались ни одной из этих работ.

Ориентиром для нашего исследования послужило понятие установки в интерпретации видного грузинского психолога Д. Н. Узнадзе, занимающее важное место среди понятий, отражающих отношение субъекта к действительности при выполнении какой-либо деятельности, и являющееся одним из ведущих психологических механизмов в регуляции поведения человека [4].

Проявлением ригидности как определенного свойства личности может быть и фиксированная установка (когда в силу фиксации установка остается в господствующем состоянии и человек, действующий на ее основе, не может выработать новую, соответствующую ситуации установку). Но чаще фиксированная установка легко уступает место адекватной установке, благоприятствуя целесообразности поведения и играя положительную роль в использовании прошлого опыта. Это одно из тех положений, которое характеризует фиксированную установку как понятие, обладающее важным преимуществом по сравнению с существующими в этом плане понятиями.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Решив подойти к явлению «психологической инерции» с позиций теории установки Узнадзе, мы попытались выявить действие того психологического механизма, который не только создает препятствия на пути к решению конструкторских задач, но и способствует ему.

С этой целью нами, совместно с ведущим специалистом НИИ постоянных магнитов г. Новочеркасска К. В. Пархоменко, была разработана методика, которая состояла из трех этапов.

На первом этапе испытуемому показывалась деталь и предлагалось сделать от руки набросок, кинематическую, полуконструктивную схему, эскиз станка для обработки питателей магнитов, расположенных на криволинейной поверхности. Обработка по радиусу. На этом этапе предполагалось, что испытуемым будет предложен вариант, с которым он знаком.

На втором этапе давалось уже пять готовых вариантов решения этой же задачи с различной степенью приемлемости. От испытуемого требовалась оценка каждого из этих вариантов в пятибалльной системе по вероятности появления ошибок (отклонений). Ошибками при этом считались любые недостатки. Оценки выставлялись исходя из следующих пяти условий:

1) ошибки нетерпимые
2) ошибки (отклонения) сильно сказываются
3) влияние ошибок незначительно
4) ошибки терпимые
5) отклонений не должно быть

На первых двух этапах предполагалось выявление действия фиксированной установки в первом случае на предложенный самими испытуемыми вариант, а во втором случае на предложенные нами варианты. В отличие от второго этапа, где давалась возможность оценки готовых вариантов в целом, на третьем этапе оценка каждого из вариантов производилась по тому же пятибалльному способу, но уже по компонентам.

За основу деления по компонентам была принята рекомендация Ханзена [4]. Система, рекомендуемая Ханзеном, охватывает основные этапы существования конструкции (функционирование, изготовление, эксплуатация, сбыт) и факторы, влияющие на ценность конструкций на этих этапах. Предполагалось, что если на втором этапе в результате оценки конструкции в целом высший балл получит один из тех вариантов, который ввиду субъективной оценки оказывается не лучшим, то на третьем этапе тот же испытуемый в силу оценки по компонентам придет к наиболее приемлемому варианту, а варианту, казавшемуся ему лучшим на втором этапе, поставит балл ниже.

Проанализируем полученные данные на примере специалистов с Новочеркасского завода постоянных магнитов, в составе профессиональных конструкторов, непосредственно занимающихся конструированием и изготовлением заточных станков.

На первом этапе, где испытуемый был совершенно волен в пред-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ложении варианта, наиболее соответствующего с его точки зрения решению задачи, среди 27 человек, участвовавших в эксперименте, не было сделано ни одной попытки создания принципиально новой схемы, все без исключения специалисты предложили схемы ранее встречавшиеся, или ими же проектируемые.

На втором этапе давались для оценки 5 вариантов решения этой же задачи, из которых четыре были работающими и, следовательно, известны испытуемым, а пятый, незнакомый, был принят для конструирования лишь после исследований, и 25 испытуемых отметили низкими баллами (единицей и двойкой) ранее не применявшийся вариант, сочтя его неработоспособным. Остальным же вариантам были поставлены высокие баллы, в зависимости от степени сходства с собственным предложенным вариантом.

Оставшиеся двое испытуемых не были так категоричны к варианту «б» (так обозначали мы тот самый, наиболее приемлемый вариант). Они заняли более нейтральную позицию, дав оценки 3 и 4, но предпочтение варианту, оказавшемуся похожим на свой, осталось в силе и в этом случае.

Столь сильное тяготение к привычному, проявленное на первом этапе, как будто оправдывается тем, что все-таки это был эксперимент, в котором можно было особенно не утруждать себя раздумьями, вдобавок и время было ограничено (в целом на эксперимент отводилось около получаса), поэтому отсутствие творчески проработанных вариантов кажется вполне допустимым (хотя в процессе наблюдения нам скорее показалось, что каждый стремился быть на высоте своей специальности и должности).

На втором этапе задача испытуемых сравнительно облегчалась в том смысле, что они избавлялись от необходимости выискивать или придумывать что-либо, с них требовалась оценка представленных вариантов, что не помешало однако этим специалистам отвергнуть ранее не применявшийся, но наиболее приемлемый вариант «б».. Следовательно, надо искать другие объяснения полученным данным.

При решении предложенной задачи, испытуемые, естественно, опирались на прошлый опыт, извлекая из его арсенала имеющуюся в изобилии информацию: сюда входит полученное образование, знакомящее с заточкой литников вообще и с рядом принципиальных схем, применяемых на своем производстве, и что самое главное, специализация по заточным станкам (в основном, по технологии производства магнитов и технологическим процессам шлифования).

Если учесть, что в повседневной работе представители этой группы пользовались завершенной апробированной информацией, преграждающей путь к созданию новых принципиальных схем, или то, что считали неоспоримыми и принимали на веру выводы, сделанные авторитетными специалистами, приводившие при недостаточной информации к использованию устаревших и даже ошибочных выводов, и то, что стремились модернизировать какую-то из применяемых ранее схем,

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

взамен создания новых, т. к. проектирование принципиально новой схемы было сопряжено с боязнью технического риска, вызванное спецификой организации проектно-конструкторских разработок, — не удивительно выявление такой всеобщей тенденции к использованию знакомых вариантов.

С переводом на психологический язык, весь этот обширный перечень можно уложить в одно понятие, понятие фиксированной установки. Под фиксированной установкой мы понимаем привычный способ решения задачи, сформированный на основе многократного решения в прошлом однотипных задач.

В процессе работы над заточными станками у специалистов с НЗМП сформировалась и фиксировалась установка на заточные станки. В силу фиксации этой установки испытуемые фактически не решали, а воспроизводили варианты, которые, как очень кстати заметил Миндлин, с «коварной услужливостью» подсовывает память [5].

Именно под влиянием фиксированной установки испытуемые не смогли оценить по достоинству вариант «б», а сходство какого-нибудь из предложенных вариантов с собственным, видимо, вселяло еще большую уверенность в своей правоте, т. к. мы не наблюдали ни одного случая отказа от предложенного самим испытуемым варианта в пользу нами представленных. Второй этап фактически был использован испытуемыми для подтверждения своего подхода к решению. Например:

Испытуемый С. Н. — инженер-конструктор первой категории, стаж работы 13 лет, к эксперименту проявил большую заинтересованность и усердие. Ознакомившись с условиями задачи, испытуемый, недолго раздумывая, предложил вариант абразивной обработки детали с профилирующим движением, совпадающий с одним из предложенных нами впоследствии вариантом.

На втором этапе испытуемый заметно обрадовался, обнаружив сходство одного из вариантов с предложенным самим на I этапе, и естественно, отметил этот вариант самым высоким баллом. Высокий балл получил еще один, схожий по принципу вариант, только эти два варианта были признаны испытуемым как выполняющими функцию.

Таким образом, зафиксированная на протяжении всей работы над заточными станками установка в полной мере проявилась на первом этапе, сохранилась и была перенесена не только с первого этапа на второй, но и в пределах второго этапа.

На третьем этапе давались те же самые 5 вариантов, которые должны были оцениваться уже не в целом, а по компонентам.

Разработка третьего этапа была продиктована необходимостью устранения воздействия на конструкторов отрицательно действующей фиксированной установки.

Доминированию фиксированной установки особо благоприятствовали, с нашей точки зрения, представление и обозрение конструкций

ეროვნული ბიბლიოთეკა

в целом, при котором стушевывались и не принимались в расчет могущие быть полезными отдельные элементы конструкций.

Поэтому на третьем этапе основные этапы существования конструкции — функционирование, изготовление, эксплуатация, сбыт были разбиты на компоненты (всего получилось 38 компонентов), отчего надобность в представлении или оценки конструкции в целом отпадала. Таким способом действия испытуемых направлялись в нужное конкретное русло.

После подытоживания результатов оценок по компонентам и вычисления среднеарифметических значений для каждого варианта обнаружилось, что вариант «б» у всех испытуемых вышел на первое место, в то время как остальные варианты оказались ступенями ниже, в том числе и варианты,облюбованные самими специалистами.

Что произошло с фиксированной установкой, и как пришли испытуемые к таким объективным выводам?

Установка является целостным состоянием субъекта, однако анализ ее структуры позволяет выделить в ней диалектическое единство отрицательных и положительных сторон, как и любые другие проявления материальной действительности. В случае доминирования отрицательной стороны происходит фиксация неадекватной установки с отрицательным эффектом, подобно нашему случаю на первых двух этапах. Для формирования адекватной установки необходимо устранение фиксированнной установки (под устранением надо понимать не ликвидацию установки вообще, а только ее отрицательного действия).

Именно с этой целью и была предложена нами оценка конструкций по компонентам, направленная против восприятия целого, как основного источника заблуждений.

Наши усилия привели к ожидаемым результатам.

Фиксированная установка утратила отрицательное влияние на образ мышления конструктора, т. к в сложившихся условиях уже не к чему было «привязаться». Благодаря этому актуализировались и наконец-то обрели свою истинную ценность положительные стороны установки. В частности, такие понятия как опыт, стаж, квалификация, явившись только тормозом на первых двух этапах, на третьем этапе при оценке технических характеристик проявились должным образом, т. е адекватно (ввиду специализации по технологии производства магнитов и технологическому процессу шлифования).

Иначе же можно было бы думать, что личность состоит из одной лишь совокупности отрицательно действующих фиксированных установок.

По окончании эксперимента трое испытуемых, проявив излишнюю щепетильность, попросили взять свои листы обратно с оговорками, что были уставшими и не смогли сосредоточиться на решении. Мы разрешили, но с условием возврата, списав предварительно их результаты.

Через разные промежутки времени (3, 4, 9 дней) листы были воз-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

вращены с незначительными изменениями, причем изменения коснулись всего лишь третьей части эксперимента в вопросе уточнения оценок некоторых компонентов, которые не отразились на общих результатах испытуемых, первые же два оказались вне критики.

Так неожиданно и так кстати подвернувшийся этот случай очень помог нам проследить за видоизменениями установки и сделать некоторые выводы, а в частности:

Мы полагаем, что адекватная оценка конструкций по компонентам происходила независимо от испытуемых на бессознательном уровне, не за счет формирования новой, соответствующей установки, а за счет актуализации положительных сторон старой, имевшейся установки, и что установка на технологический процесс в таком виде, в каком мы наблюдали на третьем этапе, была и до этого, но не могла проявиться ввиду сильного действия отрицательной фиксированной установки на конструкции в целом.

Если бы мы допустили образование новой установки, оно должно было ознаменоваться «прозрением» тех трех испытуемых и решением ими задачи без каких бы то ни было отклонений, в соответствии с новой установкой, чего не произошло, т. к. мы и в самом деле не вырабатывали у них ничего нового.

Таким образом, мы думаем, что в нашем эксперименте оказалось возможным выявление не только отрицательной, но и положительно действующей фиксированной установки за счет дробления ее отрицательных сторон, а метод деления целого на компоненты — это средство для выявления и воплощения в решение необходимой и ранее нереализованной из-за отрицательного влияния фиксированной установки информации.

## ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА


[1] Психология мышления, 1965.

[2] A. S. Luchins. Mechanization in problem solving psychological monographs, 54, № 248, 1942.

[3] Д. Н. Узнадзе. Экспериментальные основы психологии установки, Тбилиси, 1949.

[4] Ф. Ханзен. Основы общей методики конструирования, Л., 1969.

[5] Я. З. Миндлин. Логика конструирования, М., 1969.


Представил академик АН Грузинской ССР А. С. Прангишвили

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკა

ავთანდილ სილაგაძე

## ეკონომიკური ციკლის თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკული ანალიზი

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მკაფიო გამოხატულებად თანამედროვე ეტაპზე გვევლინება კაპიტალისტური ეკონომიკის არამყარი ზრდა და კაპიტალისტური კვლავწარმოების წინააღმდეგობათა გამწვავება. ამ წინააღმდეგობათა დადასტურებაა კრიზისულ გამოვლინებათა გაძლიერება ეკონომიკაში, სტრუქტურული დისპროპორციების გაღრმავება, ფასებისა და ინფლაციის შეუჩერებელი ზრდა; სკკპ XXV ყრილობის მასალებში აღნიშნულია, რომ „...ახლანდელი კრიზისი ჩვეულებრივი არ არის. ახლა ყველა ხედავს: გაქარწყლდა ერთ-ერთი მთავარი მითი, რომელიც რეფორმისტებმა და ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა შექმნეს, — მითი, თითქოს ჩვენი დროის კაპიტალიზმს შეეძლოს თავი დააღწიოს კრიზისებს. კაპიტალიზმის მერყეობა სულ უფრო ცხადი ხდება. აშკარად ჩაიშალა დაპირებანი კაპიტალიზმის „გაჯანსაღებისა“ და მის ფარგლებში „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების“ შექმნის შესახებ“[1].

ეკონომიკური ციკლის პრობლემის შესწავლას მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კერძოდ, ჭარბწარმოების კრიზისებში, როგორც ფოკუსში, აისახება კვლავწარმოების წინააღმდეგობანი მთელი სიღრმით „— კრიზისებში მძაფრად მჟღავნდება ბურჟუაზიული წარმოების წინააღმდეგობანი და ანტაგონიზმები“[2]. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გვიჩვენეს, რომ ეკონომიკური კრიზისების საფუძველია კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა (წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგთა მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის), ამასთან ერთად მიუთითეს, რომ კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია განვითარდეს სხვაგვარად, თუ არა ციკლურად. ამ ჭეშმარიტების დამადასტურებელია იმპერიალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარება ომისშემდგომ პერიოდში.

ასეთ პირობებში შეიმჩნევა ბურჟუაზიული აპოლოგეტური ეკონომიკური აზრის წარმომადგენელთა აქტიურობის ზრდა, რომელთა მიზანია შეალამაზონ კაპიტალიზმი, შექმნან მისი მყარობის ილუზიები, შენიღბონ მისი სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა ჭეშმარიტი ბუნება. აღნიშნული ტენდენცია თვალსაჩინო გამოხატულებას პოულობს ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერების ისეთ მნიშვნელოვან მიმდინარეობაში, როგორიცაა ეკონომიკური ციკლის თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიები. ჩვენი ნაშრომის მიზანია მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე გადმოვცეთ აღნიშნული თეორიე-

---

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976. გვ. 38.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ IV ტომი), ნაწ. II, თბ., 1968, გვ. 670.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის კრიტიკული ანალიზი და ვუჩვენოთ მათი თეორიული და პრაქტიკული მხარეების უსაფუძვლობა.

ბურჟუაზიულ ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური ციკლის პრობლემის შესწავლას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ეკონომიკური ციკლის ნეოკეინსური თეორიის წარმომადგენელი ისეთი ბურჟუაზიული ეკონომისტები, როგორიცაა ე. ჰანსენი, რ. ჰაროდი, გ. ჰაბერლერი და სხვ.

რა არის სიახლე ეკონომიკური ციკლის ნეოკეინსურ ანალიზში? ნეოკეინსელებმა სიმძიმის ცენტრი კრიზისების პრობლემიდან გადაიტანეს საერთოდ ციკლის პრობლემაზე, რომელიც კეინსს არ ჰქონდა. მათ აღიარეს კაპიტალისტური ეკონომიკის არამყარი ხასიათი, და მიუთითეს, რომ მისი განვითარებისათვის საშიშია არა მარტო კრიზისები. არამედ გაჭიანურებული ბუმებიც. მათთან განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია ინვესტიციები.

ე. ჰანსენი, რომელიც მოწმეა კაპიტალისტური ეკონომიკის ბევრი კრიზისული შერყევისა, აღიარებს, რომ ციკლური მერყეობისაკენ ტენდენცია გვევლინება კერძო მეწარმეობისა და საბაზრო ეკონომიკის სისტემის განუყრელ შემადგენელ ნაწილად[3]. იგი მხარს უჭერს იდეას „მულტციკლების“ შესახებ და ჰყოფს ციკლებს სამ ჯგუფად: „გრძელი ციკლი“*, „დიდი ციკლი“ და „პატარა ციკლი“. „გრძელი ციკლი“, რომლის ხანგრძლიობაა 17-18 წელი, ჰანსენის აზრით, დამახასიათებელია მხოლოდ ცალკეული დარგებისათვის (საამშენებლო, საფეიქრო მრეწველობისათვის, სარკინიგზო ტრანსპორტისათვის და ა. შ.), უფრო ზუსტად, იგი დარგობრივი მოვლენაა.

ე. ჰანსენი „პატარა ციკლებს“, უპირველეს ყოვლისა ხედავს ნედლეულისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების მოთხოვნის მერყეობაში.

ე. ჰანსენი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს „დიდ ციკლებს“, რომლებიც წარმოადგენს „წარმოების მოცულობათა მერყეობას“, პირველ რიგში „დამამუშავებელი პროდუქტების წარმოების“ და რომელთა ხანგრძლივობა მერყეობს 6-დან 13-წლამდე. იგი აღნიშნავს, რომ „დიდი ციკლი ძირითადად დაიყვანება საინვესტიციო ხარჯების მერყეობამდე“ და ამ საინვესტიციო საქმიანობის მთავარ ღერძს „წარმოადგენს ინვესტიცია ერთობლივ ძირითად კაპიტალიზმში“[4].

ციკლური მერყეობის მიზეზთა ანალიზისას ე. ჰანსენი პირველ ადგილზე

---

[3] Э. Хансен. Экономические циклы и национальный доход. М., 1959, с. 54.

* „გრძელი ციკლების“ არსებობის შედარებით გამოთქმებს ადგილი ჰქონდა რიგ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს შორის, მაგრამ „გრძელი ციკლების“ სპეციალური თეორია შექმნა ნ. დ. კონდრატიევმა. ასე, მაგალითად, განიხილავს რა საქონელთა ფასების საშუალო დონის დინამიკას, კონდრატიევი თვლის, რომ XVII ს-ის ბოლოდან XX ს-ის დასაწყისამდე ადგილი ჰქონდა 3 „გრძელ ციკლს“. პირველი 1789 წლიდან 1849 წლამდე (24 წელი). ორ „გრძელ ციკლს“ კონდრატიევი პოულობს რენტასთან, ხელფასთან და საგარეო ვაჭრობასთან. „გრძელი ციკლების“ მიზეზად იგი თვლის უპირატესად გარეგნულ ეკონომიკურ ფაქტორებს. (см. кн. Н. Д. Кондратьева и Д. И. Опарина, большие циклы коньюнктуры. М., 1928, с. 16-17.). „გრძელი ციკლების“ თეორიის მავნებლობა მდგომარეობს მისგან გამომდინარე ანტიისტორიულ დასკვნაში, რომ თითქოს ციკლები დამახასიათებელია ყოველგვარი მეურნეობისათვის და კაპიტალისტური სისტემა აქ არაფერ შუაშია. სრულიად შესაძლოა, რომ დიდი ტალღები არსებობდნენ ფასთა მოძრაობაში და როგორღაც ზოგით გავლენას ახდენდნენ სამრეწველო ციკლის განვითარებაზე, თუმცა სამრეწველო ციკლის ძირითად მიზეზად გვევლინება კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი.

[4] იქვე, გვ. 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყენებს ინვესტიციათა მერყეობას. მეორე მნიშვნელოვან მიზეზად იგი ასახელებს კაპიტალისტური ეკონომიკის დაძაბულ დაგროვებას, რომელთა შორის გამოიყოფა წარმოების დანახარჯთა გადიდება (ხელფასის ზრდა, დანახარჯთა ზრდა ნედლეულზე, მოწყობილობათა რემონტზე და სხვ.). მაგრამ ჰანსენი ვერ ამჩნევს, რომ უპირველეს ყოვლისა მწვავდება წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის, და აღიარებს, რომ „შემოსავალთა განაწილებაში უთანაბრობას, გააჩნია მოხმარების ფუნქციის შემცირების ტენდენცია", იგი გამოდის ხელფასის გაზრდის წინააღმდეგ.

კაპიტალისტური მეურნეობის ინტერესებისათვის, როგორც ამ სისტემის თავდადებული მომხრე, ე. ჰანსენი მიისწრაფვის მისი სტაბილიზაციისაკენ და აღნიშნავს, რომ ღონისძიებების მოფიქრებული და პოზიტიური პროგრამა მოწოდებულია აღმოფხვრას ციკლური მერყეობა. თუმცა ჰანსენი არ იზიარებს შეხედულებას, რომლის თანახმადაც აუცილებელია ციკლის პირდაპირი რეგულირება, ე. ი. კერძო ინვესტიციების ზომათა რეგულირება. იგი თვლის, რომ კერძო მეწარმოების ეკონომიკურ სისტემაში, სადაც თავისუფალი ინვესტირება გვევლინება საფუძვლად, პოლიტიკამ ციკლთან დამოკიდებულებაში უნდა მიიღოს რომელიმე სახესხვაობის „შერბილების ან კომპენსირების ფორმა"[5]. ე. ჰანსენი გვთავაზობს ციკლურობის წინააღმდეგ ბრძოლის ორ მეთოდს. პირველი მეთოდი მდგომარეობს ინვესტიციის მოცულობათა უშუალო სტაბილიზაციაში და გათვალისწინებულია ქვეყნებისათვის, სადაც ინვესტირებაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო. მეორე მეთოდად, რომელიც გათვალისწინებულია უპირველეს ყოვლისა აშშ-ისათვის, სადაც „კერძო ინვესტიციები გარკვეული ზომით სახელმწიფოს ჩარევის ფარგლებს გარეთ დგას", გვევლინება ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საშუალებით კერძო ინვესტიციათა ანაზღაურება. მაშასადამე, ე. ჰანსენი იფარგლება ეკონომიკის რეგულირების იოლი წინადადებებით, რომელთა საშუალებით თითქოს შეიძლებოდეს ციკლისა და კრიზისების თავიდან აცილება.

ე. ჰანსენის აპოლოგეტიკა ვლინდება მასშიდაც, რომ იგი უარყოფს მოგების ნორმის დაცემას, როგორც კრიზისის მიზეზს. არც ერთი დამაჯერებელი დასკვნა არ შეგვიძლია გავაკეთოთ იმ თეზისის სასარგებლოდ, — წერს იგი, — რომ შემობრუნებას აყვავებიდან დეპრესიისაკენ იწვევს მოგების შემცირება[6]. ე. ი. ჰანსენი აღიარებს კაპიტალიზმის დროს ციკლურობის არსებობას, მაგრამ არ სურს აღიაროს, რომ ეკონომიკური კრიზისების მიზეზი ძევს თვით კაპიტალისტურ სისტემაში. სწორედ ამაში ვლინდება მისი კლასობრივი შეზღუდულობა.

რ. ჰაროდი არის ჯ. მ. კეინსის მიმდევარი, თუმცა რიგ დებულებებში არ ეთანხმება თავის მასწავლებელს. კერძოდ, იგი თვლიდა, რომ საგნის ჩამოყალიბებით და კვლევის ხასიათით კეინსური „საერთო თეორია" თავისი არსით სტატიკურია..., ამიტომ ვერ შესძლებს ჩვენს სრულად დაკმაყოფილებას, სანამ არ შეერწყმება დინამიკას[7]. რ. ჰაროდი, სამრეწველო ციკლის ბუნების გამოვლინებისა და სწორი ანტიციკლური პოლიტიკის შემუშავებისათვის ქმნის „დინამიკურ თეორიას". მისი ასეთი თეორია ბურჟუაზიული ეკონო-

---

[5] იქვე, 505.

[6] იქვე, გვ. 503.

[7] Р. Ф. Х а р р о д. К теории экономической динамики. М., 1959. с. 48-49.

მისტების მრავალრიცხოვან ცდათაგან ერთ-ერთია მონახონ წამალი, რომელიც შეძლებდა კაპიტალიზმის ხსნას: კაპიტალის ჭარბდაგროვებისაგან, ზედმეტწარმოების კრიზისებისაგან, უმუშევრობისაგან და ა. შ. „სტატიკური თეორიისაგან“ განსხვავებით, რ. ჰაროდის „დინამიკური თეორია“ გვპირდება არა მარტო გაფართოებულ კვლავწარმოებას, არამედ გაფართოებულ კვლავწარმოებას ზრდის მყარი ტემპებით.

აღიარა რა კაპიტალისტური წარმოების თვითმმართველობის უუნარობა, რ. ჰაროდი თვლის, რომ მყარი განვითარებისათვის აუცილებელია „ციკლსაწინააღმდეგო პოლიტიკა“, რომლის წინაშე იგი აყენებს ორ ამოცანას: ბრძოლას წარმოების ციკლურ მერყეობასთან და ბრძოლას ქრონიკულ დეპრესიასთან. ასეთი პოლიტიკის საშუალებად იგი ასახელებს რამდენიმე ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ანტიციკლურ ინსტრუმენტად გვევლინება სახელმწიფოს ბიუჯეტური ღონისძიებების განხორციელება. მაგალითად „საზოგადოებრივ სამუშაოებს“ ჰაროდი არ თვლის „სრულიად მოძველებულ საშუალებად“, და რჩევას იძლევა ფართოდ ვისარგებლოთ უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ გვთავაზობს ზოგიერთი დარგის სუბსიდირების პოლიტიკის განხორციელებას ბიუჯეტური დეფიციტის ხარჯზე. „სახსრების ხარჯვა ბიუჯეტური დეფიციტის ხარჯზე — ეს სარიდი კრანია, რომელიც შეიძლება სწრაფად გახსნა...“. ანტიციკლური პოლიტიკის შემდეგი იარაღია, „მთავრობის მიერ დაფინანსებული ბუფერული მარაგის“ შექმნა.

ციკლებთან ბრძოლაში დიდ ადგილს იკავებს ფასების პოლიტიკა, რომელიც აღნიშნავს ფასების შეგუებას ეკონომიკის დონესთან. საღისკონტო პოლიტიკის მიმართ რ. ჰაროდი იკავებს სკეპტიკურ პოზიციას — სარგებლის განაკვეთის მერყეობა, — ამბობს იგი, — არ დაიკავებს დიდ ადგილს ჩვენი ციკლსაწინააღმდეგო საშუალებების არსენალში[8].

რ. ჰაროდის თეორიის გაცნობა საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ მისი შემდეგი ძირითადი ნაკლოვანებანი:

1. რ. ჰაროდი უგულებელყოფს კაპიტალისტური კვლავწარმოების ობიექტურ კანონებს და ცვლის მათ ტექნიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით (ისეთით, როგორიცაა ეკონომიკური განვითარების „ბუნებრივი ტემპი“, „სამეწარმეო წონასწორობის“ დონე და ა. შ.), რომლებიც არ წარმოადგენენ თეორიული ანალიზის საიმედო ინსტრუმენტებს. აქედან გამომდინარეობს კაპიტალის რეალური დაგროვების პროცესისა და კაპიტალისტური წარმოების ციკლურ ხასიათს შორის მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირების გაუგებრობა.

2. რ. ჰაროდი თვლის, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი (რომელიც „დინამიკის თეორიაში“ ერთ-ერთი ფაქტორია), გვევლინება დამოუკიდებელ ცვლადად. აქ ვლინდება ხალხთმოსახლეობისა და დაგროვების კაპიტალისტური კანონის გაუგებრობა, რომლებიც განსაზღვრავენ მუშა-ძალის კვლავწარმოების ტემპსა და უმუშევართა სარეზერვო არმიის დონეს. ამის გარდა, უმუშევართა დონე მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია ტექნიკურ პროგრესზეც, რომელიც გამოდევნის მუშებს წარმოებიდან.

3. უმუშევრობას და საწარმოო სიმძლავრეთა ქრონიკულ დაუტვირთაობას, რომლებიც ობიექტურად აფერხებენ კაპიტალისტური წარმოების განვი-

---

[8] იქვე, გვ. 157-166.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარებას და წარმოადგენენ მისი უმყარობის წყაროს, პაროდი უპირისპირებს: არასაწარმოო მოხმარების ზრდას სახელმწიფო „ბუფერული შესყიდვის“ ფორმაში; არასაწარმოო სფეროს განვითარებასა და სხვ. დეფიციტური დაფინანსების საფუძველზე. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ასეთი რეკომენდაციების განხორციელება არა მარტო ვერ აღმოფხვრის წარმოების მერყეობას, არამედ იგი იწვევს მისი არასტაბილურობის გაძლიერებას.

4. საჭიროა აგრეთვე ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ისეთმა რეკომენდაციებმა, როგორიცაა „ბუფერული მარაგების“ შექმნა, და ფასების შემცირება, ვერ მოიპოვა აღიარება ბურჟუაზიულ ეკონომისტთა შორის, რადგანაც ისინი არ პასუხობენ მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს. პირიქით, მონოპოლიები მიისწრაფვიან არა მარტო არ დაუშვან არარეალიზებული საქონლის საწყობში შეფერხება, არამედ ხანდახან ქმნიან ზოგიერთი საქონლის ხელოვნურ დეფიციტს. ამას კი მივყავართ ფასების მკვეთრ ამაღლებამდე, რაც უზრუნველყოფს მოგების მნიშვნელოვან ზრდას. მაგალითად, 1973 წელს ნავთპროდუქტებზე დეფიციტის შექმნით, აშშ-ის ნავთობის მონოპოლიებმა ფასების ამაღლებით უზრუნველყვეს არნახული მოგება. მათმა საერთო შემოსავალმა 9,5 მლრდ დოლარი შეადგინა 1972 წლის 6,5 მლრდ დოლართან შედარებით. ე. ი. გაიზარდა თითქმის 46,2%-ით[9].

ნეოკეინსიანელთა შორის, ეკონომიკური ციკლისა და კრიზისების საკითხებში, სახელგანთქმული ბურჟუაზიულ ეკონომისტად მიჩნეულია გ. ჰაბერლერი, რომელიც თავის წიგნში „აყვავება და დეპრესია“*, არ იფარგლება ციკლის არსებული ბურჟუაზიული თეორიების ანალიზით და მიზნად ისახავს „ციკლის ბუნების სინთეზურ გადმოცემას“.

გ. ჰაბერლერი არა მარტო აღიარებს კაპიტალისტურ წარმოებაში ციკლთა არსებობას, არამედ ცნობს კიდეც კაპიტალისტური ეკონომიკის ციკლური განვითარების გარდუვალობას. „აყვავებისა და დეპრესიის“ პერიოდთა ცვლა,— ეს ის არის, რომლებიც ჩვეულებრივ უნდგა გავითვალისწინოთ“. სხვა ადგილზე იგი მიუთითებს, რომ „ციკლური მოძრაობა გვევლინება ჩვენი თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განუყოფელ თვისებად[10]. აღიარებს რა თავის (და ყველა ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერების) უუნარობას, შეიცნონ ციკლისა და კრიზისების შინაგანი ბუნება, იგი მაინც ქადაგებს, რომ შეიძლება შემუშავებულ იქნეს ციკლის საერთო თეორია, ისე, როგორც არსებობენ სხვადასხვა ციკლებში საერთო ნიშნები და მსგავსი მომენტები. გ. ჰაბერლერი ციკლს ჰყოფს 4 ფაზად: 1. აღმავლობა (აყვავების ფაზა, საქმიანი აქტივობის გაფართოება); 2. დაცემა (დეპრესიის ფაზა, საქმიანი აქტივობის შემცირება); 3. შემობრუნების ზედა წერტილი, ე. ი. შემობრუნება აყვავებიდან დეპრესიისაკენ (შემობრუნება ქვემოთ, კრიზისი სპეციალურ მნიშვნელობაში); 4. შემობრუნების ქვედა წერტილი, ე. ი. შემობრუნება დეპრესიიდან აყვავებისაკენ (შემობრუნება ზემოთ, გაცხოველება)[11]. აყვავების ფაზის ქვეშ ჰაბერლერს ესმის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როცა „რეალურად წარ-

---

[9] Экономика капитализма в 1973 г., «Экономическая газета», №9. Февраль, 1974, с. 21.

[10] Г. Х а б е р л е р. Процветание и депрессия. М., 1960, с. 278. 353.

[11] იქვე, გვ. 281.

* გ. ჰაბერლერის „ციკლთა თეორიის“ კრიტიკული ანალიზი მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან იხილეთ ნაშრომში: გ. ჭ ა ნ უ ყ ვ ა ძ ე. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, ნაწ. IV თბ., 1969, გვ. 139-202.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებული შემოსავალი და დასაქმების დონე მაღალია ანდაც იზრდება“, ხოლო დეპრესიის პერიოდში პირიქით, ამ სამ მაჩვენებელს აქვს შემცირების ტენდენცია, თუმცა ძირითადი ყურადღება მას შეჩერებული აქვს კრიზისის ფაზაზე.

გ. ჰაბერლერი განასხვავებს კრიზისის ორგვარ გაგებას: ა) კრიზისი „საერთოდ მიღებულ მნიშვნელობაში“ — მწვავე ფინანსური დაძაბულობის მდგომარეობა, პანიკა, იერიში ბანკებზე, ოქროს მიტაცება, გაკოტრება და ა. შ.; ბ) კრიზისი „სპეციალურ მნიშვნელობაში“, როგორც შემობრუნების პუნქტი აყვავებიდან დეპრესიისაკენ“[12]. კრიზისის განმაპირობებელ ნიშანთა შორის გ. ჰაბერლერი ასახელებს მრავალ ფაქტორს, რომელთა შორის ძირითადად თვლის: ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას; დეფლაციას, გატარებულს მთავრობისა და ბანკების მიერ; ფულისა და წარმოების ფაქტორთა არაელასტიურ წინადადებებს, ორგანულ დისპროპორციებს.

ასე, გამოავლინა რა ერთობლივ მოთხოვნასა და დეფლაციურ პოლიტიკას შორის კავშირი, გ. ჰაბერლერი ასკვნის, რომ დეფლაციის შეზღუდვაც იწვევს ცალკეულ დარგებში დაცემას. და თუ ეს ხდება პერიოდში, როცა საქმიანი აქტიურობის ზრდის ტემპები მცირდება, მაშინ ეკონომიკური სისტემა ადვილად შეიძლება ჩავარდეს საქმიანი აქტიურობის საერთო შემცირების პროცესში[13].

განიხილა რა ორგანული დისპროპორციები, როგორც კრიზისის გამომწვევი ფაქტორთა ჯგუფი, გ. ჰაბერლერი მათგან გამოჰყოფს სტრუქტურულ დისპროპორციებს. ამ უკანასკნელის საერთო მიზეზად იგი თვლის: „პროდუქციის გასაყიდი ფასის დაცემას წარმოების დანახარჯთა დაბლა“, და ინვესტიციების შემცირებას არასაკმარისი მოთხოვნის გამო[14].

ციკლურობის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის გ. ჰაბერლერი ასახელებს „ფსიქოლოგიურ ფაქტორს“, რომელიც იმაში ვლინდება, რომ დეფლაცია წარმოშობს პესიმიზმს, ხოლო ინფლაცია — გადაჭარბებულ ოპტიმიზმს, რომელიც იწვევს კაპიტალისტური წარმოების დაცემასა და აღმავლენას. თუმცა გ. ჰაბერლერი ბოლოს და ბოლოს ასკვნის, რომ ციკლურ განვითარებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ფულადი ფაქტორები. ფულადი ფაქტორები, — წერს იგი, — ასრულებენ დიდ როლს მოკლევადიანი ეკონომიკური უმყარობისა და ჩვეულებრივი ეკონომიკური ციკლის წარმოშობაში[15].

ეკონომიკური ციკლისა და კრიზისების საკითხებზე ჰაბერლერის ძირითადი დებულებების განხილვის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ მისი თეორიის ორი მეტად დამახასიათებელი ნიშანი: აპოლოგეტიკა და ეკლექტურობა.

თავისი თეორიული შენობის „საამშენებლო ქვათა“ ღირსებაში გ. ჰაბერლერი სარგებლობს სხვა ბურჟუაზიულ ეკონომისტთა დებულებებით. ასე, მაგალითად, ციკლურობის განმსაზღვრელ მიზეზთა შორის იგი ასახელებს: ფულად-საკრედიტო ფაქტორებს (ეს დებულება მან ისესხა მინზის, ხოუტრის, ხიკსისა და სხვ.); ტექნიკურ ახალშემოღებებს (შუმპეტერისაგან); ფსიქოლოგიურ ფაქტორებს (მილსის, პიგუსა და სხვ.). ციკლის ოთხ ფაზად დაყოფა განახორციელა შუმპეტერის თეორიის სულისკვეთებით, ხოლო წარმოების ანტი-

---

[12] იქვე, გვ. 271-272.

[13] იქვე, გვ. 361.

[14] Г. Хаберлер, დასახ., ნაშრ., გვ. 381.

[15] იქვე, გვ. 537-538.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლური რეგულირების წინადადებები კეინსის, ჰანსენისა და სხვ. აქვს ნასესხები.

გ. ჰაბერლერი მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ზოგიერთ საკითხში იკავებს უფრო კონსერვატორულ პოზიციას. ასე, მაგალითად, ის არ ეთანხმება რიგი ბურჟუაზიული ეკონომისტების მტკიცებებს, რომ კრიზისების წინ დაგროვებათა დონე იზრდება, ხოლო ინვესტიციის დონე ეცემა — ე. ი. დაგროვება აჭარბებს ინვესტიციას. გადაჭარბების ეს დონე ასახავს კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობას (წარმოებასა და დაგროვებას, დაგროვებასა და მოხმარებას შორის), რომელიც გ. ჰაბერლერს არ სურს აღიაროს. მისი აპოლოგიის მეორე მაგალითია დებულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური წონასწორობა შეიძლება მიღწეულ იქნეს არა მშრომელთა შემოსავლების ამაღლების გზით, არამედ სახელმწიფო ხარჯთა ზრდის საშუალებით. მაგრამ „დანახარჯთა მხოლოდ ერთ პოლიტიკას... არ შეუძლია გადაჭრას წარმოების შეუფერხებელი დახმარების პრობლემა" და გ. ჰაბერლერი გვთავაზობს სახელმწიფო ხარჯთა პოლიტიკის შეხამებას ხელფასის „მოქნილ" პოლიტიკასთან, რომელიც აღნიშნავს ხელფასის შემცირებას „უმდაბლეს დონემდე"[16]. ე. ი. ჰაბერლერი გულწრფელად მოუწოდებს სახელმწიფოს სამრეწველო განვითარების სტაბილიზაციის პოლიტიკა გაატაროს მშრომელთა ხარჯზე. ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ ფართოდ გამოიყენა ასეთი რეკომენდაციები, რაზედაც მეტყველებს ხელფასის „გაყინვის" პოლიტიკა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა. ასე, მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის წმინდა დეფიციტმა 1967 წლიდან 1972 წლამდე შეადგინა 80 მლრდ დოლარი. სახელმწიფო ვალის საერთო სიდიდემ 1970 წ. მიაღწია 514,2 მლრდ დოლარს[17]. ბიუჯეტის დეფიციტურობა გახდა ინფლაციისა და ფასების ზრდის საფუძველი, რაც მშრომელ ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა მხრებზე.

კაპიტალიზმის მკურნალობის კეინსური „რეცეპტები", როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად ჩაიფლავა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ომისშემდგომ პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სინამდვილემ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ომის შემდგომი 15 წლის მანძილზე აშშ-ში, სადაც ყველაზე უფრო ფართოდ გამოიყენებოდა ანტიციკლურ ღონისძიებათა კეინსური „რეცეპტები", მათ შორის ეკონომიკის მილიტარიზაციის პოლიტიკა, ოთხჯერ (1948, 1954, 1957 და 1960 წწ.) აღმოჩნდა ეკონომიკური კრიზისების მარწუხებში.

ნეოკეინსელთა კონცეფციების ნაკლოვანებებმა განაპირობა მისი კრიტიკა არა მარტო მარქსისტ ეკონომისტთა მხრიდან, არამედ ბურჟუაზიულ ეკონომისტთაგანაც. იმის მსგავსად, როგორც ზრდის ნეოკეინსური თეორია განვითარდა კეინსის კრიტიკიდან, ...—აღნიშნავს ი. ოსადჩაია.—ასევე, ზრდის ნეოკლასიკური თეორიაც ჩამოყალიბდა ზრდის ნეოკეინსური მოდელების კრიტიკიდან[18].

„ნეოკლასიკური" თეორიის მთავარი წარმომადგენლების (რ. სოლოუ, ჯ. მიდი, ნ. კალდორი) კრიტიკა მიმართულია ეკონომიკის ზრდის უმყარობის

[16] იქვე, გვ. 509-510.

[17] С. А. Далин. США: Послевоенный государственно-монополистический капитализм. М., 1972, с. 343.

[18] И. М. Осадчая. Современное кейнсианство. М., 1971, с. 75-76.

ნეოკეინსური თეორიისადმი. როგორც ამერიკელი ეკონომისტი ე. ჰეიმანი თვლის, ნეოკლასიკოსების მთავარი პრობლემა არის კრიზისებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის პრობლემა. ნეოკლასიკოსები თავიანთი ზრდის მოდელების შექმნაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ წარმოების ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ტექნიკური პროგრესი, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება, და აგრეთვე ვარაუდობენ კონკურენციის საფუძველზე ეკონომიკის ზრდის დაბალანსების მიღწევას. ამ დოქტრინის მომხრეები გამოდიან ეკონომიკაში სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის ცდის წინააღმდეგ, რომელიც მცირე ფორმითაც შელახავს მსხვილი კაპიტალის ინტერესებს.

მათი აზრით, სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა თავისუფალი კონკურენციის ხელშემშლელი დაბრკოლებების აღმოფხვრა, რომლის განხორციელებისათვის სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ისეთი ბერკეტები, როგორიცაა: ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, პროფკავშირების უფლებათა შეზღუდვა ხელფასის გადიდებისათვის ბრძოლაში და სხვ. ასე, მაგალითად, ნ. კალდორის აზრით, კრიზისი ძალაში შედის ისეთ ფაქტორთა მოქმედებით, როგორიცაა: სარგებლის განაკვეთის ზრდა, რომელიც აფერხებს ინვესტიციებს, მზარდი განაკვეთები ქვას ადებს „კუმულაციური ინფლაციის“ პროცესს; მოწყობილობათა ჭარბდაგროვება, რომელიც მიმდინარეობს სამუშაო ძალის შეზღუდვის გამო და სხვ. ეს მიზეზები, როგორც კალდორი მიუთითებს, შეიძლება მოცილებულ იქნეს შესაბამისი ფულადი და საგადახდო პოლიტიკით, აგრეთვე საზოგადოებრივ სამუშაოთა („სახლების, გზების ან სამხედრო სასამართლოების მშენებლობის“) განხორციელებით და კერძო კაპიტალის (სუბვენციები გადასახადისათვის, სესხთა გარანტიების და სხვ.) დახმარებით[19].

„ზრდის თეორიის“ ნეოკლასიკური თეორიის მთავარი ნაკლი მდგომარეობს მასში, რომ იგი აგებულია მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში არარსებულ „წმინდა კონკურენციაზე“, რომელსაც ვითომ შესწევდეს ბალანსური წონასწორობის დამყარების უნარი. კონკურენციის ძალის სასწაულმოქმედების იმედებს არ გააჩნიათ არავითარი საფუძველი. მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის პერიოდშიც არსებობდა თავისუფალი კონკურენცია, მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფდა კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარებას. კრიზისების მიზეზთა სწორი გაგების უქონლობამ, ნეოკლასიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებს საშუალება არ მისცა ეპოვათ მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებები. ისინი ვერ გასცდნენ თავიანთ რეკომენდაციებს, რომ სახელმწიფომ გაატაროს სადისკანტო, ხელფასის შემცირებისა და მილიტარიზაციის პოლიტიკა. ძირითადად ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ზრდის ნეოკლასიკური მოდელი გამოუსადეგარი გახდა.

60-იანი წლებიდან ბურჟუაზიული აზრის წამყვანი ეკონომიკური დოქტრინა გახდა „ახალი ეკონომიკური მეცნიერება“ (new economics), რომელმაც ეკონომიკური თეორია შეუხამა ეკონომიკურ პოლიტიკას.

„ახალი ეკონომიკური მეცნიერების“ თეორიულ საფუძველს შეადგენს ნეოკლასიკური სინთეზი, რომლის ავტორი პ. სამუელსონია. ნეოკლასიკური სინთეზი უთავსებს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ნეოკეინსურ და ნეოკლასიკურ მიმართულებებს, ასახავს ნეოკეინსელთა, ნეოკლასიკოსთა და მონეტარისტთა გაერთიანებულ თეორიულ პლატფორმას. ანუ, როგორც

[19] N. K a l d o r, Stabilität und Vollbeschäftigung. In: «Konjunktur-Beschäftigungstheorie». Köln-Berlin, 1967. S. 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მიულერი თვლის, იგი სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ნეოკლასიკური და ნეოკეინსიური მეთოდების ეკლექტური დოგმების შეერთება[20].

ნეოკლასიკური სინთეზის მომხრეები მიისწრაფვიან გამოავლინონ სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო მექანიზმის უპირატესობა და ნაკლოვანებები, ამასთან ერთად ცდილობენ ციკლთა სხვადასხვა ფაზისა და ეკონომიკის სხვადასხვა გრძელვადიანი მიზნებისათვის მათი შეხამების ოპტიმალური გზების პოვნას.

„ახალი ეკონომიკური მეცნიერების“ ძირითადი დებულებები გადმოცემულია ამერიკელი ეკონომისტის უ. ხელერის შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის ახალი განსაზღვრა“. ისინი შემდეგზე დაიყვანება:

თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკას, რომელიც გულისხმობს კონკურენციის თავისუფლებას, მასში არ უნდა ჰქონდეს ადგილი მონოპოლიებსა და მონოპოლიურ ფასებს, გამოირიცხება სახელმწიფოს პირდაპირი კონტროლი ფასებსა და ხელფასზე. რამდენადაც თანამედროვე საბაზრო მეურნეობამ დაკარგა თვითრეგულირების უნარი, აუცილებელი გახდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში ციკლური მერყეობის მინიმუმამდე დაყვანისა და ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს სრული დასაქმების, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების, მყარი ფასების, მაღალი მსყიდველობითი უნარიანობისა და სავადახდო ბალანსის წონასწორობის მიღწევა. ამ ამოცანების განხორციელების საშუალებებია სახელმწიფო ბიუჯეტი, სავადახდო სისტემა, კონტროლი ფულად მიმოქცევასა და კრედიტზე, ეკონომეტრიკული პროგნოზირება.

როგორც ვხედავთ, „ახალი ეკონომიკური მეცნიერების“ მრავალი თეორიული დებულება რეალურ სინამდვილესთან აშკარა წინააღმდეგობაშია: თანამედროვე კაპიტალისტურ ეკონომიკაში კონკურენციის თავისუფლება, მონოპოლიებისა და მონოპოლიური ფასების და სრული დასაქმების უარსებობა. მაგრამ ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა ამ ჩიხიდან გამოსავალი ჰპოვეს იმით, რომ არსებულ მონოპოლიებს დაარქვეს თავისუფლად მოქიშპე „ოლიგოპოლიები“. მათი აზრით, კონკურენცია ყოველთვის მონოპოლიურია, ხოლო სრული დასაქმება უშვებს უმუშევრობას 4% ფარგლებში მშრომელი მოსახლეობის რაოდენობიდან. თანამედროვე კაპიტალისტურ ეკონომიკაში მონოპოლიური ფასების უარსებობის, დასასაბუთებლად შექმნილ იქნა „ახალი ეკონომიკური კანონი“ („ფილიპსის მრუდე“), რომლის თანახმადაც უმუშევრობის შემცირებას თან მოსდევს ინფლაცია (მასში იგულისხმება ფასების ზრდა ნებისმიერი მიზეზით), ხოლო ფასების დაცემა (დეფლაცია) იწვევს ეკონომიკურ კრიზისს და უმუშევრობის ზრდას. ე. ი. კაპიტალისტური წარმოების განვითარებით გამოწვეული ფასების მერყეობა და უმუშევრობა კრიზისების ფაზებსა და აღმავლობაში ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა კანონზომიერებიდან წარმოვგინეს კატეგორიულად, რომლის კვალობაზედაც გააკეთეს დასკვნა თითქოს ფასების ზრდის მიზეზი არის არა მონოპოლიების ბატონობა და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, არამედ სრული დასაქმება, ხოლო კრი-

[20] M ü l l e r K. O. «Neoklassik», «neoklasische Sunthese» und die Krise der gegenwärtigen bürgerlichen politischen Okönomie —«Wirtschaftswiss», B., 1976. Ig. 24, № 10, S. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზისი, თავის მხრივ, წარმოადგენს არა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამოვლინებას, არამედ ფასების დაცემას.

„ახალმა ეკონომიკურმა კანონმა" ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შესთავაზა ორიენტაცია აიღოს ან სრულ დასაქმებასა და ინფლაციაზე ან ფასების შემცირებასა და უმუშევრობაზე.

„ახალი ეკონომიკური მეცნიერება" გახდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის შესახებ ნეოკეინსელთა უკანასკნელ სიტყვად კაპიტალისტური ეკონომიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების სტრატეგიის დასაბუთებაში. ეკონომიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების ძირითადი მიმართულებები იყო: ეროვნული შემოსავლის გადანაწილება გადასახადების გზით; კაპიტალისტური საწარმოების, პირველ რიგში მონოპოლიების, პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდირება; საქონელთა სახელმწიფო შესყიდვების და მომსახურების, პირველ რიგში შეიარაღების საგნების, შესყიდვის დეფიციტური ფინანსირება; კრედიტის რეგულირება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვისა და შესყიდვის და სარგებლის განაკვეთზე ზემოქმედების გზით, აგრეთვე, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის რეგულირების გზით.

„ახალი ეკონომიკური მეცნიერება" არა მარტო თეორიაა, არამედ — პრაქტიკაც. ნეოკლასიკური სინთეზის ბაზაზე ამერიკელმა ეკონომისტებმა უ. ხელერიმ და ა. ოუკენიმ დაამუშავეს ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები. „ახალი ეკონომიკური მეცნიერების" წარმომადგენლებს ეკავათ საპასუხისმგებლო პოსტები მთავრობის ეკონომიკურ აპარატში და ცხოვრებაში ნერგავდნენ თავიანთ თეორიულ კონცეფციებს მთელი 60-იანი წლების განმავლობაში. ეს პერიოდი ხასიათდებოდა აშშ-ის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებული ტემპებით. გარკვეული ფორმით ამაზე გავლენა იქონია მთელი სახელმწიფო-მონოპოლისტური მექანიზმის (საბიუჯეტო, საგადასახდო, ფულად-საკრედიტო ბერკეტების) ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის აქტიურმა გამოყენებამ.

აშშ-ის ომისშემდგომი განვითარების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი 1961-1970 წწ. ციკლის ზრდის მაღალმა ტემპებმა ამერიკული კაპიტალიზმის განვითარებაში „მუდმივი აყვავების" დადგომის ილუზია შექმნა. „ახალმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ" დაიწყო იმის მტკიცება, რომ კაპიტალიზმმა უკვე შესძლო კრიზისების დაძლევა.

1969-1970 წწ. ამერიკამ გადაიტანა ახალი ეკონომიკური კრიზისი, ხოლო სამი წლის შემდეგ დადგა ყველაზე მძიმე (1974-1975 წწ.) მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომლის პერიოდში სამრეწველო წარმოების მოცულობა დაეცა წინასაკრიზისო პერიოდთან შედარებით: აშშ-ში 13,8%-ით, იაპონიაში — 23%, გფრ-ში — 12,3%, ინგლისში — 11%, საფრანგეთში — 16%, იტალიაში — 19,3%[21]. ამავე ქვეყნებში ამ პერიოდში უმუშევართა რიცხვმა 15 მილიონს მიაღწია, ხოლო 1975 წ. ცხოვრების ღირებულებამ წინასაკრიზისო პერიოდის დონეს გადააჭარბა: ინგლისში — 24,3%-ით, იტალიაში — 17%, იაპონიაში — 11,8%, საფრანგეთში — 11,7%, აშშ — 9,1%, გფრ — 6%[22]. ამასთან ერთად, გამეფდა ინფლაცია და საგადასახდო ბალანსის პასიურობა.

---

[21] Углубление общего кризиса капитализма. М., 1976, с. 181.

[22] Международная жизнь, 1976, № 8, с. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1969-1971 და 1974-1975 წწ. კრიზისმა ნათლად დაგვანახვა ე. წ. „ფილიპსის კანონის“ უსაფუძვლობა, რომლის თანახმადაც ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება არის უმუშევრობის ზრდა[23]. ყოველივე ეს მოწმობდა, რომ ცხოვრებამ უარყო „ახალი ეკონომიკური მეცნიერების“ ძირითადი დებულება კაპიტალიზმის ციკლური განვითარების დაძლევის შესახებ. უკანასკნელი ეკონომიკური კრიზისი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ასახავს „თვით იმპერიალიზმის სისტემის კრიზისს“[24]. რ. ბინდერი ამ კრიზისის შესახებ წერს, რომ ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერება ამჟამად განიცდის კრიზისს, მას არ შესწევს ძალა რამდენადმე დამაჯერებლად ახსნას თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე (ინფლაცია, სავალუტო ქაოსი, ხელფასის დინამიკა და ა. შ.)[25].

მაშასადამე, 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში, როგორც კეინსური და ნეოკეინსური, ასევე „ნეოკლასიკური სინთეზის“ თეორიაც მთლიანად, ღრმა კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. კაპიტალიზმის სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გამწვავების პირობებში ამ თეორიებმა გამოააშკარავა თავიანთი უსაფუძვლობა. ორთავე მიმართულების მომხრეები ეკონომიკური პოლიტიკის გარღვევებში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ და მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქებისათვის ვერ შესძლეს რაიმე ეფექტურ საშუალებათა შემოთავაზება. ამის გამო ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია იძულებული გახდა გადაესინჯა თავისი მოძველებული დოგმები და დაეწყო ახალი აპოლოგეტური კონცეფციების ძებნა.

ყველა ბურჟუაზიული მეცნიერი არ ყოფილა მომხრე „ახალი ეკონომიკური მეცნიერების“. ნეოკლასიკური სინთეზის საპირისპირო პოზიციები ეჭირა აშშ-ის ლიბერალურ ეკონომისტთა წარმომადგენელს ჯონ გელბრეიტს. თავდაპირველად ჯ. გელბრეიტი მიეკუთვნებოდა პოლიტიკური ეკონომიის ინსტიტუციონალურ მიმართულებას, შემდეგ გახდა კეინსელი, რომელსაც ჩამოსცილდა და დაიწყო კრიტიკა, როგორც ნეოკლასიკური, ასევე კეინსური პოლიტიკური ეკონომიის. ჯ. გელბრეიტის თანამედროვე შეხედულებანი წარმოადგენს კრიტიკულ მიმართულებას ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში. იგი აღმოჩნდა ბურჟუაზიულ ეკონომისტთა შორის ერთ-ერთი პირველი, რომელიც აშკარად გამოვიდა კაპიტალისტური ეკონომიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების ტრადიციული დოქტრინების კრიტიკით, ამასთან ერთად მან შემოგვთავაზა ახალი კონცეფციები, რომელთა გამოყენებაც თითქოს იძლევა კაპიტალიზმის გარკვეული სტაბილიზაციის უზრუნველყოფის საშუალებას.

როგორ გარდაექმნათ აშშ-ის ეკონომიკა, რომ თავიდან აეცილებინათ სოციალური შერყევები, როგორი შეიძლება იყოს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ორი სოციალური სისტემის ბრძოლის პირობებში — აი, ასეთ საკითხებს აშუქებს ჯ. გელბრეიტი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში „ეკონომიკური თეორია და საზოგადოების მიზანი“.

---

[23] Критика современной буржуазной полит-экономий, Авт. колл. под. рук. член-корреспондента АН СССР А. Г. Милейковского. М., 1977, с. 21.

[24] Bonnevie H. «Hvorfor krise-verden tiden rundt.» kobenhavn, 1977, № 8. S. 86.

[25] Binder P. Kritik der tradizionallen Wiertschfaftshteorie und der herkömmlichen Wirtschaftspolitik B., 1975, S. 7.

აღნიშნულ წიგნში ჯ. გელბრეიტი მწვავედ აკრიტიკებს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ტრადიციულ (ნეოკეინსიანურ და ნეოკლასიკურ) სკოლებს რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტისათვის, რითაც დარტყმას აყენებს ბურჟუაზიულ აპოლოგეტურ პოლიტეკონომიას. თუმცა ამისათვის იგი თვითონ ქმნის აპოლოგიის ახალ სისტემას, რომელიც უპირისპირდება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეას. გელბრეიტს არ შეუძლია უარყოს მარქსისტულ-ლენინური დებულებების სისწორე, რომელიც ისტორიის მთელი მსვლელობითაა დამტკიცებული, მაგრამ ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს ახალი ეკონომიკური და სოციალური პროცესები, რომელიც მარქსმა ვერ გაითვალისწინა და ეს თითქოს, გელბრეიტს საფუძველს აძლევს შექმნას კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკური განვითარების საკუთარი საერთო თეორია. მარქსმა განჭვრიტა კაპიტალიზმის განვითარების ბევრი ტენდენცია, — წერს ჯ. გელბრეიტი, — თუმცა მას არ შესწევდა ზებუნებრივი ძალა, რომელიც მას საშუალებას მისცემდა გაეთვალისწინებინა ყველაფერი, რაც ბოლოს და ბოლოს მოხდება. მარქსის შემდეგ მოხდა ბევრი რამ, რომელსაც ახლა ანგარიში უნდა გავუწიოთ[27].

ჯ. გელბრეიტის შემოთავაზებულ „ეკონომიკური სისტემის საერთო თეორიაში“ დიდი ყურადღება ეთმობა არასაბაზრო ძალებს — სოციალურ ინსტიტუტებს, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების ცხოვრებას და, რომლებიც უარყოფილნი იქნენ ეკონომისტთა ტრადიციული სკოლების მიერ. ასეთ ინსტიტუტებად გელბრეიტს მიაჩნია სახელმწიფო, მსხვილი კორპორაციები და პროფკავშირები. მისი აზრით, მათ შორის მთავარი სამეურნეო სუბიექტია მსხვილი კორპორაცია. ნეოკლასიკოსებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ფირმა დამორჩილებულია მომხმარებლისა და ბაზრის მოთხოვნას, გელბრეიტი სტიქიურად უახლოვდება ეკონომიკურ სისტემაში წარმოების გადამწყვეტი როლის მტკიცებას. რამდენადაც მსხვილია ფირმა, მით მეტია შესაბამისად მისი გავლენა ფასებისა და დანახარჯების დადგენაში. მთლიანად მეტი იქნება მისი გავლენა მომხმარებელზე, საზოგადოებასა და სახელმწიფოზე.[28] მაშასადამე, გელბრეიტთან კორპორაცია მისი შექმნის ორგანიზაციით ბატონობს მომხმარებელზე, ბაზარზე და აგრეთვე სახელმწიფოზეც.

თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკა გელბრეიტთან წარმოდგენილია არა მთლიან სისტემად, არამედ სისტემად, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: „საბაზრო სისტემისა“ და „მგეგმავი სისტემისაგან“. თითოეული ამ სისტემათაგანი სხვადასხვაგვარად ახორციელებენ თავიანთ „დადებით მიზნებს“ და ამიტომ უხდებათ საზოგადოებასთან შეჯახება. გელბრეიტი გვთავაზობს გარკვეულ რეფორმებს, ამ ორი სისტემის „განსაკურნავად“, რომლებიც თითქოს უზრუნველყოფს ურთიერთზემოქმედებას მათ შორის, რის შედეგადაც ვითომ გადაწყდება ამერიკული კაპიტალიზმის მწვავე პრობლემები.

რას წარმოადგენენ თავისთავად თითოეული ამ ორი სისტემათაგანი?

გელბრეიტის საბაზრო სისტემა მოიცავს მხოლოდ წვრილ ფირმებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც ბაზარზე ფასების წარმოქმნაზე და მთავრობის პოლიტიკაზე გავლენას ვერ ახდენენ. საბაზრო სისტემაში ფასებზე კონტროლი ხორციელდება ავტომატურად კონკურენციის მექანიზმის სა-

---

[27] Гэлбреит Д. К. Экономические теории и цели общества. М., 1976, с. 56.

[28] იქვე, გვ. 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალებით. აქ არ არსებობენ მძლავრი პროფკავშირული ორგანიზაციები, რისთვისაც მუშები ღებულობენ მეტად დაბალ ხელფასს და აქვთ მეტად გრძელი სამუშაო დღე. რომ გაუძლონ კონკურენციულ ბრძოლას, წვრილი მეწარმეები ეწევიან თვითექსპლოატაციას.

გელბრეიტის „საბაზრო სისტემა" თავისთავად წარმოადგენს აბსტრაქციას, რომელიც კაპიტალისტურ ამერიკაში არ არსებობს. უმსხვილესი მონოპოლიების ბატონობისას წვრილი ფირმები ვერ იკავებენ გაბატონებულ მდგომარეობას ეკონომიკის ვერც ერთ დარგში, და ისინი იმყოფებიან მსხვილ კორპორაციათა გავლენის ქვეშ. მონოპოლიებზე წვრილ საწარმოთა დამოკიდებულება უდავოა: ნედლეულის შესყიდვაში, პროდუქციის გაყიდვაში, კრედიტის მიღებაში, აუცილებელ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ინფორმაციაში. ამასთან ერთად, წვრილი მეწარმეობა მსხვილ კაპიტალს აძლევს ეკონომიურ სარგებელს. ვიწრო დასპეციალების წვრილი საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ წვრილ სერიულ პროდუქციას და ემსახურებიან მცირე ბაზარს, მონოპოლიებს აძლევენ კაპიტალის, ხელფასის ეკონომიას, იღებენ თავის თავზე კონკურენციული ბრძოლის მთელ რისკს.

წვრილ საწარმოთა არსებობა მონოპოლიზაციის მაღალი საფეხურის პირობებში, ამტკიცებს ვ. ი. ლენინის დებულებას, რომ მონოპოლიები არიან ძველი მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ზედნაშენი, რომ „წმინდა იმპერიალიზმი" არ არსებობს.

რაც შეეხება წვრილი მეწარმოების სოციალურ სტრუქტურას, იგი ხასიათდება ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა არსებობით, სადაც უკანასკნელს ექსპლოატაციას უწევს არა მხოლოდ წვრილი და საშუალო კაპიტალისტები, არამედ მონოპოლისტური ბურჟუაზიაც.

გელბრეიტის „მგეგმავი სისტემა" ეკონომიკურად დაფუძნებულია მსხვილ კორპორაციაზე. ამ სისტემის უპირატესობაა კოლექტიური აზრის გამოყენება, რომლის მატარებელია მსხვილი კორპორაცია და უფრო ზუსტად — ახალი სოციალური მოვლენა — ტექნოსტრუქტურა. იგი მთელი ერთობლიობაა მეცნიერთა, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, სპეციალისტებისა რეალიზაციაში, რეკლამასა და სავაჭრო ოპერაციებში, ექსპერტებისა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში, ადვოკატებისა და ხალხის, რომლებიც კარგად ერკვევიან ვაშინგტონის ბიუროკრატიული აპარატის, აგრეთვე შუამავალთა, მმართველთა ადმინისტრათორთა საქმიანობაში და თავისებურებებში[29].

კორპორაციის შესახებ, გელბრეიტის კონცეფციის მანკიერი მხარე მდგომარეობს მასში, რომ „განვითარებული" კორპორაციის გადამწყვეტ კრიტერიუმად იგი თვლის არა მის მონოპოლიურ ბუნებას, არამედ, მის ორგანიზაციას, რომელიც სთავაზობს კოლექტივს ტექნოსტრუქტურას. „ტექნოსტრუქტურის" კატეგორიაში განიხილება ფინანსური ოლიგარქია დაქირავებულ მმართველთაგან განუყოფლად. ამიტომაც გელბრეიტის კორპორაციის ხელისუფლება მოწყვეტილია საკუთრებას.

მსხვილი კორპორაციების შესახებ ლაპარაკის დროს, გელბრეიტი გამოდის მარქსის მიერ აღმოჩენილი კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის წინააღმდეგ. იგი წერს: ერთი შეხედვით არსებობს გარეგნული ანალოგია თანამედროვე მსხვილი ფირმების ზრდისა სხვა ფირმათა შთანთქმის

---

[29] იქვე, გვ. 114.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზით, როგორც მარქსმა იწინასწარმეტყველა. მარქსის მიერ აღწერილი პროცესის გამომწვევი მიზეზი იყო ექსპლუატაცია და მოგება. თანამედროვე პროცესში ძირითადი მამოძრავებელი მოტივია ბიუროკრატიული უპირატესობის, ტექნოსტრუქტურის შემოსავლისა და პრესტიჟის ზრდის მიღწევა. ამ პროცესში კაპიტალისტის ძალაუფლება, თუ შეიძლება მის შესახებ საერთოდ ვილაპარაკოთ, მცირდება[30].

ამ სიტყვებშია გამოხატული გელბრეიტის აპოლოგეტური კონცეფციის მთელი არსი: თითქოს მსხვილ კორპორაციათა ძირითადი წამაქეზებელი მოტივის — მოგებისა და მასთან დაკავშირებული ექსპლოატაციის მნიშვნელობა, ხოლო კაპიტალისტის ძალაუფლება კორპორაციაში, ლიკვიდირებულ იქნა. კაპიტალიზმის პირობებში შეიძლება შეიცვალოს ბურჟუაზიული საკუთრების ფორმები, მაგრამ უცვლელი რჩება მისი ექსპლოატაციური არსი, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს განსაზღვრავს. რაც შეეხება ტექნოსტრუქტურას, ისიც არაერთგვაროვანია, მათში გადამწყვეტ როლს ასრულებს მსხვილი მენეჯერები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კაპიტალს, და თვით გახდნენ კაპიტალისტთა კლასის შემადგენელი ნაწილი.

უწოდებს რა, მსხვილ კორპორაციათა ბატონობის სისტემას „მგეგმავ სისტემას“, რომელიც თავისუფალია ბაზრისა და კონკურენციისაგან, ამით გელბრეიტი ამახინჯებს რეალურ სინამდვილეს. „მგეგმავი სისტემა“ დამყარებულია იგივე სასაქონლო წარმოებისა და ბაზრის კანონებზე და მისი ფუნქციონირება ხორციელდება მონოპოლიურ ფირმათა კონკურენციის გზით. ხოლო ე. წ. სისტემის დაგეგმვა სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალისტური ურთიერთობების სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირება. იმპერიალიზმის პირობებში მონოპოლიისა და კონკურენციის, გეგმაზომიერებისა და წარმოების ანარქიის დიალექტიკური ერთიანობა მხილებულ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ.

გელბრეიტი იძულებულია აღიაროს „მგეგმავი სისტემის“ თვისებრივი თავისებურებანი. „მგეგმავი სისტემა“ სახელმწიფო რეგულირების გარეშე, როგორც წესი არასტაბილურია. იგი ინფლაციის ზემოქმედების საფრთხეშია, რომელიც ქრონიკული ხასიათის მატარებელია და თვითრეგულირებას არ ემორჩილება. „მგეგმავ სისტემაში“ ჩავარდნებისა და ინფლაციის შედეგები უარყოფითად ზემოქმედებენ შემდეგ „საბაზრო სისტემაზე“. ეს უკანასკნელი კრიზისებისაგან იტანჯება მეტად, ვიდრე „მგეგმავი სისტემა“, რომლის ფესვებშიაც ჩნდება ჩავარდნა[31].

„მგეგმავი სისტემის“ მთავარი ნაკლი, გელბრეიტის აზრით, კორპორაციული მექანიზმის უარსებობაშია, რომელიც ამუხრუჭებდა ფასთა ზრდას. ამით იგი თვლის, რომ ინფლაციის ზრდის ძირითადი მიზეზი არის მუშათა „მეტისმეტი“ მოთხოვნები ხელფასის შეფარდებითი ამაღლებისათვის და კორპორაციათა უუნარობა წინ აღუდგეს პროფკავშირთა მხრიდან დაწოლას. გელბრეიტი აღიარებს, რომ მსხვილი კორპორაციებისა და სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ეკონომიკური ზრდის სტიმულირების პოლიტიკამ ვერ შეარბილა სოციალური წინააღმდეგობანი. ინფლაციის ზრდას დაემატა ახალი პრობლემები: გარემო პირობების გაჭუჭყიანება, დიდი ქალაქების კრიზისი, საზოგა-

[30] იქვე, გვ. 143.
[31] იქვე, გვ. 229-230.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებრივი ტრანსპორტისა და ჯანდაცვის პრობლემა, შემოსავალთა განაწილებაში უთანასწორობა. ეს წინააღმდეგობანი არყევენ, როგორც „მგეგმავ“, ასევე „საბაზრო“ სისტემებს. ესენი არ არიან მცირე დეფექტები... ისინი ღრმად ახასიათებენ თვით სისტემას[32].

რაღა გამოსავალს გვთავაზობს შექმნილი მდგომარეობიდან გელბრეიტი? რეფორმათა პროგრამას.

შემოთავაზებული რეფორმების განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო ასახავს საზოგადოების ინტერესებს. გელბრეიტის რეფორმები მოიცავს სამ მიმართულებას: „საბაზრო სისტემის“ რეფორმები, ორ სისტემას შორის განვითარების დონეში უთანაბრობის შესამცირებლად; რეფორმები „საგეგმო სისტემისათვის“ მისი მიზნების მოსაწესრიგებლად; და ბოლოს, რეფორმები არა ერთიან სისტემაში, არამედ ორში „საბაზრო“ და „მგეგმავი“ ეკონომიკის მმართველობაში.

გელბრეიტი აშშ-ისათვის გვთავაზობს „ახალ სოციალიზმს“, რომელიც კაპიტალიზმს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ბურჟუაზიული წყობილების სტაბილიზაციისათვის ეკონომიკაში სახელმწიფოს მხოლოდ გაძლიერებულ ჩარევას მოითხოვს. ასეთი „ახალი სოციალიზმი“ არ ეხება კაპიტალიზმის საფუძველს, არ ითვალისწინებს ბურჟუაზიული საკუთრების ცვლილებებს. თავისი წარმოშობის წყაროთი, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მას აქვს ბურჟუაზიული რეფორმიზმის გამოცდილება, სადაც გაბატონებული ქვეყნები სოციალური მანევრირებისათვის იყენებენ სიტყვას „სოციალიზმი“. ამავე პოზიციებიდან გელბრეიტი მოითხოვს რიგი დარგების საბინაო მშენებლობის, ტრანსპორტის, სამედიცინო მომსახურეობის რეორგანიზაციას. უთანასწორობის მოსპობისათვის იგი მოითხოვს შემოიღონ პროგრესული საგადასახადო დაბეგვრა, დაამყარონ გარანტირებული სახელმწიფო წესრიგი ყველა შრომისუნარიანთა წლიურ შემოსავალზე, გაათანაბრონ მამაკაცისა და ქალის, შავკანიანთა და თეთრკანიანთა შრომითი ანაზღაურება. ქვეყნის ეკონომიკური სიმყარე, კრიზისებისა და ინფლაციის თავიდან აცილება, გელბრეიტის აზრით, შეიძლება მიღწეული იქნეს ხელფასსა და ფასებზე მუდმივი ან გრძელვადიანი კონტროლის გზით და სხვ. მისი აზრით, ასეთი რეფორმებით კაპიტალიზმი შეიძლება გადარჩეს მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს.

როგორც ვხედავთ, გელბრეიტის „ახალი სოციალიზმი“ სხვა არაფერია, თუ არა „შერეული ეკონომიკა“, რომელიც ფუნქციონირებს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბაზაზე; მისი შეხედულებანი ასახავს ბურჟუაზიულ რეფორმიზმს, რომლის მიზანია ისტორიულად განწირული კაპიტალისტური წყობილების ხსნა. ამიტომაც ებრძვის გელბრეიტი მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად დებულებას, რომელიც ითვალისწინებს: კაპიტალიზმის სოციალიზმით გარდაუვალ შეცვლაში კლასობრივი ბრძოლისა და მუშათა კლასის როლს. უშვებს რა ცნობილ დათმობებს, სოციალური მანევრირების მეთოდებით მშრომელთა მოთხოვნილებებში, გელბრეიტი მიისწრაფვის დაამტკიცოს ანტაგონისტური წინააღმდეგობის აღმოფხვრა, რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის გარეშე, კაპიტალიზმის საფუძვლის შეცვლის გარეშე.

მარქსისტები მხარს უჭერენ ისეთ რეფორმებს, რომლებიც მიმართულია ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. „განსხვავება ჩვენსა და რეფორმის-

[32] იქვე, გვ. 269-270.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებს შორის, — წერდა ლენინი, — მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩვენ — რეფორმების წინააღმდეგნი ვართ, ისინი კი მომხრენი. არაფერი ამდაგვარი“[33]. განსხვავება იმაშია, რომ მარქსისტებისათვის „რეფორმები წარმოადგენს რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის არაპირდაპირ შედეგს“[34].

გელბრეიტის მიერ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ტრადიციული მეთოდების კრიტიკა და ბრძოლა ზოგიერთი ობიექტური პროგრესული რეფორმებისათვის — მოწმობს არა მხოლოდ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიზისს, არამედ ძვრასაც მემარცხენე ძალების სასარგებლოდ, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავების პირობებში. ამაზვე მეტყველებს ბურჟუაზიულ ეკონომისტთა გაზრდილი ყურადღება მარქსიზმისადმი. გელბრეიტი აღნიშნავს, რომ ნეოკლასიკურ მოდელზე უარის თქმის ერთ-ერთი შედეგი იყო მარქსით ახლად დაინტერესება, ხოლო ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტმა გორდონმა ასოციაციის შექმნის 88 წლისთავის აღსანიშნავ შეკრებაზე 1975 წლის 29 დეკემბერს უფრო გარკვეულად თქვა, რომ მოდით გავიზიაროთ ის, რაც ჩვენთვის სასარგებლოა მარქსთან და მის მიმდევრებთან[35].

კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური კრიზისი ყველას აიძულებს დაფიქრდნენ საით მიდის კაპიტალიზმი. ასეთ პირობებში უფრო და უფრო ძნელი ხდება მარქსიზმის დამახინჯება. ბურჟუაზიულ მეცნიერებს არ შეუძლიათ ამხილონ კაპიტალიზმის ფუნქციონირების ჭეშმარიტი მექანიზმი და უჩვენონ მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები. ბურჟუაზიული ეკონომისტების წამოყენებული პრობლემების ჭეშმარიტი ახსნა შესაძლებელია მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან მეთოდოლოგიური დაშვებით, რომ კაპიტალიზმს ღრღნის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, რომელთა გადაჭრა შეუძლია მხოლოდ კაპიტალიზმის მოსპობას.

---

33 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ., 23, გვ. 203.

34 იქვე, გვ. 254.

35 «МЭ и МО», 1976, 12, с. 83.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1979, № 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინე მუჩიაშვილი, ელენე ჩიქოვანი

# ეკონომიკური პროგნოზირების მათემატიზაციის შესახებ

სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზების დასაბუთებული წარმოდგენა, მისი როლის ამაღლება და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების გათვალისწინება სახალხო მეურნეობის გეგმების შემუშავებაში თანამედროვე მეცნიერული მიღწევების მნიშვნელოვანი ეტაპია[1], ამიტომ სახალხო მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესს დაუკავშირდა ეკონომიკური პროგნოზირების მიმართულებით ფართოდ გაშლილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

პროგნოზი, ალბათური მსჯელობა მომავალში მოვლენის შესაძლო მდგომარეობის ან რაიმე შედეგის მიღწევის ალტერნატიული გზების შესახებ, მოიცავს ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს, პროგნოზირება კი არის პროგნოზის შემუშავების პროცესი.

არ შეიძლება დავუპირისპიროთ პროგნოზი გეგმას, ისე როგორც მიმდინარე დაგეგმვა პერსპექტიულს. დამტკიცებამდე გეგმა წარმოადგენს პროექტს, რომლის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ განვითარების სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის მიხედვით, დამტკიცების შემდეგ კი გეგმას აქვს კანონის ძალა; ყველა გეგმის პროექტში არის პროგნოზული პარამეტრი, მაგრამ პროგნოზი გეგმის პროექტს წარმოადგენს. დაგეგმვა თავისი არსით მართვის აქტიური ელემენტია, პროგნოზი კი შეიძლება იყოს როგორც აქტიური, ასევე პასიური. ვინაიდან პროგნოზირების საშუალებით შეიძლება ეკონომიკის განვითარების განჭვრეტა, ამიტომ გეგმის განხორციელებისას პროგნოზირების ფუნქციაა გვიჩვენოს შესაძლებელია თუ არა დასახული მიზნის მიღწევა, რა ვადებში და როგორ განხორციელდება იგი[2].

პროგნოზირების შედარებით ახალ და რთულ მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება, საიდანაც გამოყოფენ სახალხო მეურნეობის სინთეზური მაჩვენებლების პროგნოზირებას, სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებებისა და ბუნებრივი რესურსების, სამეცნიერო-ტექნიკურ, ძირითადი ფონდების პროგნოზებსა და ა. შ. ამასთან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობისა და შრომითი რესურსების პროგნოზებს, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და მოთხოვნილების პროგნოზული პარამეტრების გაანგარიშებას.

**ეკონომიკური კიბერნეტიკის თანამედროვე დონე** (გულისხმობს რა პროგნოზირების ამოცანების ისეთნაირ დასმას, რომ შესაძლებელი გახდეს მათემატიკური მოდელის შედგენა, შესაბამისი მეთოდებისა და გამოთვლითი სქემების შემუშავება, ინფორმაციის მოპოვება-გარდაქმნის სისტემის შექმნა ეგმ-

---

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 231.

[2] ი. მ ე ს ხ ი ა, გეგმა და პროგნოზი. ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1975, №9, გვ. 38-46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის და ა. შ.) საშუალებას იძლევა ავამაღლოთ პროგნოზირების, რომლის შედგენის წინა ეტაპის და გადაწყვეტილების მისაღებად მზა მეცნიერული ინფორმაციის როლი[3], რაც ხელს უწყობს ეკონომიკური გამოკვლევების გაღრმავებას და მათემატიკის, როგორც დამხმარე აპარატის ეკონომიკაში ეფექტურ გამოყენებას.

ამ მიმართულებით გამოვყოთ ეკონომიკური პროგნოზირების მათემატიზაციის მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავების ამოცანა და მოვიყვანოთ რამოდენიმე მოსაზრება ეკონომიკური პროგნოზირების მათემატიზაციის მიმართულებით.

ნ. ვორობიოვის[4] აზრით, ისევე როგორც ყველა სხვა დარგების, პროგნოზირების მათემატიზაციისთვისაც აუცილებელია რაოდენობრივი კატეგორიების ჩამოყალიბება, გაზომვის ზუსტი მეთოდების შექმნა, განმარტებებისა და დებულებების გარკვეული სისტემის შემუშავება, რათა იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შემოიფარგლოს ამ დარგის შესაბამისი ცოდნისა და მტკიცების რაოდენობრივ ენაზე თარგმნის, რიცხვითი მონაცემების შეგროვების, მათი ეგმ-ზე დამუშავებისა და მათ შორის უმარტივესი სტატისტიკური კავშირების დადგენის ელემენტარული დონით.

გ. ხაუშტეინი[5] მათემატიზაციისათვის გვთავაზობს მოდელებისა და მეთოდების ფართო კლასს, რომლებიც კონკრეტულ ამოცანებზე არიან აპრობირებულნი. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ექსტრაპოლიაციის მეთოდს და გვთავაზობს რიგ რეკომენდაციებს, ერთი ცვლადის ფუნქციის კონკრეტული სახის გრაფიკებსაც. ახასიათებს ფუნქციის ტიპის შერჩევის, პარამეტრთა განსაზღვრის, მოსწორებისა და ამოსავალი მონაცემების გარდაქმნის ხერხებს, აღწერს დროითი მწკრივების მოსწორებისათვის ეფექტური ფუნქციათა კლასის (პოლინომები, ლოგისტიკური წირი, ექსპონენტა და სხვა) თავისებურებებს, მათემატიკური სტატისტიკის იმ მეთოდებს (კორელაციური და რეგრესული ანალიზი), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაჩვენებელთა შორის კავშირების ხასიათის, ფუნქციონალური დამოკიდებულების დასადგენად. წიგნში „პროგნოზირებისა და გადაწყვეტილების მიღების თეორია"[6] (ავტორები: ს. სარქისიანი, ვ. ლისიჩკინი, ვ. კასპინი, ე. მინაევი და გ. პასეჩნიკი) მოყვანილია პროგნოზირების სახეები, ექსტრაპოლიაციის, მათემატიკური მოდელირებისა და საექსპერტო შეფასების მეთოდები, საკითხები დაკავშირებული ამოსავალი ინფორმაციის მომზადება-დამუშავებასთან, განხილულია გადაწყვეტილების მიღების, როგორც პროგნოზის მიზეზ-შედეგობრივი გაგრძელების, თეორიის მეთოდოლოგია.

ეკონომიკური პროგნოზირების მათემატიზაციის მიმართულებით საყურადღებოა აგრეთვე ი. ჩუევის, ი. მიხაილოვისა და ვ. კუზმინის ნაშრომი[7], სადაც მოყვანილია რიგი მაკროეკონომიკური მოდელები და პროგნოზირების მათემატიკური მეთოდები.

---

[3] ი. მესხია, ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების საკითხები, თბ., 1978, გვ. 36-51.

[4] Сб. Экономико-математическое исследование затрат и результатов, М., 1976, с. 43-58.

[5] Г. Д. Хауштеин. Методы прогнозирования в социалистическом экономике, М., 1974, с. 55.

[6] Теория прогнозирования и принятия решений, под ред., С. А. Саркисяна, М., 1977.

[7] Ю. В. Чуев, Ю. Б. Михайлов, В. И. Кузьмин. Прогнозирование количественных характеристик процессов, М., 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომში არის ცდა მოვლენის ნახტომისებური განვითარების პროგნოზირებისათვის, რაც ბუნებრივია თავისებურ ასახვას იპოვის სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის გრძელვადიან პროგნოზირებაში ექსტრაპოლიაციის მეთოდის გამოყენების დროს.

ზემოთ მოყვანილი შრომები წარმოადგენენ ეფექტურ საშუალებებს, როგორც ეკონომიკური პროგნოზირების არსისა და მეთოდების ელემენტების შესასწავლად, ასევე სახელმძღვანელოდ საანგარიშო გამოთვლითი სქემების შესადგენად, ანალიზისა და გამოკვლევების ჩასატარებლად. პროგნოზირების მათემატიზაციისათვის დასაყრდენს მათემატიკური მოდელირება წარმოადგენს და იმ ძირითადი როლის მხედველობაში მიღებით, რომელსაც საზოგადოებრივი მეცნიერებანი თამაშობენ პროგნოსტიკული ასპექტების ფორმირებაში, მათემატიზაცია მიმდინარეობს საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარების პარალელურადაც.

დაგეგმვისა და მართვის თეორიის განვითარების თანამედროვე დონე ქმნის პირობებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროგნოსტიკული სახის მათემატიკური მოდელების შესაქმნელად. ამ მიმართულებით მოდელირება ეკონომიკაში უნდა ვაწარმოოთ შემდეგი პრინციპების საფუძველზე: ოპტიმალობის პრინციპი, მიზანდასახული ეკონომიკური რეგულირების შესაძლებლობის დაშვებით: ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა, წარსულის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციის დადგენა და მათი კორექტირება ექსტრაპოლიაციით[8].

ეკონომიკური პროცესების მოდელირებისას პროგნოზირებისათვის ერთ-ერთი ძირითადია მოდელირების პრინციპისა და იმ სტრატეგიული პარამეტრების შერჩევა, რომელთა მნიშვნელობანი განიცდიან სახალხო მეურნეობის განვითარების მაჩვენებლებისაგან პირდაპირ ან ირიბ გავლენას.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების დინამიკური სისტემა პროგნოზირებაში ასახავს რა დარგის განვითარების სხვადასხვა მხარეებს, ითვალისწინებს წარმოების შესაძლებლობებს და საზოგადოების მოთხოვნილებას დარგის შესაბამის პროდუქციაზე, უზრუნველყოფს დარგობრივ, შიგა რეგიონალურ. უწყებრივ, დროითი და პროგრამულ მიზნობრივი დაგეგმვის ასპექტების შეთანაწყობას.

პროგნოზირებისა და დაგეგმვის სისტემის მანქანური უზრუნველყოფის მიზნით კი ინფორმაციული და პროგრამული ერთიანობის ქვესისტემის საგეგმო გამოთვლების ავტომატიზებულ სისტემაში მოთხოვნილია მოდელების სტრუქტურისაგან შედარებით სიმარტივის პირობა, რომელიც მოგვცემს საშუალებას ეფექტურად ჩავატაროთ გამოთვლები დარგობრივი ქვესისტემის საგეგმო გამოთვლების ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების პირობებში[9].

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენების დროს ჯერ კიდევ არასაკმარისი ყურადღება ეთმობა ეკონომიკური ინფორმაციის მოცულობის შეფასებას. მოდელები, რომლებიც გამოსახავენ მოვლენის მოქმედების არსს წარმოადგენენ ადამიანის მიერ გამოსაკვლევი პროცესის შინაგან კანონზო-

[8] В. В. Киселева. Плановые расчеты по моделям экономического роста, М., 1971 с. 6.

[9] Г. М. Алиев. Система прогнозно-плановых моделей отраслей промышленности в автоматизированной..., «Мацне», Серия фил., псих., эконом. и права, 1977, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერებათა დადგენით მიღებულ ინფორმაციასაც. საგეგმო გაანგარიშებათა ჩატარების დროს კი ინფორმაციას ამოსავალი მონაცემები წარმოადგენენ, მაგრამ მათი მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ არასაკმარისი სიზუსტით. ამიტომ ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდის რეალიზაციის დროს თავს იჩენენ ამოსავალი ეკონომიკური ინფორმაციის სირთულის, შეზღუდულობისა და საიმედოობის პრობლემები[10].

განუსაზღვრელობის არსებობის შედეგად შეიძლება გამოვლინებულ იქნეს პროგნოზირებადი პარამეტრის განვითარების მხოლოდ ტენდენცია. ამასთან, მოვლენის განვითარების შესახებ ინფორმაციის ალბათური ბუნების გათვალისწინებით, თუ მათ თან არ ახლავს დასაბუთებული შეფასებები, პროგნოზები პასიურია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვლენის განვითარების კანონზომიერებების დადგენა მოითხოვს საკმაოდ მრავალმხრივი მონაცემების ანალიზს — ისტოგრამების აგებას განაწილების კანონის დასადგენად.

ეკონომიკური ინფორმაცია, წარმოდგენილი მონაცემების სახით, გადაიცემა, წარმოებს შენახვა და განახლება. ამასთან მისი გარკვეული სისტემა გადაისახება მაჩვენებლებში, რომელთა საფუძველზე შემუშავებული მოდელები მიახლოებით ასახავენ რეალურ პროცესს და მიისწრაფიან სინამდვილის სრული ასახვისაკენ. ამიტომ პროგნოზირებისათვის გამოთვლების წარმოებისას, წამოიჭრება სინამდვილის დასაშვები გაუხეშების გამო შესაბამისი მაჩვენებლების საიმედოობის შეფასების ამოცანა[11]. დასაშვები არის საზღვრიდან მოსალოდნელი გადახრის ზომით — ეგრეთწოდებული სანდოობით, მაჩვენებელთა იმ თვისებით მოახდინოს ამოსავალი მონაცემების ცვლილებაზე რეაგირება და მდგრადობით. ჭეშმარიტ და პროგნოზირებულ მნიშვნელობებს შორის არსებულ განსხვავებათა დასაფარავად უნდა მივმართოთ ინფორმაციათა ცვლილების პირობებში სანდოობის, მგრძნობელობისა და მდგრადობის ანალიზს. ცალკე შეიძლება ვაწარმოოთ უხეში შეცდომებისა და მაჩვენებლების უზუსტობით გამოწვეული ცდომილების გამოყოფა, შემთხვევით ცდომილებათა გამორიცხვა და ა. შ.

ცდომილების ხარისხსა და მიახლოების ზომას განსაზღვრავს მოვლენის შესაბამისი მათემატიკური მოდელი, ხოლო პროგნოზისას, ბუნებრივია, შედეგი, რომელიც ცხადი გახდება მოვლენის მოხდენის შემდეგ. ვინაიდან, პროგნოზს აზრი აქვს მხოლოდ მოვლენის განვითარების განჭვრეტის ადრეულ პერიოდში, ამიტომ საჭიროა მისი, თუნდაც საორიენტაციო შეფასება, რომლის სიზუსტე დამოკიდებულია პროგნოზირების მოდელებისა და მათგან მიღებული მათემატიკური ამოცანის ამოხსნის მეთოდების ეფექტურობაზეც.

გამოსაკვლევი საპროგნოზო ობიექტის განვითარების კანონზომიერებათა ანალიზი საჭიროა, როგორც ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის ფორმირების, ასევე მათემატიკური მეთოდის გამოყენებისა და რიცხვითი შედეგების მიღების პროცესში.

პროგნოზირების ეფექტური მოდელები და მეთოდები იქმნება პროგნოზების პრაქტიკული შემუშავებისას, მათი ეკონომიკური შინაარსი განსაზღვრავს მეთოდების ხასიათს. დამოკიდებულებით ძირეულ კავშირებზე მიზნის მიხედვით გვაქვს: ოპერატიული, ტაქტიკური და სტრატეგიული; დანიშნულე-

---

[10] Сб. Проблемы экономической информации, М., 1975, с. 43.

[11] Г. Е. Эдельгауз. Достоверность статистических информации, М., 1977, с. 18-36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესაბამისად: ზოგადი, სპეციალური და მართვის; დასაბუთების ხარისხის მიხედვით: ინტუიციური და ლოგიკური; შედეგების გამოსახვით: რაოდენობრივი და ხარისხობრივი; დროის მიხედვით: გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი პროგნოზები.

მოვლენის განვითარების ობიექტური ტენდენციების გამოსავლენად გამოიყენება მეთოდები, რომლებიც შეიძლება დავაჯგუფოთ კავშირების ასახვისა და პროცესის დინამიკის შეცნობის ხარისხის, ეკონომიკის სფეროში აუცილებლობის, შემთხვევითობისა და გარეშე ფაქტორების მოქმედების გათვალისწინების, მათემატიკური აპარატისა და ზოგადი ხასიათის ლოგიკური მეთოდების გამოყენების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონირებს პროგნოზირების რიგი მეთოდები, რომელთა უმრავლესობა ატარებს ცხადად გამოსახულ რაოდენობრივ ხასიათს, ჯერ კიდევ დაუმუშავებელია მეთოდოლოგიური საყრდენები, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ პროგნოზირების მათემატიზაციის პროცესის განხორციელებისათვის.

თანამედროვე მეცნიერული პროგნოსტიკა თავის შემადგენლობაში ითვლის 150-მდე სხვადასხვა დონისა, მასშტაბისა და მოდიფიკაციის მეთოდს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სამ—ექსტრაპოლიაციის, ექსპერტიზისა და მოდელირების—მეთოდების კლასში. ექსტრაპოლიაციის მეთოდისათვის დამახასიათებელია სიმარტივე, მოვლენის ინერციული განვითარების პრინციპზე დაყრდნობით იგი პროგნოზირების ყოველ საწყის ეტაპზე გამოიყენება, მაგრამ არსებითი სიძნელეები დაკავშირებულია ექსტრაპოლიაციის საზღვრის დადგენასთან, სადაც დასაშვებად მიღებულია ± 15%-ით მოსალოდნელი ცდომილების ხარისხი. ექსპერტული შეფასებების მეთოდში გაერთიანებულია ინტერვიუს ტიპის შეფასების, დელფის, ტვინების იერიშისა და ექსპერტული შეფასებების მეთოდთა სხვადასხვა მოდიფიკაციები. მოდელირების მეთოდები მოიცავს: ალბათურ-სტატისტიკურ, მათემატიკურ, ეკონომიკურ-მათემატიკურ, ინფორმაციული მოდელირებისა და სცენარის მეთოდს[12].

ეკონომიკაში პროგნოზირებისათვის გამოიყენება მათემატიკური სტატისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების, ეკონომიკური პროცესების იმიტაციის, ექსპერტული შეფასებების, საბალანსო სისტემების დინამიკის ანალიზის, აგრეთვე წრფივი, დინამიკური და ევრისტიკული პროგრამირების მეთოდები.

ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი კომპლექსური პროგნოზების შესამუშავებლად გამოიყენება ეკონომეტრიკული, პასიური და აქტიური პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების სისტემა, რომელთა განტოლების ურთიერთდაკავშირებული მახასიათებლები ემყარებიან სტატისტიკურ მაჩვენებელთა იმ პარამეტრებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ როგორც მოდელში, ასევე მეთოდებსა და გამოთვლებში.

გატარებულია რა აზრი საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივაში კომპლექსური, სისტემური მიდგომის გამოყენების აუცილებლობის შესახებ ი. მესხიას ნაშრომში[13] დახასიათებულია სტრატეგიული, გლობალურ-სოცია-

---

[12] Г. М. Добров. Прогнозирование важнейших направлении развития науки и техники. Сб. Науковедение. Прогнозирование информатика, Киев, 1970, с. 5—26.

[13] ი. მესხია, ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების საკითხები, თბ., 1978, გვ. 71.

ეროვნული

ლური და დარგობრივ-ფუნქციური, ლოკალურ-სოციალური პროგნოზების ქვესისტემები. შედარებით მცირე მოცულობით კი მოყვანილია პროგნოზირების მეთოდები, გაანალიზებულია რეგიონალური ეკონომიკური პროგნოზირების სინთეზურ მაჩვენებელთა პარამეტრები. მოცემულია პასიური პროგნოზების კრებსითი ბლოკის ძირითადი მახასიათებლების რიცხვითი მოდელები და საპროგნოზო ფუნქციაში პარამეტრთა დადგენის უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოთვლითი სქემა, სინთეზურ მაჩვენებელთა პროგნოზული პარამეტრების ანალიზი და შეფასება.

შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების რთული მობილური კავშირებიდან გამომდინარე ექსტრაპოლიაციის პრინციპი დაფუძნებულია მოვლენის განვითარების ზოგადი ტენდენციის შენარჩუნებასა და ეკონომიკური პროცესებისათვის დამახასიათებელ ინერტიულობაზე, რომელიც ვლინდება ორგვარად[14]: მოვლენის ურთიერთკავშირების ძირითადი მომენტებისა და დროში მისი განვითარების ზოგადი ტენდენციის შენარჩუნების სახით.

თუ ანალიზის დროს გამოვლენილ და დასაბუთებულ იქნა მაჩვენებელთა შორის დამოკიდებულება, მაშინ რეგრესიის განტოლების წილად მოდის ამ კავშირების ხასიათისა და ზომის დადგენა, რომელშიც ცხადი სახით უნდა გამომდინარეობდეს მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმი. პროგნოზი კი ამ შემთხვევაში უკეთესად ექვემდებარება შინაარსობრივ ინტერპრეტაციას, ვიდრე ტრენდებით ექსტრაპოლიაცია, რადგან რეგრესიული ანალიზით კავშირების გამოვლენისას ხდება ცალკეული ფაქტორების ზემოქმედებისა და პროგნოზისტის მიერ საკვლევი ობიექტის ბუნების გამოვლენა. რეგრესიული ანალიზის საშუალებით პროგნოზისტი აწარმოებს დამოუკიდებელი ცვლადების შერჩევას, რომლებიც გავლენას ახდენენ საკვლევ სიდიდეზე, რეგრესიის განტოლების ფორმის განსაზღვრაზე.

ასე, რომ პროგნოზირების ამოცანის გადაწყვეტა მიმდინარეობს შესასწავლი ურთიეთკავშირების ანალიზის საფუძველზე. რეგრესიის განტოლებაში შემავალი პარამეტრების შეფასება წარმოებს მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით. აქვე შევნიშნოთ, რომ პროგნოზირება არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებაზე (ისინი მოითხოვენ განაწილების კანონის ცოდნას, რაც შეიძლება უცნობი იყოს, ან მისი აღდგენა ციფრული მასალის თავისებურებათა გამო საჭიროებს რიგ დაშვებებს).

განვიხილოთ მეორე გვარის ინერტულობა, სადაც წარსული მონაცემებისა და მიღებული ტრენდების ექსტრაპოლიაციის საფუძველზე პროგნოზირება დაყვანილია $y=f(t)$ ტიპის ანალიზური განტოლების (ტრენდის მოდელების) შერჩევაზე.

ექსტრაპოლიაციის პრინციპის (გულისხმობს რა ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების წარსულ და მიმდინარე პერიოდში ფიქსირებული ტენდენციის ინერციით მომავალშიც გავრცელებას) მათემატიზაციისათვის გამოყენებული და გავრცელებულია საექსტრაპოლიაციო ფუნქციები: წრფე, მოდიფიცირებული ექსპონენტა, პარაბოლა, მაჩვენებლიანი, ექსპონენციალური ფუნქციები[15].

---

[14] Е. М. Четыркин. Статистические методы прогнозирования, М., 1975, с. 57.

[15] Г. Д. Хауштейн. Методы прогнозирования в социалистической экономике, М., 1974, с. 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრფივი კავშირების არჩევა გამოწვეულია მისი სიმარტივითა და პოპულარობით. ეკონომიკურ პროგნოზირებაში კი მათი გამოყენება განპირობებულია არა მარტო მოხერხებულობით, არამედ ძირითადად იმითაც, რომ დაგეგმვა დროის რაიმე ინტერვალში (წელი, თვე) წრფივი პროცესების რეალიზაციიდანაა მიღებული. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენით კი თანდათან მოკლდება წრფივობის ინტერვალი, შესაბამისად იცვლება პროგნოზირების ვადებიც[16].

პროგნოზირების პრაქტიკა ადასტურებს მოსაზრებებს იმის შესახებაც, რომ რაიმე სტატისტიკური კრიტერიუმის ამორჩევა ყოველთვის აღმოჩნდება წარმოდგენილი წირის გავლენის ქვეშ, რაც გამოწვეულია გამოცდილების, როგორც პროგნოზირების ელემენტის კარნახით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ემპირიული მონაცემებით აგებულ წერტილებზე შეიძლება უსასრულო სიმრავლის წირების გატარება ორიენტაციისათვის აუცილებელი ხდება დამატებითი ცნობების მიღება.

ვინაიდან პოლინომის მრავალპარამეტრულობა საშუალებას იძლევა მივაღწიოთ ემპირიულ სიდიდეებთან ყველაზე უკეთეს მიახლოებას, ამიტომ მას კონკრეტულ გამოთვლებში ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდა. გამოთვლითი შრომის შემსუბუქების მიზნით კი შეიძლებოდა გვესარგებლა ჩებიშევის პოლინომზე დამყარებული ცხრილებით[17]. მაშინ, როდესაც დროითი მწკრივის შესაბამისი რომელიმე რიგის სასრული სხვაობა უდრის ნულს, მიახლოებისათვის ირჩევენ პოლინომს, რაც პირობითია, ვინაიდან მხოლოდ დისკრეტულ წერტილებს არ შეუძლია სრული წარმოდგენა მოგვცეს მრუდის სახეზე. ფუნქციის სახის დადგენას საფუძვლად უნდა დაედოს მოვლენის თეორიული შესწავლა და ჰიპოთეზები.

პრაქტიკა ხშირად არ იძლევა არჩეული ფუნქციის სახის დასაბუთების საშუალებას. პოლინომები მხოლოდ გავრცელებულნი და კარგად შესწავლილნი არიან. ამიტომ შერჩევის დროს სუბიექტურიც, რის გამო პოლინომიალური მოდელები არ იძლევიან შემთხვევით ფაქტორთა გავლენის სიდიდის დადგენის საშუალებასაც.

ხშირად ფაქტორთა სიმრავლიდან შეარჩევენ ისეთებს, რომლებიც ძლიერ გავლენას ახდენენ გამოსავალ სიდიდეზე და უგულებელყოფენ იმ კავშირებს, რომელთა გავლენა მცირეა. უგულებელყოფილ ფაქტორთა გავლენის ჯამი შეფასდება საშუალო კვადრატული გადახრით, რომელიც პოლინომის ხარისხის ზრდასთან ერთად შეიძლება ნულისაკენ არც კი მიისწრაფოდეს. მაგალითად, კორელაციური დამოკიდებულების გამოკვლევის დროს პროდუქციის თვითღირებულების კავშირის გავლენა გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზღვარით მნიშვნელობაზე უნდა ასახოს თვითღირებულების რაოდენობრივმა ცვლილებებმა. ამ შემთხვევაში უმჯობესია ჰიპერბოლური კავშირის აგება. შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ ტეხილი.

ეკონომიკური მოვლენების დასახასიათებლად, მათი მაჩვენებლების დინამიკაში წარმოდგენისათვის რეკომენდებულია[18] ლოგისტიკური წირი, რომ-

---

[16] А. И. Анчишкин. Методологические проблемы народнохозяйственного прогнозирования, ж. «Экономика и математические методы», 1973, вып. 6., с. 1027.

[17] В. С. Немчинов. Экономико-математические методы и модели, М., 1972 с. 96—154.

[18] О. Ланге. Введение в эконометрику, М., 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისთვისაც დამახასიათებელია საწყისი ეტაპიდან სწრაფი ზრდა, შემდეგ კი ზრდის ტემპის შენელება და მისწრაფება გაჯერებისაკენ. ლოგისტიკური წირის სწორედ ეს თვისება კარგად ასახავს ეკონომიკურ მოვლენებში კვლავწარმოების ბუნებას, ასე მაგალითად, ლოგისტიკური წირი გამოიყენება მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირებისათვის (ცოცხალი არსების პოპულაციის ზრდის ტემპი ნულოვანი მიახლოებით შეიძლება გეომეტრიული პროგრესიით დავახასიათოთ, მაგრამ პოპულაციაზე მოქმედებენ რა რიგი ფაქტორები გამოვლინებულნი შენელებისა და აჩქარების პარამეტრებში, მაკრომოდელირების საშუალებით მიღებული პოპულაციის განტოლებების ამონახსნი გვაძლევს ლოგისტიკურ წირს).

ექსტრაპოლიაციის პრინციპზე დაყრდნობით ეკონომიკური მოვლენების მათემატიკური მოდელირება, ზოგადი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგ ეტაპებად: მოვლენის შესწავლა — პარამეტრებს შორის კავშირების დადგენა, მაკროეკონომიკური მოდელის შედგენა, მიღებული განტოლების (როგორც პარამეტრების ფუნქციის) ამოხსნა, ციფრული მასალის ანალიზის საფუძველზე პარამეტრების განსაზღვრა და ცდომილების შეფასება.

ასეთი გზით შესაძლებელი გახდა მაკრომოდელის შედგენა მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირებისათვის. იგივე ანალოგიით შეიძლება გადავიტანოთ მსგავსი (კვლავწარმოებადი) მოვლენების მიმართაც. იქ, სადაც მათემატიკური განტოლებების შედგენა არ ხერხდება, ფუნქციის სახის შერჩევისა და დასაბუთების დროს წარმოიშობა აუცილებლობა მოცემული მონაცემების (რიცხვითი მასალის) საფუძველზე და ჰიპოთეზაზე დაყრდნობით დავაზუსტოთ მრუდის სახე. აღნიშნულის თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგინოთ ლოგისტიკური მრუდის, მოცემული მაჩვენებლის ექსტრაპოლიაციისათვის, დასაბუთების შემდეგი ხერხი:

ვთქვათ, მოცემულია დინამიური მწკრივი $y_0, y_1, y_2, \ldots, y_n$, რომელიც გვიჩვენებს გამოშვებული პროდუქციის მოცულობას ($y_t > 0,\ t = \overline{0, n}$).

განვიხილოთ პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპის დინამიური მწკრივი და შევისწავლოთ $r(\omega)$ კორელაციური დამოკიდებულება.

$$y_t/y_{t-1} \text{ და } y_{t-\omega},\ t = \omega + 1,\ \omega + 2, \ldots, n$$

შორის, სადაც $\omega$ არის დაგვიანების მაჩვენებელი დროის მიხედვით ($\omega = 0, 1, 2$).

როდესაც $\max/r(\omega)/$-ის მნიშვნელობა ახლოსაა ერთთან, მაშინ დასაშვებია არსებობდეს შემდეგი კავშირი

$$y(t) = y(t-1)\,[a\,y(t-\omega) + b]$$

განვიხილოთ შემთხვევა $\omega = 0$; a და b პარამეტრები დავადგინოთ უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით (იგივე შეიძლება ჩავატაროთ ჩებიშევის საუკეთესო მიახლოებით). შედეგად უნდა ამოიხსნას სისტემა:

$$\begin{cases} a \sum\limits_{t=1}^{n} y_i^2 + b \sum\limits_{t=1}^{n} y_t = \sum\limits_{t=1}^{n} \dfrac{y_t^2}{y_{t-1}} \\ a \sum\limits_{t=1}^{n} y_t + b \cdot n = \sum\limits_{t=1}^{n} \dfrac{y_t}{y_{t-1}}. \end{cases}$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, როდესაც $a < 0$ და $b > 1$ ვსარგებლობთ საექსტრაპოლიაციო ფორმულით:

$$y(t) = \frac{1-b}{a-(b-1)\,ce^{\alpha t}} \quad \text{სადაც} \quad \alpha = \ln b$$

C პარამეტრი განისაზღვრება ფორმულით:

$$C = \left(1 - \frac{a}{1+b}\right) \frac{1}{n} \sum_{t=1}^{n} \frac{e^{\alpha t}}{y_t}$$

განვიხილოთ შემთხვევები:

1. როდესაც $a > 0$, მაშინ ზრდის ტემპი გამოშვებული პროდუქციის პირდაპირ პროპორციულია.

2. როდესაც $a = 0$, მაშინ $y(t) = c \cdot b^t$ და ზრდის ტემპი მუდმივია, რადგან $y(t) = y(t-1) \cdot b$

3. როდესაც $b = 0$, მაშინ $y(t) = a\,y(t) \cdot y(t-1)$;

ლოგისტიკურ წირთან დაკავშირებულია გაფართოებული კვლავწარმოების მოდელი ცვლადი ტემპებით. ამ შემთხვევაში დიფერენციალურ განტოლებას აქვს სახე[19]:

$a\,y'(t) = \bar{a}\,y(t) + a\,b\,e^{ct}$, საიდანაც მიღებულია საექსტრაპოლიაციო ფუნქცია:

$$y(t) = y_0 \left(\frac{a+b}{a\,e^{-ct}+b}\right)^{\frac{\bar{a}}{ac}},$$

სადაც $a$, $b$, $c$, $\bar{a}$, $y_0$ პარამეტრებია, $t$—დრო, $y(t)$ კი—გაფართოებული კვლავწარმოების საპროგნოზო მაჩვენებელი. კერძო შემთხვევაში, როდესაც $\bar{a} = ac$, მიიღება ლოგისტიკური წირი.

პროცესები დაკავშირებული გაფართოებულ კვლავწარმოებასთან ეკონომიკაში რეალიზდება რთული პროცენტების კანონით. თუ $x(t)$ აღნიშნავს პროდუქციის რაოდენობას $t$—ური დროის პერიოდში, მაშინ იმ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, რომ კვლავწარმოების ზრდის ტემპი მუდმივი სიდიდეა, მივიღებთ დიფერენციალურ განტოლებას $x'(t) = a\,x(t)$.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც $\omega$ დაგვიანებული არგუმენტით გამოვხატავთ კავშირს $x'(t)$ და $x(t-\omega)$ შორის, $K$ პროპორციულობის კოეფიციენტია, მივიღებთ განტოლებას $x'(t) = K\,x(t-\omega)$, რომელიც გამოიყენება აგრეთვე წარმოების ინტენსიფიკაციის პროგნოზირებისათვის, ვ. ბაჟენოვის ნაშრომში[20] იგი წარმოდგენილია ანალოგიის მეთოდის სახელწოდებით (ანალოგიის მეთოდები პროგნოზირებაში მიმართულია იმისაკენ რომ გამოავლინოს სხვადასხვა პროცესებს შორის მსგავსება და განვითარების კანონზომიერებანი).

ექსტრაპოლიაციისათვის აგრეთვე გამოიყენება კობა-დუგლასის ტიპის საწარმოო ფუნქცია $y = a F^{\alpha} L^{\beta}$, სადაც $y$ არის ეროვნული შემოსავალი, $F$ ძი-

[19] Ю. В. Чуев, Ю. М. Михайлов. В. И. Кузьмин. Прогнозирование количественных характеристик процессов, М., 1975, с. 236—251.

[20] В. И. Баженов. О прогнозировании использовании резервов в производстве методами аналогии, ж. «Экономика и математические методы», 1973, вып. 6, с. 1174-1177.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითადი საწარმოო ფონდებისა და $L$ შრომითი რესურსების დანახარჯები. $a$, $\alpha$ და $\beta$ პარამეტრები. ანალოგიური გზით შეიძლება კავშირის დამყარება ფონდტევადობასა და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს შორის და ა. შ.[21]

პროგნოზირების მეთოდების რეალიზაციისათვის მოხერხებული და პრაქტიკული ხდება მათემატიკური პროგრამირების მეთოდების გამოყენება. პროგნოზირებისათვის საექსტრაპოლიაციო წირის პარამეტრების დადგენით ისინი საშუალებას იძლევიან შევაფასოთ და შევამციროთ პროგნოზების ვარიანტთა რიცხვი, ავირჩიოთ მათგან სინამდვილის ადექვატური და ოპტიმალური.

ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდის გამოყენებისას იმ მოვლენებში, რომელთა განვითარებას უშუალოდ ვერ ვუმორჩილებთ მათემატიკურ ფორმალიზაციას (აქედან გამომდინარე შეუძლებელი ხდება ადექვატური მოდელის შემუშავება) მიმართავენ სპეციალისტებს (ექსპერტებს), რომლებიც, იცნობენ რა მოვლენას, შესაძლებლობა აქვთ, გამოცდილებაზე და ინტუიციაზე დაყრდნობით, გარკვეული მოსაზრება იქონიონ პროგნოზირებადი ობიექტის მომავლის შესახებ.

ექსპერტები ეხმარებიან, რა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს პრობლემური სიტუაციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღწერაში, შესაძლო სიტუაციაში მიზანთა სიმრავლის აგებისას, გამოთქვამენ თავიანთ აზრს (გადაწყვეტილების ან მიზნისათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ). ექსპერტების მიერ პრობლემის ინტუიციურ-ლოგიკური ანალიზის ჩატარებით სწარმოებს მიღებული შედეგების რაოდენობრივი შეფასება[22].

საექსპერტო შეფასების მიღება კი წარმოებს ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის ინდივიდუალური ან კოლექტიური გამოკითხვის გზით, რომლის პროცესში ექსპერტი პასუხს გასცემს წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით დასმულ კითხვებზე გამოკითხვის ერთი ან რამოდენიმე ტურის განმავლობაში. საექსპერტო შეფასება მოითხოვს არა მარტო გამოკითხვის ორგანიზაციას, არამედ ექსპერტთა შეკრებას და მასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ჩატარებასაც შემდეგი თანმიმდევრობით: 1. საექსპერტო შეფასების საორგანიზაციო ჯგუფის ჩამოყალიბება, ამოცანის განსაზღვრა, სამუშაოთა მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა, სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადება. 2. ექსპერტთა შერჩევა, გადასაწყვეტ პრობლემასთან დაკავშირებული საქმიანობის წრის განსაზღვრა, საქმიანობის თითოეული წრის მიხედვით ექსპერტების შემადგენლობის და სიის დადგენა, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრა, ექსპერტთა კომპეტენტურობის განსაზღვრა, ექსპერტთა თანხმობის მიღება და საბოლოო სიის დაზუსტება. 3. გამოკითხვის ჩატარება. 4. მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების დამუშავება.

გამოკითხვის და საექსპერტო შეფასების პროცესების ორგანიზაციის მეთოდოლოგიური საფუძვლების განხილვასთან დაკავშირებით გამოვყოფთ: ანკეტირების, ინტერვიუს აღების, ტვინების იერიშისა, დისკუსიის და თათბირების მეთოდებს:

პრაქტიკაში განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ანკეტირების მეთოდი „დელფა“, რომლის დროსაც ექსპერტები თავიანთ მოსაზრებებს პროგნოზირე-

---

[21] Л. Л. Т е р е х о в. Производственные функции, М., 1974, с. 88—89.

[22] Теория прогнозирования и принятия решений (под ред., С. А. Саркисяна), М., 1977, с. 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ობიექტის შესახებ აყალიბებენ წერილობით, ისე რომ პირველი ტურის განმავლობაში არ იციან ერთმანეთის აზრი დასმული საკითხის შესახებ, ამით გამოირიცხება ექსპერტების ურთიერთზეგავლენა. პირველი ტურის განმავლობაში მიღებული შედეგების დამუშავების შემდეგ ექსპერტებს ეცნობება ერთმანეთის აზრი პრობლემის შესახებ. ამასთან საგრძნობლად განსხვავებული აზრის ექსპერტებს მოეთხოვებათ დამატებითი დასაბუთება და არგუმენტაციები. ასეთი გზით კი ჩატარებული რამოდენიმე ტურიდან საერთო აზრის შემუშავებით ექსპერტთა პროგნოზები უახლოვდებიან ერთმანეთს.

საექსპერტო შეფასების მეთოდის გამოყენება შეიძლება პროდუქციის ხარისხის, როგორც მრავალკრიტერიუმიანი ამოცანის შესაფასებლად. ამოცანა თხოულობს: მოცემული პროდუქციის ხარისხის განმარტებაზე დაყრდნობით მაჩვენებლების დადგენას, მათი იერარქიისა და ნომენკლატურის განსაზღვრას, ამ მაჩვენებელთა ხვედრითი წილისა და მნიშვნელობათა შეფასების გადამწყვეტი ფუნქციის შერჩევას[23].

მართვის ჯგუფის ფორმირება წარმოებს საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის, შესაფასებელი პროდუქციის სპეციალისტისა და ტექნიკური მუშაკების შემადგენლობით (აგრეთვე პროგრამისტის მონაწილეობითაც, თუ ექსპერტიზის მსვლელობაში გათვალისწინებულია ეგმ-ის გამოყენება).

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ექსპერტთა ჯგუფის ფორმირება, რომელიც ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით აერთიანებს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დარგში მომუშავე წამყვან სპეციალისტებს (არანაკლებ 6-8 ექსპერტისა), ამასთან, ესთეტიკის, ერგონომიკისა და მომხმარებელთა კოლექტივების წარმომადგენლებსაც.

რეკომენდებულია ექსპერტთა შეფასება კომპლექსური მაჩვენებლების საშუალებით[23], რომლებიც გამოისახებიან ათბალიანი სკალით. ექსპერტები ადგენენ ხარისხის მაჩვენებელთა ნომენკლატურას, რისთვისაც შესაფასებელი პროდუქცია იყოფა მომხმარებელთა მოთხოვნილების მიხედვით კატეგორიებად; ასე რომ პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლის განსაზღვრა, წარმოებს მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით. შემდეგ კი პროდუქციის კლასიფიკაციის ჩატარებასთან ერთად ცალკეული ჯგუფისათვის შეირჩევა მაჩვენებელთა სტრუქტურულ იერარქიული სქემა, რომლის აგება წარმოებს ეტაპებად: ჯგუფებად დაყოფილი მაჩვენებელთა სიის შესადგენად ანკეტის სახით ექსპერტებს დაურიგდებათ კითხვარები. შემდგომ მართვის ჯგუფი მიიღებს რა ექსპერტთა პასუხს შეადგენს მაჩვენებელთა კრებსით სიას და აგებს სტრუქტურულ სქემას; ექსპერტები განიხილავენ ამ სქემას და ჩათვლიან მას სწორად, ან მოითხოვენ კორექტირებას.

გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე მიიღება ხარისხის ერთეულოვანი, კომპლექსური და ერთობლივი მაჩვენებლები.

ექსპერტებისაგან, ანკეტირების გზით, მიღებული თითოეული მაჩვენებლის ხვედრითი წილის მნიშვნელობები ბალებში, გასაშუალოვდება ექსპერტთა კომპეტენტურობის გათვალისწინებით და ნორმირდება. შედეგი წარმოადგენს მაჩვენებლის ხვედრითი წილის შეფასებას ხარისხის მაჩვენებელთა სისტემაში.

ხარისხის ერთეულოვანი მაჩვენებლის შეფასება შეიძლება ჩავატაროთ იმ შემთხვევაში როცა ცნობილია თითოეული მაჩვენებლის მნიშვნელობა ბალებ-

[23] Л. Г. Евланов, В. А. Кутузов. Экспертные оценки в управлении, М., 1978, с. 12—120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში და ხარისხის მაჩვენებლის ეტალონური მნიშვნელობა. შესაბამისად, მათი ურთიერთშეფარდების საფუძველზე მიიღება ერთეულოვანი მაჩვენებლის შეფასება.

ხარისხის კომპლექსური მაჩვენებლის განსაზღვრისათვის წარმოებს გადამწყვეტი ფუნქციის შერჩევა, რომელიც კომპლექსურ მაჩვენებელს გამოსახავს წინა დონის მარტივი მაჩვენებლების მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ზემდგომი დონის კომპლექსური მაჩვენებლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და მისი რამოდენიმეჯერ გამოყენებით მივიღებთ შესაფასებელი პროდუქციის ხარისხის საბოლოო კრიტერიუმს ერთი მაჩვენებლის მნიშვნელობათა სახით.

შევნიშნოთ, რომ ანკეტებიდან საბოლოო პასუხის დასადგენად, საშუალო ანკეტის მისაღებად ყოველი პასუხი უნდა გავამრავლოთ ექსპერტის შესაბამის წონით შეფასებაზე და გავასაშუალოთ. ასეთი გამარტივებული მიდგომის დროს ექსპერტული მეთოდის ძირითადი სიძნელე გადაისახება ანკეტის შედგენისა და ექსპერტთა შერჩევის პროცესში. რაც შეეხება ექსპერტთა შეფასებებს, ისინი შეიძლება ავიღოთ გამზადებული სახით, მაგალითად, ს. ბეშელევისა და ფ. გულვიჩის ნაშრომის[24] თანახმად გვაქვს მზა ცხრილი.

ვინაიდან ექსპერტებისაგან განსაკუთრებით ეკონომიკაში მოითხოვება მოცემული მოვლენის განვითარების გარშემო საკმაოდ მრავალმხრივი ინფორმაციის ანალიზი, ექსპერტებს კი შეიძლება არ ჰქონდეთ ძირითადი საქმიანობიდან მოწყვეტის საშუალება, ამიტომ, ჩვენი აზრით, პროგნოზირების ექსპერტული შეფასების მეთოდი მოითხოვს ისეთ მოდიფიკაციას, როდესაც ექსპერტებს მიეცემათ მოვლენის განვითარების შესახებ დაგეგმვისა და მართვის ქსელური მოდელის რამოდენიმე დაუმთავრებელი ვარიანტი (ან სცენარი). შემდგომ ინტერვიუს აღების გზით ვაწარმოებთ კითხვარების შევსებას.

საექსპერტო შეფასების მეთოდის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს პროგრამული პროგნოზირება, რომელშიც საექსპერტო შეფასების მეთოდი „დელფა" ერთიანდება დაგეგმვისა და მართვის ქსელურ მოდელთან და ხდება ამა თუ იმ მოვლენის მოხდენისა და მისთვის საჭირო დროის ალბათური შეფასება[25].

პროგრამული პროგნოზირება ემორჩილება ალგორითმიზაციას და შესაბამისად შესაძლებელია ეგმ-ის გამოყენებაც.

ექსპერტთა გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს ინტერვიურების გზითაც. ინტერვიუერს, მოამზადებს რა კითხვას წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, შესაძლებლობა ეძლევა ერთდროულად გამოკითხოს რამოდენიმე ექსპერტი, მაგრამ ეს ქმნის ექსპერტის დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროებასაც.

დისკუსია კი — ექსპერტთა მსჯელობა სადავო საკითხების შესახებ — შეიძლება ჩატარდეს ისეთი ამოცანების გადაწყვეტისას, რომლებიც არ მოითხოვენ ზუსტ რაოდენობრივ შეფასებებს და გულისხმობს სადისკუსიო საგნის ჩამოყალიბებასა და მისი ჩატარების წესების დადგენას, აგრეთვე მონაწილეთა მომზადებას დისკუსიისათვის, თვით დისკუსიის პროცესს, მიღებული შედეგების ფიქსაციასა და დამუშავებას, მონაწილეთა ურთიერთ ინფორმირებას, მისი მონაწილეების ორიენტაციის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის და რაციონალური სამოქმედო ხაზის შემუშავების მიზნით.

[24] С. Д. Бешелев, Ф. Г. Гулвич. Экспертные оценки, М., 1973, с. 107.
[25] Г. М. Добров. Прогнозирование науки и техники, М., 1977 с. 134—135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირების მეთოდიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია „ტვინების იერიშის“ მეთოდი (რომელიც წარმოადგენს კომპეტენტური ექსპერტების თათბირს, რომელზედაც ყოველი ექსპერტი გამოთქვამს თავის მოსაზრებას პრობლემის შესახებ). თათბირის პირველი ტურის მიზანია ძირითადი პრობლემის გამოკვეთა, ამიტომ პირველ ტურში აკრძალულია კრიტიკა, მეორე ტურში კი ნებადართული. ასე, რომ მიმდინარეობს პრობლემის ყოველმხრივი ანალიზი და ამოცანის შემდგომი დაზუსტება. ეს პროცესი გრძელდება რამოდენიმე ტურის განმავლობაში, სანამ ექსპერტებს არ გამოუმუშავდებათ საერთო აზრი.

საექსპერტო შეფასებებთან ერთად ფართოდ გამოიყენება პროგნოზირების ევრისტიკული მეთოდები, რომლებიც მიმდინარეობენ საპროგნოზო შეფასების სპეციალიზებული დამუშავებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოკითხვის გზით. საპროგნოზო ევრისტიკული შეფასებები გამოხატავენ სპეციალისტის ინდივიდუალურ მსჯელობას მისი სფეროს განვითარების პერსპექტივის შესახებ და დამყარებულია პროფესიული გამოცდილებისა და ინტუიციის მობილიზაციაზე.

ევრისტიკული პროგნოზირების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია სიახლის გაგების დროს, ვინაიდან ახლის აღქმა დაკავშირებულია რიგ სიძნელეებთან, რაც ადამიანის ფსიქოლოგიური თავისებურებებით არის გამოწვეული. ამიტომ ევრისტიკული პროგნოზირების დროს საჭიროა გავითვალისწინოთ ადამიანთა ხასიათისა და ქცევების რიგი თავისებურებანი[26]: პროფესიული შეზღუდულობა, ფსიქოლოგიური ინერცია (ისიც, რომ უმეტესად ადამიანები უგულებელყოფენ საწინააღმდეგო მტკიცებებს); აზროვნების კონსერვატიულობა და მხოლოდ ცნობილი მოვლენის გარშემო ყურადღების კონცენტრაცია, უარყოფითი დასკვნის აღქმის სიძნელე; ცუდის გაზვიადებისადმი მიდრეკილება; შიში პასუხისმგებლობისადმი; ინტერესი მხოლოდ შედეგების მიღებისადმი და დაუკვირვებლობა იმ გზის მიმართ, რომელმაც მიიყვანა სიახლემდის; საზოგადოების აზრის გავლენა; ყველა ეს თავისებურებანი სხვადასხვა ზომით აისახება არა მარტო ევრისტიკული პროგნოზირების შედეგებში, არამედ პროგნოზირების ექსპერტული შეფასების მეთოდსა, საექსტრაპოლიაციო ფუნქციის სახის დადგენასა და შერჩეულ ფუნქციაში პარამეტრთა გამოსათვლელად შესაბამისი მეთოდის შერჩევაშიც.

საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ: ა) ევრისტიკული მეთოდები, რომლებიც ცნობილ პირობებში შეიძლება იქნეს ალგორითმიზებული და ბ) ადამიანთა საკუთრივ ევრისტიკული საქმიანობა სპეციალური მეთოდების შეგნებული, სისტემატური გამოყენების გარეშე[27].

ეგმ-ისა და მათემატიკური მოდელირების მეთოდების ფართო გამოყენების საფუძველზე, წარმოიშვა ევრისტიკული პროგრამირება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის შემოქმედებითი შრომის პრობლემების გამოკვლევასთან.

ზემოთ აღწერილ ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებში, გარდა რიგი თავისებურებებისა, არსებითია ზოგადი დამახასიათებელი კიბერნეტიკული

[26] Ю. В. Чуев, Ю. Б. Михайлов, В. И. Кузьмин. Прогнозирование количественных характеристик процессов, М., 1975., с. 30—45.

[27] Г. Д. Хауштейн. Методы прогнозирования в социалистической экономике, М., 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქემა; პროგნოზირების მათემატიკური მეთოდები ქმნიან ისეთ სისტემას, რომლესაც შესასვლელში პროცესის შესახებ სტატისტიკური მონაცემებია, გამოსასვლელში მიიღება მაჩვენებელთა პროგნოზი. სისტემის შიგნით კი შეიძლება წარმოვიდგინოთ პროცესები, რომლებიც მოითხოვენ: მონაცემების პირველად ანალიზს, პროგნოზირებადი ობიექტის მათემატიკური მოდელის შედგენას, მონაცემების დამუშავებას მოდელის უცნობ პარამეტრთა განსაზღვრისათვის, პროგნოზის სიზუსტის განსაზღვრას. პროგნოზებთან ერთად პერსპექტიული გამოთვლებისთვის საჭიროა მითითებულ იქნეს გამოყენებული მეთოდები. ასეთ პირობებში შესაძლებელია საჭიროებისამებრ შემოწმდეს პროგნოზი, დაზუსტდეს ან შემუშავდეს ხელმეორედ.

შევნიშნავთ, რომ ეკონომიკის დაგეგმვისა და პროგნოზირების რიგი ამოცანების გადასაწყვეტად, თუ ისინი არიან უზრუნველყოფილნი მხოლოდ საიმედო მონაცემთა მცირე რიცხვით, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს მაკრომოდელები, რომლებიც გამოავლენენ ძირითად მაჩვენებელთა შორის არსებული გლობალური კავშირების ხასიათს, რაც მათ გახდის ხელმისაწვდომს გამარტივებული გამოთვლების ჩასატარებლად და მკაფიო პასუხების მისაღებად.

გამოთვლების ჩატარებისას არასრული ინფორმაციის პირობებში ეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირებისას შემთხვევით ცდომილებებს არ გააჩნიათ ურთიერთდაფარვის თვისება, მაშინ როდესაც გეგმიან მეურნეობაში ცალკეულ საწარმოთა შემთხვევითი გადახრების გათანაბრებაა მოსალოდნელი. დაკვირვებათა რიცხვის გაზრდით შეიძლება შემთხვევითი ცდომილების კანონზომიერებათა მინიშნება.

ეკონომიკის, როგორც რთული ალბათური სისტემის, ის მაჩვენებლები, რომლებიც განიცდიან შემთხვევით ფაქტორთა ზემოქმედებას და გამოიყენებიან საპროგნოზო გამოთვლებში, უნდა იყოს შეფასებული რიგი სტატისტიკური პარამეტრებით: მათემატიკური ლოდინი, დისპერსია, ვარიაციის კოეფიციენტი, კვადრატული გადახრა და ა. შ. განაწილების კანონის დადგენით საშუალება გვეძლევა დავადგინოთ ნდობის ინტერვალი, წარმოვადგინოთ პროგნოზების შუალედები და ალბათური პარამეტრები.

ეკონომიკაში გაზომვის თავისებურებას განაპირობებს სუბიექტის უშუალო მონაწილეობა პროგნოზირებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პარამეტრები, რომლებიც გამოიყენებიან ეკონომიკურ გამოკვლევებში, იმყოფებიან ადამიანის უშუალო ზემოქმედებისა და კონტროლის ქვეშ. არსებობს რეზერვები და ადამიანები უწყვეტად ავლენენ პროგნოზირების სრულყოფისათვის ახალ შესაძლებლობებს. ამ მიმართულებით ერთ-ერთ არსებითს პროგნოზირების მეთოდოლოგიური საფუძვლების მომზადება წარმოადგენს.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Л. Н. ХУРЦИДЗЕ

# О НЕКОТОРЫХ ОСОБЕННОСТЯХ ВЛИЯНИЯ НАУКИ НА ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТЬ ОБЩЕСТВЕННОГО ТРУДА

В современных условиях научно-технической революции весьма важное значение имеет выявление конкретных путей влияния науки на развитие производства вообще и на повышение производительности общественного труда, в особенности.

Общеизвестно, что наука является одной из форм общественного сознания, системой достоверных знаний об объективных законах развития природы и общества. Она в целом изучает объективную действительность, раскрывает существенные связи между многочисленными явлениями природы, общества и мышления. Наука является системой накопленных знаний.

Развитие многочисленных видов науки оказывает благоприятное влияние на все стороны деятельности людей, во всех странах мира и, в особенности, в социалистических государствах. Ее развитие исключительно резкое влияние оказывает на усиление процесса производства материальных благ общества.

Основополагающие указания о влиянии науки на развитие производства имеются в трудах классиков марксизма-ленинизма. Так, например, К. Маркс пишет: «Развитие основного капитала является показателем того, до какой степени всеобщее общественное знание.... превратилось **в непосредственную производительную силу**, и отсюда— показателем того, до какой степени условия самого общественного жизненного процесса подчинены контролю всеобщего интеллекта и преобразованы в соответствии с ним»[1].

Таким образом, К. Маркс указывает, что развитие орудий труда (основного капитала) этой «овеществленной силы знания», является показателем превращения общественного знания, то есть науки в непосредственную производительную силу. Следовательно, развитие науки влияет на развитие производства.

Об исключительной роли науки в развитии производства указывает Ф. Энгельс в своем труде «Наброски к критике политической экономии». «И тут, — пишет он, — конечно, мы с чувством удовлетворения узнаем, что работа в области науки окупается также и материально, узнаем, что только один такой плод науки, как паровая машина Джемса Уатта, принес миру за первые пятьдесят лет своего сущес-

---

[1] К. Маркс и Ф Энгельс. Соч., изд. II, т. 46, часть II, с. 215.

ბიბლიოთეკა

твования больше, чем мир с самого начала затратил на развитие науки»[2].

В данной цитате Ф. Энгельс указывает не только на влияние науки на процесс производства, но и на весьма существенную сторону этого вопроса. Он, в частности отмечает, что достижения науки приносят несравненно большую материальную пользу, чем общество на нее тратит.

Следует сказать, что наука в настоящее время развивается исключительно быстрыми темпами и она играет все более значительную роль в жизни общества. Сейчас наука еще глубже и многосторонне проникает во все сферы производства и вызывает его систематический рост. Особенно это можно сказать относительно социалистического общества, где отсутствуют те преграды применения достижений науки, которые свойственны капиталистическому обществу — коммерческая тайна при применении технических новшеств, анархия производства и экономические кризисы.

Из вышесказанного нельзя сделать вывод, что производство играет пассивную роль, что оно только пользуется достижениями науки и само никакого воздействия не оказывает на развитие науки. В самом деле, не только развитие науки влияет на производство, но и развитие производства толкает вперед науку, способствует ее развитию. Наука и производство две разные стороны непрерывного общественного прогресса. Они взаимно проникают и взаимообогащают друг друга.

Производство оказывает влияние на развитие науки прежде всего тем, что оно ставит перед наукой нерешенные проблемы, т. е. цель исследования. Наука исследует и решает эти проблемы. Наука и научные открытия только тогда становятся материальной силой, когда они отражают потребности общества вообще, и производства в частности. Стало быть, производство определяет направления исследовательской работы научных работников и учреждений, определяет конкретные пути ведения исследовательской работы. Любые нерешенные и злободневные вопросы производства становятся предметом исследования науки.

Производство оказывает воздействие на развитие науки и в ходе внедрения достижений науки в производство. Дело именно в том, что в процессе внедрения тех или иных изобретений и научных новшеств проявляются отдельные недостатки этих новшеств, просчеты, ошибки и неполадки. Появляется необходимость устранения этих недостатков. Следовательно, производство становится критерием, т. е. средством оценки достоинства тех или иных научных новшеств. И после проявления таких недостатков научных разработок, соответствующие научные учреждения уточняют и шлифуют свои разработки. Это важный аспект влияния производства на развитие науки.

Производство влияет на развитие науки и созданием материально-технической базы и условиями для ведения научных исследований.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. I, с. 555.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Прежде всего, производство обеспечивает работников средствами существования — продуктами питания, одеждой, жильем, созданием мест для мышления и творения. Без этих необходимых условий никто не может сделать что-либо серьезное в науке. Кроме того, производство дает возможность создания лабораторий, научно-исследовательских и конструкторских бюро, научно-исследовательских институтов и других учреждений. Производство создает многочисленные материальные средства для ведения исследований, оборудование, вычислительные машины, различные приборы для наблюдения и познания процессов в природе, человеческом обществе.

Таким образом, не только наука является важнейшим фактором развития производства, но и само производство является основой развития науки. «Если производственный процесс,—отмечает К. Маркс, —становится сферой применения науки, то и наоборот, наука становится фактором, так сказать, функцией производственного процесса»[3].

Степень влияния науки на развитие производства, в разных исторических эпохах совершенно разная — в одних больше, в других меньше. Эта степень влияния науки на процесс развития производства проявляется в разных формах — в ассортименте и качестве производимой продукции, в изменении отраслевой структуры народного хозяйства, в росте производства материальных благ, в улучшении условий труда и т. д. Однако, **наиболее обобщающим показателем влияния науки на развитие производства является повышение производительности общественного труда.**

Производительность труда вообще есть степень эффективности труда, затраченного в процессе производства. Она измеряется количеством продукции, производимой в единицу времени, или, что то же самое, количеством труда, затраченного на единицу продукции. Следовательно, рост производительности труда проявляется в увеличении производства продукции в единицу времени и в уменьшении труда, затраченного на единицу продукции.

По стадиям производства, производительность труда бывает **индивидуальная, локальная и общественная. Индивидуальная** производительность труда есть эффективность труда отдельных работников производства на своем рабочем месте. **Локальная** производительность труда — это эффективность труда работников отдельных цехов, предприятий и отраслей хозяйства, а производительность **общественного** труда — эффективность труда всех работников, занятых во всех отраслях материального производства данной страны, региона. Для развития общества решающее значение имеет повышение проиводительности общественного труда. Однако повышение общественной производительности труда совершается на основе повышения производительности индивидуального и локального труда.

[3] Применение природных сил и науки (из рукописи 1861-1863 гг. «К критике политической экономии») —В кн.: Вопросы истории естествознания и техники. Вып. 25. М., 1968, с. 75.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Наука и ее развитие оказывает плодотворное влияние на повышение производительности как индивидуального, так и локального и общественного труда.

Влияние науки и повышение производительности труда подчеркивает К. Маркс. «Производительная сила труда, — отмечает он, — определяется разнообразными обстоятельствами, между прочим, средней степенью искусства рабочего, **уровнем развития науки и степенью ее технологического применения**, общественной комбинацией производственного процесса, размерами и эффективностью средств производства, природными условиями»[4].

Следовательно, уровень развития науки и степень ее технологического применения в производстве является важнейшим, можно сказать, главным фактором роста производительности труда.

Однако, наука не непосредственно, а лишь только окольным путем оказывает решающее влияние на повышение производительности труда. Из приведенной же цитаты К. Маркса видно, что наука на рост производительности труда влияет через **технологическое** применение ее достижений.

На рост производительности труда, в той или иной степени влияют почти все науки, но каждая из них по-своему воздействует на нее. Например, фундаментальные науки на производительность труда влияют через развитие технических наук.

Развитие фундаментальных наук вызывает развитие технических наук. Развитие же технических наук вызывает создание многочисленных видов технических и технологических средств. После создания этих средств происходит массовое их производство. А после применения этих средств в производстве, т. е. после оснащения этими средствами производства повышается производительность труда.

По-своему влияет на повышение производительности труда развитие геологических наук. В результате развития геологической науки возрастает возможность открытия богатых и более легко и выгодно добываемых полезных ископаемых — руд, угля, нефти, природного газа и т. д. После открытия таких месторождений одним и тем же количеством живого труда добывается больше природных ископаемых. Замечательным примером этого является Тюменская область, где одним и тем же трудом добывается гораздо больше нефти, газа, угля и других полезных ископаемых, чем в других краях и областях нашей страны.

Сельскохозяйственная наука на повышение производительности труда влияет созданием новых видов пород животных и новых сортов растений, созданием средств борьбы против вредителей, разработкой новых методов ведения хозяйств и др.

По-своему влияет на повышение производительности труда развитие медицинской науки. Развитие этой науки создает условия для ук-

[4] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 23, с. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

репления здоровья работников производства, удлиняя их работоспособный возраст. А здоровые люди лучше используют все средства труда и тем самым могут производить значительно больше — повышать производительность труда.

На повышение производительности труда активное воздействие оказывает развитие общественных наук, прежде всего марксистско-ленинская теория. Благодаря развитию этих наук создаются условия для повышения идейно-теоретического уровня людей, совершенствования их квалификации, повышения их морально-политического сознания, патриотических чувств, а все это мобилизует энергию людей, усиливает их стремление к повышению производительности труда.

Таким образом, на повышение производительности общественного труда, в той или иной степени, влияют почти все науки, но каждая из них влияет на него по-своему, то есть разными путями. Однако, в этих разнообразных формах воздействия есть одна общая черта. Этой общей чертой является то, что развитие каждой науки **не непосредственно**, а только лишь окольным путем воздействует на повышение производительности общественного труда. Достижения науки воздействуют на рост производительности через усиление факторов ее роста. Эти достижения играют роль своеобразного катализатора, то есть усилителя факторов роста производительности труда.

Исключительно большая роль науки в росте производства и в повышении производительности труда требует всемерного развития всех отраслей науки и внедрения ее достижений в производство. Именно на этом заострено внимание в решениях XXV съезда КПСС. Эти решения в частности требуют: «Повысить эффективность использования научного потенциала. Предусмотреть дальнейшее развитие научных исследований, ускоренное и широкое внедрение их результатов в народное хозяйство. Усилить связь науки с производством»[5].

Для развития науки необходимо усиление научно-исследовательских работ, **повышение эффективности труда**, как отдельных научных работников, так и всех коллективов многочисленных научно-исследовательских учреждений и организаций.

На повышение эффективности труда научных работников и многочисленных коллективов научно-исследовательских учреждений оказывает влияние огромное количество факторов совершенно разной силы воздействия. Среди факторов, которые влияют на повышение эффективности научных исследований, так нам кажется, имеются такие, как:

— степень обучения молодежи в средних и высших учебных заведениях;

— личные старания и одаренность отдельных научных работников; успеха в науке добиваются только те, для которых ведение научно-исследовательских работ становится первой жизненной потребностью;

[5] Материалы XXV съезда КПСС, с. 170.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— материально-техническая база для ведения научно-исследовательской работы, научные библиотеки, научные лаборатории, препараты, разные вычислительные средства и др.;

— научная организация труда, которая охватывает многосложные вопросы; сюда, в частности, входят такие условия, как рациональное разделение труда между научными работниками, условия труда (благоустроенные рабочие места), морально-психологический климат в научном учреждении и др.;

— правильное моральное и материальное стимулирование научных работников;

— обеспечение научных исследований соответствующими данными об успехах и достижениях, в разных научно-исследовательских центрах нашей страны и за рубежом;

— обмен опытом, проведение дискуссий, конференций и симпозиумов.

В условиях современной научно-технической революции весьма сложной и вместе с тем, чрезвычайно актуальной является проблема измерения производительности, то есть эффективности научного труда. Несмотря на старания как советских, так и зарубежных экономистов, эта проблема пока что далеко не решена. Она еще ждет своего решения. Дело именно в том, что пока еще не найден показатель, с помощью которого можно измерить производительность научного труда.

Производительность труда работников производства уже измеряется, хотя не точно, но все же измеряется. Она измеряется посредством деления производимой продукции (валовой или чистой) на количество затраченного труда. А как же измерить производительность труда научных работников? Для измерения производительности труда научных работников есть один показатель — количество затраченного труда. Но это только знаменатель. А что же принимать за числитель? Некоторые экономисты думают, что за числитель можно принять количество печатных листов научного труда. Исходя из такого предположения, предлагают производительность труда научных работников определять путем деления количества печатных листов на количество затраченного труда. Такой подход, по нашему мнению, является неправильным, т. к. по существу не учитывает всех особенностей научной деятельности. Неправильно потому, что такое деление не отражает качества научной продукции. Не может быть никакого сомнения в том, что содержание, достоинства, ценность одного печатного листа труда талантливого ученого может быть в десятки и сотни раз лучшим по содержанию и научной новизне, чем у других работников науки.

Поэтому проблема измерения производительности труда научного работника пока еще ждет своего окончательного решения.

Представлена Институтом экономики и права АН Грузинской ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ბრეგვაძე

# რძისა და რძის პროდუქტების წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში

რძე და რძის ნაწარმი ადამიანის ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი საკვები პროდუქტია. ადამიანმა თავისი განვითარების ჯერ კიდევ დაბალ სტადიაზე დაიწყო მეცხოველეობის პროდუქციის — რძის საკვებად გამოყენება, ხოლო შემდგომ ისწავლა რძისაგან სხვადასხვა სახის პროდუქციის მიღება და მათი ხანგრძლივი შენახვის ხერხები. რძის ნაწარმიდან ყველი და მაწონი უფრო ადრე იყო ცნობილი, ვიდრე ერბო (კარაქი). მაგალითად, კარაქის (ერბო) დამზადება არ იცოდნენ ინდოელებმა, ეგვიპტელებმა, ბერძნებმა, რომაელებმა და სხვა ხალხებმა. არსებობს აზრი, თითქოს კარაქის (ერბო) გამოყვანა ბერძნებმა ისწავლეს სკვითებისაგან, ხოლო რომაელებმა გერმანელი ტომებისაგან[1].

ყველი მოხსენიებული აქვს პლინიუს უფროსს, ხოლო არისტოტელემ (ძვ. წ. IV ს.) აღწერა მრავალი სახის ყველი და მათი გამოყვანის წესები. ყველის თვისება შეაქო ვირგილიუსმა და ჰორაციომ; მას შემდეგ მრავალმა გამოჩენილმა ადამიანმა აღიარა ყველის საუკეთესო საკვები და სამკურნალო თვისებები[2]. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ რძის პროდუქტებს შორის ყველს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მრავალი ხალხის კვების რაციონში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ევროპის ქვეყნები (საფრანგეთი, შვეიცარია, ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, ესპანეთი, დანია, ნორვეგია, შვეცია და სხვ.), აქედან ყველის დამზადების სხვადასხვაგვარი წესი გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

ევროპის ქვეყნებში რძის გადამუშავება ფართო მრეწველურ ხასიათს ღებულობს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც რძის პროდუქტების წარმოებაში ინერგება იმ დროის მეცნიერული მიღწევები. უმჯობესდება რძის გადამამუშავებელ საწარმოთა ტექნიკური აღჭურვა, ტექნოლოგიური პროცესები, ასორტიმენტი, ხარისხი და სხვ. ზოგიერთ ქვეყანაში ისეთი სახისა და თვისების რძის პროდუქტები (ყველი, კარაქი, ერბო და სხვ.) მზადდებოდა, რაც სხვა მხარისათვის არ იყო დამახასიათებელი, მაგალითად, ყველი: შვეიცარული, ჰოლანდიური, ტილზიტური, ფრანგული, ლიმბურგი, ზალცბურგული და სხვ.

რძისა და რძის ნაწარმის გამოყენებას, როგორც კვების პროდუქტს, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ისეთივე უძველესი ისტორია აქვს, როგორც მეცხოველეობის განვითარებას, რომელსაც სოფლის მეურნეობაში, კულტურულ მიწათმოქმედებასთან ერთად, იმთავითვე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. ამას ხელს უწყობდა ბუნებრივი პირობები, რითაც ცნობილია

---

[1] ვ. პეტრიაშვილი, რძე და მისი სხვადასხვა გამოყენება, თბ., 1898, გვ. 206.

[2] К. Ваилов. Производство сыров. М., 1960, с. 10; Евгений Бабенко, Мосье Фромаж, жур. «Вокруг света», 1976, № 6, с. 54—56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასია. კავკასიონის მთიანეთი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაბლობი და გაშლილი ველები, აჭარა-გურიის და თრიალეთის მთები (ალპური ზონა) და ზეგნები თავისი დამახასიათებელი ზომიერი ჰავით, ნოყიერი ბალახით და სუფთა წყაროს წყლებით საუკეთესო პირობებს ქმნიდა აქ მეცხოველეობის განვითარებისათვის. საქართველოში, ისე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, საძოვრები უმთავრესად იყოფოდა საზაფხულო (იალაღი) და საზამთრო (ყიშლაღი) საძოვრებად. მათი გამოყენების რეგულირება ემყარებოდა ძველ მეურნეობრივ ტრადიციებს და დამოკიდებული იყო გარკვეული პერიოდისათვის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე. ძველი დროიდან მოკიდებული მეცხოველეობის პროდუქტები (რძე, ყველი, ერბო, კარაქი, მატყლი, ტყავი, ბეწვი, რქა და სხვ.) წარმოადგენდნენ ოჯახური მრეწველობის სანედლეულო წყაროს. ამავე დროს ეს პროდუქტები ასრულებდნენ გაცვლისა და ფულადი შემოსავლის როლსაც[3].

რძის პროდუქტებს (ერბო, ყველი) დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქრისტიანული რელიგიის მიერ დაწესებულ კვების რეგლამენტში. მარხვის დროს მოსახლეობა უმთავრესად თევზით, რძით და რძის პროდუქტებით იკვებებოდა; მას ხმარობდნენ აგრეთვე სამკურნალო საშუალებადაც[4]. ამიტომ რძეს და მის ნაწარმს, განსაკუთრებით კი ყველს, ხშირად ვხვდებით ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც. ამ მხრივ ყველაზე უფრო ადრინდელ წყაროდ ჩვენ მიგვაჩნია ბასილ ზარზმელის (VIII ს.) აგიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი, სადაც აღნიშნულია: „ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი და ყ ვ ე ლ ი და, რომელთა ენება, ჭამეს, ხოლო წმინდასა მას ყოვლად არარაისა გემო უხილავს“[5].

ფეოდალურ საქართველოში რძის პროდუქტები მემამულისა და ეკლესიის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, მას გლეხობისაგან იღებდნენ საბატონო და საეკლესიო გადასახადის სახით[6].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მრავალი სახის რძის პროდუქტი მზადდებოდა. ეს დამოკიდებული იყო ამა თუ იმ კუთხის მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და მოსახლეობის დამახასიათებელ ტრადიციაზე. მაგალითად, საქართველოში დიდი მოწონებით სარგებლობდა ყველი: თუშური, ოსური, იმერული, სულგუნი, გადაზელილი და სხვ. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ გემოვნებით, ფერით, მოყვანილობით, წონით, შენახვის ხანგრძლივობით და სხვ. მაგალითად, ბატონიშვილი ვახუშტი აჭარის აღწერისას გადმოგვცემს: „აქ აკეთებენ ყველს 10, 15 და 20 ლიტრა, არასოდეს წახდების, არც დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ-საჭმარ არს“[7].

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც საქართველოში ქალაქური მეურნეობა იწყებს აღორძინებას, რძე და რძის ნაწარმი გადიოდა ბაზარზე. მაგალითად, თბილისში მცხოვრები ვაჭარ-ხელოსნები, რომლებსაც არ გააჩნდათ საკუთარი მეწველი პირუტყვი, რძეს და რძის პროდუქტებს ყიდულობდნენ

---

[3] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. III, თბ., 1959, გვ. 445.

[4] შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 355.

[5] ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978, გვ. 100.

[6] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 11, თბ., 1965, გვ. 218, 260, 261, 298.

[7] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 677.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივ წვრილ მეურნეობებში ან შემოტანილს ახლომდებარე სოფლებიდან.

საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც შექმნილი ისტორიული ვითარების შედეგად თანდათანობით მოწესრიგდა ქვეყნის მეურნეობრივი ცხოვრება და ბოლოს რუსეთთან ერთად საქართველო დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, კიდევ უფრო მეტად იზრდება მოთხოვნილება რძის პროდუქტებზე. მაგრამ მეცხოველეობის საქონლიანობის ისედაც დაბალი დონე, წვრილმწარმოებლური გლეხთა მასების სიღატაკე, რომლებსაც არ შესწევდათ უნარი პირუტყვის შეძენისა და შენახვისა, ვერ უზრუნველყოფდა კაპიტალისტური ურთიერთობის გზაზე მდგომი მოსახლეობის რძითა და რძის პროდუქტებით დაკმაყოფილებას. ასეთი როლის შესრულება უნდა ეკისრათ მსხვილ მემამულეებს, ვაჭრებს და სათანადო კაპიტალის მქონე კერძო მესაკუთრეს. ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლება, ჯერ კიდევ ბურჟუაზიული რეფორმების გატარებამდე, პირდებოდა ხელისშეწყობას მათ, ვინც შექმნიდა ევროპული ყაიდის მერძეეობის ფერმებს. ერთ-ერთი ასეთი ფერმა კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის განკარგულებით გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს შეიქმნა სოფ. ოლგინსკში (ამჟამად ს. ლილო), რომელიც იმ დროის პირობებში საკმაოდ კარგად ყოფილა მოწყობილი და წარმოადგენდა საცდელ ბაზას, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ პრაქტიკული გამოცდილების მიღება[8]. ფერმის მოიჯარადრედ გახდა პრუსიის ქვეშევრდომი ბარონი ალექსანდრე ფონ-კუჩენბახი, რომელსაც რძის პროდუქტების წარმოების სპეციალური განათლება ჰქონდა მიღებული. ფერმამ დიდხანს ვერ იარსება და ვერ შეძლო დანიშნულების გამართლება, ვინაიდან კერძო მესაკუთრეები მაინც ამჯობინებდნენ წვრილი მერძეული მეურნეობის პრიმიტიულ გაძღოლას. მაგალითად, ოლგინსკის ფერმის ახლოს, სადაც დასახლდა რუსი გადამდგარი ჯარისკაცების 40 ოჯახი (ხელისუფლებამ თითოეულ ოჯახს გამოუყო 20 დეს. მიწა), ნაცვლად მიწათმოქმედებისა, ისინი ძირითადად მისდევდნენ მეძროხეობას. თუმცა მათი პირუტყვი არ გამოირჩეოდა კარგი მოვლა-პატრონობით და პროდუქტიულობით, მაგრამ მაინც იღებდნენ საკმაო რაოდენობის რძეს. რძის ჭარბი პროდუქცია მათ მიჰქონდათ თბილისში გასაყიდად. სოფ. ოლგინსკში ჩასახლებულ გლეხებს რძისა და რძის ნაწარმით ვაჭრობა უზრუნველყოფდა კარგი შემოსავლით. ჟურ. „კავკასიის სოფლის მეურნეობის“ კორესპონდენტის გაანგარიშებით საშუალო გლეხი, რომელსაც ჰყავდა 9 მეწველი ძროხა, წელიწადში იღებდა 784 მანეთს და 50 კაპ., მაშინ როდესაც მასზე გაწეული მთლიანი ხარჯები არ აღემატებოდა 352 მანეთს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გლეხის გაწეული შრომის ღირებულებას, მას რჩებოდა 432 მანეთი, ე. ი. თითოეული ძროხისაგან იღებდა 48 მანეთს[9]. თითქმის ანალოგიურ პირობებში ეწეოდნენ რძით ვაჭრობას თბილისის ახლომდებარე (წყნეთი, ტაბახმელა, დიღომი, დიდუბე, ავჭალა, ლილო და სხვ.) სოფლების მცხოვრებნი. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სოფლებში იშვიათად თუ ვინმეს ყავდა იმდენი ძროხა, რაც სოფ. ოლგინსკის (ლილოს) კულაკებს. წვრილმწარმოებლური გლეხობის უმრავლესობა თუ ყიდდა რძეს და რძის პროდუქტებს, მიზნად ისახავდა მხოლოდ ფუ-

[8] КСХ, 1897, № 185. с. 471.
[9] იქვე, გვ. 472.

ლის შოვნას. „გლეხს, რომელსაც 1 ძროხა ჰყავს, მხოლოდ გაჭირვების გამო გააქვს რძე გასაყიდად, რისთვისაც აუარესებს თავისი ბავშვების კვებას“[10]. ასეთი გლეხობის მდგომარეობა კარგად აქვს ასახული ეკ. გაბაშვილს „მაგდანას ლურჯაში“.

წვრილი მერძეული მეურნეობები ჰქონდათ აგრეთვე თბილისის, ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში მცხოვრებ გლეხობას, აგრეთვე აქ დასახლებულ რუს (დუხობორები, მოლაკნები) და გერმანელ კოლონისტებს; მაგრამ ესენი ბაზართან დაშორების გამო უმჯობესად თვლიდნენ რძის გადამუშავებას და ამ პროდუქტების რეალიზაციას. ნაწილობრივ ეს კოლონისტები დასახლებული იყვნენ თბილისის გარეუბნებში და ვაჭრობდნენ რძის პროდუქტებით[11].

სავაჭრო მეცხოველეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში უშუალოდ დაკავშირებული იყო რძის მრეწველურ გადამუშავებასთან. რძის გადამუშავება წარმოებდა მთელი წლის მანძილზე, მაგრამ უფრო მეტად ზაფხულის ანუ იალაღების პერიოდში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისის გუბერნია, სადაც მეცხოველეობა წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს. ზოგიერთი მაზრის (თიანეთი, სიღნაღი) მოსახლეობა ძირითად შემოსავალს იღებდა პირუტყვის (ცოცხალი, დაკლული), მატყლის, ყველისა და კარაქის წარმოებით. ამას ხელს უწყობდა ადგილობრივი პირობები, საზაფხულო და საზამთრო საძოვრები; მათი უდიდესი ნაწილი შეადგენდა ხაზინისა და კერძო პირთა საკუთრებას, სადაც ძველი დროიდან მოკიდებული იალაღებზე დიდძალი პირუტყვი (ხარი, ძროხა, კამეჩი, ცხვარი და სხვ.) იყრიდა თავს. უმთავრესად ამ საძოვრებზე განვითარებული იყო სამრეწველო მეცხოველეობა. გარდა ადგილობრივი მოთხოვნილებისა, პროდუქტების საგრძნობი ნაწილი გადიოდა როგორც საგარეო ისე საშინაო ბაზარზე, მაგალითად, მატყლი საფრანგეთში, ამერიკაში და სხვ[12]. ადგილობრივ ბაზარზე იყიდებოდა სხვადასხვა სახის ყველი, კარაქი და ერბო.

რძის გადამუშავება იალაღებზე წარმოებდა მეტად პრიმიტიულად, სათანადო გაწყობილობების გარეშე, უძველესი დროიდან გამომუშავებული წესების მიხედვით. ძროხებს ქალები წველიდნენ, ცხვრებს თვითონ მწყემსები. ძროხის რძისაგან მზადდებოდა როგორც ყველი, ისე კარაქი. ეს პროდუქტები მზადდებოდა აგრეთვე ცხვრის რძისაგან, მაგრამ უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ძროხისა. ცხვრის ყველზე მოთხოვნილება სულ უფრო მეტად იზრდებოდა. მაგალითად, თუშური ყველი გადიოდა სამხრეთ რუსეთის ბაზარზედაც კი[13]. ყველსა და კარაქსაც ამზადებდნენ შერეული რძით (ცხვრის, ძროხის, კამეჩის) და ნაღებმოხდილი რძისგანაც. მომთაბარე რძის გადამუშავებისაგან მცირე შემოსავალს იღებდა, რადგან გაყიდული რძის პროდუქტიდან მიღებული თანხა ძლივს ყოფნიდა ხაზინის გადასახადისა და საძოვრის იჯარით აღების ვალის დასაფარავად. რძის პროდუქტები იყიდებოდა როგორც ბაზარზე გატანით, ისე ადგილზე. იალაღებზე რძის პროდუქტების საყიდლად მიდიოდნენ თბი-

---

[10] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. III, გვ. 314.

[11] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების XIX XX სს., ტ. III, თბ., 1959, გვ. 793.

[12] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 17, ანაწ. 1, საქ. 9468, ფურც., 156.

[13] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 243, ანაწ. 1, საქ. 537, ფურც. 105—107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის ბაყლები, რომლებიც ადგილზე იაფად შეძენილ რძის პროდუქტებს თბილისში და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში ყიდდნენ ძვირად[14]. მაგრამ იალაღებზე რძისა და რძის ნაწარმის შესყიდვა-გადამუშავება სხვა სახითაც წარმოებდა, მაგალითად, ყველით მოვაჭრეები ჯოგისა და ფარის სადგომებთან აწყობდენ მოძრავ რძის გადამმუშავებელ კუსტარულ საწარმოებს. ასეთ პირობებში რძეს იაფად იძენდნენ, რადგან მეჯოგეები (თუშები, ფშავლები, თათრები), მეურნეობის გაძღოლის მიზნით, მათგან იღებდნენ სესხს სხვადასხვა პირობით, რომელიც უნდა გადახდილიყო ფულით ან ნატურით (ხორცი, მატყლი, რძე და რძის პროდუქტები). მათი ღირებულება კრედიტორის სასარგებლოდ იყო ნაკარნახევი[15]. თითოეული რძის გადამმუშავებელი კუსტარული საწარმო სეზონში ამზადებდა დაახლოებით 600—800 ფუთამდე ყველს. იალაღებზე მიღებული რძის ასეთი წესით გადამუშავება თანდათანობით ფართო ხასიათს ღებულობდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობის გაღრმავებისა და გაფართოების, საქონლური ურთიერთობის განვითარების შედეგად.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ადგილობრივმა საზოგადო მოღვაწეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საქართველოში მეცხოველეობის განვითარების საკითხებს. ისინი ხედავდნენ, თუ მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის რა ხელისშემშლელი პირობები არსებობდა, ამიტომ სოფლის მეურნეობის ამ დარგის შემოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევდნენ ყველის წარმოების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნას. მათი აზრით, შვეიცარულ ყველს, ადგილობრივი ყველისაგან განსხვავებით, აქვს ბევრი დადებითი თვისება, შეიძლება მისი იაფად წარმოება და ფართო ბაზრის უზრუნველყოფა[16]. „გუთნის დედის“ კორესპონდენტი 1862 წელს პირადად გასცნობია შვეიცარიის რამდენიმე კანტონის რძის გადამმუშავებელ საწარმოებს. საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ყველის ქარხნების ტექნიკურ აღჭურვილობას და ყველის დამზადების ტექნოლოგიას. იგი გასცნობია აგრეთვე მერძევეთა ამხანაგობების საქმიანობას და დაინტერესებულ პირებს ურჩევს დაიწყონ ევროპული ყველის წარმოება და შექმნან ამისათვის შვეიცარიის მსგავსად ამხანაგობები.

საქართველოში მეცხოველეობის მდგომარეობის თავისებურება, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა პირუტყვის ყოველწლიურ მოძრაობაში საკმაოდ დიდ მანძილზე — საზაფხულოდან საზამთრო საძოვრებზე; მემინდვრეობის გავრცელების ხარჯზე საბალახოების თანდათანობითი შემცირება; პირუტყვის ხშირი ეპიდემიური ავადმყოფობა, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა მეცხოველეობას, ვერ აბედვინებდა სათანადო კაპიტალის მქონე პირებს ხელი მოეკიდათ მერძეული მეურნეობის ან რძის გადამმუშავებელი ქარხნული წარმოებისათვის. არც ხაზინა იძლეოდა ამ საქმის წამოწყებისათვის სახსრებს. მიუხედავად მთელი რიგი წინააღმდეგობებისა, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისს საქართველოში იწყება შვეიცარული ყველის ქარხნული წარმოება. აი, რას იტყობინება ამის შესახებ იმდროინდელი ქართული პრესა: „ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისში შვეიცარიიდგან ერთი სახლობა, რომელმაცა იცის კარგად ყვე-

---

14 КСХ, 1897, № 199, с. 701.

15 КСХ, 1895, № 73, с. 1267. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. V, თბ., 1962, გვ. 433-444.

16 „გუთნის დედა“, 1863, № 12, გვ. 136-143; № 13, გვ. 142-146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის კეთება. ეს სახლობა დაიბარა პრუსიის ქვეშევრდომმა ბარონ ფონ-კუჩენბახმა ყველის გასაკეთებელი ქარხნისათვის, რომელიც უნდა გახსნას, ერთი ბაშკიჩეთში ეკატერინოფელდის კოლონიას ახლოს და მეორე — სოფელ ელპში, კოჯრის ახლოს. ამ სახლობას მოუტანია თან ყველა იარაღი, რომელიც კი საჭირო არის ყველის გაკეთებისათვის და ერბოს გამოხდისათვის, შვეიცარიის ჩვეულებაზე, ზოგი ერთს იარაღს, რადგანაც აქაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო, ტფილისში ამზადებს“[17].

ფონ-კუჩენბახი ასეთ დიდ წამოწყებას უსახსრობის გამო ვერ შეძლებდა, მისთვის დიდი დახმარება რომ არ გაეწია ადგილობრივ ხელისუფლებას და განსაკუთრებით „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას“. საარქივო მასალებში ბლომად ვხვდებით ფონ-კუჩენბახის თხოვნას კავკასიის მეფისნაცვლისა და სხვა მოხელეების სახელზე, სადაც იგი შვეიცარული ყველის ქარხნის მოწყობისათვის ფულად დახმარებას მოითხოვს. და მართლაც, მას მიეცა სხვადასხვა დროს (სესხად თუ დახმარების სახით) იმ დროის პირობებში დიდი თანხა — 21 ათას მანეთზე მეტი[18].

პირველ ხანებში ფონ-კუჩენბახმა იჯარით აიღო 15 დეს. მიწა მამულთაში (ბორჩალოს მაზრა), იყიდა ძველი საცხოვრებელი სახლი და სადგომი პირუტყვისათვის, სადაც დროებით დააბინავა დაქირავებული მუშები და პირუტყვი. ამ მეურნეობის ტერიტორიაზე დაიწყო ახალი ქვის ორსართულიანი სახლის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ შენობის ერთი ნაწილი დაეთმო ყველის წარმოების შვეიცარიელ ოსტატთა ოჯახებს, დანარჩენში მოთავსდა ყველის ქარხნის აღჭურვილობა. კარგად იყო მოწყობილი რძის შენახვისა და ყველის დამზადების საამქროები. შენობის სარდაფში, რომელიც აგრეთვე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ყველი ინახებოდა მისი დამზადების ტექნოლოგიური პროცესის დასრულებამდე. ყველის ქარხანა აღჭურვილი იყო შვეიცარიიდან გამოწერილი გაწყობილობებით, მათ შორის დიდი ტევადობის ქვაბები (ერთ-ერთი მათგანის ტევადობა შეადგენდა 70 ვედროს). უშუალოდ ყველის გამოყვანაზე მუშაობდა 10 მუშა, მათ შორის 3 შვეიცარიელი ოსტატი. 1863 წლის ზაფხულში ფონ-კუჩენბახის მამულთის მეურნეობას ყავდა 34 ძროხა, 30 ხბო, 9 ხარი, 2 ბუღა. ყველა ეს პირუტყვი იყო ადგილობრივი ჯიშის და კარგად მოვლილი. საძოვრებისა და სათიბის ფართობი, რომელიც ფონ-კუჩენბახს იჯარით ჰქონდა აღებული, შეადგენდა 3 ათას დესეტინას, რაც საკმარისად იყო მიჩნეული მსხვილი მეურნეობის შექმნა-განვითარებისათვის[19]. ელპის მეურნეობა არ იყო დიდი, პირუტყვიც ნაკლები იყო, მაგრამ ყველის ქარხანა კარგად ყოფილა მოწყობილი. ამის შესახებ „გუთნის დედის“ კორესპონდენტი წერს: „თუ დაინტერესებული პირი მოისურვებს თვალით ნახოს ყველის ქარხანა, წავიდეს ელპში,... სადაც წლეულს ბარონმა კუჩენბახმა ააშენა ქარხანა შვეიცარიის ყველისა და ერბოსი, როგორც გამოუცხადებია თავის დროზე ჩვენს გაზეთს“[20].

ფონ-კუჩენბახი არ იყო დარწმუნებული, რომ ადგილობრივი ჯიშის ძროხების (ხევსურული, ოსური, თათრული და სხვ.) შეჯვარებით გააუმჯობესებდა

---

17 „გუთნის დედა“, 1863, № 6, გვ. 90-91.

18 საქართველოს სსრ (თბილისი), ცსია, ფონდი 241, ანაწ. 3, საქ. 11, ფურც. 15, 34, 45, 99, აგრეთვე, საქ. 40, ფურც. 15, 32, 45, 99,

19 საქართველოს სსრ (თბილისი), ცსია, ფონდი 241, ანაწ. 3, საქ. 11, ფურც. 32.

20 „გუთნის დედა“, 1863, № 13, გვ. 142—146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ პროდუქტიულობას, ამიტომ იგი ფიქრობდა შვეიცარიიდან „შვაცის“ ჯიშის ძროხებისა და ბუღების გამოწერას. მას ამ საქმეში დახმარება აღუთქვა კავკასიის მეფისნაცვალმა, რომელმაც დაავალა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას“ გამოეყო თავისი ფონდიდან სახსრები ფონ-კუჩენბახის თხოვნის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ იმ დროის პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ამიერკავკასიის რკინიგზა გაყვანილი, ამ ღონისძიების განხორციელება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. პირუტყვის ხანგრძლივი და მოუხერხებელი მგზავრობა ფულის უქმად გადაყრის საშიშროებას ქმნიდა. მეფის მთავრობამ მაინც ამ საქმის შესრულება მიანდო თავის სრულუფლებიან რწმუნებულს ქ. ბერნში — ოზეროვს. მისი გარიგებით ვინმე ბეკმა ადგილობრივ შეიძინა „შვაცის“ ჯიშის შერჩეული 13 ძროხა და 3 ბუღა. მან თავისი მეთვალყურეობით პირუტყვი მიიყვანა ტრიესტის ნავსადგურამდე და გემით გაგზავნა ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ სხვა გემით ფოთამდე. ამრიგად, 1865 წლის ოქტომბერში შვეიცარიიდან გამოწერილი პირუტყვი საქართველოში იყო მოყვანილი, მაგრამ მათი დანიშნულ ადგილამდე მიყვანა მეტად გაძნელდა. ამ საქმის ორგანიზაციული ხელმძღვანელობისათვის თბილისიდან ფოთში გაიგზავნა აგრონომი ხატისოვი, რომელმაც შეძლო გემ „ზვეზდოჩკით“ პირუტყვის მდ. რიონით ორპირამდე გადაყვანა, აქედან კი ქუთაისზე გამოვლით მორეკეს თბილისამდე (დროებით სადგომად მუშტაიდის ბაღი მიუჩინეს). მთელ მანძილზე პირუტყვს ახლდა შვეიცარიელი გამყოლი დავით ვამპლერი. მიუხედავად მისი დიდი ზრუნვისა, გზაში დაიხოცა 3 ძროხა. 1865 წ. 6 ნოემბერს მამულთაში მიიყვანეს 10 ძროხა და 3 ბუღა. სულ ეს ოპერაცია დაჯდა 4391 მანეთი. მასში არ შედის საჩუქრების ღირებულება, რომელიც გაიგზავნა ბერნში[21].

ამის შემდეგ ფონ-კუჩენბახმა თავის ხარჯზე კიდევ რამდენჯერმე გამოიწერა საზღვარგარეთიდან პირუტყვი, უმეტესად ბუღები[22].

როდესაც ფონ-კუჩენბახი მთავრობის დახმარებას იღებდა შვეიცარული ყველის ქარხნის მოწყობისა და მერძეული მეურნეობის გასაუმჯობესებლად, პირდებოდათ, რომ ყველის წარმოების ტექნოლოგიას გააცნობდა დაინტერესებულ პირებს, ამასთან გადასცემდა სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს პირუტყვის გაუმჯობესებულ ჯიშებს, მაგრამ მას ეს დაპირებები არ შეუსრულებია[23]. ამის შესახებ საქართველოში ევროპულ ყაიდაზე რძის პროდუქტების წარმოების გარდაქმნის ერთ-ერთი აქტიური პროპაგანდისტი ნ. ახვლედიანი 1872 წ. წერდა: „უფ. კუჩენბახს საკუთარი ფული იმდენი არ ჰქონდა, რომ ხეირიანი რამ გაეკეთებინა, მაგრამ ჩვენმა მეურნეობის საზოგადოებამ ძრიელ დაეხმარა ამ საქმეში და კარგი ფულიც მისცა. ამავე საზოგადოებამ შვეიცარული ძროხები გამოიწერა იმ პირობით, რომ მოეშენებინა ჩვენში საზღვარგარეთული ძროხის ჯიში და მეყველეებად შეგირდები გამოეზარდნა, მაგრამ არც ერთი ესენი იმას არ შეუსრულებია“[24].

იმავე წლებში, როდესაც ფონ-კუჩენბახი შეუდგა საქართველოში შვეიცარული ყველის წარმოების ორგანიზაციას, „კავკასიის სოფლის მეურნეობის სა-

---

[21] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 241, ანაწ. 3, საქ. 5. ფურც. 47-52.

[22] КСХ, 1910, № 4. с. 7.

[23] „ივერია“, 1881, № 11, გვ. 125-126.

[24] „სოფლის ცხოვრება“, 1872, № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებამ“ გამოჰყო 2000 მანეთი ალექსანდერგილფში (წალკასთან ახლოს) გერმანულ კოლონისტთა დასახლებაში ყველის ქარხნის მოწყობისათვის. ამ ზონაში საუკეთესო პირობები არსებობდა მეცხოველეობის განვითარებისათვის, მეწველი პირუტყვის რაოდენობა იძლეოდა წვრილ მესაკუთრეთა არტელის შექმნის შესაძლებლობას. 1864 წელს ამოქმედდა ალექსანდერგილფის ყველის ქარხანა, სადაც მთავარ ოსტატად მუშაობდა შვეიცარიიდან 6 წლის ვადით მოწვეული ვინმე ჩაბოლდი[25]. 1870 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ალექსანდერგილფის კოლონისტებს ყველის ქარხნის რეკონსტრუქციისათვის სარდაფის მოსაწყობად კიდევ დამატებითი გამოუყო 2000 მანეთი[26].

ამრიგად, 1863—1864 წლების მანძილზე ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით საქართველოსა და ამიერკავკასიაში ამოქმედდა სამი რძის გადამუშავებელი საწარმო — ორი კაპიტალისტური ტიპის, ხოლო მესამე — გერმანელ კოლონისტთა კოოპერაციული ამხანაგობის.

1872 წლისათვის ფონ-კუჩენბახს მამულთოს მეურნეობაში ჰყავდა 280 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 180 სული მეწველი ძროხა. მიუხედავად იმისა, რომ ეპიდემია დიდ ზიანს აყენებდა მეურნეობას, პირუტყვი მაინც კარგად მოვლილი ჩანდა. შვეიცარული ყველის ქარხანა უზრუნველყოფილი იყო საკუთარი მეურნეობის რძით. ქარხანა ყოველწლიურად ამზადებდა 570 ფუთამდე შვეიცარულ და ჰოლანდიური სახის ყველს, მათ შორის მოხდილ ყველს 240 ფუთს, კარაქს — 120 ფუთს. შვეიცარული ყველი იყიდებოდა ფუთი 13 მანეთად, მოხდილი ყველი ფუთი 2 მანეთად, ხოლო კარაქი ფუთი 18 მანეთად[27]. ამრიგად, ფონ-კუჩენბახის ყოველწლიური შემოსავალი რძის პროდუქტების რეალიზაციით შეადგენდა 6760 მანეთს. მოტანილი მონაცემები ოფიციალური ხასიათისაა და მეწარმის გარკვეული კომერციული მიზნით — არაზუსტი. ეს სავსებით სწორად შეუნიშნავს ნ. ახვლედიანს, რომელიც წერს: „...კუჩენბახის მაღაზიაში ჩვენ თითონ გვიყიდია ყველი შვეიცარული გირვანქა ათ შაურად, ე. ი. ფუთი ოც მანეთად და არა 13 მანეთად, კარაქი 10 შაურად, ე. ი. ფუთი 20 მან“[28]. ნ. ახვლედიანის გაანგარიშებით ფონ-კუჩენბახის ყოველწლიური შემოსავალი შეადგენდა არა 6760 მანეთს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არამედ 16680 მანეთს. „ამრიგად, — წერს ნ. ახვლედიანი, — ბ. კუჩენბახს 9 წლის მანძილზე კარგად დაუგროვდა ფული, ხოლო ჩვენი მეურნე ამ საქმეს ნაკლებ ინტერესით ეკიდება“[29]. და მართლაც, კარგა ხნის მანძილზე, მიუხედავად არაერთი ცდისა, მერძეული მეურნეობა და, მით უმეტეს, შვეიცარული ყველის საწარმო, ადგილობრივ მესაკუთრეებს არ შეუქმნიათ, პირიქით, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რძის პროდუქტების ქარხნული გადამუშავება საზღვარგარეთიდან (შვეიცარიიდან) მოსული პირების ხელში მოექცა. თავიდან ეს წამოიწყეს ფონ-კუჩენბახის მიერ მოწვეულმა ოსტატებმა, რომელთა შორის ზოგიერთმა არ მოინდომა სამშობლოში დაბრუნება და ხელი მოკიდეს სარფიან საქმეს. 1880 წელს ყარაბულაღში (ბორჩალოს მაზრა) ძმებმა ამეტრებმა და ნიდიგერმა მოაწყვეს ორი შვეიცარული ყველის დამზადების

---

[25] КСХ, 1897, № 183, с. 436.

[26] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 416, ანაწ. 3. საქ. 1056, ფურც. 42.

[27] «Кавказ», 1872, № 60.

[28] „სასოფლო გაზეთი“, 1872 № 10; „დროება“, 1872, № 21.

[29] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმო; ორი წლის შემდეგ (1882 წ.) ადგილობრივმა დუხობორმა პ. ვერეგინმა ასეთივე ტიპის საწარმო შექმნა სოფ. შახმარლში (ბორჩალოს მაზრა)[30].

ამრიგად, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს მარტო ბორჩალოს მაზრაში მოქმედებდა შვეიცარული ყველის 4 საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 72 მუშა, წლიურად ამზადებდნენ 43464 მანეთის ღირებულების პროდუქციას[31]. შვეიცარულ ყველზე მოთხოვნილება თანდათან ფართოვდება, იყიდებოდა უმეტესად ამიერკავკასიის ქალაქებში (თბილისი, ბაქო, ელისავეტოპოლი, ერევანი, ქუთაისი), იგი პოპულარული ხდება აგრეთვე რუსეთშიც, ამას ხელი შეუწყო 1882 წელს მოსკოვის სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ფონ-კუჩენბახის მიერ წარმოდგენილმა შვეიცარული ტიპის ყველმა. მან ექსპერტთა შორის დიდი განცვიფრება გამოიწვია და ძნელი შეიქმნა მათი დარწმუნება, რომ ყველი დამზადდა საქართველოში და არა შვეიცარიაში[32]. საერთოდ, თრიალეთის მთებში დამზადებული შვეიცარული ყველი გამოირჩეოდა მაღალი გემოვნებითი თვისებით, ცხიმიანობით, ფერით, შენახვის ხანგრძლივობით და სხვ. იგი მრავალი მონაცემებით უტოლდებოდა ნამდვილ შვეიცარულ (ემენტალურ) ყველს. ასეთი სახის ყველის წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფა იძლეოდა რუსეთის ბაზრიდან ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილი ყველის განდევნის გარანტიას. ამიტომ იყო, რომ ქართველი პროგრესული მოღვაწეები და სხვა ამ საქმის სპეციალისტები (ნ. ახვლედიანი[33], ალ. ყაზბეგი[34], კ. ყიფიანი[35], ი. ანდრონიკაშვილი[36]. და სხვ.) დაბეჯითებით მოითხოვდნენ მეცხოველეობის ზონებში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში) მოეწყოთ მერძევეთა მეურნეობები და მასთან რძის გადამამუშავებელი ქარხნები. ამ მხრივ ისინი იმედს ამყარებდნენ ისეთი ტიპის არტელების შექმნაზე, როგორიც ეს შვეიცარიაში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იყო. მსგავსი ტრადიცია უძველესი დროიდან ცნობილია საქართველოშიც „ხანულობის“ სახით. ეს ნიშნავს იმას, რომ სოფლის მცხოვრებნი ჯერ ერთ მეზობელს ჩააბარებენ რძეს ყველისა და სხვა პროდუქტების დასამზადებლად, შემდეგ დანარჩენ მეზობლებს დაწესებული რიგით. ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროფ. ვ. პეტრიაშვილიც, რომელიც წერდა: „... რძის მრეწველობას ბევრ ჩვენს ადგილებში დიდი ეკონომიკური სარგებლობის მოტანა შეუძლიან, თუ მეტადრე ჩვენში გავრცელებული ხანულობა უფრო გავრცელდება და მტკიცე ეკონომიურ კვალში ჩადგება და ამასთანავე ჩვენი სოფლები ერთად შეამხანაგდებიან, საზოგადო სარძევე-ქარხნებს დააფუძნებენ და საზოგადოვე ხარჯითა და შემწეობით მოიპოვებენ ყველა იმ ჭურჭელს და მანქანებს, რომელიც საჭიროა რძის წარმოებისათვის“[37].

მიუხედავად ზოგიერთი ცდისა, არტელურმა გაერთიანებებმა (გარდა ალექსანდერგილფის გერმანელი კოლონისტებისა) საქართველოში კარგა ხანს

---

[30] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 243, ანაწ. 7, საქ. 683, ფურც. 243—253. აგრეთვე «Экономическая жизнь Кавказа», 1921, № 1, с. 32.

[31] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 12, ანაწ. 1, საქ., 820. ფურც. 16—17.

[32] „ცნობის ფურცელი“, 1901 № 1600, КСХ, 1900, № 313, с. 7.

[33] „სასოფლო გაზეთი“, 1872, № 10; „დროება“, 1872, № 21.

[34] „დროება“, 1883, № 7.

[35] „მეურნე“, 1888, № 11, 12, 14, 16.

[36] И. Андроников. Скотоводство Закавказского края, Свод материалов по изучению экономического быта крестьян Зак. края. том, V. 1.

[37] ვ. პეტრიაშვილი, რძე და მისი სხვადასხვა გამოყენება, თბ., 1988, გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხი ვერ მოიკიდა[38]. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ რძის შინამრეწველური გადამუშავების პირობებში წვრილი მწარმოებლები სულ უფრო მეტად ვარდებოდნენ მევახშე-შემსყიდველთა კაბალაში. 90-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს იალაღებზე წარმოებული რძის პროდუქტები (ყველი, კარაქი, ერბო) უმთავრესად მევახშე-შემსყიდველების ხელში მოექცა. მაგალითად, ვანო გოროზოვმა დაამზადა 800 ფუთი ყველი, ზურაბ აირაპეტოვმა 600 ფუთი, კარაპეტ დოლმაზოვმა 600 ფუთი, ვინმე ბაგრატმა 400 ფუთი, ივანე ავლაბრელმა 400 ფუთი, გიორგი შერეშოვმა 420 ფუთი და ა. შ. ბორჩალოს მაზრის იალაღებზე მზადდებოდა მევახშე-შემსყიდველებისა და წვრილ მეურნეობებში 7—8 ათასი ფუთი ყველი, ხოლო თბილისში მთელი წლის მანძილზე შემოდიოდა დაახლოებით 40 ათასი ფუთი ყველი, მათ შორის თუშური 20 ათას ფუთამდე, ოსური 6—7 ათას ფუთამდე, თათრული 10-დან 12 ათას ფუთამდე[39].

შეიმჩნევა, რომ ამ დროისათვის ყველ-ერბო-კარაქს მევახშე-შემსყიდველები უფრო უკეთესი ხარისხისას ამზადებდნენ, ვიდრე წინა წლებში, თუმცა რძის პროდუქტების ტექნოლოგია მეტად სუსტად უმჯობესდებოდა[40]. რძის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო ახალი რძის გადამმუშავებელი გაწყობილობების (სხვადასხვა სისტემის სეპარატორები და ცენტრიფუგები და სხვ.) გამოყენებამ და რძის პროდუქტებზე, მათ შორის განსაკუთრებით თუშურ ყველზე, მოთხოვნილების ზრდამ.

იალაღებზე მოწყობილ კუსტარულ საწარმოებში პროდუქციის წარმოების გადიდების შედეგად იზრდება ამავე დროს მათში დასაქმებულ მუშათა რაოდენობაც. მაგალითად, თბილისელ მევახშე-შემსყიდველს კარაპეტ დოლმაზოვს დაქირავებული ჰყავდა 16 მუშა და ერთი ოსტატი. მევახშე-შემსყიდველების აქტიური მოღვაწეობა, როგორც აღვნიშნეთ, ანადგურებდა წვრილ მერძეულ მეურნეობებს და მასთან უფრო მძიმეს ხდიდა დაქირავებული მუშების ექსპლოატაციას[41]. ასეთი საწარმოები მხოლოდ სეზონურად (2—3 თვე) მოქმედებდნენ და, ბუნებრივია, არ შეეძლოთ წლის სხვა დროს მეცხოველეობის ზონის სოფლებში არსებული რძის გადამუშავება. ამიტომ სოფლებში, იქ, სადაც სათანადო წვრილი მერძეული მეურნეობები არსებობდა, რძე ზაფხულის პერიოდთან შედარებით იაფად იყიდებოდა, რაც ხელსაყრელი იყო რძის პროდუქტების გადამმუშავებელი კოოპერატიული ამხანაგობის საწარმოების ფართო ქსელის ან კერძო საწარმოს (რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი მერძეული მეურნეობა), შესაქმნელად.

უკვე 90-იანი წლების დამლევისათვის რძის გადამმუშავებელი მრეწველობა ვრცელდება, გარდა ბორჩალოს მაზრისა, ახალქალაქის, ახალციხის მაზრებში, ყარსის ოლქში, ელისავეტოპოლისა და ერევნის გუბერნიებში, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაშიც (ყუბანის ოლქი)[42]. მცირე ხნის მანძილზე მარტო სოფ. ვორონცოვკის შემოგარენში, სადაც ცხოვრობდა 255 ოჯახი (ორივე სქესის 2389 სული) ამოქმედდა 10 შვეიცარული ყველისა და ერბო-კარაქის საწარმო[43],

[38] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., გვ. 797.

[39] КХС., 1895, № 73. с. 1267.

[40] КСХ, 1912, № 3, с. 5.

[41] КСХ, 1898, №2, с. 356—357.

[42] Труды Кавказского общества сельского хозяйства, 1886, № 10. с. 166—168; КСХ, 1897, № 187. с. 507.

[43] КСХ, 1900, № 313, 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ეკუთვნოდათ უმეტესად ადგილობრივ კერძო მესაკუთრეებს. ახლად შექმნილ რძის პროდუქტების გადამმუშავებელ საწარმოებს შორის ზოგი რძეს იღებდა საკუთარი მეურნეობიდან, ზოგი კი გლეხებისაგან შეძენილს ან ერთად ორივეს. არსებობდა აგრეთვე მეწველი ძროხების იჯარით დაქირავების ფორმაც; მაგალითად, ლინდგარტს ადგილობრივი გლეხებისაგან იჯარით (5 თვის ვადით) დაქირავებული ჰყავდა 32 ძროხა, თითო ძროხაზე იხდიდა 11 მანეთს[44]. რძის გადამმუშავებელი საწარმოები უმთავრესად ამზადებდნენ შვეიცარულ ყველს, აგრეთვე ჰოლანდიურ, ფრანგულ, ტილზიტურ და ბაკშტეინის სახის ყველსაც.

მერძეულ მეურნეობებში ჩნდება გაუმჯობესებული ჯიშის ძროხები. კარგი ფერმები მოეწყო წალკაში, როდიონოვკაში, ციხისჯვარში (დიდი მთავრის ნ. რომანოვის)[45], აბასთუმანში (დოსაევის)[46], თხინვალში (გ. შადინოვის)[47], ვეძისსა და მუხათგვერდში (მელიქ-ბახტამიანცის)[48], მოხისში — მანგლისთან (ყავრიშვილის)[49], დიდუბეში (ნიკოფოროვის) და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ფერმა, მაგალითად, ნიკიფოროვის (დიდუბე) წარმოადგენდა სასწავლო ბაზასაც. აქ ხდებოდა დემონსტრაცია საჯიშე პირუტყვის, რძის პროდუქტების მანქანა-იარაღებისა და ჭურჭლის, სადაც პრაქტიკული მეცადინეობა ტარდებოდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების სოფლის მეურნეობის კურსების მსმენელთათვის[50].

ამ პერიოდისათვის საქართველოში რძის პროდუქტების მრეწველურმა გადამუშავებამ თუ რა აღმავლობას მიაღწია, ჩანს 1896 წ. ნიჟნი-ნოვგოროდისა და თბილისის, 1899 წ. პეტერბურგის, 1900 წ. პარიზის, 1901 წ. თბილისის გამოფენებიდან, სადაც საქართველოში წარმოებულმა ევროპულმა ყველმა (შვეიცარული, ფრანგული, ტილზიტური, ბაკშტეინი), აგრეთვე კარაქმა და კეფირმა დაიმსახურა სხვადასხვა ხარისხის მაღალი ჯილდო; განსაკუთრებით აღსანიშნავია პროდუქცია, რომელიც დამზადდა ფონ-კუჩენბახის, ალექსანდერგილფის, შადინოვის, ვოლდენფიუსტის, ძმ. პეტრების, ნიდიგეურის, ლინდგარტისა და მათეოზოვის, შტუკერის, კაზელისა და ტოტლიბ გრაფის, დოსაევის და ახალქალაქის მერძეული მეურნეობის კურსების საწარმოებში[51].

დაჯილდოებულთა შორის ვხვდებით ადგილობრივ მცხოვრებთა გვარებსაც, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ რძის პროდუქტების წარმოება საქართველოსა და ამიერკავკასიაში აღარ წარმოადგენდა უცხოელი სპეციალისტების მონოპოლიას[52]. მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ წარმოებული შვეიცარული ყველი, გათვალისწინებული მასიური მოხმარებისათვის, ხარისხის თვალსაზრისით ყოველთვის არ იყო ტექნოლოგიურად სრულყოფილად დამუშავებული; სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შედეგად გამოყვანილი ყველი კარგავდა სა-

---

44 KCX, 1897, № 183, с. 436.

45 KCX, 1897, № 179, с. 377.

46 საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 243, ანაწ. 6, საქ. 93, ფურც. 209.

47 KCX, 1896, № 145, с. 2489.

48 „ცნობის ფურცელი", 1901, № 1648.

49 „ცნობის ფურცელი", 1901. № 1524.

50 KCX, 1897, № 191, с. 563.

51 KCX, 1896, № 145, с. 2489. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1901. № 1648; საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 243, ანაწ. 7, საქ., 417. ფურც. 20.

52 „ივერია", 1901, № 274; „ცნობის ფურცელი", 1901, № 1587, № 1648, № 1650, საქართველოს სსრ (თბილსი) ცსია, ფონდი 243, ანაწ. 7, საქ., 417 ფურც. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურველ თვისებებს. ეს არაერთხელ დადასტურდა სპეციალისტების მიერ საწარმოების დათვალიერების დროს[53]. არამაღალი ხარისხის ყველი იყიდებოდა დაბალ ფასებში, რითაც ზარალდებოდა კერძო მესაკუთრე. შვეიცარული ყველის დამზადების ტექნოლოგიური და ბიოლოგიური რეჟიმის დაცვა, მისი სრულყოფა დამოკიდებული იყო არა მარტო საუკეთესო თვისებებისა და ხარისხის რძეზე, არამედ ყველის დამზადების კარგ მცოდნე ოსტატზეც.

ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებები. მათ შეისწავლეს ამიერკავკასიის თითქმის ყველა კუთხის რძის პროდუქტების წარმოების წესები. მუშავდებოდა რეკომენდაციები რძის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის[54]. საზოგადოებები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რძის პროდუქტების წარმოების სპეციალისტთა ადგილობრივი კადრების მომზადებისა და გამოყენების საკითხებს. ამ მიზნით შეიქმნა კურსები ახალქალაქსა (1895 წ.)[55] და წალკაში (1896 წ.).[56] მათივე ინიციატივით 1896 წ. ჩრდილოეთ კავკასიაში (პიატიგორსკის მაზრა) ლობანოვ-როსტოვსკის მამულში მოეწყო რძის მეურნეობის სკოლა[57]. მოხერხდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ერთი სპეციალისტის გაგზავნა საფრანგეთში[58].

თვალსაჩინო როლი შეასრულა კადრების მომზადების საქმეში კარაკლისის (ერევნის გუბერნია) მეცხოველეობისა და რძის პროდუქტების წარმოების კურსებმა, სადაც არსებობდა სათანადო სასწავლო ბაზა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისათვის. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე აქ სპეციალობას დაეუფლა არაერთი ქართველი ინტელიგენტი (მაგ., მ. ციმაკურიძე, ლ. ბერიძე, ვ. გოგოშია, ა. ზერიშვილი, ნ. გელაძე და სხვ.)[59].

აღნიშნული საზოგადოებების საქმიანობა მარტო ამით არ ამოიწურებოდა. მეცხოველეობის ზონის გლეხობა რომ გაცნობოდა რძის პროდუქტების წარმოებას „ევროპული წესის“ მიხედვით, ეწყობოდა მოძრავი საწარმოები, რომლებიც აღჭურვილი იყო სათანადო გაწყობილობებით; ამავე დროს ტარდებოდა საუბრები რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური გაუმჯობესების საკითხებზე[60]. ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით ცნობილ მეცნიერთ და პრაქტიკულ მოღვაწეებს ავეტიქ და ალექსანდრე ქალანთარებს[61].

რუსეთში ამ დროს მოქმედებდა არაერთი კაპიტალისტური ტიპის მერძეული მეურნეობა და რძის გადამამუშავებელი საწარმო. ამასთან ერთად, სწრაფად იწყო განვითარება გლეხურ მეურნეობათა არტელურმა გაერთიანებებმა. არტელების ანუ „კავშირების“ (ციმბირში მას ასე უწოდებდნენ) ფართო ქსელი შეიქმნა ურალიდან ალტაის მხარემდე და ვოლოგდის ოლქში, სადაც ძირითადად

---

[53] КСХ, 1897, № 198, с. 685, КСХ, 1912, № 3, с. 5.

[54] КСХ, 1897, № 169, с. 225.

[55] КСХ, 1897, № 157, с. 21.

[56] КСХ, 1897, № 158, с. 49.

[57] КСХ, 1895, № 57, с. 1008.

[58] КСХ, 1895, № 68, с. 1184.

[59] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 243, ანაწ. 7, საქ., 685. ფურც. 229.

[60] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. ტ. V, თბ., 1962, გვ. 434-435.

[61] „ივერია“ 1901, № 216; 1904, № 36; „ცნობის ფურცელი“, 1901. № 626, № 1600.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებდა კარაქის გამოყვანა. 1907 წ. ციმბირის კარაქის მკეთებელთა „კავშირებ-ში“ შედიოდა 65 არტელი, 1913 წ. კი მათი რაოდენობა გაიზარდა 564-მდე. 1912 წ. მონაცემებით არტელებში სულ მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 120 ათასი წვრილი მეურნე, რომლებსაც ეკუთვნოდათ 300 ათასამდე ძროხა. „კავშირმა“ 1912 წ. დაამზადა 477 ათასი ფუთი კარაქი, რომლის ღირებულება შეადგენდა 6200 ათას მანეთს[62].

1913 წ. ციმბირში მოქმედებდა 199 კარაქის ქარხანა, მათ შორის 115 ეკუთვნოდა კერძო მესაკუთრეებს, ხოლო 84 „კავშირებს“[63]. გარდა ამისა, „კავშირების“ დაქვემდებარებაში იყო 137 რძის პროდუქტების სპეციალიზებული მაღაზია, განლაგებული მსხვილ ქალაქებში.

რუსეთში წარმოებული რძის პროდუქტები, განსაკუთრებით კარაქი, ერბო, არაჟანი და ყველი „გორგოზონი“ დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა როგორც თვით რუსეთში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში (მაგ. ინგლისში)[64]. 1900 წ. ციმბირიდან გატანილ იქნა 13,4 მლნ მანეთის, ხოლო 1913 წ. 84 მლნ მანეთის ღირებულების რძის პროდუქტი[65].

„კავშირებისაგან“ სახელმწიფო დიდ შემოსავალს იღებდა, ამიტომ რუსეთის მეფის ხელისუფლება მათ მიმართ უფრო მეტ მზრუნველობას იჩენდა, ვიდრე ასეთი „კავშირების“ შექმნისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში[66]. ხაზინის დახმარების გარეშე წვრილმწარმოებლური გლეხური მეურნეობების კოოპერაციულ ამხანაგობებში გაერთიანება საქართველოში თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან აქაური გლეხობა, როგორც ცნობილია, უფრო გაღატაკებული იყო, ვიდრე რუსეთში. მიუხედავად ასეთი ხასიათის სიძნელეებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ ინსტრუქტორ ა. კახელაძის აქტიური მონაწილეობით შეძლო წვრილმწარმოებლური გლეხური მეურნეობების გაერთიანება კოოპერაციულ ამხანაგობებში. ერთ-ერთი ასეთი ამხანაგობა 1912 წლის 12 იანვარს შეიქმნა სოფ. დიდ-ლილოში. მისი წესდება შეადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ. ამხანაგობა ვრცელდებოდა დიდი და პატარა ლილოს მცხოვრებ გლეხებზე. თითოეულ წევრს ერთ ძროხაზე უნდა გადაეხადა 5 მანეთი; იხდიდნენ აგრეთვე ერთ ფუთ გაყიდულ რძეზე ერთ კაპიკს. „ამხანაგობის“ გამგეობაში არჩეულ იქნენ გლეხები: ი. გოგიშვილი, ლ. ცხოვრებაშვილი და ს. ბაღაშვილი.

„ამხანაგობამ“ შენობისა და საჭირო გაწყობილობათა შეძენისათვის დახარჯა 878 მანეთი. მემამულე მ. მაჩაბელმა „ამხანაგობას“ დაუთმო შენობა, ხოლო ცნობილი ქართველი მოღვაწის მეუღლე ე. სარაჯიშვილმა შესწირა 300 მანეთი[67]. „ამხანაგობამ“ თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკიდან 5 წლის ვადით სესხად აიღო 1000 მანეთი. 1913 წ. მერძევეთა ამხანაგობა „ლილომ“ ააშენა საკუთარი შენობა, სადაც მოთავსებული იყო რძის მისაღები და მაცივარი, გაიყვანეს წყალსადენი, ააშენეს ცემენტის აუზი და სხვა დამხმარე მეურნეობები. პირუტყვის რაოდენობამ მოიმატა 42-დან 338 სულამდე.

1912 წ. კოოპერაციული ამხანაგობა „ლილოს“ დაარსებისას ირიცხებოდა

[62] CX, 1913, № 3, 1916, № 5-6, с. 28.

[63] CX, 1916, № 5-6, с. 28.

[64] „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1600.

[65] KX, 1916, № 5-6, ს. 28.

[66] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 13, ანაწ. 15, საქ., 237. ფურც. 9.

[67] KX, 1913, № 7-8, с. 8-9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44 წევრი, 1915 წლისათვის კი მათი რიცხვი გაიზარდა 126-მდე. 1912 წელს წევრებზე გაიცა 1860 მანეთი და 30 კაპ., 1915 წელს — 4729 მან. და 50 კაპ. ამავე წელს საზოგადოების აქტივში ირიცხებოდა 1673 მან. და 70 კაპ[68]. თუ ამხანაგობა „ლილოს" მერძეულ მეურნეობას თავიდანვე მტკიცე საფუძველი ჩაეყარა და უკეთესად წარმართა თავისი საქმიანობა, ამას ვერ ვიტყვით ვორონცოვკისა და გორელოვკის რძის პროდუქტების საწარმოთა კოოპერაციულ ამხანაგობებზე, რომლებიც შეიქმნენ რამდენიმე წლით ადრე[69]. ამ ამხანაგობებში დიდხანს ვერ დამუშავდა შესაფერისი წესდება; გარდა ამისა, შეიმჩნევა მსხვილ მრეწველთა კონკურენციისა და კულაკური ზედაფენის გავლენა. ამის შედეგად კოოპერაციულმა ამხანაგობებმა ვერ შეძლეს განემტკიცებინათ თავიანთი მეურნეობრივი საქმიანობა[70]. 1913 წ. ამიერკავკასიაში მოქმედებდა მხოლოდ 8 არტელური მეურნეობა, სადაც გაერთიანებული იყო წევრთა მცირე რაოდენობა[71]. ამრიგად, გლეხურ მერძეულ მეურნეობათა არტელურმა გაერთიანებებმა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ფეხი ვერ მოიკიდა და მან ვერ პოვა შემდგომი განვითარება.

როგორც აღვნიშნეთ, გასული საუკუნის დამლევიდან საქართველოსა და ამიერკავკასიაში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება რძის პროდუქტებისა და მათ შორის შვეიცარული ყველის ქარხნული წარმოება. 1911—1913 წლების მანძილზე შვეიცარული ყველის საწარმოთა რაოდენობა გაიზარდა 65-დან 85 ერთეულამდე. მათი რაოდენობის სწრაფი ზრდა შეიმჩნევა ყარსის ოლქში, შედარებით ნაკლები ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში. 1913 წელს ყარსის ოლქში (არდაგნის ოკრუგის ჩათვლით) მოქმედებდა 40 საწარმო, ელისავეტოპოლის მაზრაში — 3, თბილისის, ბორჩალოსა[72] და ახალქალაქის მაზრებში — 38[73]. გარდა აღნიშნულისა, კიდევ არსებობდნენ წვრილი კუსტარული საწარმოები, სადაც ნაკლებად ან არ გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა. მათი მეურნეობრივი საქმიანობა ნაკლებად არის ასახული იმ დროის სტატისტიკურ მასალებში.

ზოგიერთ მემამულე-მრეწველს საკუთარი მეურნეობა და საწარმო ჰქონდა რამდენიმე ადგილას, მაგალითად, სინგელტარელს ბორჩალოს მაზრასა და ყარსის ოლქში. საწარმოთა რაოდენობის გადიდების კვალობაზე იზრდება აგრეთვე წარმოებული პროდუქტის მოცულობაც. შვეიცარული ყველის წარმოება ამიერკავკასიაში მსოფლიო ომის დაწყებამდე მერყეობდა 70—75 ათას ფუთამდე. რძის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში დამზადდა (ფუთობით) 1910 წ. — 72167, 1911 წ. — 69824, 1912 წ. — 74456, ხოლო 1913 წ. — 72081. წარმოებული პროდუქციის მთლიანი ღირებულება ერთ მილიონ მანეთს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი რაოდენობის შვეიცარული ყველი დამზადდა ბორჩალოს მაზრაში. მაგალითად, 1910 წ. — 44605 ფ., 1911 წ. — 42694 ფ., 1912 წ. — 45558 ფ., ხოლო 1913 წ. — 42756 ფ. რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, აქ შვეიცარული ყველის წარმოება 1910—

---

[68] КХ, 1915, № 7, с. 9.

[69] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 12, ანაწ. 7, საქ. 3727, ფურც. 2.

[70] КСХ, 1897, № 175, с. 313.

[71] «Экономическая жизнь Кавказа», 1921, № 1, с. 29-35.

[72] ბორჩალოს მაზრაში დაახლოებით 60 კმ სიგრძისა და 20-25 კმ სიგანის ფართობზე მოქმედებდა 34 ქარხანა.

[73] საქართველოს სსრ (თბილისი), ცსია, ფონდი 243, ანაწ. 7, საქ. 685, ფურც. 243-253.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1913 წწ. თითქმის ერთ დონეზე იმყოფებოდა — წელიწადში მზადდებოდა 3500 ფუთამდე. 1913 წელს ბორჩალოს მაზრაში შვეიცარული ყველის წარმოება 1910 წლის დონესთან შედარებით ნაკლებია, ვინაიდან თავი იჩინა ისეთმა ფაქტორებმა, რომლებიც გავლენას ახდენდნენ საერთოდ რძის პროდუქტების წარმოებაზე და, კერძოდ, შვეიცარული ყველის წარმოების სპეციალიზაციაზეც.

ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში, მოსახლეობის პროგრესულ მატებასთან დაკავშირებით, საძოვრებისა და სათიბების ფართობი საგრძნობლად შემცირდა. ამ ადგილებში ვითარდება მემინდვრეობა. მოიმატა რძის ფასმაც. ახლა ერთი ფუთი რძე ღირდა 80 კაპ. და უფრო მეტიც. როგორც ცნობილია, შვეიცარული ყველის დამზადება მოითხოვდა საუკეთესო რძეს და რთული ტექნოლოგიური წესების დაცვას, უკიდურეს შემთხვევაში ყველი არ იქნებოდა უმაღლესი ხარისხის და გაიყიდებოდა დაბალ ფასებში. ჩვეულებრივ, დადგენილი ნორმის მიხედვით 11 ფუთი რძისაგან მზადდებოდა 1 ფუთი შვეიცარული ყველი, რომელიც იყიდებოდა 11—12 მანეთად. 1 ფუთი ადგილობრივი ყველის (მაგალითად, „ჩანახი“) დამზადებისათვის კი საჭირო იყო 8 ფუთი რძე და იყიდებოდა 6—7 მანეთად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შვეიცარული ყველის დამზადებისათვის საჭირო იყო ძვირადღირებული გაწყობილობების შეძენა, ყველის დამწიფება თხოულობდა ხანგრძლივ დროს (6 თვე), იყიდებოდა ერთბაშად — დიდ პარტიებად. ადგილობრივი ყველის დამზადება კი წარმოებდა უფრო იოლ პირობებში, იყიდებოდა მისი დამზადებისთანავე ნაწილ-ნაწილ. ამასთან ერთად თავი იჩინა პირუტყვის ეპიდემიურმა ავადმყოფობამ, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მეცხოველეობას. შექმნილი ვითარების შედეგად ზოგიერთი მრეწველი უპჯობესად თვლიდა ადგილობრივი ყველის წარმოების გადიდებას შვეიცარული ყველის წარმოების შემცირების ხარჯზე. ამის შედეგად ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში შვეიცარული ყველის წარმოება თითქმის ერთ დონეზე დარჩა. ამავე მიზეზით საგრძნობლად დაიკლო შვეიცარული ყველის წარმოებამ ელისავეტოპოლის მაზრაში. 1910 წ. აქ წარმოებულ იქნა 2590 ფ., 1911 წ. — 770 ფ., 1912 წ. — 310 ფ., ხოლო 1913 წ. — 313 ფ. შვეიცარული ყველი. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა ჩანს ყარსის ოლქში, სადაც მკაცრი კლიმატური პირობების გამო მეურნეობის უმთავრეს დარგს მეცხოველეობა წარმოადგენდა. ამიტომ ამ ზონაში, როგორც აღვნიშნეთ, სწრაფად იზრდება ყველის ქარხნების რაოდენობა. მაგრამ აქ ადგილობრივი ყველი და კარაქი უფრო მეტი რაოდენობით მზადდებოდა, ვიდრე შვეიცარული ყველი. 1911 წ. მთლიანად ყარსის ოლქის საწარმოებში დამზადდა 23190 ფ., 1912 წ. 25368 ფ., 1913 წ. — 25537 ფ., შვეიცარული ყველი.

1913 წ. საქართველოში მოქმედმა ყველის საწარმოებმა გადაამუშავეს 567347 ფუთზე მეტი რძე (საკუთარი და წვრილწარმოებრივი მეურნეობებიდან მიღებული). აქედან დამზადდა: შვეიცარული ყველი — 46891 ფ., ადგილობრივი ყველი (კავკასიური) — 3730 ფ., კარაქი (უმაღლესი ხარისხის) — 3759 ფ., ხაჭო — 2180 ფ., არაჟანი — 1290 ფ. და სხვ[74]. რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამიერკავკასიის სხვა წლებში წარმოებულ რძის პროდუქტებს.

ამ დროისათვის ყველაზე მსხვილი მეურნეობა და ტექნიკურად კარგად აღჭურვილი საწარმო ეკუთვნოდა ფონ-კუჩენბახს, ძმ. ამეტრებს, პ. ვერიგინს,

[74] საქართველოს სსრ (თბილისი), ცსია, ანაწ. 7, საქ., 685, 686, ფურც. 243-253.

ნ. კეზელს, თ. გალანოვს და გ. შადინოვს, აგრეთვე ალექსანდერგილფის ამხანაგობას. ადგილობრივი ყველი მზადდებოდა ძმ. აავაზოვების (ბოგდანოვკა), თ. გალანოვის (ორგანჩაი) და ძმ. დავითიანცების (ვორონცოვკა) საწარმოებში. წარმოებული ძირითადი პროდუქციის (შვეიცარული ყველი) მთლიანი ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 558536 მანეთს[75]. წარმოებული ძირითადი პროდუქციის ღირებულება არ არის თანაბარი, რაც დამოკიდებული იყო რძის ხარისხსა და დამზადების ტექნოლოგიაზე. მაგალითად, შვეიცარული ყველის ფასი მერყეობდა 10-დან 15 მანეთამდე პროდუქციის ხარისხის შესაბამისად. 1913 წ. ერთი ფუთი შვეიცარული ყველის თვითღირებულება საშუალოდ შეადგენდა 8 მან. 80 კაპ., თუშური ყველის — 5 მან. 64 კაპ. მექარხნე ერთი ფუთი შვეიცარული ყველიდან მოგებას იღებდა საშუალოდ 3 მანეთს, ხოლო თუშური ყველიდან — 1 მან. 27 კაპ.

1913 წ. ამიერკავკასიის რძის მრეწველობის ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება შეადგენდა დაახლოებით 322400 მანეთს[76].

შვეიცარული ყველის რეალიზაცია უმთავრესად ხდებოდა ჩიჩკინისა და ბლანდოვის ფირმების საშუალებით, მათი რწმუნებულები ყველს ადგილზე შეისყიდიდნენ და შემდეგ მიჰქონდათ გასაყიდად რუსეთის მსხვილ ქალაქებში (პეტერბურგი, მოსკოვი, ხარკოვი, ოდესა და სხვ.). ამიერკავკასიიდან რუსეთის ბაზარზე გატანილი ყველი კონკურენციას უწევდა რუსეთსა და ფინეთში დამზადებულ ყველს, ამასთან გავლენას ახდენდა საზღვარგარეთიდან ყველის იმპორტის შემცირებაზე. მაგალითად, 1900 წ. რუსეთში შემოტანილი იყო 18706 ფუთი შვეიცარული ყველი, 155400 მანეთის ღირებულების, 1906 წ.— 8721 ფუთი, 104647 მანეთის ღირებულების[77]. ყველის იმპორტი კიდევ უფრო მეტად შემცირდა მომდევნო წლებში. საქართველოში დამზადებულმა შვეიცარულმა ყველმა იმდენად ფართო აღიარება ჰპოვა ევროპისა და აზიის ქვეყნებში, რომ 1913 წ. მიღებულ იქნა დაკვეთები ყველის შესყიდვაზე საფრანგეთიდან, გერმანიიდან და თურქეთიდან. განზრახული იყო აგრეთვე სავაჭრო წარმომადგენლობის ორგანიზაცია და სხვ[78]. მის განხორციელებას ხელი შეუშალა მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებამ.

ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების საწარმოებში დამზადებული ადგილობრივი ყველი იყიდებოდა თბილისში და სხვა მსხვილ დასახლებულ პუნქტებში. გარდა ამისა, მრავალი სახის ყველს აწარმოებდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რაიონების წვრილმწარმოებლურ გლეხურ მეურნეობებში. 1911 წ. მარტო თბილისის ბაზარზე გაიყიდა 140 ათასი ფუთი, ხოლო 1913 წ. 140 ათასი ფუთი თუშური ყველი (ცხვრისა და ძროხის)[79]. 1912 წ. ოფიციალური მონაცემებით თბილისში ბორჩალოს მაზრიდან შემოტანილი ყველი „ჩანახი" გაიყიდა 24200 ფუთი (ცხვრის) და 6700 ფუთი (ძროხის), ხოლო ახალქალაქის მაზრიდან 1200 ფუთი (ცხვრის) და 12050 ფუთი (ძროხისა)[80]. საქართველოში წარმოებული კარაქი არ იყო საკმარისი ადგილობრივი

---

75 გაანგარიშებულია ჩვენს მიერ სტატისტიკურ მასალათა ანალიზის საფუძველზე, იხ. საქართველოს სსრ (თბ.) 7, ცსია, ანაწ. 7, საქ. 686, 686, ფურც. 243—253.

76 საქართველოს სსრ (თბ.), ფონდი 617, ანაწ. 1, საქ. 2811, ფურც. 11.

77 «Экономический вестник Закавказья», 1924, № 11, с. 53—58.

78 საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 617, ანაწ. 1, საქ., 2811, ფურც. 7.

79 მიხ. დემურიშვილი, ქარხნული თუშური ყველის კეთება, თბ., 1930, გვ. 7.

80 КХ, 1913, № 16, с. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. იგი დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ რუსეთიდან[81]. რაც შეეხება რძის დანარჩენ პროდუქტებს (მაწონი, არაჟანი, ხაჭო და სხვ.) იყიდებოდა უმთავრესად თბილისში, ხოლო ზაფხულობით აგარაკებზე.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ მერძეულ მეურნეობებსა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში რამდენი დაქირავებული მუშა-ძალა გამოიყენებოდა, მაგრამ ამის შესახებ პირდაპირი და დამაჯერებელი მონაცემები არ გაგვაჩნია. ზოგიერთ კაპიტალისტური ტიპის ფერმებსა და საწარმოებში, მაგალითად, ფონ-კუჩენბახს დაქირავებული ყავდა 80-მდე მუშა, ნიდიგერს 16—18 მუშა[82]. ზოგ საწარმოში კი უფრო ნაკლები. თუ თითოეულ საწარმოზე საშუალოდ ვიგულისხმებთ 10 მუშას, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების საწარმოებში დაქირავებული უნდა ყოფილიყო დაახლოებით 380 კაცი; თუ მას მივუმატებთ წვრილ კუსტარულ საწარმოებში დაქირავებულ მუშებსაც (სეზონურის ჩათვლით) მათი რიცხვი 500-მდე უნდა ვივარაუდოთ. საწარმოებში მუშაობდნენ: ოსტატები, ოსტატის თანაშემწეები და მუშები. მუშათა შრომა მესაკუთრეთა მძიმე ექსპლოატაციას, ემყარებოდა; არ იყო განსაზღვრული სამუშაო დრო, დაბალი იყო ხელფასი, აგრეთვე შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

კიდევ უფრო მეტ ექსპლოატაციას განიცდიდა წვრილმწარმოებლური გლეხობა, რომლებიც თავისი მოთხოვნილების დაკლების ხარჯზე რძეს ყიდდნენ. მექარხნეები ზრუნავდნენ რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებაზე, მათ სრულებით არ აინტერესებდათ გლეხური მეურნეობის საერთო სტრუქტურის გაუმჯობესება; გლეხობა კი რადგან არ იყო ჩაბმული უშუალოდ საწარმოო პროცესში, არ ზრუნავდა მეცხოველეობის საერთო დონის გაუმჯობესებისათვის[83].

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებიდან საქართველოსა და ამიერკავკასიაში რძისა და რძის პროდუქტების წარმოება თანდათანობით ეცემა. განსაკუთრებით მკვეთრად მცირდება შვეიცარული ყველის წარმოება. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო და ამიერკავკასია წარმოადგენდა ფრონტისპირა ზონას, დაირღვა სამიმოსვლო საშუალება რძის პროდუქტების ძირითად მწარმოებლურ რაიონებსა და ქალაქებს შორის, რეგულარულად არ ხდებოდა რძის პროდუქტების ბაზარზე გამოტანა. ტარდებოდა პირუტყვის რეკვიზიცია, პირუტყვი მასიურად იყიდებოდა დასაკლავად. საწარმოებს ჯარში გაწვევის გამო დააკლდათ მუშახელი. კიდევ უფრო მეტად გამწვავდა მდგომარეობა თურქეთის ჯარების მიერ ყარსის ოლქის, შემდეგ კი ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების ოკუპაციის პირობებში. თურქი დამპყრობლები მასიურად ძარცვავდნენ... ყლეტდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, წვავდნენ და ანადგურებდნენ სოფლებს, იტაცებდნენ სურსათ-სანოვაგეს, პირუტყვს, ფრინველს და სხვ[84]. ასეთი ვითარების შედეგად მერძეული მეურნეობები და რძის პროდუქტების საწარმოები თითქმის მთლიანად განადგურდა. მას შემდეგ, რაც მენშევიკური მთავრობის „მოწვევით" საქართველოში გერმანელთა ჯარები შემო-

[81] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 243, ანაწ. 7, საქ. 686, ურც. 315.

[82] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 85.

[83] საქართველოს სსრ (თბილისი) ცსია, ფონდი 617, ანაწ. 1, საქ., 2811, ფურც. 10.

[84] ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921 წწ.), თბ., 1954, გვ. 234-235.

ვიდა (1918 წ.) ფონ-კუჩენბახმა და ძმებმა ამეტრებმა შეძლეს საკუთარი მეურნეობისა და შვეიცარული ყველის წარმოების ნაწილობრივად აღდგენა.

თურქი ასკერების დარბევისა და სომეხი და ქართველი ნაციონალისტების ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად დიდი ზიანი განიცადა აგრეთვე სოფ. ვორონცოვკის რძის პროდუქტების საწარმოებმაც. მაგრამ გადარჩენილი წვრილი მეურნეობების ბაზაზე ფრონტიდან დაბრუნებულმა რუსმა ჯარისკაცებმა, რომლებიც იცნობდნენ ვოლოგდისა და ციმბირის არტელების („კავშირების“) წესდებას და საქმიანობას, შეძლეს არტელის დაარსება სოფ. ვორონცოვკაში. სულ ამ პერიოდისათვის საქართველოში მოქმედებდა ხუთი საწარმო, სადაც მზადდებოდა დაახლოებით 6000 ფუთი შვეიცარული ყველი და სხვა უმნიშვნელო რაოდენობის რძის პროდუქტები.

საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიის მოძმე ხალხებს შორის ტრადიციული ეკონომიკური კავშირის შეწყვეტამ, რომელსაც მენშევიკური მთავრობა ახორციელებდა, დააჩქარა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, სურსათ-სანოვაგის ფასების ზრდის პირობებში დაეცა შვეიცარული ყველის ფასი, მისი ღირებულება უტოლდებოდა ადგილობრივი დაბალი ხარისხის ყველის ფასს. მენშევიკური მთავრობის მინისტრები კრიზისისაგან ხსნის იმედებს ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში ხედავდნენ, ცდილობდნენ გაეტანათ საზღვარგარეთ, რაც კი გადაურჩა თურქ-გერმანელ ოკუპანტებს. კვების სხვა პროდუქტებს შორის ბათუმ-კონსტანტინოპოლის გზით შვეიცარული ყველიც გადიოდა საზღვარგარეთ, მაგრამ ეს გზაც მალე დაიხურა. რძისა და რძის პროდუქტების წარმოების აღდგენა-განვითარება სახალხო მეურნეობის ნგრევის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ხასია

# სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ელექტროტექნიკური მრეწველობა

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საწარმოო ძალების განვითარება საზოგადოების კონტროლს დაუმორჩილა და შექმნა საზოგადოების მატერიალური ბაზის ძირეული გარდაქმნის ისტორიული შესაძლებლობა და აუცილებლობა.

საბჭოთა ქვეყანაში ახალი სოციალისტური საზოგადოების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებით მშენებლობა მოცემული საზოგადოების შესაბამისი წარმოების არსებობას მოითხოვდა. გეგმაზომიერი სოციალისტური წარმოება იყო ის, რაც მარქსის სიტყვებით — განსაზღვრავდა ყველა დანარჩენი წარმოების ადგილსა და გავლენას[1].

გეგმაზომიერი მსხვილი მანქანური წარმოებისა და მისი შესაბამისი განაწილების ორგანიზება საბჭოთა სახელმწიფოს ურთულეს ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენდა. ამ ამოცანის გადაწყვეტა უზრუნველყოფდა ძველი რუსეთის ერთ-ერთი უბედურებიდან — წვრილგლეხური მეურნეობიდან გამოსვლას, საწარმოო ძალების განვითარებასა და სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ფორმირებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

„სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი — წერდა ვ. ი. ლენინი — შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა..., მაგრამ ეს ზოგადი დებულება საკმაო როდია, საჭიროა მისი კონკრეტიზაცია. მსხვილი მრეწველობა, რომელიც თანამედროვე ტექნიკის დონეს შეეფერება, არის მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“[2].

ქვეყნის სრულ ელექტრიფიკაციას ვ. ი. ლენინი იხილავდა, როგორც სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შინაარსს, უახლესი ტექნიკის საფუძველზე სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის ერთადერთ ტექნიკურ ბაზას. „ჩვენ უნდა გვქონდეს ახალი ტექნიკური ბაზა ახალი ეკონომიური მშენებლობისათვის, ამ ახალ ტექნიკურ ბაზას ელექტროზა წარმოადგენს“[3].

ელექტრიფიკაციის შეფასებისას ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა ელექტრიფიკაციის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ შედეგებს. „ელექტროფიკაცია გარდაქმნის რუსეთს — წერდა იგი, — ელექტროფიკაცია საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, შექმნის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის საფუძვლებს, კულტურული ცხოვრების საფუძვლების საბოლოო გამარჯვებას“[4].

გოელროს — ელექტრიფიკაციის პირველი კონკრეტული განხორციელე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 290-191.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 32, გვ. 584.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 30, გვ. 433.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 31, გვ. 632.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გეგმას, მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო ვ. ი. ლენინი პარტიის მეორე პროგრამას უწოდებდა. კითხვას „ელექტროფიკაცია ჰგავს ელექტროფიკაციას...“ „რატომ გაზიფიკაცია არა“ — ვ. ი. ლენინი პასუხობდა — „გეგმა გარდა იმისა, რომელიც უკვე შემუშავებულია „გოელროს“ მიერ, არ არის და არც შეიძლება იყოს, იგი უნდა შევავსოთ, შემდგომ გავავითაროთ... პრაქტიკული გამოცდილების მითითებათა საფუძველზე“[5].

ცხადია მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ძირეულ გარდაქმნას და არა გარკვეული რაოდენობის ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ან საწარმოო პროცესს.

ელექტრიფიკაციის საფუძველზე საზოგადოების გარდაქმნა მატერიალური წარმოების ღრმა მეცნიერულ ანალიზს ემყარება და საზოგადოების განვითარების მარქსისტული თეორიის შემდგომ სრულყოფას წარმოადგენს.

ელექტრიფიკაციის არსის სწორად განსაზღვრა მოითხოვს რომ იგი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან მჭიდრო კავშირში განვიხილოთ.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსის, ხასიათისა და მიმართულების, ამასთან მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან ელექტრიფიკაციის კავშირის განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კანონზომიერებათა დადგენისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკაში მათი გამოყენებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებზე არსებული ფართო ლიტერატურის განხილვა გვიჩვენებს, რომ აზრთა სხვადასხვაობაა ისეთ საკითხებზეც თუ რა არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და სამრეწველო რევოლუცია: რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან და სხვ. ყოველივე ეს გარკვეულად ართულებს დასახული პრობლემის კვლევას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი კაცობრიობის მიერ ბუნების კანონების მუდმივი შეცნობისა და წარმოებაში მათი გამოყენების ერთობლივი პროცესია. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განსაკუთრებული ფორმაა, მისი ღერძი და ბირთვია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემადგენელი ელემენტები — მეცნიერება და ტექნიკა ისტორიულად იცვლებიან. მეცნიერული შემეცნება უძველესი დროიდან ვითარდება, მაგრამ მექანიკის უმარტივესი კანონების პრაქტიკული გამოყენება მათ წინასწარ აღმოჩენასა და ფორმულირებას არ მოითხოვენ და წარმოებაში გამოყენებული ტექნიკა გარკვეულ დრომდე ადამიანის ემპირიული ცოდნის შედეგს წარმოადგენს.

ემპირიულ გამოცდილებათა დაგროვებას ემყარება მექანიკის დასაწყისი. ტექნიკური გამოგონებანი მანუფაქტურის პერიოდში ტექნიკურ რევოლუციას ამზადებენ, ხოლო მათი გამოყენების გამოცდილების საფუძველზე ყალიბდება მეცნიერების განვითარების ახალი პერიოდი. სამრეწველო რევოლუცია, რომელიც XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დამდეგის ტექნიკური რევოლუციით დაიწყო, მანქანურ წარმოებას ამკვიდრებს და მეცნიერებას ტექნიკური პროგრესისა და საზოგადოების განვითარებისაგან განუყოფელს ხდის. მანქანური წარმოება წარმოშობს მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კავშირის ახალ ფორმებს. „შრომის საშუალება მანქანების სახით—

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 32, გვ. 165, 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მარქსის სიტყვებით — ისეთ საარსებო მატერიალურ ფორმას იღებს, რომელიც განაპირობებს ადამიანის ძალის შენაცვლებას ბუნების ძალით და ემპირიული რუტინული წესების შენაცვლებას ბუნებისმეცნიერების შეგნებული გამოყენებით“[6]. ამრიგად მეცნიერება უშუალო საწარმოო ძალად იქცევა.

სამრეწველო გადატრიალებიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრინციპი ხდება მანქანური წარმოების განვითარება. მანქანური წარმოების, ე. ი. მანქანების მიერ მანქანების წარმოების განვითარების დონეს შეესაბამება ტექნიკური საშუალებების მიერ ადამიანის საწარმოო ორგანოების სხვადასხვა მხარეების დაუფლების ხარისხი. „ტექნიკური პროგრესი იმაში გამოიხატება — წერს ვ. ი. ლენინი — რომ ადამიანის შრომა სულ უფრო და უფრო იხევს უკანა რიგში მანქანური შრომის წინაშე“[7].

მანქანური წარმოების განვითარების იმ ეტაპზე, რომელიც მოიცავს მანქანურ-ფაბრიკული წარმოების პერიოდს, მეცნიერება როგორც წესი ძირითადად ხელს უწყობდა არსებული ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნიკის სრულყოფას. ტექნიკის განვითარება დაკავშირებული იყო სხვადასხვა სახის ენერგიის მიღების, გადაცემის, გარდაქმნისა და გამოყენების საკითხებთან. სწორედ ამიტომ სამრგოლიანი სისტემის მანქანების პირობებში ადამიანმა ტექნიკურ საშუალებებს გადასცა მექანიკური ფუნქციები. ამით იგი მხოლოდ ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლდა, ხოლო მანქანის მართვის ფუნქციები მას დარჩა.

მეცნიერების აღმავლობის მატერიალური ბაზა მანქანური წარმოების დამკვიდრებამ შექმნა, მაგრამ პრინციპულად ახალი სახის ტექნიკისა და ტექნოლოგიური პრინციპების წარმოების უნარი მან მოგვიანებით, მეცნიერების, ტექნიკის, წარმოებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების განვითარების გარკვეულ ეტაპზე გამოავლინა. ელექტრობის თეორიის მატერიალიზაციით დაიწყო მეცნიერებამ თვისობრივად ახალი ფუნქციების შესრულება.

მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირში სამრგოლიანი სისტემის მანქანების უწყვეტლივ გაუმჯობესებამ — ძრავების სიმძლავრეთა გადიდებამ, სამუშაო სიჩქარეთა ზრდამ, ოპერაციის კომბინირების შესაძლებლობის გაფართოებამ და ა. შ. მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით წარმოების ექსტენსიური განვითარებიდან ინტენსიურზე გადასვლის აუცილებლობა გამოიწვია.

წარმოების უწყვეტობისა და ინტენსიფიკაციის განხორციელებას თანდათანობით წინ აღუდგა ადამიანი, მისი ბიოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ შესაძლებლობათა შეზღუდულობანი. აღნიშნულ პრობლემათა გადასაწყვეტად საჭირო გახდა არა „მუშა ხელის“, არამედ გონებრივი ძალის დაგრძელება.

თუ ადრე საწარმოო შესაძლებლობათა გასადიდებლად ადამიანმა არაცოცხალ ბუნებას მიმართა, თავისი ინტელექტუალური პოტენციალის გასაფართოებლად მან ცოცხალ ბუნებას, მართვის ყველაზე სრულყოფილ სისტემას, თვით თავის თავს მიმართა.

მართვის ფუნქციების ტექნიკურ საშუალებებზე გადაცემით დაიწყო მანქანური წარმოების განვითარების ახალი ეტაპი, „ადამიანი — მანქანა“ — სის-

[6] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 489.
[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 1, გვ. 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემის ისტორიული განვითარების მსვლელობაში ადამიანსა და მანქანას შორის წარმოების ფუნქციების გადანაწილების რევოლუციური პერიოდი. ამრიგად, სამრგოლიანი სისტემის მანქანების განვითარებამ საფუძველი მოუმზადა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას; მანქანური წარმოების ახალ ეტაპზე — მანქანურ-კომპლექსურ წარმოებაზე გადასვლას.

მანქანური წარმოების განვითარებაში ელექტრობის როლი განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ელექტრიფიკაციის ურთიერთკავშირს. მსხვილ მანქანურ წარმოებაში ვ. ი. ლენინი გულისხმობდა რა მოწინავე ტექნიკას[8], წერდა „თანამედროვე მოწინავე ტექნიკა გამუდმებით მოითხოვს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციას“[9]. უფრო მეტიც, ელექტრიფიკაციას იგი თვლიდა როგორც ტექნიკის განვითარების საზომს[10].

„მხოლოდ ელექტრო ენერგიაზე ბაზირებით მთელ რიგ ტექნოლოგიურ პროცესებში ჩვენ ვაღწევთ ზღვრულ სიჩქარულ ტემპებს... მანძილის ადვილად გადალახვის, ადვილად ტრანსფორმირების, მოქნილობისა და მის უსაზღვრო დანაწილებასთან ერთად ძვირფასია ელექტრო ენერგიის არაჩვეულებრივად სათუთი რეგულირების უნარი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნიკის ტექნოლოგიური პროცესების, მათი წარმოების ავტომატიზაციისათვის“[11]. თვალსაჩინო საბჭოთა მოღვაწისა და გოელროს გეგმის განხორციელების ერთ-ერთი ორგანიზატორის გ. მ. კრჟიჟანოვსკის მიერ 30-იან წლებში მოცემულ ელექტრო ენერგიის ამ დახასიათებაში მათი გამოყენების ჰორიზონტები თანამედროვე მეცნიერულ ტექნიკურ რევოლუციას წვდება.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მეცნიერები რა აზრისაც არ უნდა იყვნენ ისინი ამ მრავალფეროვანი პროცესის ამოსავალი პუნქტისა და წამყვანი რგოლის შესახებ მათ განხორციელებას აუცილებლად ელექტრობის გამოყენებას უკავშირებენ. ასე მაგალითად, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. არაქელიანი, რომლის თვალსაზრისით თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ამოსავალ და განმსაზღვრელს წარმოადგენს შრომის იარაღების ცვლილება, აი რას წერს ამის შესახებ — „ტექნოლოგიურ პროცესებში ძირეული ცვლილებების განხორციელებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ელექტრიფიკაციას. ეს უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმით, რომ ტექნოლოგიური პროცესები რომლებიც ხორციელდება მანქანების ავტომატური სისტემით, შესაძლებელია მხოლოდ ელექტრო ენერგიის გამოყენების პირობებში“[12].

მიუხედავად ამისა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როდესაც წინა პლანზე წამოიჭრენ მისი ცალკეული მიმართულებანი, ელექტრიფიკაციას უბრალოდ იხილავენ, როგორც ტექნიკური პროგრესის მიმართულებას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ძალური პროცესების ელექტრიფიცირების დონეს და სხვადასხვა საჭიროებისათვის ელექტრო ენერგიის გამოყენების დახასიათებით კმაყოფილდებიან.

---

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 584.

[9] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 145.

[10] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 584.

[11] Вопросы электропередачи больших мошностей на большие растояния, Труды конференций, Л.—М., 1932, с. 11,

[12] А. А р а к е л я н, Научно-техническая революция и воспроизводство основных фондов, «Вопросы экономики», № 4, 1973, с. 102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრიფიკაციის განსაზღვრებაში, თუმცა სამართლიანად გამოდიან ელექტრობის თვისებებიდან მის უშუალო არსს არ გადმოგვცემენ.

ელექტრიფიკაციის არსის არასწორი გაგება აშკარად ვლინდება კომუნიზმის შესახებ ვ. ი. ლენინის ცნობილი ფორმულის პლუს ქიმიზაციით „შევსების“ ან ელექტრიფიკაციის ატომიზაციით, კოსმიზაციით და ა. შ. შეცვლისა და ახლებურად ციტირების ცდებში.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სსრ მეცნიერეთა ერთობლივ შრომაში იხილავენ რა ამ საკითხებს ელექტრიფიკაციის, ატომიზაციით, კოსმიზაციით, ბიოლოგიზაციით და ა. შ. შეცვლის წინააღმდეგ გამოდიან. „ლენინური ფორმულა დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში — წერენ ისინი — საჭიროა გავიგოთ და განვმარტოთ მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი დონის გამომსახველად თანამედროვე ისტორიულ პერიოდში, მსგავსად იმისა, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ, შესაბამისად ასეთ მაღალ დონეს გამოხატავდა დებულება მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაციის შესახებ“[13].

თანამედროვე ისტორიულ პერიოდში რამდენადაც მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უმაღლეს დონეს გამოხატავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არა ცალკეული მიმართულებანი, არამედ მათი ერთობლიობა, დებულებას ელექტრიფიკაციის შესახებ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით ცვლიან. აქედან გამომდინარე წერენ „დღეს ეს ფორმულა არსებითად გამოხატულია სოციალისტური წყობილების უპირატესობების მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებთან ორგანულად შეერთების დებულებაში“[14].

ამრიგად, თუმცა სამართლიანად უსვამენ ხაზს აღნიშნული ფორმულის შინაარსის, მთელი აზრის უცვლელობას, ელექტრიფიკაციის მასშტაბებს გოელროს გეგმის განხორციელებით ზღუდავენ. ელექტრიფიკაციას ინდუსტრიალიზაციის ჩარჩოებში ათავსებენ. მაშინ როდესაც ელექტრიფიკაციის ამოცანები გოელროს გეგმის განხორციელებით არ ამოწურულა. ელექტროენერგიის გამოყენების ბაზაზე სახალხო მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღებისა და ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდის პრინციპის აქტუალობა „რსფსრ ელექტრიფიკაციის გეგმის სხვა ძირითად პრინციპებთან ერთად გოელროს გეგმის“ რეალიზაციის შემდეგ ოდნავ არ შემცირებულა. პირიქით, კიდევ უფრო გაიზარდა. სწორედ ამიტომ, როგორც აკადემიკოსი ა. მ. ლეონტიევი აღნიშნავს „უკვე მომწიფდა აუცილებლობა გულმოდგინედ შემუშავდეს მეოცე საუკუნის ბოლომდე საწარმოო ძალთა განვითარების ახალი კომპლექსური გეგმა (ჰიპოთეზა), რომლის ბირთვად დარჩება სოციალისტური დაგეგმვის პირველი ნიმუშით — გოელროს ლენინური გეგმით გათვალისწინებული, ქვეყნის გეგმური და ღრმა ელექტრიფიკაცია“[15].

ელექტრიფიკაციის ლენინური დებულება, რომელიც იმთავითვე გულისხმობდა სოციალისტური წყობილების უპირატესობების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებთან ორგანულ შეერთებას, საზოგადოებრივი წარმოების განვითარებასთან ელექტრობის კავშირს ემყარება. ელექტრიფიკაციის არსს სწორედ ეს კავშირი განსაზღვრავს. იგი გამორიცხავს ენერგეტიკის ახალი ფორმების შესაბამისად ელექტრიფიკაციის ატომიზაციით და ა. შ. შეცვლას.

---

[13] Научно-техническая революция и социализм, М., 1973, с. 61.

[14] იქვე, გვ. 61.

[15] Газ. «Известия», 24 марта 1967 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ მანქანური წარმოება, რომლის პირმშოსაც სოციალიზმი წარმოადგენს ენერგეტიკაში მომხდარი რევოლუციით არ ყოფილა გამოწვეული. სამრეწველო რევოლუცია, როგორც მარქსი აღნიშნავს გამომდინარეობს არა მამოძრავებელი ძალიდან, არამედ მუშა მანქანიდან, რადგან იგი იწყება მექანიზმების გამოყენებიდან... იქ, სადაც ადამიანი ნივთთა ბუნების ძალით იმთავითვე არ წარმოადგენდა მხოლოდ უბრალო ძალას[16]. მაგრამ ქვეყნის ძველი დასაყრდენის შერყევის ძირითად ბერკეტს მუშა მანქანასთან ერთად შრომის დანაწილება და ორთქლის ენერგია წარმოადგენდა. ფ. ენგელსის სიტყვებით, რომ ვთქვათ, — ... ორთქლმა და ახალმა მუშა მანქანებმა მანუფაქტურა მსხვილ ინდუსტრიად აქცია და ამით ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი საძირკველი გაარევოლუციურა[17].

მუშა მანქანის შექმნამ გამოიწვია რევოლუციის მომასწავებელი ორთქლის მანქანის აუცილებლობა, რევოლუციის აუცილებლობა ენერგეტიკაში. იარაღების ადამიანის ორგანიზმის იარაღებიდან სამუშაო მანქანის იარაღებად გადაქცევამ მამოძრავებელ მანქანას დამოუკიდებელი ფორმა მიანიჭა. გაათავისუფლა იგი იმ შეზღუდვებისაგან, რომელიც თან ახლავს ადამიანის ძალას[18]. ადამიანის მამოძრავებელი ძალა ორთქლმა შეცვალა.

XVII საუკუნეში ამრიგად დაწყებული სამრეწველო რევოლუციის გვირგვინს მანქანური წარმოების წესის დამკვიდრება წარმოადგენდა, რომელმაც შეცვალა მატერიალური წარმოების არსი. მსხვილი მრეწველობა თავისი დამახასიათებელი საწარმოო საშუალებების, მანქანით მანქანის წარმოების დაუფლებით თავის საკუთარ ფეხზე დადგა და დასაბამი მისცა ერთხელ მოხვედრილი სამრეწველო ბიძგის უსასრულებას, — ხელით შრომის მანქანურით შეცვლას.

ორთქლის ძალამ, რომელმაც ადამიანის მამოძრავებელი ძალა შეცვალა, გარკვეულ თვისებათა გამო ვერ უზრუნველყო მანქანური წარმოების შემდგომი განვითარება. ორთქლის ენერგიამ ვერ უპასუხა მანქანური წარმოების უკვე გაბატონებულ პრინციპს, „რომელიც იმაში მდგომარეობს, — წერს მარქსი, — რომ დაანაწილოს წარმოების პროცესი მის შემადგენელ ფაზებად და ამგვარად წარმოშობილი პრობლემები გადაწყვიტოს მექანიკის, ქიმიის და სხვ. გამოყენებათა საშუალებით. მოკლედ ბუნებისმეცნიერებათა საშუალებით“[19].

ელექტრონის მარქსისტულმა გაგებამ, რომელიც მოგვცა ვ. ი. ლენინმა, დაანგრია ძველი თეორია მატერიის აღნაგობის შესახებ და უდიდესი ბიძგი მისცა ბუნებისმეცნიერების შემდგომ განვითარებას. ელექტრობამ, მოძრაობის ამ ახალმა ფორმამ, როგორც ენერგიის ყველაზე სრულყოფილმა და შუალედურმა რგოლმა და არა როგორც ენერგეტიკის საბოლოო ფორმამ, ბუნებისმეცნიერების განვითარების საფუძველზე უსასრულო პერსპექტივები დაუსახა მანქანური წარმოების პრინციპის განვითარებას. ელექტრობა გახდა სამრგოლიანი მანქანიდან ოთხრგოლიანზე გადასვლის, მანქანის ყველა რგოლის რევოლუციური ცვლილების, მანქანურ-ფაბრიკული წარმოებიდან კომპლექსურ-ავტომატიზებულ სისტემაზე გადასვლის საფუძველი.

---

16 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 30, с. 264.
17 Ф. Энгельс, Анти-Диуринг, М., 1967, с. 264.
18 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 479.
19 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 583.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრობის შეჭრამ წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში და წარმოების პროცესების ელექტრონიფიკაციამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ელექტრობა წარმოადგენს პრინციპულად ახალი ტიპის წარმოების ტექნიკურ საფუძვლებს. ამ თვალსაზრისს სრულებით ვერ ცვლის ის ფაქტი თუ როგორ იქნება მიღებული ელექტროენერგია: ტორფისაგან, ქვანახშირის თანმხლები გაზებისაგან და სხვ. რასაც ადგილი ჰქონდა ვ. ი. ლენინის ცხოვრების პერიოდში, თუ ატომური ენერგიისაგან, ან კიდევ მაგნიტოჰიდროდინამიკური გენერატორების, თერმობირთვული ენერგიის და სხვა საშუალებით მომავალში.

ამრიგად ელექტრიფიკაციის არსი ენერგეტიკული, ანუ მამოძრავებელი ძალის უბრალო შეცვლით არ ამოიწურება. სახალხო მეურნეობის სრული ელექტრიფიკაცია არის არა მარტო ელექტროენერგიის წარმოება, ან კიდევ მისი უშუალო გამოყენება, არამედ თანამედროვე ტექნიკის განვითარების მთავარი შინაარსი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი რგოლი და მისი ერთობლივი შედეგია.

ამასთან ელექტრიფიკაცია, ტექნიკური პროგრესი სოციალური მოვლენაა. მას განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი გააჩნია. ტექნიკური პროგრესის მიმდინარეობა და შედეგი სხვადასხვა სოციალურ პირობებში განსხვავებულია. თუ პატრიარქალურ მეურნეობაში არ არის არავითარი შინაგანი იმპულსი ტექნიკის გარდაქმნისა, კაპიტალისტური წარმოების წესის ფორმირების პროცესში წარმოშობილი მატერიალური ბაზისი — მარქსის სიტყვებით — რევოლუციური ხდება. ამ ბაზისის გაჩენიდან საწარმოო ძალების განვითარებას თან ახლავს მათი მუდმივად განახლების ტენდენცია. ამასთან ეს შინაგანი კანონზომიერებანი წარმოიშობიან მხოლოდ იმ ზომით, თუ როგორ უზრუნველყოფენ ისინი საზოგადოებრივ წარმოებრივ ურთიერთობათა ფუნქციონირებასა და განვითარებას.

კაპიტალისტური წარმოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც თავდაპირველად უზრუნველყოფდნენ მწარმოებლური ძალების განვითარებას, შემდგომ მის ბორკილებად იქცევა. კაპიტალიზმის პირობებში მოქმედი ეკონომიკური კანონები განსაზღვრავენ ტექნიკური პროგრესის წინააღმდეგობრივ ხასიათს. ახალი ტექნიკის გამოყენების მიზანი — მოგების ნორმის გადიდება — კაპიტალიზმის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. „მანქანა კაპიტალის ხელში, — როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, — იქცევა ობიექტურ და სისტემატურად გამოყენებულ საშუალებად, იმისათვის, რომ იმავე დროის განმავლობაში მეტი შრომა იქნეს გამოწურული“[20]. მანქანა, რომელსაც ძალუძს შეამსუბუქოს ადამიანის შრომა და გაზარდოს მისი მწარმოებლურობა ვ. ი. ლენინის სიტყვებით „...სულ უფრო და უფრო გადაიზრდება იმ საზოგადოებრივ პირობად, რომლებიც მშრომელებს დაქირავებულ მონობას არგუნებს“[21].

მანქანის კაპიტალისტური გამოყენების სოციალური შედეგი ამწვავებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს. ამიტომ, როგორც სკკპ XXII ყრილობის მასალებშია ნათქვამი „მეცნიერების ახალი მიღწევების დანერგვა, ტექნიკური პროგრესი არა თუ სპობს, არამედ კიდევ უფრო აღრმავებს კაპიტალიზმის გადაუჭრელ წინააღმდეგობებს“[22].

---

[20] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 522.

[21] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 50.

[22] სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბ., 1962, გვ. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავება „წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ყველაზე მძლავრ მამოძრავებელ ძალას“[23] — გვასწავლის ვ. ი. ლენინი. ამ თვალსაზრისით, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე ეპოქა არის ელექტრობის ეპოქა, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა, „კომუნიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლებას პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“[24].

ელექტროფიკაციის განხორციელების, ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში ელექტროენერგიის გამოყენების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ელექტროტექნიკური მრეწველობა წარმოადგენს. ელექტროტექნიკური მრეწველობის სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა ელექტრიფიკაციის როლით განისაზღვრება. ელექტრიფიკაციის დონე, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას დამოკიდებულია ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარებაზე. „ელექტროსადგურების მოქმედება — ნათქვამია რსფსრ ელექტროფიკაციის გეგმაში — საიმედო ხდება მხოლოდ მაშინ, თუ გვერდით არსებობს შესაბამისად განვითარებული ელექტროტექნიკური მრეწველობა“[25].

მანქანათმშენებლობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი — ელექტროტექნიკური მრეწველობა აწარმოებს ელექტროგაწყობილებათა კომპლექსს ელექტროენერგიის წარმოების, განაწილების, გარდაქმნის, გადაცემისა და გამოყენებისათვის. ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის დამახასიათებელი მეცნიერული კვლევისა და საინჟინრო გადაწყვეტილებათა ურთიერთგავლენა ელექტრიფიკაციის განხორციელებაში მისი ფუნქციიდან გამომდინარეობს. ამ ურთიერთგავლენათა გამო მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიაში იგი განიხილება, როგორც წმინდა მეცნიერული ხასიათის მრეწველობა. სახალხო მეურნეობაში სწორედ ელექტროტექნიკური მრეწველობის ფუნქცია განსაზღვრავს მისი წინგამსწრები ტემპებით განვითარების აუცილებლობას, პროდუქციის ასორტიმენტის მრავალფეროვნებას და მათი განახლების სიხშირეს.

პროდუქციის ასორტიმენტის მრავალფეროვნება და მათი განახლების სიხშირე ელექტროტექნიკური მრეწველობის ფუნქციიდან გამომდინარე დარგის ძირითად თავისებურებებს წარმოადგენენ. გარდა აღნიშნულისა ელექტროტექნიკური მრეწველობა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ: 1) საწარმოო პროცესების მრავალფეროვნება და სირთულე; 2) წარმოების სხვადასხვა ტიპის ხშირი შეთავსება; 3) ცალკეული საწარმოო პროცესების ხანგრძლივობა და ხელით შრომის სიჭარბე; 4) პროდუქციის მრავალმხრივი საწარმოო გამოცდა; 5) ნაირსახეობის მასალათა გამოყენება; 6) გამოყენებულ მასალათა თვისებებზე ნაკეთობათა ხარისხის მჭიდრო დამოკიდებულება და მრავალი სხვა.

ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარების ისტორია ჩვენს ქვეყანაში რევოლუციის წინა პერიოდიდან იწყება. რევოლუციამდელ რუსეთში არსებული ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოები ზოგიერთი სახის პროდუქციაზეც მოთხოვნებს მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით აკმაყოფილებდა. ეს იყო ელექტროტექნიკური მრეწველობის მანქანათმშენებლობის დამოუკიდებელ დარგად ფორმირების პროცესი, რომელსაც ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ საკუთარი საწარმოო ბაზა გააჩნდა.

---

[23] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 379.

[24] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 634.

[25] План электрификации РСФСР, изд. 2, М., 1955, с. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციამდელი რუსეთის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში უცხოეთის კაპიტალი ბატონობდა. მისი ხვედრითი წილი მთელი დაბანდებული კაპიტალის 70,3 პროცენტს შეადგენდა. უცხოეთის კაპიტალი დარგის სპეციალიზაციას, მის განვითარებას განსაზღვრავდა და შემდგომში მასზე დამოკიდებულებას განამტკიცებდა. უცხოეთის კაპიტალზე დამოკიდებული რუსეთის ელექტროტექნიკური მრეწველობა პროდუქციის წარმოების მოცულობით გერმანიას 14-ჯერ, აშშ-ს 11,5-ჯერ, ხოლო ინგლისს 6,5-ჯერ ჩამორჩებოდა. რუსეთზე ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის მსოფლიო წარმოების მხოლოდ 2,5 პროცენტი მოდიოდა.

ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარების ახალი ეტაპი გოელროს გეგმის შედგენით იწყება. იგი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ომის წინა ხუთწლედების პერიოდს მოიცავს.

ოქტომბრის რევოლუციამ პროლეტარიატის ბატონობა დაამკვიდრა. პროლეტარიატმა ქვეყნის ეკონომიკაში მბრძანებელი სიმაღლეები დაიკავა, საფუძველი ჩაუყარა ახალ, საბჭოთა სახალხო მეურნეობას და შექმნა პირობები სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს გარეშე და შინაურმა მტრებმა საბჭოთა ხალხი აიძულა შეეწყვიტა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა. სამოქალაქო ომმა მოშალა ქვეყნის ეკონომიკა. 1920 წელს ჩვენს ქვეყანაში ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის წარმოებამ 1913 წლის წარმოების დონის მხოლოდ 12 პროცენტი შეადგინა.

ელექტრიფიკაციის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების მთავარი პირობა — ერთიანი სამეურნეო გეგმის განუხრელი განხორციელება, ელექტროტექნიკური მრეწველობის ჩქარი ტემპით განვითარებას მოითხოვდა. ელექტროტექნიკური მრეწველობა მანქანათმშენებლობის სხვა დარგებზე ადრე იქნა აღდგენილი. ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის წარმოებამ 1924—1925 წწ. უკვე მიაღწია 1913 წლის დონეს.

„წარმოადგენს რა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელების საფუძველს — სამეურნეო საკითხებზე კომუნისტური პარტიის დირექტივებში ნათქვამი იყო — ელექტრიფიკაცია მუშათა კლასის წინაშე ერთ-ერთი პირველი რიგის უმნიშვნელოვანესი ამოცანის სახით სვამს საბჭოთა მძლავრი დენის ელექტროტექნიკური მრეწველობის ისეთი განვითარების ამოცანას, რომ იგი ელექტრომშენებლობის მამუხრუჭებელი, „ვიწრო ადგილიდან“ ელექტრიფიკაციის წინგამწევ და სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ელექტრო ენერგიის ფართო დანერგვის მძლავრ პიონერად გადაიქცეს“[26].

მართლაც 1940 წელს ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ 1913 წელთან შედარებით 30,8-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში შეიქმნა მსხვილი და საშუალო ელექტრომანქანების, ელექტროაპარატების, კაბელების, შუქტექნიკის, ელექტრონული, რადიო და მაღალი ძაბვის ტექნიკის მძლავრი სამრეწველო-საწარმოო ბაზა, სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციათა ფართო ქსელი და ფუნდამენტური შრომები ელექტროტექნიკის თეორიაში.

ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარების შემდგომი პერიოდი

[26] *Директивы ВКП (б) по хозяйственным вопросам. М.-Л., 1931, с. 681.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

1947 წლიდან იწყება. ეს არის ელემენტარული ნაწილაკის დამჩქარებლის, მძლავრი ვაკუმური ხელსაწყოების, რადიოტექნიკური და რადიოლოკაციური დანადგარების შექმნისა და ბოლოს, დაბალვოლტიანი ლამპებიდან ნახევარგამტარებიან ტრანზისტორებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ღრმა სპეციალიზაციის საფუძველზე მძლავრი დენის ელექტროტექნიკის, რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის სამრეწველო-საწარმოო ბაზის გაყოფის პერიოდი.

მძლავრი დენის ელექტროტექნიკური მრეწველობა, რომელიც 1975 წლისათვის 20 დარგისა და ამდენივე ქვედარგისაგან შედგებოდა ელექტრომრეწველობის კვლავ ძირითად რგოლს წარმოადგენდა. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოყენებულ 80 ათასზე მეტი დასახლების პროდუქციას უშვებდა. ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობა 1940 წლის დონეს 35-ჯერ ჭარბობდა და სსრ კავშირი აღნიშნული პროდუქციის წარმოების მოცულობით მსოფლიოში მეორე ადგილზე იმყოფებოდა.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

В. А. НЕНАДИШИН

# НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЙ ПРОГРЕСС И ФАКТОРЫ РАЗМЕЩЕНИЯ ОБЩЕСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

Проблема размещения производительных сил — одна из сторон общей проблемы развития общественного производства, а именно — развития на территории. К. Маркс писал: «Если дана известная ступень развития производительной силы, то всегда требуется и определенное пространство»[1]. Исторический анализ пространственного развития производительных сил наглядно показывает, что оно тесно связано с общим уровнем развития общественного производства. Процесс развития производства во времени и на территории тесно взаимосвязан. Темпы развития, отраслевая структура производства оказывают существенное влияние на размещение производительных сил. В свою очередь территориальная структура и организация производства сильно влияют на эффективность общественного производства, а через это на темпы всего воспроизводственного процесса. Отсюда следует, что решение проблемы рационального размещения может быть осуществлено только в процессе моделирования и решения межрайонной межотраслевой задачи развития и размещения производительных сил. Только при таком комплексном подходе, рассматривая размещение как пространственное развитие, можно добиться согласования отраслевого и территориального оптимумов.

Процесс территориального развития производства регулируется системой закономерностей размещения, которые, отражая общественные отношения, возникающие в процессе пространственного развития производства, представляют собой определенную (пространственную) форму проявления общих экономических законов. Изучение закономерностей размещения имеет важное значение для понимания сущности процесса пространственного развития общественного производства. Однако уяснение общетеоретических основ этого процесса предполагает анализ конкретных форм его проявления. Практика планирования развития и размещения отраслей и формирования территориально-производственных комплексов требует глубокого изучения факторов размещения и регионального развития «...поскольку при помощи этих факторов открывается возможность практически учитывать требования закономерностей размещения производительных сил в хозяйственных планах»[2].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 22, ч. II., с. 342.

[2] Г. И. Граник. Закономерности, принципы и факторы размещения производительных сил в условиях развитого социализма. В сб. Методические проблемы региональной экономики. М., 1976, с. 113.

ᲒᲘᲠᲔᲡᲔᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Изучение факторов размещения и регионального развития предполагает четкое определение самих этих понятий и их классификацию, так как отсутствие среди экономистов единства взглядов по этим вопросам порождает определенные методические трудности. С нашей точки зрения к факторам размещения и регионального развития общественного производства относятся все условия его развития, характеризующиеся определенной качественной или количественной дифференциацией своих территориальных показателей.

Все факторы размещения и регионального развития с определенной долей условности по их генетической сущности можно разделить на две группы: 1) природно-географические; 2) социально-экономические.

Природно-географические факторы являются элементами географической среды. К ним относятся: естественные ресурсы — сырьевые, топливные, земельные, водные, лесные, сельскохозяйственные и другие виды биологических ресурсов; природные условия — климатические, почвенные, рельеф, сейсмичность и т. д.

Социально-экономические факторы являются элементами техногенной среды и к ним относятся: население и трудовые ресурсы; уровень территориальной концентрации созданного на предшествующих этапах экономического развития промышленного потенциала, инфраструктуры, транспорта; развитие основных форм организации производства — концентрации, специализации, кооперирования и комбинирования; социально-политические задачи регионального развития; фактор времени и т. д.

Определенная условность этой классификации заключается в том, что в реальной экономической действительности довольно трудно, а порой невозможно выделить в чистом виде влияние той или иной группы факторов. В большинстве случаев действие географических факторов взаимосвязано, тесно переплетается и всегда в той или иной степени обусловливается действием экономических факторов.

Природно-географические факторы наибольшую роль играют в пространственном развитии сельского хозяйства, добывающих, первичных обрабатывающих отраслей, а также производств, выпускающих продукцию конечного потребления из естественного сырья. На размещение этих видов производственной деятельности они влияют как в период их создания (т. е. определяют уровень единовременных затрат), так и во время функционирования, существенно влияя на уровень текущих издержек. На размещение большинства вторичных обрабатывающих отраслей, производственной и социальной инфраструктуры природно-географические факторы воздействуют в значительно меньшей степени, главным образом через уровень единовременных затрат. Уровень текущих издержек в этих отраслях определяется в основном действием группы социально-экономических факторов.

По уровню влияния на размещение общественного производства все факторы можно также разделить на две группы: факторы меж-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

районного значения, т. е. такие, у которых качественная или количественная дифференциация показателей существенно проявляется только на межрайонном уровне; факторы внутрирайонного значения — дифференциация проявляется главным образом на внутрирайонном уровне.

К межрайонным факторам относятся как географические — большая часть минерально-сырьевых, топливно-энергетических и биологических ресурсов, климат, сейсмичность, так и экономические — население и трудовые ресурсы, транспорт, многие социальные задачи регионального развития и некоторые другие. К внутрирайонным — местные виды топлива, большая часть ресурсов для производства стройматериалов, водные и земельные ресурсы, рельеф и качества грунтов, существующий промаппарат и инфраструктура, социальные задачи по охране окружающей среды и т. д.

Некоторая неопределенность этой классификации заключается в том, что нет четкого критерия, по которому можно было бы с достаточной степенью точности подразделить эти факторы. Кроме того, по мере развития производительных сил наблюдается отчетливая тенденция перехода некоторых факторов из группы в группу. Так, водные ресурсы, существующий промаппарат и инфраструктура в последние годы начинают все чаще влиять на размещение не только внутри районов, но и на межрайонном уровне.

Разделение факторов размещения и регионального развития на меж-и внутрирайонные вытекает из необходимости итеративной увязки процесса решения задачи развития и размещения производительных сил. На первом этапе анализом межрайонных факторов определяется территориальная структура народного хозяйства, после чего на базе внутрирайонных факторов оптимизируется территориальная организация производства внутри каждого экономического района.

Разграничение понятий «фактор размещения» и «фактор регионального развития» основывается на различии в подходах к решению проблемы размещения общественного производства. Факторы размещения (трудо-энерго-, материало-, водоемкость и т. д.) характеризуют экономическое своеобразие той или иной отрасли (или группы отраслей) и условия, которые она предъявляет к району (пункту) размещения.

Любая отрасль обладает определенным комплексом факторов размещения, который определяет ее пространственное развитие. Структура всего комплекса и степень влияния того или иного фактора определяется технико-технологическими особенностями отрасли и уровнем ее развития.

Факторы размещения находят применение при отраслевом анализе, который получил широкое применение в практике планирования развития и размещения производительных сил и в настоящее время отличается глубокой научной разработанностью. Однако он не свободен от некоторых принципиальных недостатков (несбалансированность по немобильным ресурсам; неоптимальность распределения межотрас-

ეროვნული ბიბლიოთეკა

левых ресурсов; невозможность решения региональных задач социального развития и др.).

Факторы регионального развития (наличие в районе сырьевых, топливных, энергетических, водных, трудовых и других ресурсов) находят применение при районном анализе развития и размещения производительных сил. Любой таксон (экономический район, территориально-производственный комплекс, промышленный узел и т. д.) имеет определенный набор региональных условий своего развития, структура которого определяется природными условиями и уровнем развития производительных сил на его территории. Районный подход к решению проблемы размещения производительных сил получил развитие только в последние годы в связи с разработкой «Генеральной схемы развития и размещения производительных сил СССР на 1971-1980 гг.» Позволяя решить некоторые проблемы регионального развития, например, обеспечить сбалансированность по немобильным ресурсам, решение многих социальных задач регионального развития и т. п., районный подход не обеспечивает межрайонной сбалансированности развития общественного производства.

Таким образом, если факторы размещения являются экономическими категориями, определяющими процесс пространственного развития отраслей, то факторы регионального развития определяют формирование территориально-таксономических единиц различного ранга.

Наиболее плодотворным с теоретической точки зрения способом решения проблемы пространственного развития общественного производства является, как уже указывалось, межрайонный межотраслевой анализ. Этот подход основывается на одновременном, комплексном анализе факторов размещения и регионального развития и аккумулирует в себе все положительные стороны отраслевого и районного подходов.

При решении локационных (размещенческих) задач в экономико-математической постановке факторы размещения, если удается определить их количественные характеристики в стоимостной форме, являются коэффициентами системы уравнений и целевой функции. Если же не удается получить стоимостных характеристик (наиболее сложно это сделать для группы социально-экономических факторов), то их влияние учитывается на качественном уровне.

Решение межрайонной межотраслевой модели развития и размещения производительных сил в динамической постановке требует учета временных изменений количественных и качественных характеристик факторов размещения с целью отражения нелинейности функций производства и потребления и различий между районами в структуре и эффективности хозяйства, уровне благосостояния и т. д. Такой подход требует учета воздействия научно-технического прогресса (НТП) на факторы размещения и регионального развития, так как именно он определяет темпы и основные направления пространственного развития производства. Однако относить НТП к факторам размещения, на наш взгляд, нельзя. Научно-технический прогресс является общим ус-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ловнем развития общественного производства, а его воздействие на размещение сказывается через изменения стоимостных характеристик факторов размещения за счет изменения технико-технологических параметров отраслей с одной стороны, и факторов регионального развития за счет вовлечения в производство новых видов ресурсов, освоения новых месторождений и районов, развития существующего промаппарата, транспорта, инфраструктуры, изменения демографической ситуации и т. д. с другой стороны. Поэтому изучение тенденций пространственного развития всего общественного производства и отдельных отраслей должно осуществляться в двух направлениях.

Одним из элементов такого прогноза выступает изучение перспектив изменения техники и технологии, используемого сырья и материалов, топлива и энергии, продукции, численности и квалификации кадров, форм организации производства и управления и т. д. под влиянием научно-технического прогресса в отрасли.

Так, например, в ближайшей перспективе главным направлением развития цементной промышленности страны будет переход к широкому применению сухого способа производства, который позволяет получить годовой экономический эффект (по сравнению с мокрым способом с печами 5х185м) порядка 6 — 9 млн. руб. В более отдаленной перспективе намечается переход к теплоэкономичной низкотемпературной «солевой» технологии, а в дальнейшем к радиационно-химическому способу производства клинкера. Такое направление технического развития приведет к значительному снижению влияния топливно-энергетического фактора на размещение этой отрасли, так как доля затрат на технологическое топливо и электроэнергию, составляющая в настоящее время 35 — 40% в себестоимости продукции, будет снижена до 15 — 25%. Расширение использования в качестве сырьевых ресурсов цементной промышленности доменных гранулированных шлаков, отходов глиноземного производства, зол и шлаков тепловых электростанций, также снижая топливно-энергетическую составляющую (при переработке доменных шлаков, например, в 2 раза), коренным образом изменяет и воздействие сырьевого фактора, способствуя кооперированию и даже комбинированию цементных заводов с предприятиями металлургической, алюминиевой, электроэнергетической отраслей. Ожидаемое в перспективе изменение роли топливно-энергетического и сырьевого факторов, а также изменения в формах организации производства будут способствовать, с одной стороны, переходу цементных заводов европейской части страны на теплоэкономические способы производства, а с другой — стимулировать создание новых цементных мощностей в Восточной Сибири и Казахстане на базе использования огромных вторичных ресурсов местной теплоэнергетики и алюминиевой промышленности.

В перспективе производство стеновых материалов будет во все большей степени ориентироваться на переработку вторичных ресурсов — зол и шлаков тепловых электростанций и других видов сырья. То-

ბიბლიოთეკა

лько в системе Минстройматериалов СССР использование различных видов отходов для производства стеновых материалов в будущем возрастет в 13—15 раз. Это приведет к существенным изменениям в действии сырьевого фактора, потребует усиления комбинирования заводов стройиндустрии с предприятиями электроэнергетической и некоторых других отраслей. В ближайшие годы тепловая электроэнергетика, использующая в качестве энергоносителя уголь, получит наибольшее развитие в Павлодаро-Экибастузском и Канско-Ачинском ТПК. На ее базе в этих районах возникнут крупные энергоемкие производства: цветной металлургии, нефтепереработки и нефтехимии, целлюлозно-бумажной и другие: будет создано большое количество предприятий вспомогательных и обслуживающих отраслей (машиностроение, легкая, пищевая); широкое развитие получит производственная и социальная инфраструктура. Огромные объемы капитального строительства, предусматриваемые в этих районах, требуют существенного увеличения мощностей стройиндустрии. В этом плане комбинирование предприятий стройиндустрии с крупными ТЭС позволит решить две задачи: 1) ликвидировать огромные отвалы золы и шлаков и улучшить экологическую обстановку в районе; 2) обеспечить потребности капитального строительства в дешевых стеновых материалах.

Сдвиги в размещении производства мягких кровельных и гидроизоляционных материалов также будут связаны со значительным увеличением потребления продуктов и отходов химической и некоторых других отраслей промышленности (полиакриламид, зола, цементная пыль), которое в будущем возрастет в 5-6 раз. Освоение технологии производства покровных битумов из остатков атмосферно-вакуумной перегонки еще более усилит связь заводов рулонных кровельных материалов с нефтеперерабатывающими предприятиями. Быстрое развитие нефтеперерабатывающей и нефтехимической отраслей на востоке страны (Западная Сибирь, Казахстан), огромная потребность этих районов в мягкой кровле будет способствовать быстрому росту их производства.

Изменения в размещении стекольной промышленности связаны с тем, что технический прогресс в этой отрасли идет в направлении интенсификации процесса приготовления стекольного расплава на основе повышения температуры варки стекла, что ведет к повышению энергоемкости производства. Так, переход к производству стекла по способу двухстадийного формования увеличил потребление топлива и энергии почти на 10%. Намечаемое в перспективе использование принципиально новых технологий — конверторной, циклонной и др. еще более усилит влияние топливно-энергетического фактора. Учитывая благоприятный топливно-энергетический баланс восточных районов, ослабление влияния сырьевого фактора за счет организации централизованного снабжения стекольных заводов полностью подготовленными для смещения сырьевыми материалами, а также усиление влияния потребительского фактора (потребность в стекле в целом по стра-

მეცნიერება ბიბლიოთეკა

не в будущем увеличится в 2—2,5 раза, а в восточных районах в 3—3,5 раза), можно сделать вывод о значительном в перспективе сдвиге отрасли на восток.

Однако даже глубокое изучение всех направлений научно-технического прогресса не дает возможности с достаточной полнотой прогнозировать количественно определенные изменения роли и значения факторов размещения отрасли. Для достижения количественно определенных результатов и существенного улучшения точности прогноза необходим синтез всех этих направлений и определение их совокупного воздействия на факторы размещения. Осуществить это можно через анализ основных технико-экономических показателей проектов «предприятий будущего» и расчет следующих основных групп показателей: 1) потребление сырья и материалов, топлива и энергии, капитальных вложений (основных фондов), числа занятых (трудовых затрат), земельных и водных ресурсов и т. д. на единицу продукции; 2) аналогичные показатели на одного занятого.

Только на основе расчета и анализа системы технико-экономических показателей можно осуществить экономическое и информационное обеспечение локационных задач в экономико-математической постановке.

Не менее важным моментом прогнозирования пространственного развития общественного производства (особенно отраслей внутрирайонного значения) является анализ тенденций изменения факторов регионального развития. Только на этой основе можно достаточно полно оценить межрайонное значение того или иного фактора размещения и его влияние на пространственное развитие отрасли в перспективе, значение отрасли в формировании и комплексном развитии ТПК и экономических районов, ее роль в решении социальных задач регионального развития. Знание основных тенденций изменения факторов регионального развития позволяет, в случае отраслевой постановки локационных задач, существенно улучшить территориальный аспект решения, приблизив его к народно-хозяйственному оптимуму.

Представлена Институтом экономики и права АН Грузинской ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ფხაკაძე

# ხილ-კენკრეული ღვინის წარმოების განვითარება და მისი პერსპექტივები საქართველოში

ხილ-კენკროვანი ღვინო არის სასმელი, რომელიც მიიღება ხილისა და კენკრის ალკოჰოლური დუღილისაგან. მასში არსებული სიმჟავის ნეიტრალიზაციისა და შემცირების მიზნით, ხილ-კენკრეულის წვენში ჩაემატება გარკვეული ოდენობის შაქრის სიროფი და წყალი. წვენის დადუღების შედეგად მიიღება ისეთი ნატურალური ღვინო, რომლის სიმაგრე 5,5° აღწევს, სიმაგრის შემდგომი გადიდება კი ხდება მასში რექტიფიკაციაქმნილი სპირტის ჩამატებით. ყველაზე მაგარი ხილკენკრეული ღვინო შეიცავს 16—17° სპირტს.

ვიდრე მეცნიერები მივიდოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ხილის წვენისაგან შესაძლებელია ღვინის დამზადება, მანამდე ადამიანები ხილს ხმარობდნენ ნედლი სახით. შემდეგ კი ისწავლეს მისგან ჩირის (ხმელი ხილი) კეთება და პრიმიტიული ფორმით დაკონსერვება.

თავისი შინაარსითა და ტექნოლოგიით ხილ-კენკრეული ღვინო ორ ნაწილად იყოფა: სასორტედ და საკუპაჟედ. სასორტე ანუ ხარისხოვანი ღვინო მზადდება ხილის ან კენკრეულის ერთი რომელიმე სახეობისაგან (მაგ. ვაშლის ღვინო, ალუბლის ღვინო და ა. შ.). საკუპაჟე ღვინო კი მზადდება რამდენიმე ხილ-კენკრეულის წვენის შეერთებით.

დადგენილია, რომ ხილ-კენკრეული ღვინის დასაყენებლად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ მწიფე ხილი და კენკრა, რადგან ვიტამინებით სწორედ სიმწიფის პერიოდში არიან ისინი მდიდარნი. ამასთან, მათი წვენის დუღილის პროცესში ეს ვიტამინები სწრაფად იშლებიან და იხსნებიან, როგორც ამას ხილ-კენკრეული ღვინის ტექნოლოგიური გამოცდილება გვიჩვენებს, ერთი ტონა კულტურული ვაშლის, მსხლის, გარგარის, ჟოლოსა და სხვა კენკრიდან მიიღება 60 დალ წვენი.

ხილ-კენკროვან ღვინოებში მთავარი ადგილი კულტურულ და ტყის (მაჟალო) ვაშლის ღვინოებს უკავია. ვაშლიდან ამზადებენ ორი სახის ღვინოს: მაგარ ღვინოს, რომლის სიმაგრე (სპირტის ჩამატებით) 16° აღწევს, შაქრიანობა კი უდრის 8% და სუსტ ღვინოს — ეს სიდერია, რომელიც პირდაპირ ვაშლის წვენისაგან მიიღება ყოველგვარი ჩამატების გარეშე. ზოგჯერ კი (თუ სიმჟავე დიდია) მასში უმატებენ შაქრის სიროფს, გარდა ამისა, ვაშლის წვენს ფართოდ იყენებენ ქლიავის, შინდის, ქაცვის, გარგარის, ალუჩისა და სხვა სახის ღვინოებში გარკვეული დოზით ჩასამატებლად.

გარდა ზემოთ დასახელებული ხილისა და კენკრეულისა, ხილ-კენკრეულ მეღვინეობაში ფართოდ გამოიყენება სხვა, როგორც კულტურული ხილი, ისე ტყის არასტანდარტული ხილეულობა და კენკრეულობა. მაგრამ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ იგი ჯერ კიდევ მთლიანად არაა შესწავლილი, ახსნილი და დაზუსტებული. ასე, რომ ამ მიმართულებით მომავალში დიდი მუშაობაა ჩასატარებელი.

დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ადგილი არ ჰქონდა ხილ-კენკრეული ღვინის წარმოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე ჩვენი ხალხი ხილს ყოველთვის მხოლოდ ნედლად, საჭმელად გამოიყენებდა. მაგრამ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ისწავლეს მისი გახმობა, ჩირად დაყენება. შემდეგ კი ხელი მიჰყვეს ხილისაგან მურაბების, კონსერვებისა და კომპოტების დამზადებას.

სამართლიანად შენიშნავს ზ. ჩხეიძე, რომ ხილი და კენკრეული მეღვინეობისათვის ნედლეულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, „როცა რაიმე მიზეზით არ მოხერხდება მათი ნედლი სახით მოხმარება და დაკონსერვება. ამ თვალთახედვით ხილ-კენკროვანი მეღვინეობის ობიექტი ტყეში მზარდი ხილ-კენკრა, საკონსერვო მრეწველობისათვის გამოუყენებელი ხილი და საკონსერვო მრეწველობის ზოგიერთი ნარჩენია“[1].

როგორც წესი, ომამდე საქართველოში ხილეულობისაგან არც ერთი ორგანიზაცია არ ამზადებდა ღვინოს. ომის წლებში კი, როცა ერთობ შემცირდა ყურძნის ღვინის წარმოება და იმის გამო, რომ მოთხოვნილება მასზე დიდი იყო და ღვინის ფასების დონეც შესაბამისად გაიზარდა, აქა იქ ჩვენს რესპუბლიკაში ხელი მოჰკიდეს ფალსიფიცირებული ღვინის დამზადებას (ღვინის გაზევრების მიზნით ცალკეულმა პირებმა და ნაწილობრივ ორგანიზაციებმაც, დაიწყეს ღვინოში წყლის ჩამატება, ჭაჭაზე შაქრის დაყრა და წყლის ჩასხმა, სხვადასხვა ნივთიერების მიმატება და სხვა). განსაკუთრებით გაძლიერდა ეს პროცესი ომიანობის პერიოდში. სწორედ ამ დროს ცალკეული პირები იწყებენ ხილ-კენკრეული ღვინის დამზადებას კუსტარული წესით და მის რეალიზაციას მოსახლეობაზე. პირველი ორგანიზაცია, რომელმაც ხელი მოკიდა ხილ-კენკრეული ღვინის დამზადებას საქართველოში იყო ინვალიდთა კოოპერაციული გაერთიანება „კოპინკავშირი“. მაგრამ ამ მიმართებით ფართო გასაქანი არ ჰქონდა და მას ძირითადად ცდის ხასიათი ჰქონდა. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, სულ ჩვენს რესპუბლიკაში 1943 წ. გამოშვებული იყო 100 ლიტრი ხილ-კენკრეულის ღვინო.

ომის შემდგომ პერიოდში კი როდესაც რსფსრ-ში შემავალმა ცალკეულმა რაიონებმა დაიწყეს ხილისა და კენკრეულისაგან ღვინის დამზადება, ხოლო იმის გამო, რომ ეს დარგი ერთობ მომგებიანი შეიქნა, სერიოზულად მოკიდეს ხელი მის წარმოებას თვით რესპუბლიკებშიც (უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და სხვა), საქართველოშიაც თანდათან გადაიდგა ნაბიჯები ამ მიმართულებით. ჯერ „ცეკავშირმა“, შემდეგ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შესაბამისმა გაერთიანებებმა, ადგილობრივმა მრეწველობამ და სხვა, თანდათან იწყეს მეტ-ნაკლები ზომით ამ ღვინის წარმოება. უკვე 1950 წ. საქართველოში გამოშვებული იქნა 2 ათასი დალი ასეთი ღვინო. 1951 წ.—28 ათასი, 1952 წ.—46 ათასი დალი; 1953 წელს მისი წარმოება შემცირდა 9 ათასი დალამდე, 1954 წ.—11 ათას დალამდე. მომდევნო პერიოდში კი მისი წარმოება აღმავალი ტემპით ვითარდება. ასე, მაგ. 1955 წ. გამოშვებულ იქნა 43 ათასი დალი ხილ-კენკრეულის ღვინო. სულ მთლიანად მეხუთე ხუთწლედში 1951—1955 წლებში წარმოებული იყო ჩვენს რესპუბლიკაში — 137 ათასი დალი ხილ-კენკრეული ღვინო.

მეექვსე ხუთწლედში კი ხილ-კენკრეული ღვინის წარმოებამ საქართველოში ასეთი სურათი მოგვცა (იხ. ცხრ. 1).

---

[1] ზ. ჩხეიძე, ხილ-კენკრეული ღვინის ტექნოლოგია, თბ., 1974, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოება მეექვსე ხუთწლედში (1956-1960)

| წლები | ზომის ერთეული | რაოდენობა | ზრდა 1955 წ. შედარებით %%-ით. |
|---|---|---|---|
| 1955 | ათას დალ | 43 | 100 |
| 1956 | „ | 87 | 202,3 |
| 1957 | „ | 180 | 419,0 |
| 1958 | „ | 266 | 619,0 |
| 1959 | „ | 57 | 132,0 |
| 1960 | „ | 50 | —0,12 |
| სულ ხუთწლედში | „ | 640 | |

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მეექვსე ხუთწლედში სულ დამზადებული იქნა 640 ათასი დალი ხილ-კენკროვანის ღვინო ანუ 4,67-ჯერ მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში.

ამ მხრივ უფრო სხვა სურათი მივიღეთ მეშვიდე (1961—1965 წწ.). ხუთწლედში, როდესაც მეხილეობის სწრაფ განვითარებას, ხილ-კენკროვანის დიდი რაოდენობით დამზადებასა და მის სახელმწიფო შესყიდვის ზრდას მოჰყვა ხილ-კენკროვანი ღვინოების წარმოების სწრაფი ზრდაც (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოება მეშვიდე ხუთწლედში (1961-1965 წწ.)

| წლები | ზომის ერთეული | რაოდენობა | ზრდა %-ით წინა წელთან შედარებით |
|---|---|---|---|
| 1961 | ათას დალ | 277 | 100 |
| 1962 | „ | 2107 | 760 |
| 1963 | „ | 1950 | 90 |
| 1964 | „ | 1317 | 66 |
| 1965 | „ | 3222 | 244 |
| სულ ხუთწლედში. | „ | 8873 | — |

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მეშვიდე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში ხილკენკროვანი ღვინის დამზადებამ სულ 8873 ათასი დალი შეადგინა და 14-ჯერ გადააჭარბა თავისი მოცულობით მეექვსე ხუთწლედში დამზადებულ ხილ-კენკროვანი ღვინის დონეს. განსაკუთრებით დიდი იყო ამ ღვინის დამზადება 1965 წელს, როდესაც მან უკვე 3 222 ათასი დალი შეადგინა.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენი რესპუბლიკის კვების მრეწველობის ეს ახალი დარგი, უკვე მყარ ნიადაგზე იმყოფებოდა და მას განვითარების კარგი პერსპექტივა გააჩნდა. ეს პერსპექტივა კი უშუალოდ დაკავშირებული იყო მისი ნედლეულის ბაზის განვითარებასთან.

მოცემულ პერიოდში ხილ-კენკროვანის დამზადებას საქართველოში აწარმოებდა რამდენიმე ორგანიზაცია. კერძოდ, „საქკონსერვხილბოსტანი“, „ცეკავშირი“, „საქმინერალი“ და „საქტყე“. მას ეს გაერთიანებები იყენებდნენ როგორც ხილ-კენკროვანი ღვინის დასამზადებლად, ისე კონსერვების საწარმოებლად, მინერალური წყლებისათვის და წვენების მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე ხუთწლედის პირველი (1966) წლის გეგმა ითვალისწინებდა ველური (ტყის) ხილის დამზადებას 25 ათასი ტონის ოდენობით (მ. შ. 14 000 ტ გამხმარი ხილი) და 200 ტ. ბალის მარწყვის დამზადება. აქედან 24 ათასი ტონა ველური ხილი მოდიოდა გაერთიანება „საქკონსერვხილბოსტანზე", 300 ტ „ცეკავშირზე", 100 ტ „საქმინერალზე" და 600 ტ „საქტყეთესლზე"[2].

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით „საქკონსერვხილბოსტანი"-ს გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა სპეციალური სამმართველო „საქხილღვინოს" სახით, რომელიც აწარმოებდა რესპუბლიკაში ხილკენკრეულ ღვინოს. იგი უკვე ამ დროისათვის აერთიანებდა რესპუბლიკაში არსებულ 19 ხილ-კენკრეული ღვინის ქარხანას. ასეთები იყო: აგარის, ბუკნარის, გორის, დრანდის, ზესტაფონის, თბილისის, კასპის, ლაგოდეხის, ლენინგორის, მერიის, მარნეულის, სამტრედიის, სიონის, ტყვიავის, ქარელის, ყვარელის, ხრესილის, ხარაგოულის და წყალტუბოს ხილ-კენკრეულის ღვინის ქარხნები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებით 1974 წელს გაუქმდა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის გაერთიანება „საქხილღვინო" და მასში შემავალი ხილ-კენკრეული ღვინის ქარხნები დაუქვემდებარდა გაერთიანება „საქკონსერვს"[3]. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1976 წლის 18 მარტს მოახდინა გარკვეული რეორგანიზაცია აღნიშნული გაერთიანების გარდაქმნის მიმართულებით და მის შესაბამისად საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს 1976 წლის 27 აპრილის ბრძანებულებით, გაერთიანება „საქკონსერვი" გადაკეთებული იქნა „საქკონსერვმრეწვად", რომელიც ინარჩუნებს ამ სახელწოდებას დღესაც და რესპუბლიკაში არსებული ყველა ხილ-კენკრეული ღვინოების ქარხნები თავიანთ მეურნეობრივ საქმიანობას აწარმოებენ მისი უშუალო ზედამხედველობით.

როგორც წინა პერიოდში, ისე მერვე ხუთწლედშიაც ხილ-კენკრეული ღვინის წარმოებას საქართველოში მისდევდა რამდენიმე რესპუბლიკური ორგანიზაცია. აქედან უმთავრესი იყო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის გაერთიანება „საქკონსერვხილბოსტანი", მაგრამ როგორც აღვნიშნეთ იგი 1968 წელს გადაკეთდა „საქხილღვინოს" სამმართველოდ. გარდა ამისა ხილ-კენკრეულის ღვინოს ამზადებდა „ცეკავშირი" და ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო.

თუ როგორი ხასიათი ჰქონდა მოცემულ პერიოდში ამ სახის ღვინის წარმოებას ყველა დასახელებული ორგანიზაციის მიერ და მთლიანად რესპუბლიკაში, ეს ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (იხ. ცხრ. 3).

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მერვე ხუთწლედში სულ უფრო იზრდებოდა რესპუბლიკაში ხილ-კენკრეული ღვინის წარმოება. თუ წინა ხუთწლედში (1961—1965 წწ.) ხილ-კენკრეული ღვინის წარმოებამ შეადგინა სულ 8 873 ათასი. დალ, მერვე ხუთწლედში იგი გაიზარდა 22 864 ათას დალმდე ანუ 2,6 ჯერ მეტად.

---

[2] „სამტრესტის" არქივი, ფონ. 1, ანაწ. 1, საქ. 8661, ფურც. 94.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1975, 12 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 3.

ხილ-კენკრეული ღვინის წარმოების დინამიკა საქართველოს სსრ-ში 1966-1970 წწ. (ათას დალ)[1]

| წლები | სულ რესპუბლიკაში | ა ქ ე დ ა ნ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | „საქხილღვინოს“ ხაზით | | ცეკავშირის ხაზით | | ადგილ. მრეწვ. და სხვ. ორგანიზ. | |
| | | აბს | მისი ხვედრი წონ % | აბს | მისი ხვედრი წონა % | აბს | მისი ხვედრი წონა % |
| 1966 | 2969 | 2534 | 85,3 | 141,0 | 4,7 | 294,0 | 10,0 |
| 1967 | 3034 | 2715 | 89,4 | 311,7 | 10,2 | 7,3 | 0,4 |
| 1968 | 4402 | 3176 | 72,2 | 461,4 | 10,5 | 764,6 | 17,3 |
| 1969 | 6029 | 4753 | 78,8 | 519,2 | 8,6 | 756,8 | 12,6 |
| 1970 | 6430 | 5307 | 82,8 | 700,8 | 10,8 | 423,0 | 6,4 |
| სულ ხუთწლედში | 22864 | 18485 | 80,8 | 2123,3 | 9,2 | 2245,7 | 10,0 |

[1] ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და „ცეკავშირის“ გამგეობის მონაცემების საფუძველზე.

ცხრილ 3-ში მოტანილი მასალებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ხილ-კენკრეული ღვინის მთავარი მწარმოებელი რესპუბლიკაში ეს იყო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის შესაბამისი გაერთიანება. (1967 წლამდე „საქკონსერვხილბოსტანი“, ხოლო 1968 წლიდან „საქხილღვინო“), რომელზედაც მერვე ხუთწლედში მოდიოდა მთელი წარმოებული ხილ-კენკრეული ღვინის 80 პროცენტზე მეტი. მეორე ადგილი ეკავა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შესაბამის საწარმოებს (10%), ხოლო მესამე — ცეკავშირს“ (9,2%).

უკვე 1968 წ. როდესაც ჩამოყალიბდა „საქხილღვინო“, ხილ-კენკრეული ღვინის გამოშვება რესპუბლიკაში შემავალი 19 ქარხნიდან, — იწყეს შემდეგმა ქარხნებმა (იხ. ცხრ. 4):

ცხრილი 4.

„საქხილღვინო“ ქარხნების მიერ 1968 წ. გამოშვებული ხილ-კენკრეული ღვინო და მისი რეალიზაცია (ათას მან.)[2]

| ქარხნის დასახელება | ზომის ერთეული | გამოშვებული ღვინო | | | რეალიზაცია | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გეგმა. | ფაქტ. | შეს. % | გეგმა | ფაქტ. | შესრ. % |
| აგარის ქარხანა | ათას დალ | 220 | 259 | 117,7 | 1912 | 2279 | 119,1 |
| ბუკნარის ,, | ,, | 120 | 136 | 113,3 | 2145 | 1996 | 93,1 |
| გორის ,, | ,, | 460 | 644 | 140,0 | 4048 | 5027 | 124,2 |
| ზესტაფონის ,, | ,, | 50 | 67 | 134,0 | 998 | 1460 | 146,1 |
| კასპის ,, | ,, | 580 | 870 | 150,0 | 4789 | 7301 | 152,4 |
| ლაგოდეხის ,, | ,, | 310 | 381 | 122,9 | 2577 | 3383 | 131,2 |
| ქარელის ,, | ,, | 380 | 504 | 132,6 | 3251 | 3669 | 112,8 |
| ხრესილის ,, | ,, | 170 | 229 | 134,7 | 1932 | 2390 | 124,5 |
| ხარაგოულის ,, | ,, | — | 31 | — | 455 | 466 | 102,4 |

[2] ცხრილი შედგენილია „საქხილღვინოს“ გაერთიანების საგეგმო განყოფილების მონაცემების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია 1968 წ. როდესაც ჩამოყალიბდა „საქხილღვინო“-ს სამმართველო, მასში შედიოდა გარდა ჩამოთვლილი ხილ-კენკროვანი ღვინის ქარხნებისა, დრანდის, თბილისის, ლენინგორის, მერიის, მარნეულის, სამტრედიის, სიონის, ტყვიავის, ყვარელისა და წყალტუბოს ქარხნები, მაგრამ მათ ამ წლისათვის პროდუქცია არ გამოუშვიათ; მომდევნო 1969—1970 წლებში, კი ისინი ინტენსიურად ამოქმედდნენ და გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებდნენ.

ხილ-კენკროვანი ღვინის ყველა ქარხნის ეფექტურ მუშაობას ხელს უწყობდა მისი მყარი სანედლეულო ბაზა, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვა. ამასთან, წარმოების პროცესებიდან თანდათან განთავისუფლდა ფიზიკური შრომა და იგი შეცვალა მექანიზაციამ. ამან კი აამაღლა შრომის მწარმოებლურობის დონე; ყოველივე ამის შედეგად სულ უფრო მწარმოებლური და ეფექტური გახდა ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოება.

ამის საუკეთესო მაჩვენებელია ხილ-კენკროვანიდან წვენების გამოსავლიანობის თანდათანი გადიდება (იხ. ცხრ. 5).

ცხრილი 5

ხილ-კენკროვანიდან წვენების გამოსავლიანობის გადიდება არსებული ნორმების შესაბამისად[1]

| ხილ-კენკროვანის დასახელება | წვენების გამოსავლიანობა 1968 წლამდე %%-ით | წვენების გამოსავლიანობა 1968—1970 წწ. %%-ით | ზრდა %%-ით |
|---|---|---|---|
| 1. კულტურული ვაშლი | 59 | 65,0 | 6,0 |
| 2. ველური ვაშლი | 54 | 59,5 | 5,5 |
| 3. კულტურული მსხალი | 59 | 65,0 | 6 0 |
| 4. ველური მსხალი | 48 | 56,5 | 8,5 |
| 5. ალუბალი | 63 | 68,0 | 3,0 |
| 6. მაყვალი | 58 | 70,6 | 12,6 |
| 7. ქლიავი | 56 | 61,0 | 5,0 |
| 8. შინდი | 55 | 68,0 | 13,0 |

[1] ცხრილი შედგენილია „საქღვინოს“ გაერთიანების საგეგმო განყოფილების მონაცემების მიხედვით.

გაერთიანება „საქხილღვინის“ საწარმოო ტექნიკური განყოფილების მონაცემებით, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, წარმოების კულტურის ამაღლებისა და წარმოების მწარმოებლური სიმძლავრეების გაზრდის მიზნით, 1968 წლიდან მოყოლებული 1971 წლამდე, ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებიას ხარჯზე დახარჯული იქნა სულ 8165 ათასი მანეთი. აქედან მარტო ახალი მანქანების შეძენაზე — 4100 ათასი მანეთი.

ნედლეულის უდანაკარგოდ და მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში ათვისებისა და მისი რაციონალურად გამოყენების მიზნით, რეკონსტრუირებულ და ექსპლოატაციაში იქნა გადაცემული ხილის გადასამუშავებელი საამქროები მექანიზირებული ხაზების მოწყობით: ლაგოდეხის, სიონის, ტყვიავის, სამტრედიის, დრანდის და ხრესილის ხილ-კენკროვანი ღვინის ქარხნები, რომლის საერთო მწარმოებლური სიმძლავრე დღე-ღამის განმავლობაში 400 ტონას შეადგენდა.

აშენდა და გადეცა ექსპლოატაციაში ღვინისა და ღვინომასალების საცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები კასპის, მარნეულის, სამტრედიის, ლაგოდეხისა და ყვარელის [illegible]როვანი ღვინის ქარხნებში 600 ათასი დალ მწარმოებლური სიმძლავრით, ღვინის ერთდროული შენახვის თვალსაზრისით, რის შედეგადაც უკანასკნელ 1968—1970 წწ. საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის შენახვის პირობები, მისი ხარისხი და სათანადოდ შემცირდა ბუნებრივი დანაკარგები, აშრობაზე (0,3%-ით). აღნიშნულ წლებში აშენებულ იქნა საქვაბეები და მოეწყო ორთქლის მეურნეობა: კასპის, გორის, ქარელის, სიონის, ყვარელის, დრანდის, ხრესილის და ხარაგოულის ღვინის ქარხნებში, მათში საჭირო სიმძლავრის ორთქლის ქვაბების გათვალისწინებით, რის შედეგადაც მკვეთრად გაუმჯობესდა ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვის, ტექნოლოგიური დანადგარების რაციონალურად გამოყენების, ძირითადი და საბრუნავი ტარის დამუშავებისა და შრომის პირობები.

სისტემის თითქმის ყველა საწარმო აღჭურვილ იქნა პოლონური ან სამამულო წარმოების ჰიდრავლიკური პაკეტური წნეხებით. შემოზიდული და დამონტაჟებულ იქნა უჟანგავი ფოლადის და ემალირებული ცისტერნები ღვინომასალების და ღვინის შესანახად, რომლის საერთო ტევადობამ 1580 ათასი დალ შეადგინა.

მოეწყო შუშის მილგაყვანილობა ღვინო და ღვინომასალების გადასატუმბავად როგორც ღვინის საცავებში, ასევე ჩამომსხმელ ბაქნებზე საერთო გამულობით 15 000 გრძივ მეტრზე. აშენდა და გადაეცა ექსპლუატაციაში სამხაპეები: კასპის, ქარელის, გორის, ყვარელის, ლაგოდეხის, ხრესილის და ბუკნარის ქარხნებში საერთო გამტარუნარიანობით 300 კაცამდე.

აშენდა და გადაეცა ექსპლუატაციაში ღვინის ქარხნების მუშა-მოსამსახურეებისათვის სასადილოები: კასპის, ქარელის, ყვარელის, ბუკნარის და ხრესილის ქარხნებში საერთო გამტარუნარიანობით 250 კაცამდე.

დანერგილი იქნა ახალი ტექნოლოგიური ინსტრუქცია ნედლეულისა და ძირითადი მასალების ხარჯვის პროგრესული ნორმების შესახებ, რის შედეგადაც შემცირდა ნედლეულის დანახარჯები პროდუქციის ერთეულებზე გაანგარიშებით — 7 პროცენტამდე. აგრეთვე დაინერგა ნაყენის მიღების დიფუზორული მეთოდი, რამაც შეამცირა ერთ ტონა ნაყენის დამზადებაზე სპირტის ხარჯვა 14,5 დალ-ით.

გატარებული ღონისძიებების შედეგად „საქხილღვინის" მწარმოებლურ სიმძლავრეთა დონე უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში თითქმის ერთიორად გაიზარდა და 1970 წ. ბოლოსათვის ხილ-კენკროვანი ღვინის გამოშვებამ 6 მლნ დალ-ს გადააჭარბა.

როგორც ითქვა სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის" გაერთიანებას დამოუკიდებლად მარტო ხილ-კენკროვანის წარმოების განვითარების ხუთწლიანი გეგმა არ შეუმუშავებია 1966—1970 წლისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა ამ გაერთიანებაში შემავალი ცალკეული დარგების მიხედვით შედგენილი მერვე ხუთწლიანი გეგმა. რასაკვირველია ჰქონდა როგორც ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოების განვითარებისა, ისე კონსერვების წარმოების, ბოსტნეულის წარმოებისა და სხვა დარგების განვითარების გეგმები, მაგრამ ვინაიდან 1968 წ. გაერთიანებას გამოეყო დამოუკიდებლად სპეციალური ორგანიზაცია „საქხილღვინის" სახით, რომელიც მხოლოდ ამ ნაწარმს ამზადებდა, ამიტომ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას არ მოუპოვებია მონაცემები იმის შესახებ თუ როგორი იყო მთლიანად ხუთწლედის მანძილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების ხასიათის გაერთიანების წლიურ ანგარიშგებაში მოტანილია მთლიანად „საქკონსერვხილ-ბოსტანის“ ხუთწლიანი გეგმის შესრულების მაჩვენებლები (იხ. ცხრ. 6).

ცხრილი 6

„საქკონსერვხილბოსტანის“ გაერთიანების ხუთწლიანი გეგმის შესრულება 1966-1970. წწ.

| დასახელება | ზომის ერთეული | გეგმა | ფაქტიურ. | შესრულების %% |
|---|---|---|---|---|
| რეალიზებული პროდუქციის მოცულობა | მლნ. მან. | 486,7 | 513,1 | 106,7 |
| მთლიანი პროდუქცია | " | 505,2 | 547,6 | 108,8 |
| სასაქონლო პროდუქცია | " | 468,1 | 498,2 | 106,4 |
| შრომისმწარმოებლურობა | მან. | 18481 | 18781 | 101,4 |
| მოგება | მლნ. მან. | 56,3 | 63,5 | 112,8 |
| სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება | ათას მან. | 467145 | 465356 | — |
| დანახარჯები ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე | კაპ. | 93,77 | 93,41 | — |

მოტანილი მონაცემებიდან რასაკვირველია არ შეიძლება გამოვიტანოთ რაიმე კონკრეტული დასკვნა ხუთწლედში საკუთრივ ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოების განვითარებისა და მისი ეკონომიური ეფექტურობის შესახებ, რადგან იგი იძლევა საერთო სურათს გაერთიანება „საქკონსერვხილბოსტანის“ მეურნეობრივი მოღვაწეობის შესახებ მერვე ხუთწლედში, მაგრამ ჩვენ შეიძლება ვიქონიოთ საერთო წარმოდგენა ამის შესახებ, რადგან ამ გაერთიანებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოებას და მის რეალიზაციას

ამიტომ ვკმაყოფილდებით წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების გადმოცემაზე ხილ-კენკროვანი ღვინის დამზადებასა და რეალიზაციის დარგში მხოლოდ 1968—1970 წლებში, რადგან „საქხილღვინოს“ გააჩნია საამისო მონაცემები მხოლოდ ამ წლებისათვის ე. ი. ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების დღიდან 1970 წლამდე, მისი ჩათვლით (იხ. ცხრ. 7).

ცხრილი 7

„საქხილღვინოს“ სამმართველოს მეურნეობრივი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები 1968-1970 წწ. (ათას მან.)[1]

| დასახელება | 1968 წ. | | | 1969 წ. | | | 1970 წ. | | | ზრდა 1970—68 შედარებით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტ. | შესრ. %% | გეგმ. | ფაქტ. | შესრ. %% | გეგმა | ფაქტ. | შესრ. %% | აბს | %% |
| ხილ-კენკროვანი ღვინო [ათას დალ] | 2310 | 3176 | 137,4 | 4113 | 4753 | 115,7 | 51357 | 5307 | 103,4 | 2131 | 67 |
| რეალიზაცია | 25463 | 32430 | 127,4 | 40916 | 44218 | 108,0 | 47143 | 49608 | 105,2 | 17178 | 53 |
| მოგება | 3702 | 5751 | +2049 | 7626 | 9036 | +1410 | 7934 | 8015 | +181 | +2264 | 39 |
| ბრუნვის გადასახადი | 20754 | 22736 | 109,5 | 32254 | 34267 | 106,2 | 38860 | 39726 | 102,1 | 16992 | 74,7 |

[1] ცხრილი შედგენილია „საქხილღვინოს“ საგეგმო განყოფილების მონაცემების მიხედვით.

ეროვნული

მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ „საქხილღვინის“ სამმართველომ, რომელმაც ხელში აიღო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროში შემავალი ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოების მთელი მეურნეობრივი საქმიანობა, — მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მოცემულ (1968—1970) წლებში. ასე, მაგალითად:

1. ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოების გეგმა 1968 წ. შესრულებული იქნა 137,4%, 1969 წ. — 115,7% და 1970 წ. — 103,4%-ით.

2. თუ 1968 წ. გამოშვებული იყო სულ, 3176 ათასი დალ ხილ-კენკროვანი ღვინო, 1970 წ. იგი გაიზარდა — 5307 ათას დალ-მდე, ე. ი. 2131 ათასი დალით ანუ — 67%-ით.

3. ამავე პერიოდში რეალიზებული პროდუქციის გეგმა მნიშვნელოვნად იქნა გადაჭარბებული. კერძოდ, 1968 წ. — 127,4%, 1969 წ. — 108% და 1970 წ. — 105,2%.

ამასთან, თუ 1968 წ. რეალიზებული იყო სულ — 32430 ათას მანეთის პროდუქცია, 1970 წ. მისი თანხა გაიზარდა — 49608 ათას მანეთამდე ე. ი. 17178 ათასი მანეთით ანუ 53%-ით.

4. თუ ხილ-კენკროვანი ღვინის რეალიზაციიდან 1968 წ. მიღებულ იქნა წმინდა შემოსავალი (მოგება) — 5751 ათასი მან, 1969 წ. — 9036 ათასი, ხოლო 1970 წ. — 8015 ათასი მანეთი ანუ 2264 ათასი მანეთით ე. ი. 39%-ით მეტი.

განვიხილოთ ახლა ხილ-კენკროვანის ღვინომასალისა და გამოშვებული პროდუქციის დინამიკა მეცხრე ხუთწლედში (იხ. ცხრ. 8).

ცხრილი 8

ხილ-კენკროვანი ღვინომასალის დამზადება „საქკონსერვმრეწვის“ ხაზით 1971-1975 წწ. (ათას დალ)[1]

| წლები | გეგმა | ფაქტიური | შესრულება %% |
|---|---|---|---|
| 1971 | 3540 | 3282,5 | 92,7 |
| 1972 | 3990 | 4341,5 | 108,7 |
| 1973 | 4446 | 4688,1 | 105,4 |
| 1974 | 5700 | 6050,0 | 105,2 |
| 1975 | 5179 | 5608,0 | 106,2 |
| სულ ხუთწლედში | 22855 | 23976,1 | 109,9 |

[1] აქ და შემდგომში მოტანილი მასალები აღებული გვაქვს „საქკონსერვმრეწვის“ შესაბამისი წლიური ანგარიშების მიხედვით.

აქ მოტანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ მთლიანად ხუთწლედში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის“ ხაზით დამზადებული იყო 23976,1 ათასი დალი ხილ-კენკროვანის ღვინომასალა, წინააღმდეგ 22855 ათასი დალისა გეგმით, ე. ი. ხუთწლიანი გეგმა შესრულებული იქნა 109,9%-ით. ამასთან თუ ხუთწლედის პირველ 1971 წ. მოცემული პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულდა მხოლოდ 92,7%-ით, რაც გამოწვეული იყო დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ ხი-

ლისა და კენკრეულის ნაკლები რაოდენობით მოწოდების გამო, მომდევნო წლებში უკვე ეს მდგომარეობა გამოსწორდა და გეგმები გადაჭარბებით იქნა შესრულებული. თუ 1971 წ. დამზადებული იქნა სულ 3282,5 ათასი დალი ღვინომასალა, 1975 წ. მისი რაოდენობა გაიზარდა 5508 ათასი დალ-მდე, ანუ 70%-ით.

რაც შეეხება ხილ-კენკრეული ღვინის წარმოებას „საქკონსერვმრეწვისა“ და „ცეკავშირის“ ხაზით, ხუთწლედის გეგმა ამ მხრივ შესრულებული იქნა შემდეგნაირად (იხ. ცხრ. 9):

ც ხ რ ი ლ ი 9

ხილ-კენკრეული ღვინის წარმოების დინამიკა მეცხრე ხუთწლედში „საქკონსერვმრეწვისა“ და „ცეკავშირის“ ხაზით 1971-1975 წწ. (ათ. დალ).[1]

| წლები | „საქკონსერვმრეწვის“ ხაზით | | | „ცეკავშირის“ ხაზით | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტიურად | შესრულება % | გეგმა | ფაქტიურად | შესრულება % |
| 1970 | 5135 | 5307,1 | 103,1 | 700 | 700,0 | 100 |
| 1971 | 5295 | 5523 | 105,2 | 700 | 701,4 | 100,2 |
| 1972 | 3700 | 5986 | 104,9 | 540 | 570,7 | 105,7 |
| 1973 | 6050 | 7050 | 116,5 | 600 | 606,2 | 101,0 |
| 1974 | 7700 | 8159 | 105,9 | 800 | 870,9 | 109,8 |
| 1975 | 8046 | 8086 | 106,5 | 800 | 827,9 | 103,5 |
| სულ ხუთწლედში | 32751 | 34800 | 106,2 | 3440 | 3577,1 | 104,0 |

[1] იგივე მონაცემებით „ცეკავშირის“ შესაბამისი წლების მონაცემების ჩათვლით.

ამგვარად, ხილ-კენკრეული ღვინის წარმოებამ ხუთწლედში „საქკონსერვმრეწვის“ ხაზით მიაღწია 34800 ათას დალს, წინააღმდეგ 32751 ათასი დალისა გეგმით, ე. ი. ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული — 6,2%-ით: „ცეკავშირის“ ხაზით კი გამოშვებული იქნა სულ ხუთწლედში 3577,1 ათასი დალი ღვინო, წინააღმდეგ 3440 ათასი დალისა და ამდენად გეგმა გადაჭარბებული იქნა 4%-ით.

აღსანიშნავია, რომ თუ 1970 წ. „საქკონსერვმრეწვის“ (მაშინ არსებულ „საქხილღვინის“ ტრესტის) ხაზით წარმოებული იყო სულ 5307,1 ათასი დალი ღვინო, 1975 წ. მისი გამოშვება გაიზარდა 8086 ათას დალამდე, ე. ი. 2778,9 ათასი დალით ანუ 52%-ით მეტი. „ცეკავშირის“ ხაზით კი 1970 წ. თუ დამზადებული იქნა 700 ათასი დალი ხილ-კენკრეულის ღვინო, ხუთწლედის ბოლოს — 827,7 ათასი დალი ანუ 127,7 ათასი დალით ე. ი. 18,2%-ით მეტი.

ამდენად, „საქკონსერვმრეწვი“ არა თუ მთავარი და ძირითადი მწარმოებელია ამ პროდუქციისა რესპუბლიკაში, არამედ მის მიერ ამ ნაწარმის გამოშვების ტემპი გაცილებით (დაახლოებით 3-ჯერ) მეტია, ვიდრე „ცეკავშირში“ და რომ მას ამ მხრივაც განვითარების კარგი პერსპექტივა გააჩნია.

ახლა განვიხილოთ თუ რამდენი იქნა წარმოებული ხილ-კენკრეული ღვინო მთლიანად რესპუბლიკაში და რა რაოდენობით იქნა გამოშვებული იგი ცალკეული ორგანიზაციების მიერ (იხ. ცხრ. 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი

ხილ-კენკრეული ღვინის წარმოება რესპუბლიკაში 1971-1975 წწ. (ათას დალ)[1]

| წლები | რესპუბლიკაში | | მათ შორის | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | „საქკონსერვმრეწვის" ხაზით | | „ცეკავშირის" ხაზით | | დანარჩენ ორგანიზაციებში | |
| | აბს | % | აბს | მისი ხვ. წონა | აბს | მისი ხვ. წონა | აბს | მისი ხვ. წონა |
| 1970 | 6430 | 100 | 5307,1 | 78,5 | 700 | 10,8 | 422,9 | 6,7 |
| 1971 | 6306 | 100 | 5523 | 83,5 | 701,4 | 11,2 | 31,6 | 1,3 |
| 1972 | 7095 | 100 | | | 570,7 | 8,3 | 544,3 | 7,0 |
| 1973 | 7966 | 100 | 7050 | 88,4 | 606,2 | 7,8 | 309,8 | 3,9 |
| 1974 | 9030 | 100 | 8199 | 90,3 | 870,9 | 9,6 | 0,1 | 0,1 |
| 1975 | 9927 | !00 | 8088 | 81,5 | 827,9 | 8,3 | 1021,1 | 10,2 |
| სულ ხუთწლედში | 40324 | 100 | 34800 | 86,3 | 3577,! | 8,8 | 1947,9 | 4,9 |

[1] ცხრილი შედგენილია დასახელებული ორგანიზაციების წლიური ანგარიშებისა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების საფუძველზე.

მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის მასშტაბით წარმოებულია 40324 ათასი დალი ხილ-კენკრეულის ღვინო, საიდანაც მარტო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს გაერთიანება „საქკონსერვმრეწვზე" მოდიოდა 34800 ათასი დალი ანუ მთელი წარმოებული პროდუქციის 86,3%. დანარჩენი 8,8% (3577,1 ათასი დალ) „ცეკავშირზე" და 4,9% (1946 ათასი დალ) სხვა ორგანიზაციებზე.

რაც შეეხება პროდუქციის რეალიზაციას მეცხრე ხუთწლედში იგი „საქკონსერვმრეწვის" ხაზით ასე წარმოგვიდგებოდა (იხ. ცხრ. 11):

ცხრილი 11

პროდუქციის რეალიზაციის დინამიკა 1971-1975 წწ. (ათას მან.)

| დასახელება | 1970 | 1971 | 1972 | 1973 | 1974 | 1975 | ზრდა 1970 წ. შედარებით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გეგმით | 47143 | 45348 | 47748 | 50300 | 66999,0 | 52758 | 5615 | 11,8 |
| ფაქტიურად | 49608 | 47155 | 48618 | 53780 | 57387,0 | 55861 | 6253 | 12,6 |
| შესრულების %% | 105,2 | 103,2 | 101,8 | 106,9 | 100,6 | 105,8 | — | — |

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის" მიერ ხილ-კენკრეული ღვინოების რეალიზაცია 1971—1975 წწ. სულ უფრო ალმავლობის გზით მიდიოდა და პროდუქციის რეალიზაციის გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდა. ასე მაგ. 1971 წ. რეალიზაციის გეგმა შესრულებულ იქნა 103,2%-ით; 1972 წ.—101,8; 1972 წ.—106,9; 1974 წ.—100,6 და 1975 წ.—105,8%-ით. თუ 1970 წ. ამ გაერთიანების ხაზით რეალიზებული იყო სულ 49608 ათასი მანეთის ხილ-კენკრეულის ღვინო, 1975 წ. მისი თანხა გაიზარდა 55861 ათასი მანეთამდე, ე. ი. 6253 ათასი მანეთით ანუ 12,6%-ით მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორ შესრულდა პროდუქციის თვითღირებულების გეგმა და რა ეკონომია მისცა მისმა შემცირებამ მეცხრე ხუთწლედში გაერთიენება „საქკონსერვმრეწვს“, ამასთან თუ რამდენი იყო დანარხაჯები ერთ მანეთ პროდუქციაზე და აქედან მიღებული ეკონომია (გაანგარიშებული კაპიკებში), ამის შესახებ მონაცემები მოტანილია მე-12 ცხრილში.

ცხრილი 12

ხილ-კენკრეული ღვინის მთლიანი თვითღირებულებისა და ერთ მანეთ პროდუქციაზე დანახარჯების დინამიკა „საქკონსერვმრეწვის“ ხაზით 1971-1975 წწ.

| წლები | პროდუქციის მთლიანი თვითღირებულება (ათ მან). | | | დანახარჯები ერთ მანეთ პროდუქციაზე (კაპ.) | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტიური | ეკონომია | გეგმა | ფაქტიური | ეკონომია |
| 1970 | 39 564 | 397 729 | +165 | 83,82 | 84,18 | +0,35 |
| 1971 | 30 922 | 30455 | —467 | 68,61 | 67,57 | —1,04 |
| 19/2 | 33 581 | 33328 | —253 | 68,96 | 68,44 | —0,52 |
| i973 | 37 934 | 37544 | —390 | 67,50 | 66,80 | —0,70 |
| 1974 | 42041 4 | 41705 9 | —336,5 | 68,14 | 71,80 | +3,66 |
| 1975 | 38784 5 | 38106,7 | —677,8 | 70,22 | 65,67 | —4,55 |

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ, პროდუქციის მთლიან თვითღირებულებაში 1970 წ. თუ ადგილი ჰქონდა გადახარჯვას 165 ათასი მანეთის ოდენობით, მეცხრე ხუთწლედში ამ მხრივ საწინააღმდეგო მდგომარეობასა აქვს ადგილი და ყოველ წელს დიდ ეკონომიასთან გვაქვს საქმე. ასე, მაგალითად, ხილ-კენკრეული ღვინის წარმოებამ რესპუბლიკის ქვეყნის მრეწველობას მისცა ეკონომია (ათას მან.): 1971 წ. — 467, 1972 წ.—253; 1973 წ. — 390; 1974 წ. — 336,5 და 1975 წ. — 677,8; სულ ხუთწლედში კი 2121,3 ათასი მანეთი, რაც გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის“ წარმოების დიდ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მიგვითითებს.

თუ 1970 წ. ხილ-კენკრეული ღვინის წარმოების ერთ მანეთზე დაიხარჯა 84,17 კაპ. წინააღმდეგ 83,82 კაპიკისა გეგმით, ე. ი. ადგილი ჰქონდა ერთ-მანეთზე 0,35 კაპ. გადახარჯვას. მეცხრე ხუთწლედში კი ამ მხრივ სულ ეკონომიასთან გვაქვს საქმე. თუ 1971 წ. ერთ მანეთ ხილ-კენკრეული ღვინის დანახარჯებს გეგმით უნდა შეედგინა 68,61 კაპ., შეადგინა 67,57 კაპ., ე. ი. 1,04 კაპ-ით ნაკლები. მომდევნო 1972 წ. ეკონომიამ ერთ მანეთზე გაანგარიშებით 0,52 კაპ. შეადგინა. 1973 წ.—0,70 კაპ., 1974 წ. გადაიხაჯა — 3,66 კაპ., ხოლო 1975 წ. 4,55 კაპიკის ეკონომია.

ამგვარად 1974—1975 წწ. „საქკონსერვმრეწვის“ ხილ-კენკრეული ღვინის ქარხნებმა ერთ მანეთ გამოშვებულ პროდუქციის დანახარჯები ყველამ მნიშვნელოვანი ეკონომიით დაამთავრა. გამონაკლისი ამ შემთხვევაში იყო ლაგოდეხის ხილ-კენკრეულის ღვინის ქარხანა, რომელმაც 1975 წელს ერთ მანეთ ხილ-კენკრეული ღვინის წარმოების ხარჯებს გადაამეტა, 0,28 კაპ. ისე ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღების მისაქცევია ბუკნარის ხილ-კენკრეულის ღვინის ქარხანა, რომელსაც 1974 წ. გეგმით ერთ მანეთ პროდუქციაზე უნდა დაეხარჯა 77,48 კაპ. ფაქტიურად კი დახარჯა 76,78 კაპ. და ამდენად ეკონომიამ შეადგინა 1,7 კაპ., 1975 წ. კი ნაცვლად 76,17 კაპიკისა გეგმით, შეადგინა—74,50 კაპ. ანუ 1,61 კაპიკით ნაკლები. ხრესილის ხილ-კენკრეულის ღვინის ქარხანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ მანეთზე დაზოგა 1974 წ. 1,7 კაპ., 1975 წ. — 0,85 კაპ. ყვარელმა 1974 წ. 1,67 კაპ., 1975 წ. კი 0,20 კაპ., სამაგიეროდ დრანდის ქარხანამ 1974 წ. დაზოგა 1,40 კაპ.; 1975 წ. კი მხოლოდ 0,02 კაპ. მაგრამ ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა ამ მხრივ კასპის ხილ-კენკროვანის ღვინის ქარხანას. მან 1974 წ. ერთ მანეთზე დაზოგა 4,15 კაპ., ხოლო 1975 წ. — 1,56 კაპ. დანარჩენმა ქარხნებმა კი როგორც მთლიანად მეცხრე ხუთწლედში, ასევე, განსაკუთრებით ხუთწლედის ბოლო ორ წელში მნიშვნელოვნად შეამცირეს ერთ მანეთ პროდუქციაზე დანახარჯები და ამით უფრო ეკონომიკურად გაზარდეს მოცემული დარგის წარმოება და აამაღლეს მისი რენტაბელობის დონე.

მოგებამ „საქკონსერვმრეწვის" ხილ-კენკროვანის ღვინის ქარხნებში 1971—1975 წწ. ასეთი სურათი მოგვცა (იხ. ცხრ. 13):

ცხრილი 13

მოგების დინამიკა „საქკონსერვმრეწვის" ხილ-კენკროვანის ღვინის ქარხნებში 1971-1975 წწ. (ათას მან.).

| წლები | გეგმით | ფაქტიურად | მოგების მატება | ზრდა %% |
|---|---|---|---|---|
| 1970 | 7934 | 8015,3 | + 81,3 | 101,0 |
| 1971 | 7655 | 8026 | +371,0 | 106,6 |
| 1972 | 7880 | 8053 | +173,0 | 102,2 |
| 1973 | 9630 | 10604 | +974,0 | 131,7 |
| 1974 | 14724 | 14934 | +210,0 | 101,4 |
| 1975 | 10526 | 12672,4 | 12146,4 | 120,5 |
| სულ ხუთწლედში | 50415 | 54289,4 | +3874,4 | 107,6 |

სულ მოგება ამ წელს ამ ქარხნებმა მიიღეს შემდეგი თანხის რაოდენობით (ათას მან). აგარამ — 1494; ბუქნარმა — 740, დრანდამ — 827,2, ზესტაფონმა —417, კასპმა — 2343,2; ლაგოდეხმა — 560; მერიამ — 801; სამტრედიამ— 952; სიონმა — 489; ტყვიავმა — 747; ქარელმა — 1775; ყვარელმა — 566; ხრესილმა — 1402; ხარაგოულმა — 540,6 სართიჭალამ — 554; ცხინვალმა—მა — 717.

ასე, რომ ყველა დასახელებულმა ხილ-კენკროვანის ღვინის ქარხანამ დიდი მოგებით დაამთავრა თავისი სამეურნეო მოღვაწეობა ამ წელს. ასეთივე მაჩვენებლებით ხასიათდებოდა მათი საქმიანობა მომდევნო 1976 წელს. ყოველივე ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოება დასახელებულ ქარხნებში მეტად რენტაბელურია და მათ განვითარების კარგი პერსპექტივა გააჩნიათ.

თუ ჩვენს რესპუბლიკაში 1975 წლის ბოლოს წარმოებული იყო სულ 9927 მლნ დალი ხილ-კენკროვანი ღვინო, თანახმად საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის 1976—1990 წწ. გეგმისა, მისი წარმოება საქართველოში უნდა გაიზარდოს 1980 წლის ბოლოსათვის 12 მლნ დალამდე, 1985 წ. — 14 მლნ; და 1990 წ. 16 მლნ. დალამდე. ხილ-კენკროვანი ღვინომასალის წარმოება კი 1980 წ. მიაღწევს — 8,4 მლნ დალს, 1985 წ.—9,3 მლ. დალს და 1990 წ.—11,2 მლნ დალს. ხილ-კენკროვანის ღვინის მთლიანი პროდუქციის ღირებულებამ 1970 წ. თუ შეადგინა 80,6 მლნ მანეთი, 1975 წ. 121 მლნ; 1980 წ. იგი გაიზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება — 146,2 მლნ მანეთამდე, 1985 წ. — 170,6 მლნ. და 1990 წ. 195,5 მლნ მანეთამდე.

დასახული ამოცანების დროულად შესრულების მიზნით, ჩვენი აზრით, საჭიროა რესპუბლიკის ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოებაში გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. დღეისათვის ხილ-კენკროვანი მეღვინეობის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს არა მაღალხარისხოვანი კულტურული ხილი, არამედ უპირატესად არასტანდარტული, ნაყარი და სარეალიზაციოდ უვარგისი ხილი. ეს რესურსები კი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ არ იგეგმება. აღნიშნული პროდუქტების დამზადებას არც ადგილობრივი რაიონული ხელმძღვანელობა აქცევს სათანადო ყურადღებას.

2. იმ მიზნით, რომ საქართველოს ხილ-კენკროვანი ღვინის საწარმოები დროულად და ორგანიზებულად იქნენ მომარაგებული ხილის ნედლეულის რესურსებით, საჭიროა შეიქმნას მეხილეობის რაიონებში (გორი, ახალციხე, ზუგდიდი, ცხინვალი, ხაშური, მცხეთა) და გარეული ხილის ნედლეულის რესურსების მაქსიმალურად დამზადებისათვის საქართველოს მთიან რაიონებში (ცაგერი, ლენტეხი, ამბროლაური, მესტია, ჭიათურა, დუშეთი, აფხაზეთის ასსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ხილის დამზადების პუნქტები.

3. ვინაიდან ზოგიერთ რაიონში არაა შექმნილი ხილ-კენკროვანი ღვინის წარმოების ქარხნები, ამის შესაძლებლობა კი არსებობს, რადგან მათ გააჩნიათ სათანადო სანედლეულო ბაზა (ხაშური, ამბროლაური, ცაგერი, დუშეთი, აფხაზეთის ასსრ და სხვ.), უახლეს ხანში გაიხსნას ასეთი ხილ-კენკროვანი ღვინის მწარმოებელი ქარხნები.

4. მოწესრიგდეს კულტურული, ველური და არასტანდარტული ხილის დროულად ტრანსპორტირების საკითხი, რათა ადგილი არ ჰქონდეს ხილ-კენკროვანის გადამამუშავებელი ღვინის ქარხნებისათვის უხარისხო (დაუმწიფებელი, დამპალი, და ნაყარ-ნუყარი) ხილის ჩაბარებას.

5. როგორც წესი, დამზადებული ხილ-კენკროვანი ღვინო უნდა მიეწოდოს არა უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციებს (ქსელს), როგორც ხდება ეს დღემდე, მუხის კასრებით, არამედ მეორადი ხილ-კენკროვანი ღვინის ქარხნებს ვაგონცისტერნებით, ამ ღვინოების შემდგომი ჩამოსხმისა და რეალიზაციისათვის.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როზერტ აბურჯანიძე

# საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდები და მათი გამოყენების გაუმჯობესების გზები

წარმოების საშუალებათა დაყოფა შრომის საშუალებებად და შრომის საგნებად დამახასიათებელია ყველა საზოგადოებრივი ფორმაციისათვის, რადგანაც იგი წარმოების მატერიალური პირობებიდან გამომდინარეობს[1]. სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებანი შეადგენენ წარმოებრივი ფონდების ნივთიერ შინაარსს და, ბრუნვის ხასიათის მიხედვით, იყოფიან ძირითად და საბრუნავ ფონდებად, რასაც საფუძვლად უდევს შრომის საშუალებებსა და შრომის საგნებს შორის არსებული განსხვავებანი. წარმოების პროცესში ადამიანი მოქმედებს შრომის საგანზე და გარდაქმნის მას სახმარ ღირებულებად. ეს სხვადასხვა სახის იარაღებით ხორციელდება, რომელთაც ადამიანი იყენებს როგორც შრომის საშუალებას. ეს არის ის „... ნივთი ანუ კომპლექსი ნივთებისა, რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელნიც მისთვის ამ საგანზე მისი ზემოქმედების გადატანის როლს ასრულებენ“[1]. განმარტავდა რა შრომის საშუალებების უდიდეს როლს საზოგადოების განვითარების საქმეში კ. მარქსი მიუთითებდა: „ეკონომიურ ეპოქებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ის თუ რა იწარმოება, არამედ ის, თუ როგორ, შრომის რა საშუალებებით იწარმოება“[2].

მრეწველობის ძირითადი ფონდები, დანიშნულების მიხედვით, წარმოებრივ და არაწარმოებრივ ძირითად ფონდებად იყოფა: წ ა რ მ ო ე ბ რ ი ვ  ძ ი რ ი თ ა დ  ფ ო ნ დ ე ბ ს მიეკუთვნება შრომის ისეთი საშუალებანი, რომლებიც ან უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, ან ხელს უწყობენ მის მიმდინარეობას; ა რ ა წ ა რ მ ო ე ბ რ ი ვ ი  ძ ი რ ი თ ა დ ი  ფ ო ნ დ ე ბ ი უშუალოდ არ მონაწილეობენ წარმოების პროცესში; მაგრამ არაპირდაპირი გზით ზემოქმედებას ახდენენ წარმოებრივი პროცესების ნორმალურ მსვლელობაზე (საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფონდები, საცხოვრებელი სახლები, კლუბები, სკოლები, სამრეცხაოები, აბანოები, სასპორტო მოედნები და სხვა).

საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდების საერთო ღირებულებაში არაწარმოებრივ ძირითად ფონდებს მცირე ხვედრითი წონა აქვს. ამ უკანასკნელ წლებში მათი წილი, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გადიდდა; მაგალითად: ხორცის მრეწველობის არაწარმოებრივი ძირითადი ფონდების ხვედრითი წონა თუ 1966 წელს 2,9 პროცენტი იყო, 1975 წელს ის 3,6 პროცენტამდე გაიზარდა. არაწარმოებრივი ძირითადი ფონდების განუხრელი ზრდა, მთელი საზოგადოების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, ამიტომ მომავალში ამ ჯგუფის ხვედრითი წონა მკვეთრად უნდა გადიდდეს.

ძირითადი ფონდების წარმოების პირობები იცვლება, ამიტომ მათი ღირებულება განისაზღვრება არა წარმოების დროს მათ მიმართ გაწეული საზოგადოებრივად აუცილებელი დროის დანახარჯებით, არამედ — გადაფასების პერიოდის დანახარჯებით. ძირითადი ფონდების გადაფასება საშუალებას იძლევა განსაზღვრული იქნას სრული აღდგენითი ღირებულება. ტექნიკური პროგრე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, თბ., 1957, გვ. 229.

[2] იქვე, გვ. 229—230.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის დაჩქარებული ტემპები, შრომის მწარმოებლურობის განუხრელი გადიდება იწვევს ძირითადი ფონდების თავდაპირველ და აღდგენითს ღირებულებას შორის განსხვავებას. ძირითადი ფონდების პირვანდელი ღირებულების შეცვლა შეიძლება მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) კაპიტალური დაბანდების წესით განხორციელებული რეკონსტრუქციის, გაფართოების, მოდერნიზაციის დროს; 2) ძირითადი ფონდების გადაფასების შემთხვევებში, რაც ხორციელდება მთავრობის დადგენილებით.

ძირითადი ფონდების გადაფასება — ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება — მრეწველობაში უკანასკნელად ჩატარდა 1972 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, როდესაც არსებული ყველა ძირითადი ფონდი შეფასდა ერთიანი ნორმატივებით, დაზუსტდა ცვეთის დონე, მოხდა მათი პასპორტიზაცია და ცვლილებები აისახა სათანადო ინვენტარულ ბარათებში. ამჟამად 1972 წლის 1 იანვრამდე არსებული ძირითადი ფონდები აღრიცხულია აღდგენითი ღირებულებით, — რაც პირვანდელი ღირებულების ტოლფასია, ხოლო 1972 წლის 1 იანვრიდან შექმნილი ძირითადი ფონდები — პირვანდელი ღირებულებით.

ძირითადი ფონდების უკანასკნელი გადაფასების შედეგად მიღებული მასალების გაცნობა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი სახის დასკვნა: საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობაში ძირითადი ფონდების ცალკეული ჯგუფების აღდგენითი ღირებულების გადახრა პირვანდელისაგან განსხვავებულია: მთელი დარგის მიხედვით აღდგენითი ღირებულება მეტია პირვანდელზე 12 პროცენტით, ასეთი მეტობა დამახასიათებელია ყველა სახის ძირითადი ფონდისათვის (გამონაკლისს შეადგენს გადამცემი მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებანი). ძირითადი ფონდების აღდგენითი ღირებულების გადიდება მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და ზოგიერთი სახის გაწყობილობაზე ფასების გადიდების შედეგია, ხოლო ზოგიერთი სახის ძირითად ფონდზე მისი შემცირება ფასების შეცვლით და მორალური ცვეთით არის გამოწვეული.

მრეწველობის ძირითადი ფონდები[3] შედგება სხვადასხვა სახის ნატურალურ-ნივთებრივი ელემენტისაგან. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოებრივ-ტექნიკური დანიშნულების, მომსახურების ვადებისა და საწარმოს საქმიანობაზე ზემოქმედების მიხედვით. ძირითადი ფონდების დაჯგუფება ხდება მათი ნატურალურ-ნივთებრივი ხასიათითა და იმით, თუ რა ფუნქციას ასრულებენ ისინი წარმოების პროცესში.

1967 წლამდე არსებული კლასიფიკაციის მიხედვით, ძირითადი წარმოებრივი ფონდები იყოფოდა შემდეგ ჯგუფებად: შენობები, ნაგებობები; გადამცემი გაწყობილობა, ძალოვანი მანქანები და გაწყობილობა, მათ შორის ავტომატური: საზომი და მარეგულირებელი . ხელსაწყოები და ლაბორატორიული გაწყობილობა, მათ შორის ავტომატური; სატრანსპორტო საშუალებები, ინსტრუმენტები: წარმოებრივი და მეურნეობრივი ინვენტარი. 1967 წელს ძირითადი ფონდების იმ ჯგუფებს, სადაც გამოყოფილი იყო „ავტომატური“; გამოაკლდა ეს უკანასკნელი იმ მოტივით, რომ არ არსებობდა ზუსტი გამიჯვნა ავტომატურ გაწყობილობასა და სხვა სახის გაწყობილობას შორის.

---

[3] აქ და შემდგომ ტერმინი „ძირითადი ფონდები“ ნახმარი იქნება „ძირითადი წარმოებრივი ფონდების“ მნიშვნელობით.

1971 წელს კვლავ შეიცვალა ძირითადი ფონდების კლასიფიკაცია, მანამდე არსებული კლასიფიკაციისაგან განსხვავებით ძალოვანი მანქანები და გაწყობილობა, მუშა-მანქანები და გაწყობილობა, საზომი და მარეგულირებელი ხელსაწყოები და ლაბორატორიული გაწყობილობა გაერთიანდა ერთ ჯგუფში, რომელსაც ეწოდა „მანქანები და გაწყობილობა“; ამავე ჯგუფში ცალკე გრაფად შეტანილია „გამოთვლითი ტექნიკა“. ამჟამად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული ტემპებით განვითარების პირობებში, იზრდება რა ავტომატური გაწყობილობის ხვედრითი წონა, უკვე შესაძლებელი შეიქნა ახალი კლასიფიკაციით გამოყოფილიყო „მანქანებისა და გაწყობილობის“ ჯგუფიდან — „ავტომატური გაწყობილობა“.

ძირითადი ფონდების სტრუქტურა არის ძირითადი ფონდების ჯგუფებს შორის თანაფარდობის დადგენა. პროდუქციის წარმოების პროცესში ძირითადი ფონდების ცალკეული ჯგუფები სხვადასხვანაირად მონაწილეობენ; მაგალითად: შენობები, ნაგებობანი და ინვენტარი ხელს უწყობს წარმოების პროცესს; ხოლო ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილი გადამწყვეტ როლს ასრულებს პროდუქციის დამზადების საქმეში. ამის გამო დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი ფონდების სტრუქტურის შესწავლას.

ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილი ასახავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონეს მრეწველობაში. რაც უფრო მაღალია აქტიური ნაწილის ხვედრითი წონა, მით მეტი შესაძლებლობაა პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქტიური ელემენტების ხვედრითი წონის გადიდებას. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურა 1970—1975 წლებში შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან [1] ირკვევა, ძირითადი ფონდების ელემენტებს შორის თანაფარდობის ცვლილების კარგი ტენდენცია მყარდება. კერძოდ, მანქანებისა და გაწყობილობის ხვედრითი წონა 1970—1975 წლებში იზრდება როგორც საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობაში, ასევე — ხორცის მრეწველობაშიც. ამ ჯგუფის ხვედრითი წონა განსაკუთრებით გაიზარდა ხორცის მრეწველობაში (16,3-დან 18,2 პროცენტამდე), მაგრამ მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე საქართველოს მრეწველობის სხვა დარგებში, რაც ხორცის მრეწველობის შედარებით დაბალ ტექნიკურ დონეზე მიუთითებს.

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია საქართველოს ხორცის მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურის სრულყოფა, რაც იმაში გამოიხატა; რომ გაიზარდა აქტიური ნაწილის ხვედრითი წონა და შემცირდა პასიური ნაწილის ხვედრითი წონა.

ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურის თავისებურებას შეადგენს შენობების დიდი ხვედრითი წონა, მაგალითად: 1975 წელს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობაში ის შეადგენდა 62,2, ხოლო საქართველოს ხორცის მრეწველობაში 63,6 პროცენტს, რაც თითქმის ორჯერ აჭარბებს საქართველოს მთელი მრეწველობის ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს აიხსნება იმით, რომ ტექნოლოგიურ პროცესებში შენობები ასრულებენ ძირითად როლს, რადგანაც აქ ხდება მზა პროდუქციის შენახვა, დამარილება, მომწიფება, ძეხვეულის გაშრობა; ამასთან შენობებში დიდი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი სამაცივრო მეურნეობა; გარდა ამისა მალფუჭადი საქონლის შენახვა და თერმული დამუშავება განსაზღვრავს შენობების კონსტრუქციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურა 1970—1975 წლებში (%%-ით ჯამთან წლის ბოლოსათვის)[4]

ცხრილი 1

| ძირითადი ფონდების ელემენტები | ხორცისა და რძის მრეწველობა | | | | | | მათ შორის, ხორცის მრეწველობა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1970 | 1971 | 1972 | 1973 | 1974 | 1975 | 1970 | 1971 | 1972 | 1973 | 1974 | 1975 |
| I. შენობები | 62,0 | 62,3 | 62,5 | 63,4 | 62,5 | 62,2 | 63,3 | 62,5 | 63,9 | 61,6 | 63,2 | 63,6 |
| II. ნაგებობები | 11,0 | 9,8 | 9,7 | 9,7 | 9,8 | 10,5 | 12,8 | 13,7 | 12,8 | 11,3 | 11,4 | 11,6 |
| III. გადამცემი საშუალებანი | 5,2 | 5,8 | 5,4 | 3,8 | 3,8 | 3,8 | 5,0 | 5,0 | 4,1 | 4,8 | 4,5 | 4,3 |
| IV. მანქანა-მოწყობილობა | 19,8 | 19,3 | 19,4 | 20,0 | 20,8 | 20,8 | 16,3 | 15,2 | 15,7 | 19,2 | 17,8 | 18,2 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | | |
| ძალოვანი მანქანა-მოწყ. | 2,4 | 1,7 | 2,0 | 1,9 | 1,9 | 1,9 | 1,8 | 1,8 | 1,5 | 4,8 | 1,6 | 1,6 |
| მუშა მანქანა და მოწყ. | 17,2 | 16,8 | 16,7 | 17,3 | 18,1 | 18,0 | 13,7 | 12,7 | 13,4 | 16,7 | 15,1 | 15,4 |
| საზომი, მარეგულირებელი ხელსაწყოები და ლაბორატორიული მოწყობილობა | 0,4 | 0,6 | 0,6 | 0,6 | 0,6 | 0,7 | 0,5 | 0,6 | 0,6 | 0,6 | 0,7 | 0,8 |
| გამოთვლითი ტექნიკა | 0,17 | 0,15 | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,3 | 0,3 | 0,3 | 0,2 |
| მე-4 ჯგუფიდან-ავტომატ. | 0,9 | 1,4 | 1,4 | 1,3 | 2,0 | 1,7 | — | — | — | — | — | — |
| V. სატრანსპ. საშუალებანი | 1,2 | 1,8 | 2,2 | 2,3 | 2,0 | 1,9 | 1,2 | 2,7 | 2,4 | 2,2 | 2,1 | 1,4 |
| VI—XII წარმოებრივი ინსტრუმენტები, მეურნეობრივი ინვენტარი და სხვა ძირითადი ფონდები | 1,3 | 0,8 | 0,8 | 0,8 | 0,9 | 0,8 | 1,4 | 1,0 | 0,9 | 0,9 | 0,9 | 0,9 |
| ძირითადი ფონდები სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |

4 შედგენილია საქ. სსრ ცსს მასალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციფიკურობას, რაც გამოიხატება ძვირადღირებული საიზოლაციო მასალების გამოყენებაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჩქარი ტემპებით განვითარების პირობებში იცვლება ძირითადი ფონდების პასიური ნაწილის შინაარსი. ძირითადი ფონდების სტრუქტურის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად აკმაყოფილებენ წარმოებრივი შენობები თანამედროვე მოთხოვნებს. როდესაც წარმოებაში ინერგება რთული გაწყობილობა. ეს საჭიროებს ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის ზუსტ დაცვას, ჰაერის გასუფთავებას მტვრისაგან, კონდიციური ჰაერის გამოყენებას და სხვ.; ამასთან, რთული გაწყობილობა საჭიროებს განსაკუთრებულ საძირკველს; დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ხმაურჩამხშობი გაწყობილობის დანერგვას. დღეისათვის ხორცის მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობაში, აღნიშნულ დანადგარების უქონლობის გამო, დარღვეულია ეს მოთხოვნები. ტექნიკური პროგრესის სამშენებლო და საპროექტო სამუშაოთა ორგანიზაციის სრულყოფის შედეგად ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურა მომავალში უნდა გაუმჯობესდეს ე. ი. აქტიური ნაწილის ხვედრითი წონა უნდა გაიზარდოს, ხოლო პასიურისა — შემცირდეს. მაგრამ ხორცის მრეწველობის სპეციფიკურ თავისებურებათა გამო ძირითადი ფონდების ღირებულებაში შენობების ხვედრითი წონა მომავალშიც მაღალი იქნება.

ცხრილის [1] მონაცემებიდან საყურადღებოა ის, რომ მანქანებისა და გაწყობილობის უდიდესი ნაწილი მოდის მუშა მანქანებსა და გაწყობილობაზე, მაგალითად: მათი ხვედრითი წონა 1970—1975 წლებში საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობაში მერყეობდა 16,7 და 18,1 პროცენტს შორის, ხოლო ხორცის მრეწველობაში, შესაბამისად. 12,7-დან 16,7 პროცენტამდე. მუშა მანქანებისა და გაწყობილობის ასეთი ტემპით ზრდა შედეგია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენისა ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურაზე და დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მანქანებისა და გაწყობილობის სტრუქტურაში მეორე ადგილზეა ძალოვანი მანქანები. ცხრილიდან [1] ჩანს, აგრეთვე, რომ ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულებაში დაბალია საზომი და მარეგულირებელი ხელსაწყოების, ლაბორატორიული გაწყობილობის და გამოთვლითი ტექნიკის ხვედრითი წონა, რაც წარმოების მართვის ავტომატიზაციის დაბალი დონის მაჩვენებელია. ამასთან, აღნიშნული ჯგუფის ხვედრითი წონა 1970—1975 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც დადებითია. ამავე ცხრილიდან [1] ჩანს, აგრეთვე, რომ ნაგებობისა და გადამცემი საშუალებების ხვედრითს წონას შემცირების ტენდენცია აქვს. აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების ხვედრითი წონა, რაც სატრანსპორტო საშუალებების აბსოლუტური გადიდების შედეგია.

სკკპ-სა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა ის, რომ წლითიწლობით იზრდება როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, ასევე მის ცალკეულ დარგებსა და ქვედარგებში კაპიტალური დაბანდებანი. ამის გამო ყოველწლიურად იზრდება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა, და მათ შორის ხორცის მრეწველობის, ტექნიკური ბაზა. საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა ფაქტიური მოცულობა 1966 წელთან შედარებით 1975 წელს 4,5-ჯერ გაიზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდებამ გამოიწვია წარმოებრივი სიმძლავრეების ზრდა, მაგალითად: საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის წარმოებრივი სიმძლავრეები ერთ ცვლაში თუ 1965 წელს იყო 219,7 ტონა, 1970 წელს შეადგინა 258,2 ტონა, ხოლო 1975 წლის 1 იანვრისათვის 260 ტონამდე გაიზარდა. ძეხვის წარმოებაში ეს მაჩვენებელი შესაბამისად იყო 38,2; 50,1 და 69,4 ტონა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება, აგრეთვე, მაცივრების ერთდროული ტევადობა დღე-ღამეში. მაგალითად: 1965 წელს ეს მაჩვენებელი 8697 ტონას შეადგენდა, 1970 წელს 8820 ტონას, 1974 წელს 9172 ტონას. მაცივრების კამერების წარმადობა შესაბამისად იყო: 125,36; 219,95 და 307,55 ტონა.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის და ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდების დინამიკის მახასიათებლები გადმოცემული გვაქვს ცხრილებში (იხ. ცხრილი 2 და 3).

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის ძირითადი ფონდების დინამიკა
1970—1975 წლებში
(ათას მანეთობით წლის ბოლოსათვის 1972 წლის გადაფასებით) 5

ცხრილი 2

| ძირითადი ფონდების ელემენტები | 1970 წ. | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. | 1974 წ. | 1975 წ. | 1970 წელი %%-ით 1975 წელთან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| I. შენობები | 21654 | 27531 | 29776 | 34911 | 35438 | 39636 | 183,0 |
| II. ნაგებობანი | 3811 | 4333 | 4620 | 5316 | 5606 | 6652 | 174,0 |
| III. გადამცემი საშუალება | 1717 | 2555 | 2580 | 2138 | 2904 | 2400 | 139,0 |
| IV. მანქანები და მოწყობილობა სულ | 7016 | 8513 | 9257 | 10984 | 11866 | 13279 | 187,1 |
| მათ შორის: | | | | | | | |
| ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა | 861 | 767 | 953 | 1037 | 1047 | 1179 | 136,0 |
| მუშა მანქანები და მოწყ. | 5981 | 7436 | 7964 | 9500 | 10281 | 11477 | 193,0 |
| საზომი მარეგულირებელი ხელსაწყოები და ლაბორატორიული მოწყობილობა | 129 | 252 | 260 | 358 | 339 | 390 | 302,0 |
| გამოთვლითი ტექნიკა | 45 | 76 | 80 | 89 | 102 | 109 | 242,0 |
| მე-4 ჯ. უფიდან ავტომატური | 315 | 616 | 691 | 695 | 1172 | 1096 | 348,0 |
| V. სატრანსპორტო საშუალებანი | 439 | 816 | 1055 | 1263 | 1280 | 1222 | 277,0 |
| VI—XII წარმოებრივი ინსტრუმენტები, მეურნეობრივი ინვენტარი და სხვა სახის ძირითადი ფონდები | 443 | 380 | 393 | 439 | 510 | 537 | 121,0 |
| XIII. ძირითადი ფონდები სულ | 34780 | 44146 | 47681 | 55051 | 56804 | 63726 | 183,1 |

როგორც ცხრილებიდან [2 და 3] ირკვევა, 1970—1975 წლებში საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობაში და საკუთრივ ხორცის მრეწველობაშიც ძირითადი ფონდები ხასიათდებოდა გაფართოებული აღწარმოებით. აღნიშნულ პერიოდში ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ხორცისა და რძის მრეწველობის ძირითადი ფონდები, რაც განსხვავებული კაპიტალური დაბანდებების მოცულობით იყო გამოწვეული. ამავე ცხრილების [2 და 3] მონაცემებიდან ჩანს, აგრეთვე, რომ განსახილველ პერიოდში, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის შენობების ღირებულება 83,0 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ხორცის მრეწველობისა კი 123,0 პროცენტით, რაც ხორცის მრეწველობის სპეციფიკურობით უნდა აიხსნას. 1970—1975 წლებში მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულება სა-

5 შედგენილია საქ. სსრ ცსს მასალების მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობაში გაიზარდა 87,1 პროცენტით, ხოლო ხორცის მრეწველობაში — 91,0 პროცენტით. ე. ი. ეს უკანასკნელი ჭარბობს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის შესაბამის მაჩვენებელს. საყურადღებოა ისიც, რომ რაოდენობრივად განსაკუთრებით ჩქარი ტემპით იზრდებოდა მუშა მანქანები და გაწყობილობა. 1970—1975 წლებში ძირითადი ფონდების ეს ჯგუფი გაიზარდა, შესაბამისად, 93 და 150 პროცენტით. ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებოდა, აგრეთვე, საზომი და მარეგულირებელი ხელსაწყოები, ლაბორატორიული გაწყობილობანი და გამოთვლითი ტექნიკა, — რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდების დინამიკა
1970—1975 წლებში
(ათას მანეთობით წლის ბოლოსათვის 1972 წლის გადაფასებით)[6]

ცხრილი 3

| ძირითადი ფონდების ელემენტები | 1970 წ. | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. | 1974 წ. | 1975 წ. | 1970 წ. %%-ით 1975 წელთან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| I. შენობები | 9960 | 10798 | 23563 | 15672 | 18550 | 22286 | 223,0 |
| II. ნაგებობანი | 2014 | 2371 | 2726 | 2866 | 3351 | 4065 | 201,0 |
| III. გადამცემი საშუალება | 793 | 861 | 877 | 1210 | 1277 | 1521 | 191,0 |
| IV. მანქანები და გაწყობილობა სულ მათ შორის: | 2557 | 2622 | 3338 | 3889 | 5238 | 6329 | 247,0 |
| ძალოვანი მანქანები და გაწყობილობა | 288 | 264 | 29[illegible] | 425 | 471 | 547 | 189,1 |
| მუშა მანქანები და გაწყობილობა | 2154 | 2201 | 2852 | 4265 | 4439 | 5390 | 250,0 |
| საზომი, მარეგულირებელი ხელსაწყოები და ლაბორატორ. გაწყ. | 81 | 107 | 140 | 148 | 200 | 249 | 307,0 |
| გამოთვლითი ტექნიკა | 33 | 47 | 50 | 49 | 61 | 73 | 221,0 |
| მე-4 ჯგუფიდან ავტომატური | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | | |
| V. სატრანსპორტო საშუალ. | 181 | 462 | 510 | 547 | 636 | 504 | 278,0 |
| VI—XII. წარმოებრივი ინსტრუმენტები, მეურნეობრივი ინვენტარი და სხვა სახის ძირითადი ფონდები | 219 | 171 | 200 | 232 | 286 | 327 | 149,0 |
| XIII. ძირითადი ფონდები ს უ ლ | 15724 | 17285 | 21214 | 25416 | 29338 | 35032 | 222,0 |

მეურნეობრივ რეფორმამდე საწარმოთა საქმიანობის შეფასების დროს ნაკლები ყურადღება ექცეოდა ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობას. რეფორმის შემდეგ კი შეიქმნა მთელი რიგი ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც გავლენას ახდენენ ძირითადი ფონდების გამოყენებაზე. ამ ამოცანას ასრულებს: საწარმოს საქმიანობის შეფასება რენტაბელობის დონის მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება მოგების შეფარდებით წარმოებრივ ფონდებთან; წარმოებრივი ფონდების გადასახდელის შემოღება; წარმოების განვითარების ფონდის შექმნა; კაპიტალური მშენებლობის დაუბრუნებელი დაფინანსებიდან გრძელვადიან დაკრედიტებაზე გადასვლა, საბრუნავი საშუალებების ბიუჯეტიდან აუნაზღაურებლად შევსების ნაცვლად კრედიტის გამოყენება და სხვ. ამ ღონისძიებათა დანერგვა ფართო შესაძლებლობებს ქმნის ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებისათვის.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების სისტემატური გაუმჯობესება უზრუნველყოფს წარმოების მოცულობის გადიდებას, შრომის მწარ-

6 ცხრილი შედგენილია საქ. სსრ ცსს მასალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხმარების ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მოგებისა და რენტაბელობის გადიდებას და სხვ. ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება თავისი ეკონომიკური შედეგებით თანაბარია მათი გაფართოებული აღწარმოების.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ შრომის ერთი და იგივე საშუალება ე. ი. ერთი და იგივე ძირითადი კაპიტალი შეიძლება უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული როგორც მისი დღიური მოხმარების დროის გაგრძელებით, ისე მისი გამოყენების ინტენსივობის გადიდებით[7].

მეათე ხუთწლედში განსაკუთრებით იზრდება ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელობა. ეხებოდა რა წარმოებრივი ფონდების ეფექტურად გამოყენების აუცილებლობას, ამხ. ა. ნ. კოსიგინი სკკპ XXV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნავდა: „...როგორც ქვეყნის მიმდინარე, ისე უფრო ხანგრძლივი განვითარების ინტერესები მოითხოვენ წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების გადამწყვეტი ფაქტორებია. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ავამაღლოთ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ყოველი ერთეულის უკუგება, ეფექტიანად გამოვიყენოთ საწარმოო ფონდები". ხუთწლიანი გეგმით საზოგადოებრივი წარმოების გადიდების დიდი მასშტაბებია გათვალისწინებული, რომელთა საშუალებით ახალი მძლავრი ნაბიჯები უნდა გადაიდგას საბჭოთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი უშუალოდ არის დაკავშირებული ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებასთან. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ძირითადი ფონდების გამოყენების დონე. სახალხო მეურნეობის დარგებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შევიმუშაოთ და განვახორციელოთ იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც მიზნად ისახავენ ფონდუკუგების გადიდებას"[8]. თუ როგორია საქართველოს ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდებისა და მთლიანი პროდუქციის დინამიკა 1966—1975 წლებში, ჩანს ცხრილიდან (იხ. ცხრ. 4).

საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდების საშუალოწლიური ღირებულებისა და მთლიანი პროდუქციის დინამიკა 1966—1975 წლებში[9]

ცხრილი 4

| | საზომი ერთეული | 1966 წ. | 1970 წ. | 1271 წ. | 1973 წ. | 1975 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალოწლიური ღირებულება | ათას მან. | 12767 | 15672 | 16912 | 25416 | 32194 |
| | % | 100 | 120,0 | 133,5 | 289,4 | 252,1 |
| მთლიანი პროდუქცია 1967 წლის 1 ივლისის ფასებით | ათას მან. | 75706 | 123008 | 134272 | 151613 | 186472 |
| | % | 100 | 162,4 | 173,3 | 200,7 | 246,3 |

7 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 445.

8 სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1967, გვ. 226.

9 შედგენილია საქ. სსრ ცსს მასალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილიდან [4] ჩანს, რომ 1966—1975 წლებში საგრძნობლად გაიზარდა როგორც ძირითადი ფონდები, ასევე მთლიანი პროდუქციაც; მაგრამ ზრდის ტემპში არის განსხვავება, მაგალითად: საქართველოს ხორცის მრეწველობის ძირითადი ფონდები გაიზარდა 152,1 პროცენტით, ხოლო მთლიანი პროდუქცია 146,3 პროცენტით, ე. ი. ძირითადი ფონდების ზრდის ტემპი წინ უსწრებს მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპს, რაც უარყოფითი მოვლენაა და ხორცის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა გადიდების შედეგია.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების ეფექტურობის შესასწავლად და რეზერვების გამოსავლინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სრულყოფილი მაჩვენებლების შემუშავებას. სამრეწველო წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზის პრაქტიკაში გამოიყენება ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების სხვადასხვა მაჩვენებელი. ეს მაჩვენებლებია საერთო და კერძო; ნატურალური და ღირებულებითი. კერძო მაჩვენებლები (ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები) უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ ნატურალურ მაჩვენებლებს, ხოლო საერთო მაჩვენებლები — ღირებულებითს.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიური ნაწილის გამოყენების შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ნატურალური მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენებიან მრეწველობის ყველა დარგში. მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, აღნიშნული მაჩვენებლები არ იძლევიან ძირითადი წარმოებრივი ფონდების მთელი ერთობლიობის გამოყენების განმაზოგადებელ დახასიათებას. ისინი გამოხატავენ ძირითადი წარმოებრივი ფონდების მხოლოდ აქტიური ნაწილის გამოყენების ეფექტურობას, რომლებიც ჩვენს საკვლევ დარგში შეადგენენ ძირითადი წარმოებრივი ფონდების მთელი ღირებულების ნახევარზე ნაკლებს. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ნატურალური მაჩვენებლები არ წარმოადგენენ ძირითადს და ასრულებენ მხოლოდ დამხმარე როლს. მაშასადამე, ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტურობის შესწავლისათვის აუცილებელია სინთეზური, განმაზოგადებელი მაჩვენებლები. მხოლოდ ასეთი მაჩვენებლები ასახავენ ძირითადი წარმოებრივი ფონდების მთელი ერთობლიობის გამოყენების ეფექტურობას.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ერთიანი სინთეზური მაჩვენებელი არ არსებობს, არამედ გამოიყენება რამდენიმე ურთიერთშემავსებელი მაჩვენებელი. ასეთი მაჩვენებლებია: ფონდუკუგება, რენტაბელობა, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ბრუნვის სიჩქარე და სხვ. როგორც ძირითადი წარმოებრივი ფონდების მთელი ერთობლიობის გამოყენების განმაზოგადებელი ღირებულებითი მაჩვენებელი — ფონდუკუგება განისაზღვრება გამოშვებული პროდუქციის შეფარდებით ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებასთან; ამასთან, გამოშვებული პროდუქცია აღირიცხება უცვლელ ფასებში, ხოლო ძირითადი წარმოებრივი ფონდები — საშუალო წლიური ღირებულების მიხედვით. საჭიროა აღინიშნოს, რომ მთლიანი სახალხო მეურნეობის მასშტაბით ფონდუკუგებას განსაზღვრავენ ნაციონალური შემოსავლის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულებასთან შეფარდებით.

პროდუქციის სიდიდე შეიძლება გამოიხატოს როგორც წარმოებული (მთლიანი ან საქონლური), ასევე რეალიზებული პროდუქციის მოცულობით; აგრეთვე — დამუშავების ნორმატიული ღირებულებით, წმინდა პროდუქციით და პირობითი წმინდა პროდუქციით. აღსანიშნავია, რომ არცერთი ზემოთ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელდებული მაჩვენებელი არ არის სრულყოფილი. ამასთან, მიუხედავად მთლიანი პროდუქციისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებისა, იგი ჯერჯერობით მაინც რჩება პროდუქციის წარმოების მოცულობის აღრიცხვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად.

ხორცის მრეწველობის საწარმოებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტურობის მთავარ მაჩვენებლად მივიღოთ ფონდუკუგება. ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტურობის შესწავლისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, თუ როგორია ფონდუკუგების დონე და დინამიკა (იხ. ცხრილი 5).

ფონდუკუგების მაჩვენებელი საქ. სსრ მრეწველობის ძირითად დარგებში
1970—1975 წწ. (მანეთობით)[10]

ცხრილი 5

| დარგები | წლები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1970 | 1971 | 1972 | 1973 | 1974 | 1975 |
| მთელი მრეწველობა | 1—55 | 1—51 | 1—43 | 1—43 | 1—50 | 1—55 |
| ელექტროენერგეტიკა | 0—15 | 0—15 | 0—15 | 0—15 | 0—16 | 0—16 |
| სათბობის მრეწველობა | 0—85 | 0—85 | 0—86 | 0—87 | 0—84 | 0—85 |
| შავი მეტალურგია | 0—73 | 0—73 | 0—70 | 0—72 | 0—74 | 0—74 |
| ქიმიური | 0—84 | 0 \| 78 | 0—79 | 0—91 | 0—85 | 0—80 |
| მანქანათმშენებლობა | 1—61 | 1—54 | 1—52 | 1—60 | 1—60 | 1—70 |
| ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი | 1—56 | 1—54 | 1—56 | 1—62 | 1—62 | 1—69 |
| საშენ მასალათა მრეწველობა | 1—16 | 1—07 | 1—01 | 1—06 | 1—04 | 1—03 |
| მსუბუქი მრეწველობა | 4—67 | 4—40 | 4—13 | 3—83 | 3—90 | 4—10 |
| კვების მრეწველობა | 4—10 | 4—04 | 3—57 | 3—44 | 3—53 | 3—74 |

ფონდუკუგება ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაზოგადებელი მაჩვენებელია. ძირითადი ფონდების მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება მათი უკუგების გადიდების მნიშვნელობა. ფონდუკუგების ზრდა დიდ მოგებას აძლევს სოციალისტურ საზოგადოებას, ე. ი. იგი საშუალებას იძლევა მივიღოთ მეტი პროდუქცია არსებული ძირითადი ფონდებიდან დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გარეშე. როგორც სათანადო მონაცემებიდან ჩანს (ცხრილი 5), ფონდუკუგების მაჩვენებლის დონით საქართველოს მრეწველობის ძირითადი დარგები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; მაგალითად: ფონდუკუგების დონე საშუალო დარგობრივ მაჩვენებელზე უფრო დაბალი იყო ისეთ ფონდტევად დარგებში, როგორიცაა: ელექტროენერგეტიკა (0,16 მან.), სათბობი მრეწველობა (0,85 მან.), შავი მეტალურგია (0,74 მან.), ქიმიური მრეწველობა (0,80 მან.), ფონდუკუგების მაღალი დონით ხასიათდებოდა მსუბუქი (4,10 მან.) და კვების მრეწველობა (3,74 მან.); ცხრილიდან ჩანს, აგრეთვე, რომ საქართველოს მრეწველობაში ფონდუკუგება 1970—1974 წლებში მცირდებოდა და მხოლოდ 1975 წელს მიაღწია 1970 წლის დონეს. ფონდუკუგება მეცხრე ხუთწლედში უმნიშვნელოდ გაიზარდა ელექტროენერგეტიკაში, სათბობ მრეწველობაში, შავ მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობასა და ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელ მრეწველობაში, ხოლო დანარჩენ დარგებში კი შემცირდა. განსაკუთრე-

10 შედგენილია საქართველოს სსრ ცსს მასალების საფუძველზე.

ბით დიდად შემცირდა მსუბუქ მრეწველობაში (0,57 მან.) და კვების მრეწველობაში (0,36 მან.).

მრეწველობის დარგები ფონდუკუგების დონით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რის გამოც ძირითადი წარმოებრივი ფონდების დარგობრივი სტრუქტურის შეცვლა, სხვა ფაქტორების გავლენის გამორიცხვის შემთხვევაში, გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს ფონდუკუგების დონეში. ფონდტევადი დარგების ხვედრითი წონის გადიდება გამოიწვევს ფონდუკუგების შემცირებას, ხოლო ფონდტევადი დარგების ხვედრითი წონის შემცირება — ფონდუკუგების გადიდებას. ამ ფაქტორმა დადებითად იმოქმედა მეცხრე ხუთწლედში ფონდუკუგების დინამიკაზე.

ფონდუკუგების დინამიკა საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობაში 1966—1975 წლებში[11]

ცხრილი 6

| მაჩვენებლები | ზომის ერთ. | 1966 წ. | 1970 წ. | 1971 წ. | 1972 წ. | 1973 წ. | 1974 წ. | 1975 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი პროდუქცია 1967 წ. 1. VII-ფასებით | ათასი მან. | 75507 | 123008 | 134272 | 146290 | 151613 | 174543 | 186472 |
| | % % | 100,0 | 162,9 | 177,8 | 193,7 | 200,7 | 230,5 | 246,3 |
| ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება | ათასი მან. | 12767 | 15672 | 16912 | 19667 | 25416 | 29338 | 32194 |
| | % % | 100,0 | 120,1 | 133,5 | 161,8 | 189,4 | 229,5 | 252,1 |
| ფონდუკუგება | მან. | 6,3 | 8,6 | 8,4 | 7,5 | 6,7 | 5,9 | 5,8 |
| | % % | 100,0 | 135,8 | 133,3 | 119,8 | 106,1 | 93,3 | 92,0 |

ცხრილის [6] მონაცემებიდან ჩანს, 1966—1975 წლებში საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობაში მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპს. ამის გამო ფონდუკუგება 1966 წლის 6,3 მანეთიდან 5,8 მანეთამდე, ანუ 8 პროცენტით შემცირდა 1975 წელს. ცხრილიდან ჩანს აგრეთვე, რომ ფონდუკუგება 1966—1973 წლებში იზრდებოდა, ხოლო 1974 წლიდან კი საბაზისო პერიოდთან შედარებით დაეცა, რაც კაპიტალური დაბანდებათა მოცულობის გადიდების შედეგია.

ფონდუკუგების ცვლილებას იწვევს მრავალი ფაქტორი. ის ფაქტორები და პირობები, რომლებიც იწვევენ ფონდუკუგების შეცვლას შემცირების ან გადიდების მიმართულებით, შემდეგია: ძირითადი ფონდებისა და მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპების თანაფარდობა, შრომის მწარმოებლურობის დონე, პროდუქციის შრომატევადობა, პროდუქციის ასორტიმენტული სტრუქტურის ცვლილება, საწარმოთა მუშაობის რეჟიმი, ფასების სისტემა, ტექნიკური და სანედლეულო ბაზა, გაწყობილობის წარმადობასა და ფასებს შორის მკვეთრი შეუსაბამობა; მასალა ტევადობის გავლენა, მშენებლობის და ზოგიერთი სახის გაწყობილობის ღირებულების გაძვირება, იმ სახის ძირითადი ფონდების დანერგვა, რომლებიც არ იწვევენ პროდუქციის გამოშვების გადიდებას; წარმოებრივი სიმძლავრეების ათვისების დონე, მუშაძალის ნაკლებობა, დენადობა და სხვ.

11 შედგენილია საქ. სსრ ცსს მასალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდუკუგებაზე მოქმედი ფაქტორების უმრავლესობა ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთს განაპირობებენ, რის გამოც ხშირად ძნელია მათი გამიჯვნა. ზოგადად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ფონდუკუგების შეცვლა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შედეგია, როგორც კერძო ფაქტორების, ისე მთელი დარგისათვის დამახასიათებელი საერთო ფაქტორების ზემოქმედების. ეს ნათლად გამოვლინდა ხორცის მრეწველობის საწარმოების მიხედვით ფონდუკუგების დინამიკის ანალიზისას.

ჩვენი აზრით, ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებაში საწარმოთა დაინტერესების მიზნით, მიზანშეწონილია ფონდუკუგება სადირექტივო მაჩვენებელი იყოს. ამასთან აუცილებელია ამ მაჩვენებლის დაკავშირება მატერიალური სტიმულირების ფონდების შექმნასთან. მომავალში საჭიროა ხორცის მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფონდუკუგების მაჩვენებელს; ამ მიზნით, საჭიროა პრაქტიკაში ფართოდ დაინერგოს ფონდუკუგების მაჩვენებლის დეტალური ანალიზი. ამასთან, საჭიროა ზრუნვა მანქანა-იარაღების ინტენსიური დატვირთვისათვის, ტექნოლოგიური გაწყობილობის სწორი ექსპლოატაციისა და მოდერნიზაციისათვის.

ხორცის მრეწველობაში ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ძირითადი გზებია: ძირითადი ფონდების გამოყენების დროის გადიდება (ექსტენსიური გზა) და დროის ერთეულში ძირითადი ფონდების დატვირთვის გადიდება (ინტენსიური გზა).

მეათე ხუთწლედში დასახულია უზრუნველვყოთ წარმოებრივი სიმძლავრეების მატება, უწინარეს ყოვლისა, საწარმოთა ტექნიკური გარდაქმნის, მოწყობილობის განახლებისა და მოდერნიზაციის, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა განხორციელების გზით, დავაჩქაროთ მორალურად მოძველებული ტექნიკის შეცვლა ნაკლები დანახარჯებით და უფრო მოკლე ვადაში მაღალხარისხოვანი პროდუქციის გადიდების მიზნით.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სამართალი

М. Г. УГРЕХЕЛИДЗЕ, Е. В. ЦИКЛАУРИ

## О ВОЗМОЖНОСТИ ПРИМЕНЕНИЯ ТЕОРИИ БИОРИТМОВ В УГОЛОВНОМ ПРАВЕ И КРИМИНОЛОГИИ

(Размышления о будущем)

**В работе обосновывается перспективность исследования возможности применения теории биоритмов в уголовном праве и криминологии; определяется примерный круг проблем, критическое переосмысление которых становится необходимым с учетом новейших данных о хронобиологических процессах; предлагаются гипотетические варианты решения традиционных вопросов в будущем.**

**Авторы изучили опыт Министерства автомобильного транспорта Грузинской ССР по применению теории биоритмов в некоторых автохозяйствах республики для предупреждения автоаварий.**

**Работа представляет первую попытку комплексно увязать теорию биоритмов с юридическими проблемами и прогнозировать процесс их дальнейшего взаимодействия.**

Важным условием успешного развития и функционирования как общественных, так и естественных наук является их взаимосвязь и обоюдное обогащение[1]. Еще на XXIV съезде КПСС в Отчетном докладе ЦК КПСС было выдвинуто положение об усилении «взаимодействия ученых, работающих в области естественных, технических и общественных наук»[2]. Это положение целиком и полностью распространяется и на область юридических наук. В частности, советское уголовное право и криминология не смогут ответить на возросшие требования жизни в условиях НТР, если их оторвать от живительной почвы современного научного знания. Эта мысль непосредственно вытекает из материалов XXV съезда КПСС, где отмечалось: «На нынешнем этапе развития страны потребность в дальнейшей творческой разработке теории не уменьшается, а, наоборот, становится еще большей. Новые возможности для плодотворных исследований как общетеоретического, фундаментального, так и прикладного характера открываются на стыке различных наук, в частности, естественных и общественных. Их следует использовать в полной мере»[3].

В плане приведенных положений заслуживает самого пристально-

---

[1] См. Марксистско-ленинская философия. Диалектический материализм. М., 1976, с. 16—18.

[2] Материалы XXIV съезда КПСС. М., 1972, с. 206.

[3] Материалы XXV съезда КПСС. М., 1976. с. 72,

го внимания эксперимент, проводимый в нашей стране с 1974 года Министерством автомобильного транспорта Грузинской ССР, по применению теории биоритмов с целью предупреждения автоаварий. Суть эксперимента состоит в следующем: некоторые автотранспортные предприятия Грузии пересылают данные на каждого водителя (год, месяц и дата рождения) в ВЦ Минавтотранспорта, где, после обработки указанной информации на ЭВМ «Минск — 32», получаются две табуляграммы. В первой выводятся т. н. «критические дни» всех водителей данного предприятия, во второй — обозначены все дни года, в которые определенное число водителей не должны выходить на линию. В такие дни водители не допускаются к управлению автомобилем, им предоставляется выходной день, или они занимаются техническим обслуживанием и ремонтом в гараже. Таких дней в году бывает до семи. Табуляграммы, полученные из ВЦ, выдаются одна — водителю в виде справки, в которую внесены его критические дни, а вторая — остается в гараже для составления графика выпуска водителей на линию. Каждый вновь принятый на работу водитель допускается к управлению автомобилем только после получения информации о его критических днях.

В основу этого эксперимента легла теория биоритмов, которую изучает молодая наука биоритмологии или хронобиологии. Исследования в этой области начались в конце прошлого века. Накопившийся до наших дней эмпирический материал и теоретические обобщения позволяют предположить, что жизнь человека во времени представляет непрерывную цепь разных по длительности циклов, из которых выделяют 23-дневный физический, 28-дневный эмоциональный и 33-дневный интеллектуальный циклы. В каждом цикле первая половина составляет положительный период, а другая половина — отрицательный. Дни, когда положительная половина цикла переходит в отрицательную, или наоборот, называются критическими или нулевыми днями. Особое опасение вызывают двойные и тройные критические дни, когда два или все три показателя физического, эмоционального и интеллектуального состояния человека одновременно пересекают нулевые координаты. Как полагают, этот день характеризуется понижением основных функций человеческого организма и, следовательно, понижением работоспособности. «...Эти циклы касаются не только нашей физиологии, но и эмоционально-психических сфер человеческого сознания. Было и раньше замечено, что, несмотря на настоятельную потребность в решении той или иной задачи, несмотря на попытку сконцентрировать свое внимание на ней, острота мышления периоди-

[5] См. А. Д. Слоним. Среда и поведение. Л., 1976, с. 146; Л. А. Чижевский. Земное эхо солнечных бурь. М., 1976; Агаджанян. Ритмы жизни и здоровье, М., 1975; «Наука и жизнь», 1974, № 3; «Литературная газета» от 7 дек. 1975; «За рубежом». 1976, № 44.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

чески снижается. Но только теперь стало ясно, что подъем и спад творческой активности повторяются с определенной закономерностью»[6]. Утверждают, что «они (биологические ритмы) охватывают любые физиологические функции — двигательную активность, секреторные функции, сосудистую реакцию, уровень окислительных процессов в организме (Быков, Слоним, 1960).

Прочность этих изменений функций организма очень значительна, и выработанные условные рефлексы на время с трудом подвергаются переделке (т. е. смене фаз)».[7]

Из вышеизложенного вытекает, что биологические цикличные явления характеризуются сложными изменениями, которые прямым образом влияют на психофизическое состояние личности. Мысль эту подтверждает и то, что еще в 1930 году ученый-бихевиорист Ганс Швинг путем изучения 1400 несчастных случаев установил их связь с нулевыми днями. Шесть человек из десяти, попавших в аварию, по своим биоритмам находились в критическом состоянии. Из погибших во время аварии 65% скончались в нулевые дни[8].

В последнее время поведенческая биоритмология вызвала огромный интерес во многих странах мира. Впервые ее практически применили в Японии в 1969 году в автобусной фирме «Оми Релуэй компани», в результате чего автодорожные происшествия среди водителей фирмы сократились на 40—50%. Сегодня теория биоритмов широко применяется в США, Японии, Австрии, Болгарии[9].

Как мы уже говорили, с 1974 года эту теорию начало внедрять Министерство автомобильного транспорта ГССР на 75 автотранспортных предприятиях республики. Сразу же после его внедрения число автодорожных происшествий среди участников эксперимента сократилось на 25%[10]. И хотя эти показатели могут послужить лишь предварительным материалом для построения рабочих гипотез на будущее, тем не менее, необходимость такого прогнозирования не должна вызвать сомнений, ибо возможное окончательное подтверждение правильности теории биоритмов потребует безотлагательного применения ее во многих областях. А к этому следует подготовиться заблаговременно.

Может ли применяться теория биоритмов в науках криминального цикла? В какой мере будет необходим ее учет в уголовно-правовой практике и криминологии?

---

[6] А. Вейн. Синусоида вдохновения. «Литературная газета», 1975, № 51.

[7] А. Д. Слоним. Среда и поведение, Л., с. 180.

[8] Макензи Джон. Влияние биоритмов на нашу жизнь. (Перевод Фельдмана Л. Я.); «За рубежом». 1976, № 44 (853).

[9] «Наука и жизнь». 1974, № 3; «Огни Болгарии». 1977, № 516, с. 13; ж. «Цискари». 1977, № 10, с. 151 (на груз. яз.).

[10] Техническая информация Министерства автомобильного транспорта Грузинской ССР по расчету графиков ограничения выпусков водителей автобусов на линию с учетом психологического состояния.

ბიბლიოთეკა

Нетрудно заметить, что поставленные здесь вопросы прежде всего касаются сферы неосторожных преступлений. Характерным для данной группы деликтов является непредвидение (а вследствие этого — непредотвращение) субъектом общественно опасных последствий, при долженствовании и возможности их предвидеть и предотвратить. При этом возможность предвидения и предотвращения вредных результатов поведения представляет наиболее существенный элемент, обосновывающий вину при неосторожности. Эта возможность является той границей, дальше которой не может простираться уголовная ответственность за неумышленно причиненный вредный результат. За этой границей начинается область невиновного причинения (casus), для которого не существует суда и ответственности[11].

Нынешняя практика рассмотрения уголовных дел о неосторожных преступлениях, не учитывающая исходных положений теории биоритмов, естественно, не считается с фактом существования т. н. критических дней, которые по научным предположениям, либо полностью исключают, либо значительно снижают способность человека адекватно ориентироваться в окружающей среде. При полной достоверности теории биоритмов, такое положение означало бы не что иное, как признание уголовной ответственности по принципу объективной вменяемости. Иными словами, оно было бы равносильно определению уголовной ответственности без учета способности действовать иначе, чем действовал субъект, неосознанно причинивший вред общественным отношениям.

Совершенно очевидно, что допущение подобной ситуации противоречило бы основополагающему принципу советского уголовного права — принципу виновной ответственности; оно не согласовывалось бы также с принципом индивидуализации ответственности и наказания, требующим учета всех индивидуальных особенностей конкретного дела, включая степень вины.

Из всего сказанного логически вытекает вывод, что дальнейшее подтверждение положений теории биоритмов должно привести к неминуемым изменениям в области борьбы с вредоносными явлениями. Поскольку любую такую борьбу следует начать с нейтрализации причин антисоциальных процессов, которыми занимается криминология, то прежде всего наши взоры должны быть обращены именно к этой области.

Первый вопрос, который возникает в криминологическом плане, касается причин индивидуального преступного поведения и имеет как практическое, так методологическое значение. Его можно было бы сформулировать так: не приведет ли возможное подтверждение предположения о существовании т. н. критических дней к необходимости признания биологических детерминантов индивидуального преступного по-

---

[11] См. В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность, 1957, с. 90-96, 141-184.

ბიბლიოთეკა

ведения? Как нам кажется, на поставленный выше вопрос можно ответить не однозначно. Тут могут быть два варианта: I. При полном исключении под влиянием критических дней способности субъекта адекватно ориентироваться в конкретной ситуации, вовсе отпадает разговор о преступлении как о юридическом понятии, т. к. в таком случае невозможно обнаружить вину; II. Если же под влиянием нулевого цикла психические способности субъекта будут лишь снижены, но не настолько, чтобы исключить возможность «иначе действия» (вины), то можно будет признать наличие некоторого биологического начала в этиологии индивидуального преступного поведения. И в этом точно так же не будет ничего «крамольного», как нет «ереси» в признании значения биологического фактора при совершении преступления психопатической личностью. Как правильно отмечает О. Е. Фрейеров, «справедливо отвергая методологически порочные взгляды неоломброзианского толка, мы вместе с тем долгие годы впадали в другую крайность — почти полностью игнорировали личность преступника, не только в смысле его социальных и моральных установок, но и как носителя определенных биологических качеств. Эти качества должны пониматься отнюдь не как биологически обусловленная тенденция к совершению преступных актов, а как комплекс эмоциональных, волевых и интеллектуальных особенностей личности, благодаря которым опосредствованно действующие социальные факторы более легко в соответствующей ситуации могут обусловить совершение преступления»[13].

Криминологическое исследование причин преступного поведения никогда не являлось самоцелью. В конечном счете оно всегда имеет служебное назначение — найти пути к предупреждению преступления посредством нейтрализации или полного исключения его причин. С этой точки зрения трудно переоценить значение рассматриваемой теории биоритмов в плане предупреждения вредоносных явлений преимущественно на уровне индивидуального предупреждения.

Собственно говоря, именно на это был направлен эксперимент Министерства автомобильного транспорта Грузинской ССР по применению в некоторых автохозяйствах республики теории биоритмов. Как отмечалось выше, первые результаты эксперимента подтвердили перспективность индивидуального предупреждения путем определения, учета и обезвреживания критических дней двойного нулевого цикла на автотранспорте. При дальнейшем и окончательном подтверждении надежности предварительных результатов, видимо, придется значительно расширить применение теории биоритмов и распространить ее на многие сферы жизни, такие как строительство, все виды транспорта (а не только автотранспорт), производство, хирургическая, фармацевтическая деятельность и вообще любая деятельность, связанная с на-

---

[12] См. Н. Ф. Кузнецова. Н. С. Лейкина. Криминологический аспект соотношения социального и биологического. «Советское государство и право», 1977, №9, с. 110.

[13] О. Е. Фрейеров. О так называемом биологическом аспекте проблемы преступности. «Советское государство и право», 1966, № 10.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

личием источников повышенной опасности. Одним словом, теория биоритмов обещает проникнуть чуть ли не во все сферы жизни, в которых соприкосновение человека с современными достижениями науки и техники может быть чревато серьезными опасными последствиями для отдельных индивидов или общества. Такое положение неминуемо должно привести к радикальному пересмотру действующих ныне криминологических программ по предупреждению неосторожных преступлений и несчастных случаев. Для этого, наряду с другими мерами, потребуется введение некоторых новых форм и стандартов как технического, так и социального характера.

Вопрос о том, какие именно предохранительные технические правила следовало бы применять в различных сферах деятельности, представляется преждевременным и ответить на него станет возможным по мере дальнейшего, более глубокого изучения закономерностей биоритмических явлений.

Что же касается социальных регулировок, уже сегодня ясно, что прежде всего они претерпят изменения в сторону все более широкого внедрения индивидуального графика выходных дней[14]. Следует оговориться, что предыдущие суждения об индивидуальном предупреждении неосторожных преступлений с учетом теории биоритмов касаются, как правило, сферы общественного производства. И хотя гипотетические суждения не были бы бесполезными и для обыденной жизни, рекомендовать что-нибудь существенное в плане будущих нормативных регулировок на нынешнем этапе представляется затруднительным; ведь сфера быта мало поддается нормативному регулированию.

Можно было бы только высказать пожелание, чтобы каждому гражданину (будь он рабочий, служащий или домохозяйка) вручалась индивидуальная табуляграмма с обозначением его критических дней. Это позволило бы человеку разумнее управлять своими поступками с учетом критических дней нулевого цикла, легче избегать опасных для себя и окружающих ситуаций.

Если представить не так уж фантастическую ситуацию, когда теория биоритмов будет окончательно апробирована и найдет практическое применение в нашей повседневной жизни, придется проверить традиционные подходы к решению хотя бы некоторых уголовно-правовых вопросов.

Как следовало бы квалифицировать, например, такие случаи, когда наезд на пешехода водитель совершает под влиянием резкого изменения у него биологического цикла в день запрета управлять автомашиной? Не означало ли бы возложение на такого водителя уголовной ответственности за наезд отход от принципа виновной ответственности, поскольку изменение биоцикла предполагает упадок психофизических

[14] См. «Литературная газета» от 4 января 1978 г., от 15 февраля 1978 г., от 29 марта и 7 июня 1978 г.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

сил, порой вовсе исключающий способность правильно ориентироваться в окружающей обстановке? Если даже допустить, что в момент наезда водитель был полностью лишен способности самоконтроля, все равно он будет и должен отвечать за наезд. И это нисколько не противоречило бы принципу виновной ответственности, точно так же, как не расходится с этим принципом ответственность человека за наезд в состоянии сильного опьянения или при полном неумении управлять автомашиной. Тот факт, что во всех этих, и подобных им, случаях субъект не способен управлять своими психофизическими функциями, создает видимость отсутствия субъективного критерия неосторожности. На деле все далеко не так. Здесь упрек должен приурочиваться к тому моменту, когда несмотря на запрет, субъект взялся за управление, а не к тому, когда он уже был не в состоянии управлять машиной. Ведь нельзя отрицать, что возможность отказаться от управления у водителя имелась. Неиспользование именно этой возможности обосновывает вину[15].

Итак, рассматриваемый выше случай, подобные которому будут возникать все чаще и чаще, не ставит принципиально новых проблем перед уголовным правом. Тем не менее, учет их и допустимость возможного распространения представляется необходимым с тем, чтобы уже сегодня определить их должное место в системе казусов, требующих точной юридической квалификации.

Аварии, совершенные под влиянием резкого изменения у водителей биологического цикла в день запрета управлять автомашиной, как правило, будут квалифицироваться как неосторожные преступления. Причем, возможны оба вида неосторожности — как самонадеянность, так и небрежность. В качестве примера самонадеянности мог бы послужить случай, когда субъект берется за управление автомашиной в день нулевого цикла, полагаясь на большой опыт такого рискованного поведения со счастливым исходом в прошлом. Что же касается небрежности, то она еще легче конструируется в интересующих нас случаях. Ее можно было бы проиллюстрировать на примере водителя, который, хотя и знает о запрете, адресованном ему, тем не менее и не задумывается об опасных последствиях, могущих возникнуть в результате его невыполнения. Наконец, не следует исключать возможность квалификации разбираемых случаев как деяний, совершенных умышленно. При прямом умысле это предполагало бы специальное приурочение преступником своего противоправного поведения к моменту критического спада своих психологических сил. В таком случае ответственность должна наступить за умышленное преступление по широко известному принципу actio libera in causa. При эвентуальном же умысле протекающий в психике субъекта процесс будет выглядеть иначе — деятель предвидит, что его активность в состоянии биорит-

[15] В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность. 1957, с. 153—154.

ბიბლიოთეკა

мического спада психофизических сил может привести к вредным результатам и не желает этого, но тем не менее допускает такой подход и, в силу этого, не отказывается от предпринятой активности.

Выше мы попытались рассмотреть такие случаи вредоносного поведения, которые совершались под влиянием биоритмических процессов при существовании официального запрета выполнения тех или иных профессиональных или служебных действий. А если такого запрета нет и вред возникает под влиянием тех же биоритмических процессов?

По мере дальнейшего проникновения теории биоритмов в нашу повседневную жизнь, видимо, станет возможным снабдить население индивидуальными табуляграммами, содержащими календарный график нулевых циклов на каждого члена семьи. При таком гипотетическом положении вопрос об уголовной ответственности каждого члена общества по существу решался бы аналогично со случаями, рассмотренными выше — все зависело бы от того, знал или не знал достоверно субъект о своем критическом дне, и если знал, то насколько он располагал возможностью не пренебрегать этим знанием. При наличии такой возможности, человек понес бы ответственность в зависимости от формы и вида вины. А в обратном случае — был бы освобожден от уголовной ответственности. Однако введение отмеченных табуляграмм в практику дело будущего. Поэтому прежде всего нас должен интересовать вопрос — как следует квалифицировать вредоносные деяния, совершенные под влиянием биоритмов сегодня.

Хотя теория биоритмов еще не апробирована окончательно, и порой даже высказываются серьезные сомнения против нее, научные предположения о существовании у людей определенных циклических процессов и критических дней имеют основания, не менее серьезные, чем высказываемые сомнения[16]. Накопившийся эмпирический материал частичное подтверждение этому. При таком положении вещей, отказ от учета при решении юридических вопросов современных достижений биоритмологии было бы неверно. Но как этого избежать?

Выше мы уже пытались определить примерный круг уголовно-правовых вопросов, при решении которых учет теории биоритмов представляется необходимым (см. с. 5—6). Это — вопросы вины и индивидуализации ответственности. Не возвращаясь ко всему сказанному, отметим только, что обнаружение одного или нескольких нулевых циклов у субъекта в момент правонарушения может существенно повлиять на юридическую оценку его поведения. А именно, если будет установлено, что у него имеется нулевой цикл и это парализовало всю его психофизическую способность нормальной ориентации в окружающей обстановке, то уголовную ответственность следует исключить вовсе. Если же обнаружится, что нулевой цикл лишь снизил соответ-

[16] См. Е. Манучарова. Что мы знаем о биоритмах. «Известия» от 8 июля 1979 г., с. 3.

ствующую способность самоконтроля, то это не может исключить ответственность, но следует обязательно принять во внимание как обстоятельство, смягчающее вину и ответственность.

Столь важное значение учета биоритмических процессов при решении уголовно-правовых вопросов делает необходимым значительно расширить сферу применения различных видов экспертизы в уголовном процессе. И это понятно. Ибо юридические вопросы, ответ на которые требует специальных познаний, не могут решаться без привлечения экспертизы. Для достоверного установления у обвиняемых нулевых циклов и определения степени влияния этих циклов на психофизические их способности, безусловно, потребуется приглашение экспертов-медиков, экспертов-биологов и, что особенно важно при установлении вины, экспертов-психологов[17]. Для наиболее правильной диагностики личности, закон (с. 70—71 УПК ГССР) не предусматривает ограничений для определенного вида судебной экспертизы и регламентирует ее назначение во всех случаях, когда необходимы специальные познания в той или иной области.

На первый взгляд теория биоритмов может показаться научной фантастикой, а предыдущие суждения — преждевременными. Но не следует забывать, что научные фантазии часто воплощаются в реальность. Достаточно вспомнить хотя бы такой факт, как освоение космоса и возникшую в связи с этим необходимость правового регулирования проблем космоса.

В связи с возможностью применения теории биоритмов в науках криминального цикла, мы попытались поставить лишь некоторые вопросы и найти наиболее вероятные пути к гипотетическому их решению. От дальнейшего развития биоритмологии — с одной стороны, и уголовного права и криминологии — с другой, зависит, насколько расширится этот круг вопросов в будущем.

[17] См. М. М. Коченов. Судебно-психологическая экспертиза, М., 1977.

Представлена Институтом экономики и права АН Грузинской ССР

ნ 15843

ფასი 1 მან.

Индекс 76 196

ეროვნული
ბიბლიოთეკა